


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

6 აპრილი 2012 №7(163)

გილოცავთ აღდგომის
ბრწყინვალე
ღღესასწაულს!



შინაარსი

წუთები და წლები	2	ქეთევან ხითარიშვილი ქვის მთლიანობით შეუპოვარი (გაბრიელ გარსია მარკესის „სანტას“ მიხედვით)
ჩვენი ყოფა, წუთისყოფილი	3	ნინო დოლიძე „ბთას ერთი ღამის“ ერთი თანამედროვე ზღაპარი
მსარს-მნებარევი	6	რეზო ჩხიკვიშვილი „მიყვარდეს და ვუყვარდე“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	7	რეზო ჭყეშვილი სამი ნოველა
	15	ირმა არჩუაშვილი ცრიატი საღამოები
პირველი შთაბეჭდილება	17	მაია ჯალიაშვილი კეთილი სიღამაზა (ირმა არჩუაშვილის მინიატურები)
პოეზია	18	თამარ ფარჩუკიძე ძრისტას მხადარი და სხვა ლექსები
პოეტის ერთი ლექსი	20	ნინო დარბაისელი ჰეროსტრატე
ანთისტიკა	22	ჯონ ჰენრი ნიუმენი ვინ არის დამნაშავე?
ისტორიის თეთრი ლაქები	26	ელგუჯა თავბერიძე საყინულე ანუ რამდენიმე სიტყვა შალამოვსა და მის მთარგმნელზე
რეპორტაჟი	32	ნინო დეკანოიძე პირისპირ — გარდასულ დღეთა (ზვიად კვარაცხელიას ნოველების კრებული „ციფლიბანდი“)
რას სწავლობენ ჩვენი შვილები	33	ოლეგ გოლიაძე „პარბია, კაცმა იცოდეს, რაც არა სჯობდეს, არა სთქვას!!!“
შტრიხები პორტრეტისათვის	35	ემზარ კვიციანიშვილი „სვანეთის ხორხის“ მითვალყურე (დავით წერეთლის „ორიონის“ გამო)
კრიტიკა	42	ნინო ვახანია მიუსაფარი სულის ღაღადი (ირაკლი ქასრაშვილის მოთხრობებისა და პიესის კრებული „რეპეტიცია“)
ერთი ლექსის სივრცე	45	ლალი ბარბაქაძე არ დამალოთ, პოეტებო!.. (ელა გოჩიაშვილის „მძიმე ალაყაფი“)
ბალაქონი — 120	46	ნოდარ ტაბიძე ბაღაზნაქილი სიზმრების წლები
წარსული მოგავლისათვის	53	მაკო ჯანჯიუხაშვილი ორი პიესა, ორი მღელვარება (როსტომ ჩხეიძის „ლეგენდა ისკანდერისა“ და „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“)
ახალგაზრდავო, ან კი თქვენ	54	გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! (ეკატერინე ლობჯანიძე, ნინო ანდიაშვილი, გვანცა დემეტრაშვილი, ნინო მუჟავანაძე)
აინტოლა	57	ბორის დარჩია დიხ ბარათი „ჩვენი მწერლობის“ მთავარ რედაქტორს
უსწორი ნოველა	58	როალდ დალი დიხაბეზა და ბედინდარა
გამოხეობა	61	ბაბუა ალუდაური დიხვინანეშული პასუხი პატონ ივანე ჯაფარიძეს
ლიტერატურული სწოვრება	62	თეკლე ჯანელიძე სურვილი — ტკივილი აშორო სხვას (თემურ ფირცხალაიშვილის ხსოვნის საღამო)
მოზაიკა	63	ღამა საბაქთანი

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 322) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეკნი“
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17
ბეჭდვის № 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TECH" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ILLPHONL: 00 995 322 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფარულია დიხაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტი—კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: დიდება უფალს!

ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 20 აპრილს

ქეთევან ხითარიშვილი

ქვის მთელივით შეუპოვარი

(ბაბრიელ გარსია მარკესის
„სანტას“ მიხედვით)

რეალობისა და უსაზღვრო ფანტაზიის სინთეზი, ოცნებებისა და ორიგინალური სიუჟეტების, პერსონაჟების სამყარო, ადამიანთა სხვადასხვაგვარი ხასიათი, მაგიური გარემო – ეს არის მხოლოდ მცირედი, რაც შეიძლება ითქვას XX საუკუნის ლიტერატურულ სიმბოლოდ ქვეულ კოლუმბიელ მწერალზე, რომელსაც მოფერებით გაბოს უწოდებენ. მარკესისეული ფანტაზია ნაწარმოებებში ისე ტრანსფორმირდება, რომ მკითხველი მას რეალურად აღიქვამს. ეს ის მხატვრული რეალობაა, რომელიც გვიბლავს, შეიძლება ასეც ითქვას, რომ ჰიპნოზის ქვეშ გამყოფებს და არ გინდა, რომ დატოვო ეს მოჯადოებული წრე და გარემო. თუმცა მაშინვე გიჩნდება კითხვა: როგორ შეუძლია ადამიანის გონებას, ასეთი ზღვარდაუდებელი ფანტაზია ჰქონდეს? მარკესის შემთხვევაში ვრწმუნდებით, რომ ეს საესეებით შესაძლებელია.

უცნაური სიუჟეტი უდევს საფუძვლად მოთხრობას „სანტა“ (წმინდანი). ნაწარმოები, რომელიც ქართულად ასე შესანიშნავად ამტკიცებდა თუა გვასალიამ, პირველ პირობა გადმოცემული და თვით ავტორი ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება. მწერალი ისე გვანვდის ამ ამბავს, რომ თითქოსდა რეალურად იცნობდა მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, მარგარიტო დუარტეს. მარკესი, როგორც ამ მოთხრობის პერსონაჟი, აქაც მწერალია, რომლისთვისაც საშურია ისეთი ხასიათისა და ინდივიდუალური თვისებების მქონე ადამიანის აღმოჩენა, როგორც მარგარიტოა. ჩუმი, ამოუცნობი მარგარიტო მძიმე ცხოვრებისეულ ტვირთს ატარებს. მისი მეუღლე შვილის გაჩენის შემდეგ მალე გარდაიცვალა, შვიდი წლის ულამაზესი ქალიშვილიც ციებ-ციხელებით დაეღუპა. ყველაზე დიდი უცნაურობა იწყება მაშინ, როცა კაშხლის მშენებლობის გამო სოფლის სასაფლაო სხვაგან გადააქვთ. მარგარიტოს ქალიშვილის სხეული სრულიად გაუხრწნელი აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალებიდან უკვე თერთმეტი წელია გასული, ვარდებსაც არ დაუკარგავს საამო სურნელი, მაგრამ ამ სასწაულს ემატება ისიც, რომ მიცვალებულის სხეულს ნონადობა საერთოდ არ გააჩნია.

მძიმე წარმოსადგენია ფიჭვის ჩემოდნით მოსიარულე მამაკაცი, რომელიც ყველგან თან დაატარებს ბავშვის გაუხრწნელ სხეულს, თუმცა ამგვარი მდგომარეობა არ თრგუნავს მას, პირიქით, მარგარიტო გასაცარი შემართებით ცდილობს დასახული მიზნის მიღწევას – საკუთარი შვილის კანონიზაციას.

მარგარიტო დუარტესთვის, როგორც მოკვდავი ადამიანისათვის, ძნელია „უკვდავთა“ რეზიდენციაში შეღწევა. ირონიზებულია პაპ პიუს XII-ის ავადმყოფობის ამბავი, რომელსაც სლოკინის მტანჯველი შეტევები აწუხებს. ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ მარგარიტოსთვის არავის ცხელა. მოთხრობის მიხედვით, პაპთან ვიზიტი თითქმის შეუძლებელია,

რადგან ვატიკანში ისეთი ბიუროკრატიული აპარატი მოქმედებს, რომელიც სხვადასხვა ინსტანციის გავლას მოითხოვს. მოხელეები ხედავენ საპატარძლო კაბაში გამოწყობილ გაუხრწნელ, უნონო გოგონას, მაგრამ იმდენად ინდიფერენტულია ამ ფაქტის მიმართ მათი დამოკიდებულება, რომ ამ მოვლენას კოლექტიურ ჰიპნოზად მიიჩნევენ.



წმინდის კრიზისი და სასწაულისადმი გულგრილი დამოკიდებულება თანამედროვე აზროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ადამიანი თვალნათლივ ხედავს უფლის მიერ მოვლენილ სასწაულს, მაგრამ სულიერი სიბრმავისა თუ სხვადასხვა მიზეზის გამო სათანადოდ ვერ აფასებს ამ მოვლენას. ეს მდგომარეობა კარგად ეხმიანება ჩვენს რეალობას — არცთუ ისე დიდი ხნის წინათ არსებულ ათეისტურ წარსულს, როდესაც ცოდვა აღარ აღიქმებოდა ცოდვად. მიუხედავად იმისა, რომ სასწაული და ცოდვა ერთმანეთისაგან განსხვავებული და მკვეთრად გამიჯნული ცნებებია, ორივე ეპოქისთვის დამახასიათებელია და ნიშანდობლივი. XX საუკუნე სასწაულის „არ დანახვისა“ და ცოდვის „ვერ შეგვრძნების“ ხანაა.

„წმინდანები დროის საკუთარ განზომილებებში ცხოვრობენ“, — ამბობდა მარგარიტო დუარტე და, ალბათ, ამ სიტყვებით იიმედებდა თავს, ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო შვილის წმინდანად აღიარების უამბი.

„ქვის მთელივით შეუპოვარი“ პერსონაჟი, პანსიონში დაბრუნებული, დანაღვლიანებული და დაღლილი, მეორე დღეს კვლავ საბრძოლველად განწყობილი ილვიძებდა. მართლაც, მარგარიტო იმ პიროვნებად წარმოგვიდგება, რომელიც იბრძვის გარკვეული მიზნისათვის, მაგრამ მისი ეს ბრძოლა არ არის ხმაურიანი, მას ცხოვრებაც არა აქვს ბოხოქარი, პირიქით, მის სწრაფვას სიჩუმე და სულიერი სიმშვიდე ახლავს. ამიტომ არის ეს პერსონაჟი გამორჩეული და არაორდინარული.

მარგარიტო დუარტეს ხორციელი ვნებებისგან დაცლილსაც ვხედავთ. მასთან გასართობად მეძავსაც შეუშვებენ, მაგრამ ის საუბარს გაუბამს ქალს, ხოლო როდესაც ჩემოდანში მწოლიარე გოგონას ცხედარს აჩვენებს, მეძავი შეშინებული გამოვარდება ოთახიდან.

მძიმე ცხოვრებისეული ტვირთის მოთმინებით ტარება, იმედის შენარჩუნება, დროის მდინარების უგულვებლყოფა, დიდი ნებისყოფა — აი, ამ თვისებებით გამოირჩევა მარკესის შეუპოვარი ლიტერატურული გმირი.

ნაწარმოებში საინტერესოა ის მომენტიც, რომ ჩვენთვის, მკითხველისთვის, უცნობია, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა მოთხრობის მთავარი პერსონაჟი შვილის გაუხრწნელი სხეულის აღმოჩენამდე, ანუ ავტორს მარგარიტოს ცხოვრება ამ ფაქტამდე არ აინტერესებს. მისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ იყო მარგარიტო მანამდე, არამედ რამდენად შეძლებდა იგი ცხოვრებისეული ტვირთის ტარებას. ნაწარმოებში ჩანს

არა პიროვნების მეტამორფოზა, ფერისცვალება, არამედ მისი ნებისყოფის, ამტანობისა და სულიერი სიმტკიცის ხარისხი.

როდესაც „სანტას“ რამდენიმე ფურცელს გავადევნებთ თვალს, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ნაწარმოების სახელწოდება მარგარიტოს გაუხრწნელ გოგონას მიემართება, მაგრამ თანდათან ვხვდებით, რომ წმინდანი თვითონ მარგარიტოა.

საეკლესიო ტრადიციით, წმინდანი არის ღირსი, განწმენდილი, კურთხეული, მართალი, ღვთის მსახური და სარწმუნოებრივი კანონებით მცხოვრები ადამიანი. წმინდანი, მონაწილე, მარტვილი ქრისტეს ჰბაძავს, მას ემონმება, დაითმენს ტანჯვას, სისხლს ღვრის მაცხოვრის ერთგულებისათვის.

წმინდანის მარკესისეული ღვინიცია ლიტურატურულ

ჭრილშია გასააზრებელი, რომელიც გარკვეულწილად უახლოვდება საეკლესიო წმინდანის გაგებასაც, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მისი პერსონაჟის საბრძოლო ასპარეზი ძირითადად ამქვეყნიური ცხოვრებაა. „სანტას“ მიხედვით, წმინდანი ის ადამიანი, რომელიც ტანჯვის გზით მისწრაფის თავისი მიზნისაკენ, არ ეცემა. შეიძლება მიზანს ვერასოდეს მიაღწიოს, მაგრამ მაინც არ კარგავს რწმენას, სულიერი სიმტკიცითა და დიდი ნებისყოფით მისაბაძი ხდება და მკითხველს ხიბლავს. „სანტა“ მწერლის შემდეგი სიტყვებით სრულდება: „...და მივხვდი, რომ წმინდანი თვითონ იყო და შეუგნებლად, შვილის გაუხრწნელი სხეულის მეშვეობით ოცდაორი წელი იბრძოდა სიცოცხლეში საკუთარი კანონიზაციისათვის“.

„ათას ერთი ღამის“ ერთი თანამედროვე ზღაპარი

ყოველი ერის კულტურა იმით განისაზღვრება, თუ რამდენად მაღალ დონეზე აქვს თარგმნილი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტურატურული ძეგლები. ქართველებს კულტურულ, განათლებულ ხალხად მოგვაქვს თავი, თუმცა საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება ამგვარი მემკვიდრეობის მიმართ სხვა რამეზე მეტყველებს.

მოგვხსენებათ, ახლო აღმოსავლეთის ზღაპრების კრებულმა „ათას ერთი ღამე“ თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ლიტურატურის განვითარებაში. ცნობილია, რომ ინდური, ირანული, არაბული, ეგვიპტური თუ ბერძნული წარმომავლობის ზღაპრების ეს კრებული ლამის ბოკაჩომდე „სიუჟეტების საკუჭნაოს“ წარმოადგენდა ევროპული ლიტურატურისთვის. მოგვიანებით კი ის მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია გალანის ფრანგული, ლეინის ინგლისური და ლიტმანის გერმანული თარგმანი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანგი ქართველოლოგი ბერნარ უტიე, რომელიც არაერთხელ იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში, მოხიბლული ყოფილა „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანით. ამ ფაქტის ამსახველი აუდიოჩანაწერი დღესაც არსებობს.

სულ რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალ „თბილისელების“ ბიბლიოთეკამ „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის პირველი ტომი გამოცა, სადაც შედის პირველი ოცდათორმეტი ზღაპარი. იქვე მითითებულია, რომ კრებული ათ ტომად უნდა გამოიცეს. წიგნს ჰყავს მთარგმნელთა კოლე-

გია (თავ-რე დავით აბულაძე), თუმცა არ არის მითითებული, თუ რა ენიდან არის თარგმნილი. აღნიშნულ გამოცემაზე ყურადღება გაამახვილა დათო ტურაშვილმა 21 თებერვლის გადაცემა „შუადღის შოუში“ რუსთავი 2-ზე. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეს შესანიშნავი მოვლენაა, რადგან ჩვენი მშობლების თაობა კარგად იცნობდა ამ კრებულს და მას ახალგაზრდებიც უნდა იცნობდნენ. თუმცა ბ-ნ დათოს არ გასჩენია კითხვა, თუ რა ენიდან, რომელი რედაქციის მიხედვით ითარგმნა მის მიერ მაყურებლისთვის წარდგენილი წიგნი და რომელ ქართულ თარგმანს იცნობდნენ მისი მშობლები.

ახალი გამოცემის ხელში აღებისთანავე მოგხვდებათ თვალში მხატვრის ნამუშევარი, რომელიც დიდი ორიგინალურობით არ გამოირჩევა — თითოეული ღამის დასაწყისში გაკეთებული ილუსტრაცია ზუსტად იმეორებს რუსული გამოცემის ილუსტრაციებს, ხოლო ყდის ფონი — ბნელი ღამის ფონზე წვრილი და მსხვილი ვარსკვლავები და ნამგალა მთვარე — ძველი ქართული გამოცემის თითოეული ღამის დასაწყისში არსებული ილუსტრაციის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია. ეს დეტალი ნასესხები უნდა იყოს 1969 წლის გამოცემიდან, რომლის მხატვრობა ეკუთვნის დეა ჯაბუას. თვალში მოსახვედრია ისიც, რომ აქ ლექსების უმრავლესობა უბრალოდ გამოტოვებულია — როგორც ჩანს, მათი თარგმნა რთული აღმოჩნდა. სატელევიზიო გადაცემის გარდა თბილისის ე.წ. ბილბორდებზეც გახლავთ რეკლამირებული აღნიშნული გამოცემა როგორც „წიგნი, რომელიც ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს“. ეს წიგნი ნამდვილად ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა ასეთი სახით.



აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან იზრუნა, რომ შექმნილიყო „ათას ერთი ლამის“ ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემა. 1967-1997 წლებში გამოიცა რვა ტომი, რომელთაგან I, II, V და VI ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსმა ნანა ფურცელაძემ თარგმნა, ხოლო III, VI, VII და VIII — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ან განსვენებულმა თინა მარგველაშვილმა. ეს თარგმანი გახლავთ ხანგრძლივი და სკრუპულოზური კვლევის შედეგი. მოგვხსენებათ, შუასაუკუნეების ძეგლის თარგმნა მხოლოდ სათარგმნი ენის კარგ ცოდნაზე არ არის დამოკიდებული. ეს პროცესი ტექსტის მეცნიერულ ინტერპრეტაციასაც გულისხმობს იმისათვის, რომ სხვადასხვა ტერმინებისა თუ გამოთქმების ზუსტი ადეკვატი მოიძებნოს და არ დამახინჯდეს კულტურული თუ ყოფითი რეალობები. არაბული ლექსების მაქსიმალური სიზუსტით შესრულებული პნკარედები ვახუშტი კოტეტიშვილმა გალექსა. მთარგმნელთა შრომა წარმატებით დავერგვინდა და „ათას ერთი ლამის“ ქართული თარგმანი ივანე მაჩაბლის პრემიით აღინიშნა. ეს გამოცემა ჰქონდა ხელთ ფრანგ ქართველოლოგს, რომელსაც შეეძლო ქართული თარგმანი ევროპული თარგმანისთვის შეედარებინა. გარდა ამისა, ის არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე გახდა მოწონებისა და აღფრთოვანების საგანი პოლონეთში, ეგვიპტესა თუ იორდანიაში, სადაც 2009 წელს ჩატარებული კონფერენცია უშუალოდ „ათას ერთ ლამის“ ეძღვნებოდა.

ზემოხსენებულ რეკლამირებულ გამოცემაში არა მარტო მოხსენიებული არ არის, რომ ქართული თარგმანი აქამდე არსებობდა, არამედ შესავლის სახით სიტყვასიტყვით გადმოღებულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილი სტატია (ეს გახლავთ 1967 წელს გამოცემული „ათას ერთი ლამის“ I ტომის შესავლის შემოკლებული ვარიანტი) და მითითებული არ არის ავტორი — გიორგი წერეთელი. შესავლის გადამწერებს ასევე „გამორჩათ“ წერეთლის სტატიის ბოლო ფრაზა: „ქართულად 1967-მდე სულ რამდენიმე არაკი იყო თარგმნილი რუსულიდან. 1967-იდან კი იბეჭდება „ა. ე. ლ.“-ის თარგმანი არაბულიდან“ (გ. წერეთელი, ათას ერთი ლამის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, 1975, გვ. 224). გამორჩათ თუ შეგნებულად გამოტოვეს?! ეს უბრალოდ არაეთიკურია.

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, რაც უნდა, რა ენიდანაც უნდა და როგორც უნდა თარგმნოს და გამოაქვეყნოს. მხოლოდ უნდა მიუთითოს, საიდან თარგმნა. ეს ხომ ელემენტარულია. მართალია, ვერავინ ვერავის დაუშლის რამის თარგმნას, მაგრამ მთარგმნელი პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს პირველ რიგში ლიტერატურული ძეგლისა და მკითხველის წინაშე. სამწუხაროდ, „ათას ერთი ლამის“ ახალგაზომცხვარ თარგმანში ეს არ იგრძნობა. არც ერთ მთარგმნელს არა აქვს მორალური უფლება, დაამახინჯოს ორიგინალი, რაც უნდა ექქარებოდეს მისი გამოცემა. დავით აბულაძის თაოსნობით შესრულებული თარგმანის პირველივე ფრაზა არაზუსტია:

არაბულ ვარიანტში სიტყვასიტყვით ასეა:

„დიდება ალაჰს, სამყაროთა უფალს, კურთხევა და გამარჯვება მოციქულთა ბატონს, ჩვენს ბატონსა და მეუფეს მუჰამადს...“

ახალ ქართულ თარგმანში კი ვკითხულობთ:

„დიდება ალაჰს, სამყაროთა მბრძანებელს! დიდება და კურთხევა მოციქულთა ბატონს და ჩვენი დიდი მეუფის,

მუჰამედის პატრონს!“ (გვ. 5)

სინამდვილეში კურთხევა ეკუთვნის მოციქულ მუჰამადს და არა მის „პატრონს“. შესაძლოა, მთარგმნელს მოციქულთა ბატონი ალაჰი ჰგონია. გამოდის, რომ ალაჰმა აკურთხა ალაჰი.

აღსანიშნავია, რომ შუასაუკუნეებში ნებისმიერი არაბული წიგნი, იქნებოდა ეს ზღაპართა კრებული, ისტორიული ქრონიკა თუ გრამატიკული ტრაქტატი, განსაზღვრული ფორმულით იწყებოდა. სავარაუდოდ, წიგნი რუსულიდან ითარგმნა. მართალია, სალიეს რუსული თარგმანი კალკუტის ქართლის ეყრდნობა, ფურცელაძისა და მარგველაშვილის ქართული თარგმანი კი — ეგვიპტურ, ბულაკის ვერსიას, დასაწყისი ყველგან ერთნაირია. ფორმულარული დასაწყისი ყველა თარგმანში სრული სიზუსტით უნდა იყოს დაცული, რაც ახალმშენებულ ქართულ თარგმანში დარღვეულია. ახალი ქართული ვარიანტის მთარგმნელებს (თუ ის რუსულიდან თარგმნეს) რუსული ტექსტიც ვერ გაურჩევიათ.

დამახინჯებულია საკუთარი სახელები. ქართველი არაბისტების მიერ თარგმნილ ვარიანტში „ათას ერთი ლამის“ მთავარი გმირის, მთხრობელის სახელი შაჰრაზადი არაბული საკუთარი სახელის ზუსტი ტრანსლიტერაციაა. რუსულ ვერსიაში „შახრაზად“ (Шахразад). როგორც ჩანს, ახალ გამოცემაში უკვე არსებული ქართული ვერსიიდან არის ნასესხები „შაჰრაზადი“ ისევე, როგორც „დუნიზადი“, რადგან რუსულში „დუნიზადი“. თუმცა „მუჰამედი“ რუსულის ანალოგიით დაუნერიათ. არაბულთან უფრო ახლოს „მუჰამადია“, რადგან არაბულ სალიტერატურულ ენაში „ე“ ფონემა არ არის, და ქართულ თარგმანშიც ასეა ისევე, როგორც „ბედრ ად-დინი“ (სხვათა შორის, არაბულიდან მოდის ქართული სახელი ბადრი და არა ბედრი)... რუსულ თარგმანშია „სულეიმანი“ (სოლომონ მეფე), ქართულში — „სულაიმანი“ (არაბულის ზუსტი ადეკვატი). მთარგმნელს ხან ერთი აქვს გამოყენებული, ხან მეორე (გვ. 31-32).

ეტყობა, ის უკვე არსებულ ქართულ ვარიანტში იხედებოდა მაშინაც, როცა რუსული ПУСТЫНЯ თარგმნა, როგორც „ტრამალი“ და არა როგორც „უდაბნო“ (გვ. 41), რაც მისი მხრიდან უფრო ბუნებრივი იქნებოდა. „ღული“, რომელიც ფანტასტიკური არსებაა ქალის სახით, რუსულად არის ГУЛЬ, თუმცა თარგმანში სწორი ვარიანტი წერია – ლული. ეჭვი ჩნდება, რომ არაბულის უცოდინარმა მთარგმნელებმა ისევე უკვე არსებული ქართული ვარიანტით ისარგებლეს. ფრაზაში „მე ძუ ჯინი ვარ, ის კი ხვალი იყო“ (გვ. 126) რატომ არ გადათარგმნეს რუსულ ვარიანტში გამოყენებული „ჯინი და ჯინია“? ეტყობა, აქაც ქართული ვარიანტი („ძუ“ და „ხვალი“) უფრო მოეწონათ.

ასევე ფრაზები „გისმენ და გემორჩილები“ (გვ. 128), „დიდ არს ალაჰი“ (გვ. 165) და სხვ. უკვე არსებული ქართული თარგმანიდან კოპირებულს ჰგავს, გადანერვილი ჩანს მთელი ფრაზები 39-ე, 41-ე, 56-ე, 59-ე, 73-ე, 78-ე, 199-ე გვერდებზე, რომლითაც აქ თავს აღარ შეგანყენთ. სწორი არ არის ლექსების თარგმანი (გვ. 176, 207), და მთელი რიგი ფრაზები — მაგალითად, უნდა იყოს „ამ დროის ხალხში შემხვედრია“ და არა „დედამინის ზურგზე შემხვედრია“ (გვ. 159); უნდა იყოს „ჯადოქარი“ და არა „ბოროტი ქალი“ (გვ. 60); ნინადადებამი „ხელმწიფის გარშემო რკალად ორმოცდაათი ხმალამონვდილი მონა გაშეშებულიყო“ უნდა იყოს „მეომარი გაშეშებულიყო“, რადგან „მამლუქი“ არაბულ ტექსტში ამ შემთხვევაში „მეომარს“ ნიშნავს და არა „მონას“.

დამწყებმა მთარგმნელმაც კი იცის, რომ ნეოლოგიზმები შუასაუკუნეების ძეგლის თარგმნისას არ უნდა გამოიყენოს: „ვეგრძნობ, როგორ მენამლება მთელი ორგანიზმი“ (გვ. 46). სიტყვა „ორგანიზმი“ აქ სრულიად უადგილოა. სასაცილოა, როცა ზღაპრის გმირი ამბობს ამას.

მთარგმნელს არ ესმის, რას ნიშნავს „მსტოვარი“: „ექიმთან მსტოვარი გაგზავნა“ (გვ. 43). კონტექსტიდან გამომდინარეც კი აშკარაა, რომ ჯაშუში ნამდვილად არ გაუგზავნიან.

ნიგნში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც ქართული ენის თვალსაზრისით სრულიად მიუღებელია: „მშვენიერებისა და თვალტანადობის მამავ“ (გვ. 164), „ყველაზე პირველად“ (გვ. 119) „წინასწარმეტყველება, რაც მოხდება“, „ახდებას“ ნაცვლად (გვ. 119), „სასირცხვო“ „სარცხვინელის“ ნაცვლად (გვ. 66) და სხვა სიტყვები თუ გამოთქმები, რაც ტექსტს სრულიად გაუგებარს ხდის. გვხვდება დიალექტიზმიც: „ადექი და მაქედან გამოდი“ (გვ. 171).

მთარგმნელთა კოლეგიას არაბულის მცოდნესთვის კონსულტაცია რომ ეთხოვა, აუცილებლად შეიტყობდა, რომ სწორი ფორმა „კაირო“ და არა „ქაირო“ (გვ. 167-168), „მისრეთი“ და არა „მასრეთი“ (გვ. 143), „იფრითი“ და არა „იფრითი“ (გვ. 9, 17). ასევე გაიგებდა, რომ არაბულ ქვეყნებში, ძველი ადათის მიხედვით, ქალიშვილს ათხოვებდნენ მამის ძმის შვილზე და არა მამიდაშვილზე და დეიდაშვილზე, როგორც აქ არის განმარტებული (გვ. 14); არ დანერდნენ „ჯინი, იფრითი და მარიდი კეთილი ან ბოროტი სულებიაო“, შეიტყობდნენ, რომ იფრითი და მარიდი ყოველთვის ბოროტი სულებია და სხვ.

საერთოდ, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ მსგავს პროექტთა ავტორები პროფესიონალებს რთავდნენ საქმეში. ამ მხრივ, 2010 წელს გამოსულ „1001 ღამის ზღაპრსაც“ არ აწყენდა თვალის გადავლება. მართალია, „საქართველოს მაცნეს“ ამ გამოცემაში მითითებულია ნიგნის კონკრეტული ავტორი ვლადიმირ ჰულბაკი, შეცდომებისგან დაზღვეული არც ის არის. ნიგნს ორიგინალში „სინდადი“ ჰქვია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰულბაკი „ათას ერთი ღამის“ სახეცვლილი, გადაკეთებული, ალბათ გათანამედროვეებული ჩეხური ვერსიის ავტორია, ხოლო მთარგმნელი დარეჯან რაზმაძე საიდან მთარგმნელია, ღმერთმა უწყის. სათარგმნი ენის მითითება აქაც არ მიუჩნევიათ საჭიროდ. ცუდი არ იქნებოდა, ქ-ნ დარეჯანსაც გაერკვია, რომ ქართულ თარგმანში „აჰმადი“ უნდა დაენერა და არა „ახმედი“, „ბასიმი“ და არა „ბაზიმი“, „ალი კაიროელი“ და არა „ალი კაირი“, „სარანდიბი“ და არა „სარანდიბა“, „აბუ ალი“ და არა „ბუ ალი“, ქალაქი „ფესი“ და არა „ფეზი“, „ხალიფა“ და არა „ხალიფი“, „მუთავაქილი“ და არა „მუთავაკილი“, „ნურ ან-ნაჰარი“ და არა „ნუ ენ-ნაჰარი“; რომ ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი ხალიფაა და დიდი მთავარი ვერ იქნება და ა. შ. არაბულის უცოდინარობა და არაბულ სამყაროში გაუთვითცნობიერებლობა ხშირად კურობების მიზეზი ხდება. მაგალითად, ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ: „მოვიდა პაპა, ხალიფი, მუთავაკილი.“ არასწორად დასმული მძიმეების გამო შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აქ სამი სხვადასხვა სახელის მქონე პირია. სინამდვილეში, ლაპარაკია „ხალიფა მუთავაქილზე“, რომელიც ცნობილი ისტორიული პიროვნებაა. ეს იგივეა, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე დაინეროს როგორც „ნაპოლეონი, ბონაპარტე“ ანუ ნაპოლეონი და ბონაპარტე. ეს ყველაფერი მთარგმნელს უნდა გაერკვია მით უფრო, რომ სავარაუდოდ, უკვე არსებულ ქართულ თარგმანს დარეჯან რაზმაძეც იცნობს. პირველივე ზღაპრის დასაწყისი „დიდი ხნის წინათ, გარდასულ

დროში...“ ისევ უკვე არსებული ვერსიიდან — „დიდი ხნის წინათ, გარდასულ დროსა და ჟამს...“ — უნდა იყოს ნასესხები. აღარაფერს ვამბობთ თარგმანის სტილზე, ქართულ ენასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებზე, რაც ასეთ პრიალა, ძვირადღირებულ გამოცემას არ შეეფერება.

როგორც ჩანს, ევროპაში „ათას ერთი ღამე“ და მისი ვერსიები დღემდე პოპულარულია. ძალიან კარგი იქნება, ჩვენთანაც თუ მოხდება ამ ძეგლის პოპულარიზაცია, მაგრამ არა ასე. სხვაა, როდესაც რაიმეს გადაკეთებულ ვარიანტს (ე.წ. remake-ს) აქვეყნებ და ამას აღნიშნავ კიდევ, მაგრამ როცა პრეტენზია გაქვს, რომ მთელი ნაწარმოები უნდა გამოსცე, და თანაც ასეთი მნიშვნელობისა, ნამდვილად მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო. ალბათ, ყველას ახსოვს „ათას ერთი ღამის“ ერთი ცნობილი ფრაზა: „და ეს ამბავი რომ თვალის უბეებზე დაინეროს...“ თუნდაც ეს ერთი ფრაზა გაცილებით სჯობს ახალ გამოცემაში გაჩენილს: „ის რომ ნემსით დაინეროს თვალის უბეებში...“ (გვ. 17) და მით უმეტეს: „თვალეების უბეებში ნემსით რომ დაინეროს“ (გვ. 54). რვატომეულის ბოლო ტომი 1997 წელს გამოვიდა და ის არაფრითაა ყავლგასული. „ახალი თარგმანი“ კი გაუძღვს დროს?!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის დეპარტამენტის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი აღმფრთხილებია ამ ფაქტით და იმითაც, რომ არაპროფესიონალიზმმა ლიტერატურის, თარგმანის სფეროშიც მძლავრად მოიკიდა ფეხი. რა თქმა უნდა, ჩვენ პლურალიზმისა და დემოკრატიის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ყველას ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე არსებული, მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანის და მათი ავტორების არსებობა უგულვებელყო და მდარე ხარისხის პროდუქტია შესთავაზო მკითხველს ისე, თითქოს არაბისტები, არაბულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელები არც ახლა არსებობენ და არც არაფერი გაუკეთებიათ აქამდე, არც „ყურანი“ უთარგმნიათ, არც „ქილილა და დამანა“, არც „მუალაკები“ — ისლამამდელი პოეზია, არც შუასაუკუნეების არაბული პოეზია და არც თვით „ათას ერთი ღამე“, რომლის ახალგამოსული თარგმანი არ გახლავთ უბრალოდ იაფფასიანი გამოცემა, რაც, სამწუხაროდ, ასე მომრავლდა ჩვენში ბოლო დროს. ეს არის უღიმიამო, გაურკვეველი, გაუმართავი, მასკულტურის სრულიად უხარისხო ნაწარმი, „ფსევდო-ათას ერთი ღამე“. თუმცა, სამწუხაროდ, იაფ საქონელს ყველგან აქვს არსებობის უფლება და ჰყავს თავისი მყიდველიც.

იმედია, ჟურნალ „თბილისელების“ ბიბლიოთეკა შემდეგ ტომებში იმას მაინც მიუთითებს, საიდან არის თარგმნილი ეს მსოფლიო და არა მხოლოდ არაბული ლიტერატურის კუთვნილება. საერთოდ კი, ერთი შეხედვითაც თვალნათლივია, „ათას ერთი ღამის“ უკვე არსებულ, ორიგინალიდან შესრულებულ, პრემირებულ ქართულ თარგმანს ვერაფრით შეედრება შუამავალი ენიდან ნაჩქარევად შესრულებული, შეცდომებით სავსე ახალი თარგმანი, რომლის უკან, ჩანს, თითო-ორიოლა ადამიანის ამბიციაც თუ ფინანსური ინტერესი დგას.

„ათას ერთი ღამის“ თანამედროვე ზღაპარიც ეს გახლავთ — დღეს გამართული თარგმანის ნაცვლად ეს ვაითარგმანი იყიდება, რაც მართლაც დაუჯერებელ, გამოგონილ ამბავს ჰგავს. კარგი იქნება, თუ გამოჩნდება ქართული გამომცემლობა, რომელიც ნამდვილ „ათას ერთ ღამეს“ გამოსცემს ქართულად.

არჩევანი ნაღდა და ყალბს შორის თვით მკითხველმა

რეზო ჩხიკვიშვილი

„მიყვარდეს და ვუყვარდე“



— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— შექსპირი ამბობს: „არ არსებობს ისეთი საშინელი დრო და ცხოვრება, როგორცაა დრო, როდესაც ადამიანს თავისი კაცობის გამოჩენა არ შეუძლია.“ და მე ამასაც დავამატებდი — როცა ადამიანი საკუთარ თავს ემალება!

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ჩემი ხალხია.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— პირველ რიგში ის, რომ იყო ჯანმრთელი და ხედავდე ყველას ჯანმრთელებსა და ბედნიერებს შენს ირგვლივ. ბედნიერებაა — შეგეძლოს გიყვარდეს. სიყვარულში გაატარო ცხოვრება და გქონდეს საყვარელი საქმე, ისეთი ბოლომდე რომ დაიხარჯები, კეთილად რომ განგანყოფს და სიამოვნებას მოგანიჭებს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ანა კარენინა, ოთარაანთ ქვრივი, პეჩორინი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, ერეკლე II, გიორგი სააკაძე და იულიუს კეისარი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი, და ვინჩი, რემბრანდტი, მოდილიანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— რევაზ ლალიძე, ენიო მორიკონე, მოცარტი, შოპენი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ერთგულებას, სიყვარულის უნარს, სიმართლეს, გულახდილობას, ამტანობასა და გამტანობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მოკრძალებას, სისადავეს, გულახდილობას, პატიოსნებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მიმტევებლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— როლზე მუშაობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ჟერარ ფილიპი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სათნოება, პასუხისმგებლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ყურადღებას, სიყვარულის უნარს და ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სულ მინდა ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვრო, მაგრამ საამისოდ ნებისყოფა არ მყოფნის...

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— უყვარდე, და გარემო გყავდეს ადამიანები, ვისთანაც ყოფნა სიამოვნებას და ბედნიერებას განიჭებს.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ომი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სამართლიანი, მხიარული.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყავისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ხულიო კორტასარი, ჰერმან ჰესე, კონსტანტინე გამსახურდია და ნოდარ დუმბაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ლადო ასათიანი, გოეთე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ჟანა დ'არკი, ანტიგონე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ვისოცკი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, შუშანიკი.

— საყვარელი სახელები?

— მარიამი, ალექსანდრე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიცრუეს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— შიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა, როცა დავით აღმაშენებელმა 200 შეიარაღებული ვაჟკაცი შეუშვა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარის წინა რიგებში. ამ სტრატეგიამ და შემდგომმა ბრძოლამ ქართველებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— საფრანგეთის რეფორმაცია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა ბევრი უცხო ენა ვიცოდე.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მძინარე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ბედნიერი.

— ქმედბანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ვაპატიებდი ქურდობას, თუ გულწრფელად მოინანიებდა.

— თქვენი დევიზი?

— მიყვარდეს და ვუყვარდე!

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მოგეტევოს შენი ადამიანური ცოდვები...

რეზო ჭეიშვილი

სამი ნოველა

არჩილ ბელქანია

მედოლე.

თუ დოლის რამე გამეგება ან გამეგებოდა — არ უკრავდა ცუდად, დაიდებდა ილინცერად გაბრიგინებულ აზიურ საკრავს და დაცხებდა ცალპირულად გაფშევილ, ხმელ ხელ-თითებს... ახლა ნამდვილი სახელ-გვარით მოვიხსენიოთ და წავიდეთ წინ:

აჩიკო ბელაკონიას რკინიგზის სადგურთან, ჩემი სახლის სიახლოვეს, უფრო აქვდა საცხოვრებელი, ვიდრე პირველ ბაქანთან, მაგრამ მაინც საფიჩხილოებით მოჰქონდა თავი; ძველბიჭობის ილუზიით თუ მანიით უფრო იყო შეპყრობილი, ვიდრე მუსიკით; კანონიერ ქურდობაზე არ იტყოდა უარს, მაგრამ ჯიბგირობას, თუნდაც ხელცივობას არ იკადრებდა, არადა არც მედოლედ დაბერება სურდა. ქალაქელ (ბალისკიდელ, მედოლეებს — გოგია ძონენიძეს, ყაჩოს, ზიპოს ცნობდა და მეტი არა). მე ჩემი გზა მა-აქვსო და მაგათი (ვისი?) აყოლა არ მარგაო, ამბობდა. დასტა საფიჩხიაზეც ჰყავდა; დოლი (თავისი) ზურნა, დუდუკი და აზიური გარმონი იქაც ემოვებოდა ერთ დროს!

...სანამ ელექტრონული გიტარით და სხვა ცივილიზებული მუსიკალური ინსტრუმენტებით არ შეივსო ქალაქის დუქან-რესტორნები და ქალაქსაგარეო საქეიფო ადგილები, დოლი არ გაუგდია ხელიდან, თუმცა მაინც თამაშგარეთა არეალში აღმოჩნდა, საკონცერტო-საგასტროლო ანსამბლებში ვერ ჩაჯდა, ძველ ბიჭებთან და კანონიერ ქურდებთან ვაკანტური ადგილი ვერ იშოვნა, თუმცაღა (ერთი იმისკენაც) შეიძლება არც ინდომა და სხვა ხელობას (ამაზე მოგვიანებით) გამოკრა ხელი. ხელოვნებას ხალხურს კი ამკარად ჩამოშორდა, ფიქრიანი გახდა, — მწვანედ მოჭიქული თვალები უშემდებოდა დროდადრო, მონღოლს ჰგავსო, ერთმა თქვა, მონღოლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოხსენებული იმერელიაო — ვერ იტყოდით, გვარიც ბელაკონია მისი გენის არაქართულ წარმოშობაზე მეტყველებდა, შეიძლება, — ერთი დაკვირებით.

იმ წელს, თარიღი არ გვინდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვეწყვე, ფილოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების კოლეგიის წევრი გავხდი; ვმოღვაწეობდი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ჩემ ქალაქში სტუმარივით ჩავდიოდი დროდადრო; ბელაკონიას, აქვე მინდა აღვნიშნო, ხან ვხვდებოდი, ხან არა და — ჩვენი გზები (ერთი გზა არც არასოდეს გვექონია) სამუდამოდ გაიყარა, მეგონა.

ერთ მშვენიერ დღეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში სულიკო ჟღენტი მეკითხება:

— ...აჩიკო ბელაკონიას იცნობ? ქუთაისელია, სხვათა შორის, იცნობ?

კი-მეთქი, რა იყო, რო?!

—...წერილი მომივიდა, უსტარი.

თბილისი. კინოსტუდია. მესცენარე ჟღენტს:

...რატომა ვარ გამოყვანილი კინოში პიერო მილიციის თანამშრომელი, სპეცორგანოების დავალებით ხომ — არა? არჩილ აჩიკო ბელაკონია.

ესაა სულ... — ერთხელ კიდევ დახედა შრიფტმინეპებულ სატელეფონო ბლანკს: და...რონდელის ფილმია ხომ და შენი სცენარი?

- სცენარი ლევან ჭელიძისაა, რუსული...
- ქართული არ იცის, ვიცი...
- იცის, მაგრამ ვერ წერს. სკოლა და უმაღლესი რუსულად, გიკი — სასცენარო კურსები — მოსკოვში... მოგესხენებათ და სცენარი მე გავაქართულე. კი არ ვთარგმნე, — გავაქართულე, მოკლედ გეტყვით!
- შენ და ის, — გამაწყვეტინა სულიკომ, — გასაგებია, ჩემთან რა უნდა?... თქვენი ფილმია ხომ, შენი და დათიკო რონდელის? პიერ, პიერი, გვარია?
- გვარი მილიციელი... რუსულად ჰქონდა დაწერილი.
- მე რატომ მომიკითხა?
- არ ვიცი, მომე მაგ წერილი, წერილია თუ სამძიმრის დეპეშა და გაგარკვევ...
- ლიოვამ (ჭელიძემ) არ იცის ხომ ქართული?
- იცის, მაგრამ ვერ წერს... ასე გაზარდეს... რუსულად დაამთავრა სკოლა, უმაღლესი და გიკის სასცენარო კურსები მოსკოვში... შენამდე, სხვათა შორის...
- ...პიერი მილიციის თანამშრომელი... — სათაურშივე რუსული თანწყობაა...
- ეგრეა, კი.
- ...

ნატურგადაღებები ქუთაისში ჰქონდათ, — ქალაქის ცენტრში, ბალისკიდზე, ქალაქკომის წინ, პავილიონები თბილისში, ძველ სტუდიაში.

... დააყარაღეს პროფესორის, ნუმინმატის ბინა. ეძებენ ბინის „ყაჩაღებს“, — ქურდებს. — უშედეგოდ. ხელისმოსაჭიდებელ სამხილებს ვერ პოულობენ...

მილიციის უფროსი (დოლო აბაშიძე) თანამშრომლებს: აჩიკო ბელაკონია უნდა ავიყვანოთ!

იპოლიტე (რიგით მილიციელი) — ბელაკონია სანატორიუმშია უკვე.

მილიციის უფროსი (დოლო აბაშიძე) რა ვადით? — შეიდი წლით და რვა თვით!..

მილიციის უფროსი (ქსივში იხედება) სამწუხაროდ ეგრეა, თუმცაღა ბელაკონია მაინც ბელაკონიაა, ვერ გამოვრიცხავთ...

მესცენარე ჟღენტი: — ეს ბელაკონია ბანდიტია? — ბანდიტი კი არა, ჩემი ფეხებია!..

ფილმის გადაღება იმ ზაფხულზევე დასრულდა; წლის ბოლოს ფირი გამჟღავნდა, დაიჭრა, დამონტაჟდა და ასე



შემდეგ... გაქირავდა, ბესტსელერად არ ქცეულა, არაფერი გეტყინოთ, მაგრამ იგი საქართველოში მაინც ნახა მაყურებელთა გარკვეულმა, არც მთლად უმნიშვნელო, რაოდენობამ.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ განყოფილება, კინოსცენარის მიღება-არმიღების ჩვეულებრივი პროცედურა და მოულოდნელად, სრულიად უადგილოდ, სულიკო ჟღენტი მეკითხება: შენ ბელაკონიას იცნობ ხომ? ასე არ მითხარი?

რას ჩააცვიდა ამ ბელაკონიას?”

— აჩიკოს?

— დამაცადე, შესვენება ხომ? გავიდეთ გარეთ... — მითხრა და ცოტა გამაკვირვა კიდევ, რა გარეო გასაუღელი ამბავი — ნახა-მეთქი ეს ჩვენის ბელაკონია?!

ოთხად გაკეცილი კონვერტი ამოიღო ჯიბიდან, გაასწორა, გახსნა და წერილიც (უფრო ტელეგრამა, ვიდრე წერილი) ამოაყოლა ხელს;

— მომეცი. მე წავიკითხავ...

— დამაცადე, აჩიკოა თუ არჩილი?

— აჩიკო.

— მოიცა, აჩიკო... ბოლოში აქ არჩილია, არა, — ორივეა — აჩიკო არჩილი.

არჩილ (აჩიკო) ბელაკონიას წერილს წაგიკითხავ, წერილი კი არა, ტელეგრამაა დაშიფრული. პატ. პატ. ალბათ ბატონო, ისე ბატონი გამოდის, ტექსტი: „... რატომ ვარ გამოყვანილი კინოში პიერ მილიციელი ბანდიტად, სპეცოგანოების დავალებით ხომ არა?“ ესაა სულ! ჩემთან, სხვათა შორის, სწავლობდა ქალი გვარად ბელაკონია, თუ არ მეშლება, ბელორუსიიდან იყო თუ ციმბირიდან, აღარ მახსოვს... ეს აჩიკოც თეთრია?

— არა.

— შავი, ესე იგი...

— მწვანე... მომეცი მაგ წერილი და გაგირკვევ, რა უნდა.

— ჩემთან რა უნდა, ეს გამიგე, თუ მაინცდამაინც და ეს წერილი შენი იყოს, სახსოვრად ჩემგან!.. — ჩამიღო პიჯაკის ჯიბეში და იმ დღის შემდეგ ბელაკონიას ხსენება არ ყოფილა ჩვენ ორშუა.

ქუთაისი.

და ერთხელ მივიღივართ მე და ჩემი ძმაკაცი წერეთლის ქუჩის მარცხენა ასახვევში, მილიციის (ობეხა) შენობასთან, გასწრივ, სადაც სამილიციო ჯავშნოსანი — ჩორნაია ვორონა (ჩვეულებრივ ამბავი) დგას. ჩავიარეთ და მოგვესმა თუ მოგვეყურა; ჯონდოო, ვილაცამ დაიძახა უცნაურის (ხრინნი) ხმით. შენ გეძახიან, ვეუბნები ჯონდის და მეცინება რატომღაც:

— ჯონდი, ჯონდი — გამეორდა, ნაცნობმა ხმამ მომჭრა უკვე ყური. ბელაკონიაა აშკარად. გავცდით, მოვიხედეთ. დახურული, საპატიმრო, ავტომობილის ღია სარკმელში ორი, ერთში ერთი და მეორე — მეორეში, — კაცის თავი გამოჩნდა, მანქანაც დაიძრა. ბელაკონია აღიმართა მწვანედ და ცერაბზეკილი თითით, კარგად ვარო, გვანიშნა, წაყვა მოძრაობას და თანდათან გალურჯდა, მენამული ფერი დაედო შემდეგ; მზე ჩადიოდა განითლდასავით ბოლოს.

— მილიციაში ხომ არ დაუნყია მუშაობა? — მკითხა ჯონდიმ.

— არა მგონია, არ მიაქციე ყურადღება: თვითონ იდგა და მცველი მილიციელი, თუ ის მცველი ან გამცილებელი იყო, ფეხზე იყო დარჩენილი, უცნაური არაა?!

— არც ისეთი, ხვალ მილიციის დღეა და დეკაში (წითელ არმიელთა კლუბში) მიჰყავთ, დოლი რომ ედო მუხლებზე ვითომ ბადრაგს, ვერ დაინახე?

ვერა.

ჩემს თვალწინ რომ გამწვანდა, ის რაღა იყო? მომეჩვენა?..

აშკარად ჰგავდა, იმ მომენტში, შუასაუკუნოვან ტერაკოტის ჩინურ თუ ჩინელ მეომარს, ჯარისკაცს.

შეეხვედი რამდენიმე დღის შემდეგ შემთხვევით, ჩამავალი მზით აბრჭყვიანელებული ჯართი შავი ყვავი „ჩორნაია ვარონა“ გამახსენდა და ბელაკონიას ის დღე გაეახსენე.

ო, მაგათი დედა და მკვდარი და ცოცხალი?... გინება დაინყო.

... მილიციის დღე ყოფილა და საზეიმო — საკონცერტო სალამოზე — შენ უნდა დაუკრაო, ძონენიძემ შემასახელა თურმე... უარი. მტერს მიეცა მაგათთან საქმე. ჩამკეტეს, სააქტო დარბაზი ჰქონიათ მეორე რაიონის განყოფილებაში და ივარჯიშე, თუ არაოდა დღის სინათლეს არ გაჩვენებთო, წყალს და პურს არ შემოგიტანთო. ეს ყველაფერი მიქნა ჟღენტმა სულიკომ, პიერ მილიციის თანამშრომელი რომ გადაიღო, მაგან არ დადგა ოტეც სალდატა? ბელაკონია ბანდიტია და სანატორიუმში გავუშვითო, ესე იგი, ციხეში?! ის მწვანე თვალეები... უელავდა ფინთად, იმ დროს. მწვანე ბროლი ჰქონდა თითქოს თვალეებში ჩადგმული სათვალის მაგივრად.

ისევ სცენარისტი სულიკო ჟღენტი, ისევ პიერ მილიციის თანამშრომელი...

და წავედი. აჩიკო ბელაკონია ვის ახსოვდა ან ვის გაახსენდა, დედ-მამის სანახავად ძლივს ჩამოვდიოდი, ერთხელ თუ ორჯერ წელიწადში... გავიდა ის წელი, ის ზამთარი, ის გაზაფხულიც მიიწურა თითქმის... და ისევ იქ, ბაღის კიდებზე, თეთრ ხიდზე, დათეშიძის გორაზე, პარკში, საყდარში, ტაძრის ნანგრევებზე, სათაფლიაზე, სათაფლიაში, სამძაკაცოში იქაურში...

ბელაკონია ახსენა ერთხელ ერთ-ერთმა. ცოცხალი-მეთქი, ვისუმრე ვითომ (რა ხუმრობაა!), დოლიც ვახსენე. დოლმა მოგჭამა ქირიო, კიჭი მეუბნება, დაკიდა ლურსმანზე.

— აბა რას აკეთებს?

— შესტიანჩიკია, არ იცოდო?

არა-მეთქი, ვიუარე და მომეჩვენა, რომ სიტყვა შესტიანჩიკი ავტომანქანების სარემონტო სამუშაოებასთან, ხელობასთან იყო დაკავშირებული, ზეინკლობა დაინყო ესე იგი...

— ნაღდად!

— ქალაქშია?

მართალი გითხრა, არ ვიციო:

ქალაქში აღარა ჩანს... დოლს რომ არ უკრავს, — ნაღდა, მაგრამ რას აკეთებს არ ვიციო...

— ქურდობს, — თქვა ერთმა.

გაჩერდიო, დატუქსეს.

ქალაქი კი ქურდები და ჯიბგირები ისედაც არ აკლდა.

სახლებს უმისოდაც ტეხდნენ. მდიდარ ოჯახებს იშვიტათად, მაგრამ ისევ აყაჩაღებდნენ.

ყელყურის ექიმი, უპატოსნესი კაცი — მირაქოვი, ისევ გაუძარცვიათ.

მერე ჩვენ რას ვშვრებით, გულხელდაკრეფილი უნდა ვიჯდეთ?! მკაცრი იყო მილიციის მეორე რაიონის განყოფილების უფროსი საშა (ალექსანდრე), ორს ვნერთ და ერთს ვინახავთ — შავგულიძე.

ქალაქის გაერთიანებული მილიციების უფროსი დავით (დოდო) აბაშიძე: — ბელაკონია ხომ არ ურევია, მაგ საქმეში, რა ქვია, არჩილ, აჩიკო ბელაკონია.

რიგითი მილიციელი იპოლიტე:

ბელაკონია ჟესტიანჩიკია, ზეინკალი!

დავით (დოდო) აბაშიძე — დროებით?!

იპოლიტე (რიგითი) — დროებითა ვართ ჩვენ ყველანი ამქვეყნაზე მოვლენილი. დროებით...

დავით (დოდო) აბაშიძე (თავისთვის) — ბრძენია, ეს შობელძალი!

გამოვიდა, როგორც იქნა, კინოფილმი ზემოთნახსენები სათაურით იმ ქალაქშიც, სადაც გადაიღეს.

— ბელაკონია ახლაა საშიში, ზეინკალია, ჩაქუჩი უჭირავს ხელში! — გამაფრთხილეს.

მიდიოდა ქუჩა-ქუჩა ზეინკალი უჩაქუჩოდ...

შოთა ჩანტლაძის ლექსის სტრიქონები მახსენდება. ვისი მომკვლელია, ნეტავ მაცოდინა, თანაც უჩაქუჩოდ. სალამოხანია. მზე გადასულია, დანეულია, მაგრამ ისევ ცხელა. უნივერსიტეტის ეზოს გალავანთან მივდივარ ჩრდილ-ჩრდილ, მაინც ცხელა. სახლებიც გახურებულია, მარჯვნივ კორტია წითელი და სახლი, — ყოფილი კანცელარია, სადაც ვსწავლობდი. იქვე, მარჯვნივ გუბერნატორისა და პრინცი ოლდენბურგის ყოფილი სასახლეა...

გაოფლილი ჩეკისტი, ქართულად — მეჩეკე უწყების ქუდით ინიავებს გაოფლილ თავპირს ორკარშუა... ცხელა და ერთი სული მაქვს როდის შევრგავ თავს, ჩემო ბატონო, საკუთარ მარანში, არსაიდან მზე რომ არ ადგება და ნიავედება კიდევ ჩრდილო, ჩრდილიდან, უკაცრავად. ახლა უკვე აუნყობელ გზაჯვარედინთან ვდგევარ, თუ პირდაპირ წავალ, რატომ, წარმოდგენა არ მაქვს, — ბელაკონია შემხვდება. რა მოხდა მერე, არც არაფერი, მაგრამ ლაპარაკის, მითუმეტეს საყვედურებისა და თავის მართლების (რა მჭირს, თვარა კი!) თავი არა მაქვს. აქვე ავუხვევ ჩიხით, მართალია, გზას დავიგრძელებ, მაგრამ ჩრდილ-

ჩრდილ ვივლი და ბელაკონიასაც ავცდები. ავუარე გუბერნატორის უზარმაზარ, ყოფილ, თავლა-საჯინბოს, იმჟამად საარჩევნო კომისიის შტაბს... და თათბირია ქალაქის მილიციის მეორე განყოფილების დარბაზში.

მილიციის უფროსი (დოდო აბაშიძე) — ვის ადებთ ხელს, ეჭვმიტანილ არჩილ, აჩიკო ბელაკონიას ისევ?

იპოლიტე (რიგითი მილიციელი) — ბელაკონია სახურავზეა...

მილიციის უფროსი — რა ვადით?!

დროებით ალბათ...

მივდივარ და ბოლო სცენას ვალაგებ, უნდა ავუხვიო, თორემ ბელაკონია შემხვდება. ავუხვიე, ჩიხში ავედი, ავცდი მთავარ გზატკეცილს, კაციშვილი არ ჭაჭანებს ამ მხარეს.

და... ზევიდან ჩამოდის აჩიკო ბელაკონია, ქვემოდან ავდივარ მე, სხვა არავინ, ისეთი სიცხეა და თანაც უქმე დღე, რომ სახლიდან თავის გამოყოფას არ აპირებს არავინ. ერთ მოსახლეს წყალი უშოვნია და ღმერთმა არ იცის, როდინდელი



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

გამოშვების, დაფეხვილ „მოსკვირს“ რეცხავს სასმელი წყლით.

...რა გვიქნა ეს სულიკო ჟღენტმა! — მეუბნება იგი! — ააბა! — ვპასუხობ მე.

მეორე თუ მესამე დღეს, ზუსტად აღარც მახსოვს, ქორქამვილის სახლის სახურავზე დავინახე. ზედ საწვიმარ ღართან იყო მიკუნცხული მწვანე ყვავივით და ქარისგან აგლეჯილ თუნუქის ჟანგიან ლისტს ასწორებდა შიშველი ხელებით. ჩამოვარდება, ერთი დღე იქნება!

აზიური დოლი სხვა რამეაო, — მითხრა ერთხელ, — ჩვენებურ დოლი, ტყავი და მოჭიმვაა მთავარი, სხვა არიო და სხვაში არ აერიოს ზოგიერთსო. დოლი დოლიაო, ამისნა ერთმა სუფრაზე. აგერ ახლა, მეწყინა.

შეგვხდეთ ერთხელ ერთმანეთსო, ძველებურადო, მითხრა იმ წელს აჩიკომ, ჩავჯდეთ, დავლიოთ, გავიხსენოთ, ვილაპარაკოთ! აუცილებლად! — მე ვუთხარი! იმ დღის შემდეგ აღარ მინახავს.

მილიციის უფროსი (დოდო აბაშიძე) თათბირზე:

— აჩიკო ბელაკონია ხომ არაა ამ შავბნელ საქმეში.

— არა — არა.

რიგითი იპოლიტე — აჩიკო ბელაკონია ჩამოვარდა? ახლა ტორიუმშია.

აბაშიძე (მკაცრად) — რა ვადით?!

უვადოდ.

სამუდამოდ?!

ქალბატონი ელენე

შესავლით უნდა დაიწყოთოო, — მასწავლეს...

შესავალს გამოსავალიც უნდა მოუძებნო თორემ შესავალს რა ფასი აქვს. გამოსავალი კი დასასრულშია. მადა ჭამაშია, წერა ფიქრში, უიმედობაში და სიხარულში და... შრომაში, ბევრი უნდა იშრომო, ცოტა რომ გამონურო, ცოტა და ნამდვილი, რეალური.

ვირი მოკვდა შრომით, ჭაბანწყვეტით და არა ჭამით, ჭამა არ კლავს ვირს, მით უფრო — ადამიანს...

ვირიონ მამისთვალავის შთავგონებიდან

მოლამ ჩაითქვა (რა იყო ეს მოლაცქე?) ჩემი ვირი ჭამას უნდა გადაეფარებო. არ აჭამა და გადაეჩვია ვირი ჭამას. აი, ეს მესმისო, გაეხარა მოლას; დაიქადა და აიხდინა დანაქადები. მაღლობის ნიშნად გაუტანა ვირს გადარჩეული შვრია და გახორხოშებული ხორბალი. ჭამეო, უთხრა. არ ჭამა, ეხვეწა (ვირთან ხვეწა არ გადის, — ხომ ვიცით) ჭამეო და ამ ხვეწანაში ვირი ნაიქცა, აპლაკა ოთხივე ფეხი და განუტევა უცოდველი სული.

შე ოხეროო, დაატირა მოლამ, ჭამას რომ გადაგაჩვიე, მერეთ მოკვდიო?

ბესო, ბესარიონ ოყრემიძე ჩვენი კარის მეზობელი იყო... თავის დროზე მორჩილი (პატარა) სახლის მშენებლობა ნამოინყო და ააშენა კიდეც!

ამის შემდეგ იმის მსგავსი და დარი (აქვე ვნახავთ), ალარაფერი გაუკეთებია! შვილიშვილებისათვის (ერთი სკოლაში დაუდიოდა, მეორე საბავშვო ბაღში, მესამე დედის მუცელში იყო იმჯერხობით გაჩერებული, სურდა დაეტოვებინა, წერილობით, ანდერძით, რასაკვირველია. ცოლი (ელენე ერქვა) და ქმარი რამდენიმე პუნქტში და პარაგრაფში, რომლებიც მემკვიდრეობის კაზუსს (სწორად ვწერ?) ეხებოდა, ვერ შეთანხმდნენ და დაშორდნენ კიდეც ერთმანეთს არა მხოლოდ პუნქტებისა და პარაგრაფების გამო და ელენესა და ბესარიონის ალიანსი, უნია (რაცა გსურთ ის დავარქვათ) დაიშალა. სახლი ორ ნაწილად უნდა გაყოფილიყო მემკვიდრის (მამაკაცის) პატარა უპირატესობით და გაყვეს კიდეც არა ოდენ მცირეოდენი სხვაობით... მოვლენები ცხოვრებისეული კი შემდეგნაირად განვითარდა: ბესარიონს, კომუნისტური პარტიის წევრს, ვერაფერ დიდებით ნიგნაკი ვერ გააგდებინეს ხელიდან და სამსახურიდან დაითხოვეს, და იმისი ელენე კი პირიქით, დაანინაურეს და მწვანე ბაზრის ზამთარ დახურულ, ზაფხულ ღია ფარდულის, ქალის ქვედა საცვლების სექციის გამგედ წამოაყენეს...

მუშტრებთან იოლად ამყარებდა კონტაქტს, თუმცა ლაილაი არ უყვარდა, ესეც იქნა გათვალისწინებული, და დაამტკიცეს.

ჩვენ კი ამ დროს (ბესარიონთან ვართ ალავერდს) რას ვშვრებოდით? ეზოში ვჩირთიფირთობდით. ხეხილს ვუვლიდით, ნარგავებს ვახარებდით. პურის ფულიც არ გვექონდა ხშირად, მაგრამ ახალ ხელისუფლებასთან, ჩოხას ისინიც არ გვახვედნენ, არ ვთანამშრომლობდით:

...ჩვენ დროს ქრთამი არ იყო, გენაცვალე, ქრთამი ჩვენ რა იყო, არ ვიცოდით, პატიოსნად, უმნიკვლოდ ვემსახურებოდით ჩვენს ქვეყანას, თუნდაც კომუნისტურ პარტიას... ისე — სხვა პარტია მაშინ არც იყო, სხვათაშორის...

ერთი უცნაური ჩვევა დასჩემდა ბატონ ბესარიონს. მე ვხედავდი და სხვამაც, როგორც გამოირკვა, შეამჩნია ეს ამბავი: ჩემი სახლის აივანი თავზე ადგა ორ სახლად გაყოფილ, ორ უმოაჯირო, ქვისკიბიან ორ საცხოვრებელ სახლსა და კოინდრიან ეზოს და ვხედავდი... რას? გეტყვით: იმ შემოდევს ბესარიონმა ხმელი, მიღნიშებული ფოთლების კრეფა დაიწყო, შესანვდომში — ხელით, შეუნვდომელში კაკვით და ჭოკით, იჯაფა...

...რეიზა წვალობ, ბესარიონ ბიძია, მაი ფოთლები მისით ჩამოიყრებიან, ერთი არ დარჩება ტოტზე ყუნწით, მივხვეტოთ მერე ყორისთან და დავენათ, რავარაც ვშობოდი, ისე ვწნათ...

...მე ახლა რავარც ვშობი, ისე ვიზამ და ნუ მიშლი ახლა ხელს!

— იმ მსხალს რას უზამ, მაინტერესებს, ჭოკით ვერ შეწვდები და ზევით ვერ გახვალ...

— ,, ,, ... — ხელაქნევით გავიდა სამანეთო წრენრიდან.

ჩემგან პირველ ბინაში, ქვედა სართულის შუშაბანდში ბაზრის ფარდულის ქვედა საცვლების სექციის გამგეს, ზემოთხსენებულ ელისოს, იგივე ელისაბედს, მუშტრები, როგორც აღვნიშნეთ, სახლშიც აკითხავდნენ უკვე უცხოური საცვლის — პერანგ-ბიკინის გამო. კარ-ფანჯრებ მოლიავებულ შუშაბანდშივე ჩაიხდიდნენ და იზომებდნენ, იცვლიდნენ... უნაცვლებდნენ ძველს ახლებს. გაზეთ „კომუნისტში“ ან „ზარია ვოსტოკში“, სხვა გაზეთი არ იბეჭდებოდა, ახვედნენ შემდეგ ნახმარს, იცმევდნენ უხმარს, — ახალს, ცხადია.

— მიჭერს, ხომ იცი, — ეუბნებოდა ერთი ქალბატონი მეორეს ეზოშივე.

— არა უშავს, გაინელება, შენც ნუ ექაჩები ქვედაბოლოდან, გვხედავენ, უხერხულია...

— მაგენს არ ვუყურებ მე...

— მერე, უნდა დაიკლო წონაში, ამხელა ტრაკი რა უბედურებაა.

— ამაზე დიდი არ გინახავს?

— გიხდება — გგონია?

— არაფერიც არ მგონია, მიშიკოს ჩემსას მაინც ეს ურჩევნია, ახლა ხარ ფორმაშიო, დანოლის წინ მზომავს.

— დიდი ურჩევნია?

— ბიკინი?

ბიკინი კი არა, — ის.

— დიდი მოხვდა თუ მაინცდამაინც ზოგიერთს!..

— ბესარიონ ბაბუა, კარგად იყავით!..

— კარგად, გენაცვალე!

— წავედით!

ამ ლაპარაკით გამოდიოდნენ, მიდიოდნენ და მიდიოდა დრო დროის დროით და უდროობით... შემოდგომაც ქარვისფერი ხდებოდა. მზე ძალიან წითლდებოდა და ადრე ჩადიოდა წითლადვე. ელისაბედს ქვეშაგები გამოჰქონდა ზალიდან, ბერტყავდა ლეიბებს, ლეიბისპირებს, უსარჩულო საბნებს, ბალიშებს, გადასაფარებლებს და აივნის ტახტზე აგროვებდა ბოლოს. საქმე შინ და გარეთ არ ეწურებოდა.

ბესო, ბესარიონ ოყრემიძის სეზონიც იხსნებოდა იგი ყვითელ ფოთლებს აცილებდა ნარგავებს, ზევით — ჭოკით, ქვევით — კაკვით და ხელებით. ფოთლების ალები დრო იყო და ამ დროს უქმად არ კარგავდა, ჭიშკარგადაღმაც აღარ გადადიოდა.

— რას ერჩი ამ ფოთლებს, ბესარიონ ბიძია, მაგენი ისედაც ჩამოსცვივინ! — უთხრა ზაურიმ.

— სად ვდიო მერე ფოთლებს მინდორში?!

— არ უნდა ზდევა, მივხვეტოთ ყორესთან და დავწვათ.

— მე ასე მირჩევნია, მოსავალივით ავიღებ, შენ ნუ ერევი ჩემ საქმეში!

— ჩამოიყრებიან უჩვენოდ, ნამლად არ დარჩება ხეზე არც ერთი.

— ზაური! — დაუძახა ელისაბედმა, — მოდი ბოშო ერწამს...

— მოვდივარ! — თავს უშველა და სიბრაზისაგან ნიკაპმოლრეცილი ბესარიონის საყვედურს და ყვირთვით ფოთლების შეგროვების აუცილებლობის ახსნა-განმარტებასაც აცილდა.

— რა იყო, ელისაბედ დეიდა?!

— აცალე იმ კაცს, იბუჯეროს ეზოში, საქმე არაფერი აქვს და რა ქნას!

— გავიდეს გარეთ, ვეტერანთა საბჭოდან დაუძახეს ამ წინ...

— მორჩება მოსავლის აღებას, აცალე და გავა მერე...

— მე კი ვაცლი, ელისაბედ, დეიდა, დრომ თუ დააცალა, პატარა ხომ აღარაა...

— პატარა რომ არაა იმიტომ შობა, პერსონალურ პენსიას ელოდება ამ დღეებში, ნიფხვები არავის უნდა? ახალი პარტია მივიღეთ მწვანე, მწვანე კი არა ზურმუხტისფერი, გაჩვენო?

— არ მინდა, რა ჯანდაბის ორლობედ მინდა!

გამოსვლა შემდეგი.

ტარიელ ნესტორიჩი, ჭუმბურიძე, დამკვრელები დოლი, აკორდეონი, კლარნეტი.

რკინის ჟანგმორეულ ჭიშკარს ალებენ და შემოდიან ჯერ ფრთხილად.

— მოვიდნენ მშვიდობის მაძიებლები!

— გილოცავთ, ბესარიონ, გილოცავთ!

რას მილოცავენ?! — გაოცებულია ბესარიონი

— გილოცავთ! ბესარიონის ხმა არ ჩამოვიდა ამ წუთას? მომეყურა?

ჩემი დაბადების საათია? აღარ მახსოვდა! — თვე და წელი არ ემთხვევა, დრო — კი!..

აცემინებს — ჯანი, ღონე, ხეირი! — ცხვირს იწმენდს ჭრელი ცხვირსახოცი... — ისევ აცემინებს, — ცხვირო, რა ამბავია, ჯანი, ღონე, ხეირი!

— სად ხარ, ბესარიონ, შენ აცხიკვებდი? ზურგზე მინდა ხელი დაგარტყა! — ტარიელი ვარ ჭუმბურიძე

— დიდი ვინმეც ხარ! — აცემინებს.

— ხეზე უნდა იყოს, ნესტორიჩ, ზემოდან ისმოდა ცემინება, დაიცადეთ...

— მაღალი სუნთქვაა, ხორხისმიერი!

— რა თქვი შენ?! — იკითხა ნესტორიჩმა.

— ხორხისმიერი — თქვა...

სულ არ მახსოვდა, ჩემი დაბადების საათი რომ იყო, ცამეტი მეთათე... ცამეტი. მერე რას მილოცავენ, მოსალოცად მაქვს სწორედ საქმე, პურის ფული აღარ დამრჩა.

— აბა დოლი, წავედით, ტუში! საკმარისია! — ხელს აწვეს, მუსიკას აჩუმებს ზურგსუკან ცოტა ხნის წინსვლის შემდეგ:

— ხეზე ხარ, ბესარიონ?

ახველებს თანხმობის ნიშნად.

— რა გინდოდა ხეზე?

— არ ვიცი, როგორ ავედი არ მახსოვს, როგორ ჩამოვიდე... ვფიქრობ.

— თავდაღმა წამოდი, თავის ქვევით, თავდაღმა!

— თავდაღმა იარა შენმა გვარმა და ჯილაგმა. გულისრევის შეგრძნება მაქვს, ჭუმბურიძე!

— რა მაქვსო?

— შეგრძნებაო, ნესტორიჩ!

— იქნებ ზაურის დაუძახოთ...

— ვინაა ზაური?

— მეზობელი. ალბიური კლუბის მთავარი არქიტექტორი.

— ზაური გამოსულია ალბიური კლუბიდან! — იძახის ელენე, — მანამდე იჯდეს მაგი ხეზე!

— ვინაა ზაური? — კითხულობს ისევ ის.

— გულის რევის შეგრძნება მაქვსო.

— მაშინ ერთი ტუშიც, ჯერ არა (ჭუმბურიძეს) აქვე ნა-ვუკითხავ, რა მოხდა, აბა რაზე მოვედით?!

— ამაზე, ისე არც არაფერი.

სიგელი ამოაქვს საქალაქედან.

შესაველსა და წინაპირობას აფუჩჩებს.

— ...დიახ, ამისა და იმის, იმ წლის, დიახ. აქ ასეა საკრებულომ, საკრებულოს გადანყვეტილების საფუძველზე, ბესარიონ თეოფილეს ასულ, უნდა ენეროს თეოფილეს ძეს, მიენიჭოს (ხმამალლით): საქართველოს დამსახურებული პენსიონერის წოდება... სიგელს გადავცემთ საზეიმო ვითარებაში.

— ახლა? — კითხულობს ხიდან.

— ტუში!

ჯიპ-კრაუზერი ჩერდება ჭიშკართან. ზაური შემოდის ალპინისტური აღჭურვილობით ტუშის თანხლებით.

— შევეშველოთ ერთმანეთს!..

— პირდაპირ საქმეზეო, სწორია!

ჩამოჰყავთ შეშველებით, დოლ-აკორდეონის ტუშის თანხლებით ძელსკამზე აწვენენ...

— რა განუხებს, ბესარიონ?

— ჭოკი დამრჩა ხეზე.

— შენი ჭირის სანაცვლო ყოფილიყოს, ვერ ჩაიდევი ჯიბეში, არაუშავს, ჭოკების მეტს რას გიშოვით, სხვა არაფერი გვთხოვო!

— ჰაერი არ მყოფნის...

— ჰაერის მეტი რაა ზევით და ამქვევით...

— გამოსულია სასწრაფო! — ელენე იძახის.

— არ გაგვიჭირვა ნიფხანოვნამ საქმე? — ამბობს ჭუმბურიძე.

— არ გაგიგონოს თვარა ბესარიონი ნიფხანოვნას მოგცემს... იცი, რამდენი ჰყავს დაბრედილი ხონის შრომა-გასწორების კოლონიაში! ასე ნუ უყურებ მაგას, რამდენი დროშის ტარი აქვს გადამტვრეული პატიმრის თავზე, იცი?!

— არა.

— არა, ხომ? დაყენდი მაშინ!

— ჭოკი მაინც ჩამოგეგდო, ბესარიონ, ზაურის მოსვლამდე, მანამდე ყურადღებით იყავი და მოგვისმინე.

ტყავის საქალაქედს ხსნის, შიგთავს სიგელს ასწორებს და კითხულობს: (წინაპირობას აფუჩჩებს ისევ)

...ამის, იმის, იმიტომ, ამიტომ..., შუა ქუჩის საკრებულოს გადაწყვეტილებით ბესარიონ თეოფილეს ძე ოყრეშიძეს დაენიშნოს პერსონალური პენსია...

— ახლა?

— ... პირველი კატეგორიით 357 ლარის რაოდენობით, გადაწყვეტილება ძალაში შევა მომავალი წლის დეკემბრის თვეში...

— ან?

— ...მომავალი წლის ბოლოს, გილოცავთ, ტუში!

ბესარიონ, ზაური მოვიდა და გადმოაგდე ახლა მაგ ჭოკი, ან ჯიბეში ჩაიდევ, შარვლის უბეში...

— შარვლის უბეში ჭოკი კი არა, ის არ მეტეოდა, რაც უნდა დატეულიყო.

— დაგენიშნა ბესარიონ, გილოცავთ!

— ახლა?!

— აბა, ზაური, შენზეა ახლა ყველაფერი...

— ფეხებში უნდა დამიდგეთ, მე ცდას არ დავაკლებ! პირველი კატეგორიის სამთო-საკლდეო აღჭურვილობით ადის, მიცოცავს მსხალზე.

— როგორა ხარ, ბესარიონ?

— გლახად...

— სასწრაფო გამოძახებულია! — იუნყება ელისაბედი საკუთარი სახლის აივნებიდან და ცივ წყალში გავლებულ მწვანე ნიფხვების სიმშრალეს ამონმებს.

— მოვიდა სასწრაფო!

— უკვე? — კითხულობს ბესარიონი.

მწვანე ნიფხვების გირლიანდი იჭიმება ორსვეტშუა, გადის და გამოდის ორტოტიანი მწვანე სასიგნალო ნიშნები. გაბზრიალებული რეანომობილი დგას; გაქათქათებული, თეთრი ხალათი აცვია, პირსახემრგვალ, ტანსრულ ექიმს.

— ისუნთქეთ ღრმად, უფრო ღრმად, ღია ნახე, ღრმად სუნთქავს?

— საერთოდ არ სუნთქავს. ბატონო ნუგზარ! — ეუბნება შეწუხებული ექთანი — ლია.

— სწრაფად რეანიმობილში, ლია, შენც მოდიხარ, თუმცა აქ რალა გინდა, ავადმყოფის თავსასთუმალთან, სწრაფად.

— მეც მოვდივარ, არ წახვიდეო? — ყვირის ელისაბედი, სქელი შეკვრა მოაქვს, ეს ბიკინებია! სადმე დადევით, თავით მე უნდა დავუჯდე. ჩემი ყოფილი მეუღლეა, ეს ბიი... ქვედა საცვლებია ქალის, მწვანე ბაზართან უნდა გავიაროთ, იქ შევანელებთ სვლას მხოლოდ, არ გაეჩერდებით...

— ხტები?!

— რას გეტყვი იცი, — რეამიბოლის მძღოლს ელაპარაკება ჭუმბურიძე, — დამკვრელები უნდა ჩამისვა როგორმე...

— თავზე თუ დამაჯდებიან და ბეჭებზე, თორემ სხვა ადგილი არა მაქვს...

— ბაგაჟნიკში მოთავსდებიან.

— რანაირად, კაცო, ეს ვინ ყოფილა!

აბა სწრაფად, ისმის რეანომობილის მთავარი ექიმის ბანი. სწრაფად.

ნივილ-კვილით მიჰქრის უცნაური რეანიმობილი რუსთაველის პროსპექტის გამყოფ ხაზზე. ღია საბარგულში ჩანან ფეხებგადმოყრილი დამკვრელები, აკორდიონი, კლარნეტი, დოლი.

და იქ ახლა შემოდგომაა. იქა ვარ, ყვითელი ფოთლებით მოოქროვილ ეზოს ჩაყვურებ და დედო ხის აშხვართულ ტოტებში ბეჭზე ჭოკგადებულ, გაშეშებულ კაცს ვხედავ. იმ ეზოში კი არც არავინ შედის არც არავინ გამოდის. დიდი, ალაგ ჩააჟანგული რკინის მწვანე ჭიშკარი, რომელსაც შავით აწერია — **იყიდება სახლი**, არც ილება, არც იხურება. იყიდება თუ გაყიდული არაა უკვე... მწვანე ნიფხავი კიდია თავდაღმა აივნის სინაზე. ეს არ ნიშნავს, რომ შესვლა თავისუფალია. მიდის დრო დროის კანონებით, დღეებით, ხეებით, კოინდრით, ნიფხვით. ვიხედები უკან, არ ვითვლი და ვიცი, განვლილი ბევრია, გასავლელი ბევრად ნაკლები, დიდი ფოთოლცვენაც მოახლოებულია...

აპლი

(ჩრდილები გადიან ნაშუადღევს)

...ჩამოველ გუშინ ამ დროს, ახლა აქა ვარ — ჩემ ცარიელ სახლში მარტოდმარტო და ძალიან ცხელა! სიცხე იწევს და არ ქვეითდება. ასეთი რამეო რაიონისპირეთში მე პირადად, განაცხადა, კერძო დიალოგში, იაკოფა ფიჩხაძემ, არ მახსოვსო. იაკოფას თუ არ ახსოვს, სხვას ემახსოვრება, დიდი ამბავი! წუხელ აივანზე გავიშალე ლოგინი და მგონი ნაშუალამევეს, აღარც ვიცი-რა, ჩემეძინასავით. ცხელი ნიავე გადამდიოდა თავ-ტანზე; ვარსკვლავებით მოჭიქჭიქებულ ცარგვალს აეჩერებოდი, როცა იასამნისფერი ღრუბელი დავინახე; (მოდიოდა თუ ადიოდა, ღრუბელი ვერ ვარკვევდი) გვეშველება-მეთქი, ვკითხე და ვიფიქრე და განვიმდა, ბუშტები ააყარა ხმელ მიწას. ნარვალის წყალი მოასკდა მანამდე სახლის კედელს დასავლეთიდან. მრგვალ-მრგვალი ქვებიც დაცხო წყალმა ბათქა-ბუთქით აგურებს. უძილარს მაინც ადრე გამეღვიძა. ავლი ადიოდა სველ მიწას... პირველად მაინც წყალს დავხედე სახლიყურეში. მაღლა იყო ამოტალღული, სწრაფად, მაგრამ მშვიდობიანად მოხშუოდა და მე საჯარო ბიბლიოთეკისაკენ გავუთიე (წერილობითი მასალები მქონდა ამოსაკრეფი საისტორიო საქმისათვის). ბაზრის, ჯაჭვის ხიდისა და სახანძრო დაცვის შენობის სამკუთხედში შევაკვებე ავტომანქანა მეტაჟის დახმარებით და საყვავილედან გამოსული სახეგაბრწყინებული ქალბატონი შემომეგება.

— დამაცადე, უნდა გაკოცო!

— კი, ბატონო, მეც გაკოცებ!

რას უშვება დრო ქალს, ვფიქრობდი, როცა ვკოცნიდი.

— სხვა? — კოცნას რომ მოვრჩით.

— კარგი არაფერი...

— საჯაროში შევდივარ, რალაც ისტორიული ცნობები მაქვს ამოსაკრეფი.

— საჯარო დაკეტილია, გოგი, გიორგი, აღარ ვიცი, როგორ მოგმართო.

— ორშაბათია?

— რა დღეა, — არ იცი? ღმერთო კი მომკალი! — არც გაცინებია.

— როგორ არ ვიცი, ელიკო, შენ როგორა ხარ?

— მე რომ ვარ, მტერი გეყოლა, ხომ იცი, რაც მჭირს...

— როგორ არა, კაცო, როგორ არა, მონაწილე ვარ...

— მადლობთ... — გამანყვეტინა.

კიდევ კარგი, თავარა რაღაც სისულელეს წარმოვრო-შავდი უზმოზე, რისი „მონანილე“ ვიყავი, რა უნდა მეთქვა, არადა, მგონი, ქმარი ეზარალა!

— წმინდა მარიამის ხსენების დღეა, ბაცი ტანსაცმელი ჩაიცვი, ღია ფერის, იმედია, იქ შევხვდებით!

— სად იქ? — მინდოდა მეკითხა, ველარ მოვასწარი. შებრუნდა, მომწვანო კაბა ეცვა და იასამნისფრად მომეჩვენა. „არადა სულ გამომათაყვანა ამ ქალმა!“ ვერ ვგებულობ უკვე, რას მთარაგებს, რას მელაპარაკება და ოფლმოდენილმა შევაყენე ეზოში მანქანა, — წყლის გადავლება მოვასწარი და ორი ოფიციალური პირი მოვიდა ადგილობრივი მმართველობის სამსახურიდან, — სკომი. ერთს მაკაგონის ყდიანი საქალღლე ეჭორა. წყლის „საკითხზე“ იყვნენ.

— ...იმ სამშაბათს, თქვენ ჩამოსული არ იყავით, ჭიშკარი ჩაბოქლომებული იყო და წყალმა კინალამ წაილო ურიცკი, ძერჟინსკი და კიროვის ქუჩები, თქვენმა წყალმა...

— ჩემია, ბატონო ჩემო, ეს წყალი?! წყალი ყველვისია, ჩვენი ყველასია, ქუჩა კიროვისა, სერგი მირონიჩისა, მირონის-ძისა და სხვისა.

— ...მოკლედ, ეგრეა, მირონი რა შუაშია?

— ქუჩაზეა ლაპარაკი...

— და მაინც, წყალი მოდის თქვენი ეზოდან...

— ჩემ ეზოში საიდან მორაკრაკებს, თუ იცით?

— მაგის გასარკვევად ვართ მოსული, სკომის წარმომადგენელიც (ყოფილი აღმასკომი) აქ გახლავთ... ჩვენ ახლა უნდა დავადგინოთ და წარვადგინოთ სკომში, თუ საიდან მოდის, რას ეძახით ამ წყალს?..

— არაფერს არ ვეძახით, მე პირადად მაინტერესებს სათავე, თვეზი თავიდან ამყროლდებო, ნათქვამია, მაგრამ წყალია მაინც სათავეშივე, სადაა სათავე?.. რაც დავიბადე, რაც ფეხი ავიდგი და ყურთასმენა გავიმახვილე, მესმის: საიდან მოდის ეს წყალი?.. ნილოსის სათავეს მიაკვლიეს და ეს რა გახდა?!

— ნილოსი და ნილოსისნაირები არ შედიან სკომის ინტერესების სფეროში...

— ვიცოდით? — აბა არა?!

— ჩვენია ურიცკი, ძერჟინსკი, კიროვი, მაგილიოვსკი და არა — ნილოსი...

— რა ნილოსი, კაცო, რისი ნილოსი, ერთი ნარვალა ჩვეულებრივი. ნა-რუ-ალი... — რუ — გამოვყავი, თითქოს ამ ეზოში წინწყარო მონიკნიკებდა!..

— თუ შეიძლება, მოკლედ აგვიხსენით, საიდან მოდის, სად მიდის ვიცი, ეს წყალი?

— ...მოდის, როგორ გითხრათ, ზემოდან და ჩადის ქვემოთ, უერთდება-რა (რუ მერჩია) ქალაქის ჰიდრო — კანალ-ზაციას...

— გასაგებია...

...არადა, ვისაც არ ენახა ეს რუ ანიაღვრებული, ვერაფრით წარმოიდგენდა მის დამანგრეველ ჰიდროდინამიკას... მაღალი წვიმისას თქემებსა და ლოლფში ანგრევედა კიდევ აქაურობას. მოჰქონდა შავ წყალს ფიჩხი და ნაგავი, რახარუხით მოაგორებდა დეფორმირებულ, სიმრგვალ-სიბრტყელე დაკარგულ ქვებს...

და ჩაიარა იმ წყალმა, აუბოჭველმა ქვებმა, დაუბრუნებელმა წლებმა..., ...წყალი კვლავ დის და რადგან ყველა და

ყოველივე, დიდი ჰერაკლიტეს წინსწრებით, — მიდის და აღარ ბრუნდება... ითქვა და დატოვა ჰერაკლიტემ და დარჩა... როგორი შეცვლილი იყო ელიკო, ჩემი პირველი შეყვარებული პირველ კლაში. თავად რომ არ გამომლაპარაკებოდა, ვერ ვიცნობდი, რაღაც უჭირს...

აქაც, ვაშლის ხის და წყავის ქვეშ, ისე ცხელა, რომ სუნთქვაც ჭირს. მარტო ვარ. სახლიც ცარიელია, — ზევით, ქვევით... ვის არ უცხოვრია ჩვენამდე, ვინ არ გვსტუმრებია ჩვენსობას... ნასულან ნუთისოფლის მდგმურები. სახლს დედა აღარ ჰყავს. დედა.

...რაღა დროს შენი დედაა, უძღებო შეილო. ნავიდა. აღარაა...

კატები ხომ მოვიდნენ, — სამი კატა. ჯერ ორი. შემდეგ მესამეც გამოჩნდა. მე აქ დავიბადე. ჩემი ძმაც, ჩემი დაც.

— მერე?

საავადმყოფო — სამშობიაროც აქვე იყო ყურისძირში. დედა?

— დედაც იქაა, წამოდი, ჩემი ბავშვებისათვის ვერ მივლია და ახლა ეს მაკლდა, მომყვები, ბიჭო? — მეკითხება და უკან არ იხედება მამიკო.

და ახლაც მარტო ვარ საკუბოვე ფიჭვის ფიცრის ჭილოფგადაფარებულ ტახტზე... და: საავადმყოფოც აქვეა. დედა საავადმყოფოშია, მამა — სამსახურში, დღის ბოლომდე ვერ გამოდის სამსახურიდან, არ უშვებენ. რად უნდა ასეთი სამსახური? დედა საავადმყოფოშია, საავადმყოფო აქვეა. მე ნავალ საავადმყოფოში...

კიბე მაღალია. წამიყვანეს ორჯერ და ვიცი რაცაა... ჯერ პირდაპირ, შემდეგ მარცხნივ... შემდეგ დიდი კარია...

— სად მიდის ეს ბალანა, ვისია, სად მიდის?! — დარაჯი უნდა იყოს, ყარაული...

— სად მიდისხარ?!

ნიკაპს ვწევ. ესე იგი, — ზევით.

— არ შეიძლება, ბიძია...

— შალიკო, დედა ყავს მშობიარე!.. — ეძახის ვილაც, ქალის ხმაა...

— მითუმეტეს!.. - ამბობს შალიკო. ეს მითუმეტეს ცუდია, ვხვდები.

— ნადი, ბიძია სახლში, დედა იქ მოვა და დახვდი!

ჩვენი სახლიც ხომ აქვეა, წითელი კრამიტებიც ჩანს ფოთლებსიქით, — მიწაზე წყავია, ქვეშ ტახტი, იქ მე ვწევარ, ფიჭვის, საკუბოვე ფიცრები აქვს ტახტს...

აქ სხვა კიბეც ყოფილა, რკინისა, — სწორი და ვინრო...

თავი ვერ წავდევდი, ძილზე აღარცაა ლაპარაკი. მზე უკვე კიმკიმელაზეა! თავი შეიკავეთ, ღია ცის ქვეშ არ გამოხვიდეთო. ტელევიზორით გაუცხადებიათ. თავს წავდებ მაინც ამ მუთაქის ნაგლეჯზე...

ეს კიბე რკინისაა, ხის საბავშვო ბაღშიცა გვაქვს, ავდივართ, ჩამოვდივართ იმ კიბეზე. ეს სხვაა... პირველი საფეხურია აქ ძნელი, სახელურებსაც ვწვდები. ავედი, მერე? სადაა აქ სამშობიარო? ეს სახურავია ჟანგიანი. მაღლა ცაა. ჩვენი კრამიტებს დიდი ხეები აეფარა. ფეჩი მზეში ჩემ წინ, მოლაპლაპე ჟანგი. რამ, ანუ ვინ ჩამომპორწიალა, ვერ ვიხსენებ... დღეს მარიამობა ყოფილა, სხვა სახელითაც, გამოვშტერდით, ვიხსენებდით:

...მამიკო მიმაქანებს ცალი ყურით. მშველელი არ ჩანს. ამ ქალს კი ქაჯიც ვერ დაეწევა.

— დაიკო გეყოლა, უკაცრავად, — შეგეძინა. დაიკო ხომ გინდოდა?... თუ ძამიკო? მოისვენე ანი!

ძამიკო. დაიკო?

— თქვი!

— მე დედა მინდა!

ამხელა კაცს, ყაზახს, ყაზილარს რა დედა აგიტყდა!.. რალა დროის, მე შენი, პირი იქითკენ მიქნია, შენი დედაა?! ასეა და თვარა-კი!.. წყალიც აღარ მოდის, მე მგონი, ნა-რუ-ალში, სხვას ვინლა დაეძებს, ამ პაპანაქებაში თავს რომელი გიჟი გარგავს შუკაში?!.. ჩრდილებიდან ჩრდილები გადიან და ბრუნდებიან, შენ რას ედრები ჩრდილებს?... გახვალ, როცა იქნება, როცა დრო მოგიკაკუნებს! კატები ამოსულან უკანა კიბის მოედანზე (აქაურულად — პლომადკაზე), ერთი შავია, ერთი წითელი, ერთი ჭრელი, ეს წითელი საიდან ამოვიდა?! დედა ვერ იტანს რიჟა კატებს, — წითლებს. კნავიან. ითხოვენ თავისას(?) გამოვა სადაცაა დედა და თქვენ დღე დაგადგებათ... დღეს წმინდა მარიამის ხსენების დღე ყოფილა, საჯაროშიც ვერ შეველი და ეს თუ გიშველით... მარიამობა. აქ მარიობით იხსენიებენ, ასე ვიცოდი, ასეც მომეყურა სიცხეში... ელიკოს ქმარი გარდაცვლია, ასე არ მითხრა?... რა უგავდა ქვრივს? კარგადაა... რატომ არ ვუთხარი, მოდი და მნახე-მეთქი... რას იფიქრებდა. ქალად ქალს კიდევ რა უშავს, ფერი არ აკლია და ხორცი... მე რომ ვარ, მტერი გეყოლაო, ასე გამიცინა. მგონი, წამოსვლისას... მაინც რაიო?... წყალი ლურჯი მოდის თუ შავიო, ესეცაა, რალაც იყნოსეს. ერთი კარს ბრჭყალავს და თუ გაილოო დაა... გაილო!.. შინ ყოფილა. გამოვიდა ცოცხით.

— აღარ გადაშენდით?! ვერ მოგიშორეთ ხომ?! აბა მოცოცხე! ჩქარა, რა რუ, რა...

ხმა ჩემამდე ტყდება და სიტყვებში არ მოდის, დედა იმუქრება... დედას აქ რა უნდა, — მინისზევით... ცოცხის ტარი რეკა ჭრელს წელში, შინ შევიდა, კარი შეიხურა. საჭმელს გამოუტანს, ხომ ვიცი. ა, ბატონო, არ ვთქვი?! თევზის კუდებს ხრავენ და ხრუხუნებენ კატები ცხვირით...

დედაო, მაკარია, რატომ მოხველი, შავი წყალი ჩარეცხავს მალე ყველას და ყოველივეს. რატომ გაცვია მაკარია ფერადი?... წითელი კი არაა, ნარგიზის ფერია, ვიცი, მაგ ქვედაბოლოზე გეპორტყიანლებოდი, მახსოვს... ვილაც იძახის, სანყის პოზიციებს უბრუნდებიან ყველანი, — უსულონი და სულიერნი. ჩუ!.. კადრი გაშეშდა. ჩრდილები დადგნენ, წყალი შეგუბდა.

— გოგია, ბიძია, მე ვარ, — ზაური...

...სად გადამართო!.. რა უნდა?!

— ...სასაფლაოდან მოვდივარ, გოგი ბიძია, განსხვავებულ სასამისზე გამომიშვეს...

— რა ქნეს?

— ყველა ცოცხლად დარჩენილის სადღეგრძელო ითქვა და განსხვავებული არ აღმოაჩნდათ სასაფლაოზე... ახლა დგალარიენ... ორ-ჩაის-ჭიქა ნახევარი ჩადისო...

— რაშიო?!.

იმაშიო...

არადა ისეთი დღეა, არც გეემტყუნებაო.

— ზაურია, ხუხია დარეხვილი მთვრალია ხომ უკვე?! არ თქვა, — არაო... დაღვეს ამ ჩემს იმას... (პაუზა) ანტილოპას და თავზე გადაამტვრევს ვილაცას, დასამტვრევი განსხვავებულიები მე არა მაქვს, შეყავი მაგ თავი სარდაფში და თუ მა-

ინცდამინც... კაჩოზე კამერის რქა ჩამოცმული და ის გამოიტანე, სასაპნედ რომ ხმარობდა მეკამერე, არ თქვა, წავა?..

— წავა რომელია, პირდაპირი დანიშნულებით წავა, გიორგევიჩ!

— აბა, სანამ მზე კარგად არ გადაიხრება, მე აქედან გამსვლელი არა ვარ.

არა და არ გაილია ის დღე, ფიჭვის საკუბოო მასალით შეჭედელ ტახტზეც მოწყინდება თურმე ადამიანს კოტრი-ალი. ზაურია, რა ამბავი მოგიტანეო? ბაბუაჩემის ბებუის მაკარიას სამარეზე სვამენ ყველა ცოცხლად დარჩენილის თუ გადარჩენილის სადღეგრძელოსო?... რავარია?!

...კატები აღარ ჩანან, დედა ვერ იტანს რიჟა კატებს. მისი ქვედანელი, პლისე, ზამბახისფერია და არა წითელი. უხდებაო, ყველა ამბობდა. ეს როდის იყო? ფეხს რომ ვიდგამდი მაშინ თუ ჩემს დაბადებამდე, მუცელში რომ ვცურავდი? ახლა სად არი. ისევ იქ, სადაც მზე არ ჩადის, არც ამოდის? როგორ დატოვა მარადსამყოფელი, მისი წილი წიალი. ისევ ისეთიაო... როგორი? თურმე იქ დრო არ ბერდება, მაგრამ ის მაინც მიდის, ყველა და ყოველივე, სულიერი და უსულო მიედინება. ის კატაც... იქაა, ისევ, ოლონდ სხვანაირი წითელია უკვე. შეგუბებულ წყალსაც ლურჯი დადებია. ელიკო იდგა სასაფლაოს ჭიშკართან, გავუარე არაფერი მითქვამს, რომ გამოვუარე არც-მაშინ. თვალი კი გამომაყოლა, შავი კაბა გაისწორა. კაკა-კუკით გამომყვა შემდეგ. არ მომეწონა მისი საქციელი, რატომღაც. კორეულმა, მეორე მოხმარების, ჯიპებმა ჩაიარეს რბილი ჯლაცუნით, ერთმანეთის მიყოლებით.

შვილდაკარგულ დედას უფალი არ მიატოვებს. აშკარად ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა ქალბატონმა, რომელსაც სასკოლო ჩანთა ეჭირა. შვილიშვილი, რა მიხვედრა უნდოდა, ხტუნვა-ხტუნვით მიუძღოდა წინ, მივტრიალდი. ელიკო, ალბათ მზის დახრის გამო, ზამბახისფერში იყო გახვეული. მისი შავი სამოსელიც ბზიალებდა იმ ფერში და იქ იჯდა. არც ამდგარა თურმე. აბა ვინ მომკაკუნებდა: კაკ-კუკი, კაკ-კუკი, კაკ-კუკი

...ელიკო, მანქანითა ვარ, სახლში ხომ არ წავიყვანო?

— ...ჩემი სახლი უკვე აქ არი! — ეკლესიისაკენ შეაბრუნა სახე, სასაფლაოს გახედა.

— ელიკო, რით დაგეხმარო, რა გავაკეთო?

— შენ უკვე გააკეთე, როცა მობრუნდი, მეტი რალა უნდა გამიკეთო... უფალი გადაგიხდის!.. მაღლობელი ვარ.

მე ახლა სხვა ფერში გხედავ, ისე როგორც შენ — მე: წმინდა მარიამის ფერისცვალობის მაღლი შეგენევა ელიკო, შენ, ამინ!

ნარვალში წყალი შავად შემოშვავდა ისევ... შავ-შავი ღრუბლები შეიგრავნენ მოცვეთილ ცაზე... განვიმდებო, განაცხადა იაკოფა ფიჩხაძემ და განვიმდა, თავსხმა და ღველფი დავგატყედა... წვიმდა და ქუხდა, მეხთატეხა იყო. ღრიალით მოდიოდა ნელგატეხილი შავწყალა ნარვალში. კლარენსია ღვალაძე მარგანეცის ნატეხებს (ამ კაცს სხვა საქმე არ ჰქონდა?!..) ჰყრიდა დელემი.

— ელიკოს რა ეშველება?

— ყველას ეშველება, — ჩვენს გარდა!

გათენდა სიჩუმეში, დილა-ნათელში ამობრძანდა მზე. მსუბუქი ავლი აუვიდა დედამინას!..

უფალო, შენითა და არა ჩვენიოთა.

ირმა არჩუაშვილი

ცრიატი სალამოები

* * *

მიდიან, მიღერღეტობენ სალამოს ცრიატში რუის პირზე ზამთრისპირის სუსხისა და თამაშისგან ლოყანითლებული, პერანგამოჩაჩული ბალაუჭები. ამათ უკვე დაუძახეს მშობლებმა, ჩიტი თავის ბუდეშიო, და ახლა, შინისკენ მოღრეცილი კისრებით მიმავლები, ნირნამხდარები და ბალღური შურით ავსილები, შორიდანა ეხმიანებიან შარაგზაზე დარჩენილ, არხეინად მოთამაშე ამხანაგებს.

სანამ სახლამდე მიაღწევენ, გზადაგზა ამ ღერღეტ-ღერღეტშიც ნახულობენ ათას გასართობს: იქ მეზობლის ბოგირად გადებულ ხმაურიან თუნუქზე გადაირბენენ და ეზოებში ჩაყურებულ ძაღლებს ბალანს აუშლიან, სტვენითა და გამოჯავრებით გააანჩხლებენ; აქეთ, მენახირის უჩუმრად, მინდვრიდან მომავალ ნახირს აეტორღიალებიან, უკან ჩამორჩენილ რომელიმე მოზვერს მოიმწყვდევენ და ცხვირწინ იქამდე უქნევენ მოშვლებილ ქუდებსა და ხელ-ფეხს, სანამ გახელებული საქონელი სახლამდე ფერნასულებს არ არბენინებთ; თუ გაუმართლათ და, მოულოდნელად, ცხენებით გაჩქარებით შინ მიმავალ ლეკის ტიღებსაც გადაეყარნენ, ზაფხულში ხევი დაგუბებული, დანგრეული საბანაოს გულში ჩადებულ ჯავრს ახლა მაინც ამოიყრიან „ლეკო, ლეკო, ლენა, ვოდკა დაგაღვინას“ ძახილითა და მინიდან ნაუცბათეგად მოფხოჭნილი ქვების ცერად სროლით; ბოლო-ბოლო, სულ რო ვერაფერი მოიფიქრონ, რომელიმე სახლის წინ, გრძელი ხის მორზე მიყუყულ, ბებიების უჯრულა შალებში გამოხვეულ თანატოლ გოგოებს მიეპარებიან და ხმამაღალი შეძახილით გულელებს დაუხეთქავენ. თან იმის შიშით, გაკნაჭულ ბეჭებში ამათი მწარე ხელი არ მოგვხვდესო, სიცილ-ხარხარით წამსვე მოკურცხლავენ იქიდან.

ჯერ ეზოს კარების ზღურბლზეც არ ექნებათ ფეხი გადაბიჯებული, რო შინიდან გამოსულ საჭმლის მადისაღმძვრელ სუნზე მძიერი მუცლები რუყრუყს უწყებთ. ახლაა ახსენდებათ მთელი დღე ცარიელა პურისა და ყველის ანაბარა ყოფნა და, გუნებაზე მოსულები, წყაროზე ჰაიჰარად ხელგადაბანილები, ნერწყვის ყლაპვით არახრახებენ ღუმელზე შემოდგმული ქვაბებისა და ტაფების სახურავებს.

არ ვიცი, კიდეც წააწყდებით თუ არა სოფლებში მსგავს სურათებს. ჩემი ბავშვობა კი სავსე იყო ასეთი ცრიატი სალამოებით.

* * *

სამოცდათვრამეტისა იყო მაშინ პაპაჩემი, მე კიდე ბალღი ვიყავი ჯერ ისევ — თორმეტი-ცამეტი წლისა. სახლის უკან დიდი კაკალი რო გვედგა, იქ დაფაჩუნობდა თავისთვის. ცოტა ხანში ეტყობა დაიღალა და იქვე, სათონესთან მიყრილი რცხილის კუნძებისკენ წავიდა ჩამოსაჯ-

დომად. იქამდე კი მივიდა, მაგრამ ვხედავ, ალარა ჯდება. დგას ეგრე გახეხერავებული, მარჯვენა ხელს ჰაერში ასავსავებს, მარცხენა კიდე ხალათის ჯიბისკენ წაულია და ეწვალება, შიგნით ჩაყოფასა ცდილობს. ისე ტორტმანობს ადგილზე, რო შეიძლება წუთი-წუთზე დაკარგოს წონასწორობა, გადაქანდეს და კუნძებში გადაჩხრიკოს. ხვნეშის, სადალაქოში გაპარსულ სახეზე წურწურით ჩამოსდის ოფლი, ან იქნება, უძლურებისა და სიბერისგან წამოსული სიმწრის ცრემლებიც... მაინც არ ეშვება.



ასე მეგონა, მთელი ცხოვრება გავიდა, სანამ იმისმა დალულმა, გაძვალტყავებულმა ხელმა ჯერ ჯიბის პირი მოძებნა, მერე შიგნით ჩააღწია, ერთხანს იფუტუტა იქ, ცოტა შეისვენა და ისევ დიდი ჯახირით დაინყო ამოყოფა.

გჭერიათ მუჭში ახალგამოჩეკილი წინილა ან ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი, იმათი ცახცახი და თრთოლა შეგიგრძნიათ? — სწორედ ასე ფართხალებდა პაპაჩემის აკანკალებულ ხელში მწვანე, ჭრაჭუნა ქალაღში გახვეული პიტნის კანფეტი.

* * *

რაც თავი მახსოვს, დედაჩემის ნამზითვარ ჩალისფერ გარდერობში დევს და შიგ ათასნაირი ქალაღი და საბუთი აწყვია. რას არ ნახავთ აქ: ჩემი დიდი პაპის, წყალობა დაუდაშვილის ანდერძს მოწმეების დასმული ჯვრებით, მამაჩემის ხელით შევსებულ მეფუტკრეობის „აქტებს“ და მისი პირველი, მწვანე მოტოციკლეტის პასპორტს, დედაჩემის მევენახისა და მეაბრეშუმის წიგნაკებს, „სტალინგრადის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის“ პაპაჩემის მედლით დაჯილდოების ბრძანებულებას, სასკოლო რვეულების ნაგლეჯებზე ქვეშინურით დაანგარიშებულ დენის გადასახადებს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ნათესავებისგან გამოგზავნილ საახალწლო თუ სარვამარტო მისალოცებს გულუბრყვილო ნახატებით, გაზეთებიდან ამოჭრილ კულინარიულ რეცეპტებს, კალენდრის ფურცლებს „სასარგებლო რჩევებით“ და, ვინ მოთვლის, კიდეც რამდენ უცნაურ და საინტერესო რამეს.

ისევ იქა დევს, მარჯვენა კუთხეში, როგორც კი მაღალ, სარკიან კარს გამოაღებ. მოზრდილი, ოდნავ ხორკლიანი, გამძლე შავი ტყავისგან შეკერილი ჩანთაა, მყარი სახელურის ქვეშ გაყრილი ოქროსფერბალთიანი შესაკრავით.

ზოგჯერ მგონია, რომ კი არა დევს, რაღაცნაირად, წელში ბებრულად მოხრილივითა დგას, საწყლად, მოთმინებით. თითქოს ესეც დაიღალა ცხოვრებისგან და ეგრევე, ზეზეულად, ფეხზედგომელა თვლებს.

* * *

აი, ამ ცაცხვზე გეუბნებოდი, ქუჩის კარებთან რო დგას. ესეც მამაჩემის დარგულია. სადაც ხელი მიუწვდებოდა, ყველგან თაფლოვან ხეებსა რგავდა თავისი ფუტკრებისთვის. როგორც კი გაზაფხული დადგება, ერთ-ერთი პირველი ესა ყვავდება. სუ ყვითლათა ბურბურებს... იცი რა სანახავია და როგორ სურნელს აფრქვევს?!

რო გაიფოთლებოდა და ტოტები მინამდე ჩამოეფხატებოდა, არაფრისდიდებით არ შეაჭრიდა, წელში მოხრილი გადიგამოდოდა იმით ქვეშ და ჩვენც ეგრე დაგვატარებდა — ასე გამოხატავდა თავის მაღლიერებას ღმერთის, ბუნების, საყვარელი საქმის მიმართ. დედაჩემის გასაგონად კი ხუმრობით იტყოდა ხოლმე, აბა, ამის გარდა სხვა აღარავინ მეფერება და, რა ვქნა, ხელები როგორ დავაჭრაო.

მეცამეტეჯერ გაჩახჩახდა და გათბა ქვეყანა მზისგან, რაც მამაჩემი აღარ არის. მეცამეტეჯერ აყვავდა უკვე „ხელებდაჭრილი“ ცაცხვიც. მე კი სულ ვფიქრობ, რად მოკვდა ესე უცებ, ესე უსიტყვოდ და უთქმელად, ჩემი გაზაფხულის მოყვარული მამა...

* * *

როგორ გაიფხოკა, მიიბღუნდა, დასკდა და ჭუჭყი ჩააკვდა... ალბათ ასეა, როცა პატრონი აღარა გყავს, ეს არის შენი ბოლო. შიშით აგრძელებ ცხოვრებას და ყოველდღე ელოდები, რო ერთ მშვენიერ დღეს ვილაცას ძალიან გააღიზიანებს, თვალში შეეჩხირება შენი ჩუმი, ძველმოდური, „უპატრონო“ ყოფნა და სანაგვეზე მოგისვრის.

არადა, კარგი „კარტუზი“ იყო, — ერთგული, საიმედო; ვინ იცის, რამდენი მზე-წვიმისგან დაუფარავს თავისი პატრონი, რამდენი უნახავს და გადაუტანია მასთან ერთად... თან მაინც ჩაეყოლებინათ, ან ვინმესთვის ეჩუქებინათ, უფრო მაღლი არ იქნებოდა?!

* * *

ქალაქის შორეული გარეუბნისკენ მიმავალ ძველებურ ავტობუსში სხედან.

სამი-ოთხი წლის კიკინებიანი გოგო მშვიდი, მორჩილი სახით გვერდულად დასკუპებული მამის მუხლებზე, თავი ფანჯრისკენ მიუბრუნებია და მწვანე, აზრიანი თვალებით ყურადღებით ათვალაიერებს სალამოს ბინდში აბრჭყვია-

ლებული მოციმციმე სარეკლამო ბანერებითა და ლამპიონებით დღესავით გაჩახჩახებულ ქალაქს.

მამა წინ იყურება, ფიქრებშია წასული. მხოლოდ დროდადრო, თითქოს ძილიდან გამოფხიზლდაო, ოდნავ შემკრთალი დახედავს ხოლმე ბავშვს, მუხლებზე ადგილს მოუნაცვლებს, ნაჯაფარი ხელებით თმას შუბლიდან ფრთხილად, მზრუნველად გადაუწევს, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ჩამოშლილი. კაბაზე შემოცმული, ლამის იდაყვებამდე შეხტუნებული იისფერი ჟაკეტის სახელოებს მონდომებით დაუქაჩავს ქვემოთ და ალერსიანად რამდენჯერმე გაუსვამს ლოყას ლოყაზე.

ეს კიდე, გონიერი, პატარა ადამიანი, რამდენჯერაც მამა მიეფერება, იმდენჯერ გაცისკროვნებულ თვალებს შეანათებს, ახლა თვითონ მოუთათუნებს ფუმფულა თითებს სუფთად გაპარსულ სახეზე და კმაყოფილი ჩაიტიტიტებს: „კარგია, მამა, ბენი არ არი!“

* * *

აღარ არი და დაეტყო კიდეც სახლ-კარს უიმისობა. ამდენი მზე-წვიმისგან დაყალდა და დასკდა შიფერი. დანიესტა და აშმორდა თვეობით გამოკეტილი ოთახები. იატაკიც სულ დაფანჯანდა, ჭიამ გამოფევა. ერთ დღეს ზრიალით ჩამოინგრა საჩიხის ქვიტკირის კედელი და სათონეც ჩაიყოლა. გადაქცევაზეა ჟანგისგან შექმული რკინის ორფრთიანი კარიც.

წყაროსთან რო ბებერი, მწილეური კეხურა ვაშლი იდგა, დიდხანს იავადა, ინვალა და ამ გაზაფხულის ქარებზე წელში გადატყდა. აღარც ხეჭეჭურსა და კომპს უწერია დიდი დღე — სულ

დაუფუტუროვდათ გულ-მუცელი, აქა-იქლა თუ მოიბამენ რამდენიმე კუჟარმაჟარ ნაყოფს. ხეივანიც გაიწლიკა რალაც-ნაირად, ველურ ვაზს დაემსგავსა, მარცვალაც დაუწვრილდა, დაეგვალა და მჟღაყე გაუხდა.

წელამდე აყოტებულ შალაფასა და ამბროზიაში სულსა ლაფავენ, აღარც კი ჩანან ერთ დროს მწყობრად, თვალის გასახარად ჩარიგებული ვარდები და გლადიოლუსები. ბაღის გვირილებსაც სუმთლად დაუჩიავდათ ხელისგული-სოდენა ყვავილები, მინდვრისებს დაემსგავსნენ. ეს კლანჭა ხო ისე მოედო მთელ ეზოს, ადგილი არ დაუტოვებია. ძალლი ბალახია, ცემენტზეც კი ადვილად იკიდებს ფეხს.

წყევლაზე უარესია, როცა შენს ეზო-ყურეს ბალახი გადაუვლის. ეს იმასა ნიშნავს, რომ მორჩა, გათავდა, იქაურობას პატრონი აღარ უვის — ან მოუკვდა, ან ცოცხლად დაიმარხა, ან კიდე, ბერწი იყო და შთამომავლობა ვერ დატოვაო, იცოდა ხოლმე თქმა.

არადა სამი შვილი დარჩა.



მხატვარი ბადრი გავნიძე

მაია ჯალიაშვილი

კეთილი სილამაზე

□

ირმა არჩუაშვილის მინიატურები

ვარდისფერი, ლურჯი, იასამნისფერი, სევდიანი სა-
ღამოები... ნაცნობია.

გალაკტიონის ხავერდისყდიანი საღამო, უძველესი
ნიგნის სურნელი რომ ახლავს, განუმეორებელია...

მაგრამ არის კიდევ უამრავი, სხვა ფერისა და ხმოვანე-
ბის, გემოსა და სუნის საღამოები...

მაგალითად, ირმა არჩუაშვილის „ცრიატი საღამოები“.
სწორედ ამ სახელწოდების ციკლიდანაა ეს საოცრად თბი-
ლი მინიატურები. ცრიატი დღე არის, ღრუბელაშლილი —
ასე განმარტავს ამ ლამაზ სიტყვას სულხან-საბა „სიტყვის
კონაში“. მათი კითხვისას კი ფიქრები აგეშლება და ტკბილ-
მწარე მოგონებებში გაეხვევი.

რეზო ინანიშვილი წერდა: „კეთილი სილამაზე ძალიან
ცოტალა დარჩა ქვეყანაზე და ოქროს მარცვლის პოვნასავით
განვიცდით ყოველი პანანინა ნიმუშის აღმოჩენას“. ასეთი კე-
თილი სილამაზე აღმოვაჩინე ირმა არჩუაშვილის მინიატურ-
ებში. სულ შვიდი ნიმუშია. მათი კითხვისას კვირის შვიდი
დღესავით ჩაივლიან შთაბეჭდილებანი. შვიდი ხომ სრულყო-
ფილების გამომხატველი რიცხვია. შვიდ დღეში შექმნა
უფალმა სამყარო და შექმნილი თვითონვე მოენონა. ეს სამ-
ყარო ჩვენთვის დიდი გამოცანაა, რომელსაც ათასნაირად
ვუტრიალებთ და სიცოცხლე წარმოგვიდგება, როგორც გა-
მოცნობის სევდიანი გზა, სიკვდილი რომ დაასრულებს და
თავისი ბნელი ხელებით მოგვანვდის ნათელ გასაღებს.

ამ მინიატურებში ისეთი დახვეწილი სტრიქონებია,
ზუსტი, შუქიანი, გამომხატველი... ამას ჰქვია სიტყვის
შეგრძნობა. თანაც, ხომ ცნობილია, რა ძნელია მოკლედ,
ლაკონურად სათქმელის გამოხატვა, ისე, რომ არაფერი
დაიკარგოს. უპირველესად სიტყვის სული უნდა შეგაგრძ-
ნობინოს მწერალმა.

კითხულობ და მოგწონს, ირმა არჩუაშვილი როგორ ხე-
დავს, როგორ ხატავს დეტალებს, როგორ ანიჭებს ღირებუ-
ლებას ყოველივეს... როგორ აჩერებს დროს... აყოვნებს წუ-
თიერად, რათა მზერამ შეისვენოს და აღიქვას, განიცადოს...

ეს მხოლოდ სოფლის სურათები არაა, ეს წუთისოფე-
ლია, წარმავალ საგნებზე აღბეჭდილი.

ჯაზის მრავალფეროვანი რიტმით შემოიჭრებიან ეს
შორეული ხმები. როგორი რბილი და თბილი ნოტები ჩაგეს-
მის ყოველი მინიატურიდან. თანაც, ეს მინიატურები არ არის
დასათაურებული, რადგან ეს მთელის, ცრიატი საღამოების
ფრაგმენტებია. ცალკეული სურათი, წარმოსახვაში გაცოცხ-
ლებული, ერთი, ადამიანის დროში არსებობის ტკივილის გა-
მომხატველი, მარადიული თემის იმპროვიზაცია.

ამ მინიატურებში ყოველივე რაღაც ნაცნობს, თანვე

დავინწყებულსა და იდუმალ ხმას გამოსცემს. „მიდიან, მი-
ღერღეტობენ საღამოს ცრიატში...“ — ასე იწყება პირვე-
ლი მინიატურა და ამ პირველივე სტრიქონით მწერალი
ახერხებს გაგიყოლოს სოფლის მტვრიან შარავგზაზე, თა-
მაშით დაღლილი ბიჭები რომ მიუყვებიან...

ხმები... ხმების მოზაიკა... მშობელთა ძახილი, ბოგი-
რად გადებულ თუნუქიდან ამსხლტარი ნაბიჯები, ქვების
რახარუხი, გაანჩხლებული ძაღლები, გოგონების შემკრ-
თალი კვილი, წყაროს რაკარაკი და ღუმელზე შემოდგმუ-
ლი ქვაბებისა და ტაფების არახრახებული სახურავები...
ამ ხმაურიან მუსიკაში უცებ გამოკრთება დედის ნაზი
ვოკალი — ჩიტი თავის ბუდეში — ეს, ალბათ, ყველას ბავ-
შვობის საღამოს მისამღერისცაა.

„არ ვიცი, კიდევ ნაანწყობით თუ არა სოფლებში
მსგავს სურათებს. ჩემი ბავშვობა კი სავსე იყო ასეთი
ცრიატი საღამოებით“, — ვკითხულობ ამ ნაღვლიან
სტრიქონებს და ვფიქრობ, არც მე ვიცი, მაგრამ ეს სალა-
მოები უკვე აღარასოდეს დაიკარგებიან, რადგან მწე-
რალმა სიტყვებით შთაბერა სული.

„გჭერიათ მუჭში ახალგამოჩეკილი წინილა ან ბუდიდან
გადმოვარდნილი ბარტყი, იმათი ცახცახი და თრთოლა შე-
გვირძნობთ?“ — გვეკითხება მწერალი. ეს შეგრძნება აუცი-
ლებელია, რათა მიუხევედ მწერალს, როცა ის საოცარი სი-
ფაქიზით, გრაფიკული ნახატივით, მოხაზავს სამოცდათვ-
რამეტი წლის პაპის სახეს, „გახეხერავებული რომ დგას“. შე-
ნელებული კადრივით ხატავს მწერალი მისი ხელის მოძ-
რაობას, ჯიბიდან პიტნის კანფეტს რომ იღებს.

დაუვინყარი დეტალია „დედაჩემის ნამზითვარი ჩა-
ლისფერი გარდერობი“ და მასში შენახული „მოზრდილი,
ოდნავ ხორკლიანი, გამძლე შავი ტყავისგან შეკერილი
ჩანთა, მყარი სახელურის ქვეშ გაყრილი ოქროსფერბალ-
თიანი შესაკრავით“.

ან კიდევ ყვითლად „აბურბურებული“ ცაცხვი. ეს ყვი-
თელი ისეთი კაშკაშაა და ტკბილი, ისეთი ცოცხალი, თით-
ქოს შენც ხელით ეხები მის სურნელოვან ტოტებს.

მიტოვებული სახლის ნაღველი... ეზო-ყურეს ყოველი
დეტალი: „წყაროსთან რო ბებერი, მენლეური კეხურა ვამ-
ლი იდგა, დიდხანს იავადა, იწვალა და ამ გაზაფხულის ქა-
რებზე წელში გადატყდა. აღარც ხეჭეჭურსა და კომშს უწე-
რია დიდი დღე — სულ დაუფუტუროვდათ გულ-მუცელი,
აქა-იქლა თუ მოიბამენ რამდენიმე კუჭარმაჭარ ნაყოფს“.

აქ არის დარდი უპატრონო „კარტუზზე“ და მწერლის
სინანული: „თან მაინც ჩაეყოლებინათ, ან ვინმესთვის
ეჩუქებინათ, უფრო მაღლი არ იქნებოდა?!“

ეს მინიატურები ლექსიკის ფერადოვნებით, ხსოვნა-
ში შემონახული ძველი, დიალექტური ან თავისებურად
მოქცეული ნაცნობი სიტყვებით, ახალ ელფერს რომ იდე-
ბენ, სოფლისა თუ ქალაქის გარეუბნის ეპიზოდებით,
უპირველესად რეზო ინანიშვილის პროზას გვაგონებენ.
გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეც“ გავასხენდებათ. მთა-
ვარი კი ის სიყვარულია, რომელიც ამ მინიატურების
კითხვისას გულში გვეღვრებათ და გათბობთ.

ასე რომ, ირმა ერთგვარი ნეორომანტიკოსია ჩვენს
პრაგმატულ, სისასტიკითა და გულგრილობით სავსე
დროში, და ერთი იმ ავტორთაგანი, მკითხველს სიკეთის
სილამაზეს რომ აზიარებს.



რიტმი! პოეტური ბგერის დიდი მსახური და დიდი საცთურიც; გატაცება, რომელიც წარმატებასთან ერთად შეცდომასაც გულისხმობს. მაგრამ როდის იყო, შეცდომის შიშით პოეტი უარს ამბობდა სილაბურ-ტონურ კურსივებზე. მითუმეტეს, თუკი არსებობს შესაძლებლობა და მიზეზი იმისათვის, რომ ბგერითმა ინტონაციამ გამოხატოს სულის სილამდე და განცდის სიმძლავრე.

თამარ ფანჩუკიძის ლექსში იგრძნობა ავტორის გამოცდილი ხელი და დახვეწილი გემოვნება, რაც ნდობითა და სიმპატიით განგვაწყობს მისი სევდიანი მედიტაციების მიმართ.

ისიც აღსანიშნავია, თუ რაოდენ ათბობს და აშინაარსიანებს ამ სევდას ნოდარ დუმბაძის, ზურაბ ჭავჭავაძისა და თამაზ ბაძალუას ტრაგიკული პორტრეტების გაელვება.

არის ამ ლექსებში ის, რისთვისაც გვიყვარს ჩვენი ყოფიერების დრო და სივრცე, რისთვისაც ვისმენთ სიტყვას, რისთვისაც გვახსოვს ერთმანეთი.

ამისათვის მაღლობა თამარ ფანჩუკიძეს — სიმპატიურ, თავისი თავის მცნობელ პოეტს.

თამარ ფანჩუკიძე

**ვენერა მილოსელის
ქანდაკებასთან**

შობა

შობაა და შუალამემდე,
სიხარულს თან ახლავს მწუხარე
ფიქრები — მაცხოვარს მოველი,
გული კი მშფოთვარებს, მდულარებს.

სარკმელში ლოცვად და მოხმობად
ცის ბილიკს გასცქერის სანთელი,
— იმ ღამეს, ბეთლემში, დედაო,
ვინ ვიყავ, რა მერქვა სახელი?

შენ ღამის გასათევს ეძებდი,
ნუთუ მეც უარი გითხარი,
უსაჩინოესი უჩინომ,
კართან მიგატოვე ცისკარი.

შობაა. სახლს ეძებს ორსული,
მარიამ, ცხოვნების მთოველი,
ბაგაში იშვება მესია,
მეუფე ყოვლის და ყოველის!

სად, რად, სრა-სასახლეები,
ამაო განცხრომის და შვების,
სადაც არ ელიან ღვთისმშობელს,
უფალი სადაც არ იშვების.

გულს გიგებ ქვეშაგებრ, დედაო,
ცად შობის ვარსკვლავი ამაღლდა,
კარს ღიას დავტოვებ, ნავალ და
ტაძარში დაგიცდი ამაღამ.

სასურველი ექსპანსია

შემომეჩვიე ფიქრებში,
აღარ გელოდი როცა,
მერე გულს შესწვდი, ოდესღაც,
სულ სხვა კერპებზე მლოცავს.

სადღაც კუნჭულში დაიდგი,
უცხო სახატე ნიში,
უშიშარს შიში მასწავლე —
შენი დაკარგვის შიში.

შენც, ლეგენდავ სიყვარულის,
შენც დაგემსხვრა მკლავები,
შენც იდარდვი სააქაო
სოფელთან გამკლავებით?

მეგონა, რომ მხოლოდ მე ვწუხ
შეკვეცილი ფრთებით და
სიმარტოვით, როგორც სუსხით
ყინულოვან მთებიდან.

ო, ქვისხუროს ნაფერებო,
გლენის მკლავებს ენდე და
სად, სამოთხის ოქროს ვაშლი,
რომელ ადამს ეძებდა?

უსასრულო მოლოდინით
ვერდამდნარო, დნები და
შენც გინდოდა ლაჟვარდებში
გაგენავარდებინა?

ღამღამობით ლუვრის ცაზე
ღრუბელს მოაქვს სევდა და
უმონწყალო იარები
დრომ ვერ მოასვენადა.

ფიქრიანო, ფიქალისავ,
უმთვარეო, ეულო,
ვარსკვლავქალო, მილოსელო,
ოცნებაშემსხვრეულო.

სიკვდილისპირული

მოველ სუფევად საუფლოს კარზედ,
მამავ, ძეო და სულო წმიდაო,
ცოდვით დაღლილი გაახლე სული
და განაჩენი შენი მინდაო.
ვერ ვიხიერე, ვიცი, ისეთად,
შენ რომ გენება, უზენაესო,
მესათუთა და მესათნოესა,
არსი ღვთაებრივ სუნთქვით ამევესო...

„და მოენყინა სულსა ჩემთანა“,
საამებელი ვუკმე მცირე,
უხმოდ გიგალობ სიკვდილისპირულს,
სინანულით და ცოდვებით მძიმე.
ან, უკანასკნელ სისხლის ცრემლებით,
ვდგავარ გლახაკად ღვთაებისა და
„ნუ შემეყვანებ მე განსაცდელსა,
არამედ მიხსენ ბოროტისაგან“.

ქრისტეს მხედარი

ზურაბ ჭავჭავაძეს

დღეს კიდევ ერთხელ დამკლეს არტანუჯს
ბედით ბედკრულის, ხვედრით ტანჯულის,
საკურთხევლამდე გზა იყო გრძელი,
გადამეფლითა კლდეებზე გული.

ქონგურზე ვენთე, წმიდა გიორგი
ხელს აღმიპყრობდა აბჯარშემკული,
ცისკენ იწევდა სიონის ჯვარი,
წმიდა ქალწულის თმებით შეკრული.

ფერხთით ხობავდა ფარხმალდაყრილი,
ყველა მისანი, ყველა გრძნეული,
ანგელოსებმა ჩამკიდეს ხელი
და დარჩა მთვარე გზააბნეული.

ნანამები და დაღლილი ტანის,
სულს განტევება ღვთისად ენება,
მე მივდიოდი ასე ეული,
რომ მოვსულიყავ მილიონებად.

ინანგულის დაბრუნება

ნოდარ დუმბაძის „Hellados“-ისადმი

არ დამაბერა სიკვდილმა,
არ ჩამიბარა ხმელადა,
ვაი, ვერ შევსვი ბოლომდე,
სანუთისოფლო ხელადა.

არ გამიმეტა სიცოცხლემ,
სარეცელს სადებელადა,
სული დავლიე, ვერ ვპოვე,
ნაოცნებარი ელადა.

დიოსკურია ვარჩიე,
შეველეოდი ძნელადა,
მეძახდა ჩემი ნაპირი,
საფერებ-საკოცნელადა.

ცას შეენია ის წამი,
ნათლად, არათუ ბნელადა,
ჩემი კოლხეთის მინისკენ
ტალღას მოვქონდი ნელადა.

სოხუმში დედა მემარხა,
უკან მოვბრუნდი ხელადა,
გულს საქართველო მიძგერდა,
მკერდზე მენერა ჰვლელადა.

ღვთისმშობლისადმი

თამაზ ბაძალუას ხსოვნას

ნათელი ქვაბულა კარვის,
უნყინარ მტრედების წყება,
მშობელი ღვთაებრივ კრავის,
ცით გარდამოსული ნება.

სუნელი ნაძვთა და ფიჭვთა,
შრომანთა უმანკო ველი,
ქებული საუნჯე ნიჭთა,
უფლის და მაცხოვრის მზრდელი

ძლეული უსასო სევდა,
ცით მხოლოდშობილი ძეი,
ოსანა, სამყაროს დედა,
ნათობს დაუვალი მზეი.

უხმნო ზმანება

ახალნაბარი ბელტის სურნელი,
ნამყენი ვაზი — ახალნასხლავი,
ნივრის გალა და აცმა წინაკის —
აივნის ბოძის ორი ნაწნავი.

შეთხელებული თივის ზვინი და
სათონის თავზე ხმელი კუტები,
მზის გულზე კატა, თავის ნაგრამით,
გამოფენაზე — ქრელი კნუტები.

პაპის ნაქონი ჯოხი და წალდი,
მამის წყაროზე — ნანწკარა თვალი,
ორმოთა მწკრივი თესლის ლოდინში,
ეზოში — დედა, ერთგული ქალი.

ლობესთან ხბო და საქათმე გრძელი,
წვერებნათლილი სარების ჯარი,
ბუხარში შეშა, შეშაზე კეცი,
და კეცში მჭადი — შუაში ჯვარით.

დიდი ბებუის თუთის ხის სკივრი,
მარანი — დიდი პაპის ნაშენი,
ოთახში კუთხე, ხალხურ საკრავთა,
ოჯახურ გუნდის ნამღერ-ნამშენი.

ფანჯრის რაფაზე ნავთის ლამპა და
ზღურბლთან — ერთგული ბებერი ძალი,
ქალაქელების ნახვის ნატრული,
მოგონებებში მთვლემარე სახლი.



საინტერესოა ნინო დარბაისელის პოეტური სტილის თავისებურება. ლექსის სტრუქტურას ქმნის ორი კონსტრუქცია — დიალოგი და თხრობა. ფაქტობრივად ეს არის ორერთიანი მთლიანობა, რომელსაც დიალოგურ თხრობას ვუწოდებთ, მაგრამ ხშირად მონოლოგის ფორმით არის ხოლმე მონოდებული. მაგალითად, „ჰეროსტრატეში“ ორი პირობითი მოსაუბრეა — თვითონ ჰეროსტრატე და არტემიდე, მაგრამ არ არის დიალოგური კონტაქტი. ჰეროსტრატეს მონოლოგში პერსონიფიცირებულია არტემიდე. მათ ემატება დიალოგის მესამე მონაწილე — მკითხველი, და იკვრება წრე, იქმნება კომპოზიცია ანუ ლექსი, რომელიც არის მეტაფორა.

ლექსი როგორც მეტაფორა. დანარჩენი ამ მეტაფორის შიგნით არის: თხრობის დინამიკა, ფსიქოლოგიური სიმძაფრე, განზოგადებათა მასშტაბი, პოეტურ და პროზაულ სანყისთა ორიგინალური ნაზავი.

თუკი ვაღიარებთ, რომ ლიტერატურაში არსებობს სიმახინჯის გენია, მაშინ არსებობს სიმდაბლის გენიაც და ეს არის ჰეროსტრატე. ნინო დარბაისელმა დაგვანახვა, თვალწინ დაგვიყენა სიმდაბლის გენია: „ღიახ, ეს მე ვარ, ჰეროსტრატე — გმირი მებრძოლი! ღიახ მე დავწვი!“

ნინო დარბაისელი

ჰეროსტრატე

1. ძუკნა ხარ-მეთქი, არტემიდა, გესმის? — ძუკნა ხარ!
აი, ეს თეთრი ტაძარია შენი სხეული, ჭაობში დგახარ და „ბრეკე-კე-კე კუაქს, კუაქს!“ — დღითა და ღამით გომბეშოები არიან შენი ქურუმები და ეს ძუ კატა, გაზაფხულობით ყოველ ნაბიჯზე რომ ეგლისება ქალაქის ხვადებს, დაბრუნებული მარმარილოს ცივ იატაკზე კნუტებით სავსე მუცელს ძლივს რომ მიეზიდება, შენზე ათასჯერ მართალი და ზნეკეთილია. ყველა ტაძარში ეგულება საკბილო კატას. ალბათ თავგებობს სუნი იკრა, მაგრამ ნახტომი ვერ მოზომა, აუსხლტა თათი და კრეტსაბმელში გაიხლართა, კრეტსაბმელმა კი აიტაცა ჩირაღდნის ალი, ავარდა ცეცხლი და უცხო ქსოვილს, ჰაეროვანს, ვნებით აუყვა, უნია კედლებს, აიხვია ბოლქვებში ჭერი.

შეხედე, კატას, არტემიდა, შეხედე კატას! როგორ აწყდება საგნებს და კედლებს, გზას ველარ იგნებს მოქნილ კუდზე აღმოდებული, სასონარკვეთით ენაცვლება კნავილს ჩხავილი.

და ჰა, ხანძარი! მობურბურე ლოკავს კედლებს და ლოკავს სვეტებს და ლოკავს იატაკს. მწყურვალეს როგორ უგუგუნებს ეს დაკლაკნილი, მშრალი ენებით სავსე ხახა. ეცემა თაღი!

იცოდეს ცეცხლმა თავისი საქმე! არავის ვუხმობ ამ შუალამით, არც გავიქცევი, ვიდგები დოინჯშემოყრილი, გაქვავებული. თვალდახუჭულმა ვიცი შენი ყველა კუნჭული, მაგრამ დაგმანულ კარს ოდნავაც არ შევეხები.

ღმერთების ხელში გაციებული, გაქვავებული ცეცხლია ოქრო. გახურდეს, დადნეს, დადუღდეს მთელი საგანძური და კარქვეშიდან ინანწკარონ მდნარი ოქროს ნაკადულებმა, იდინონ უხვმა წყაროებმა, გამოიყოლონ მხურვალეებისგან დამსკდარი ლალი, ალმასები, ძონ-მარგალიტი, გამოიყოლონ ყველა ვნება!

2. არ დამკლებია ჭაბუკობიდან სატრფო-მეტრფენი, მაგრამ შენ გარდა ვინმე ქალი განა მყოლია? სად არ ვიომე, სიკვდილს სად არ გავეთამაშე, გამარჯვებულთა გვერდით ვმდგარვარ სისხლშეუმშრალი, დაჭრილიც ვეგდე იქ, სადაც ველარ გაირჩევა მტერ-მოყვარე და ცოცხალ-მკვდარი და რას ვენიე? რა მივიღე ერთგულებისთვის? დღეს ვინმე მიცნობს? ახსოვს ვინმე ჩემი სახელი?

„ეზო დაგავე, მოხუცო, და წყალიც მოზიდე, დაჩეხე შეშა, შეუკეთე! მიმსვლელ-მომსვლელებს გაერიდე და შენს სოროში შეიყუფე!“ და როგორია, შეიკავო სასულეზე მონოლილი ხველება და მკერდის ხრიალი.

სასთუმლად — ერთი მოკიდება სელის ტომარა.
გვერდს იბრუნებ და
ჩრჩილის პეპლებს გამოჭმულიდან
ცვივა დახრული მარცვლეული,
ბეჭქვეშ გედება.

ცხადს ვერ ვერევი,
ჩემი ხილვების სამეფოს კი მარტო განვაგებ.
...სად არ ეხეტე,
კარზე რამდენჯერ მომადექი, შემეფარეო,
როგორ დაგიხვდი,
საბრძანისი როგორ მოგირთე,
და სარეცელიც
ერთად რამდენჯერ გავიზიარეთ!
ერთი რამ გთხოვე —
— უკვდავება,
არა იმიტომ, რომ
სოფელი არ მეთმობოდა.
მინდოდა, უტყვად მემსახურა სამარადისოდ,
ესეც გებერა, არტემიდა?
რისი შესმენა!
პასუხის ღირსიც არ გამხადე,
მარიდე თვალი.
იქნებ სიტყვები დამინუნე
შენ, კეთილხმოვან ლოცვებსა და ჰიმნებს ნაჩვენებმა.
მეომარი ვარ,
მეომრისთვის კი
დროულად თქმული სიმართლეა
ლამაზი სიტყვა.

იცი, რა არის სინამდვილე?
რაა ცხოვრება?
როგორ იშვება წმინდა კვამლი,
ამოღწეული შენს სიფრიფანა ნესტოებამდე?
დამწვარი ძვლების სუნი გიგრძენია?
იცი, როგორ ყარს სამსხვერპლოზე
ცეცხლმოდებული შენი უხვი შესანიარავი?
და როცა კვამლი ამოაღწევს, დაიმახსოვრე,
მე, უთვისტომომ,
უარაფრომ
შენთვის გავილე
ქვეყნად ყველაზე დიდი მსხვერპლი —
შენი სხეული —
— ქვადქცეული.

3.
თავს უშველეო,
ვინ დამყვირის შეძრწუნებული?
ცეცხლის ფრთაც მირტყამს,
მერეკება გასასვლელისკენ,
მაგრამ ჯერ კატა!
ვიხდი ფლასებს,
მივდევი ტიტველი,
ფლასით ცეცხლს ვგუდავ
და კატით ხელში გამოვრბივარ,
რა გადაარჩენს,
წყარომდე თუ ვერ მივუსწარი...

გაჩუმდა კატა!
გადაეხსნება ალბათ
კნუტებით სავსე მუცელი,
მაგრამ ხამს,
გმირებს დაცემულებს და მათ მონაგარს
კვლავ ღირსეულად პატრონობდეს მხედართმთავარი.
და ვინ ვის ომში ილუპება,
ვინ ვისთვის
ანდა რისთვის იბრძვის
და სად მარცხდება,
რად მარცხდება,
სინამდვილეში
არასოდეს არავინ იცის.

მერე დავდგები ბეჭობზე და ცქერით დავტკბები,
რა დიდებულად ინაცრება და ცამტვერდება
ცეცხლით ყოველი,
რაც შექმნილა იმავე ცეცხლით.

4.
ის დროა, როცა ერთი პირი წყალსაც კი ჩასთვლემს.
თურმე როგორი სიჩუმეა ყველა ხმაურში!
სასაცილოა,
როცა ღმერთიც კი განსაცდელშია,
გაბანგულივით რა აძინებთ ადამიანებს.
ან ქურუმებს რა ემართებათ!

დილაადრიან,
როცა ეოსი გამურულ ზეცას
აღერსიანად შეეხება ძონის თითებით,
მოქალაქენი შემოიპყრობენ.
რაა ნამება ან სიკვდილი,
არ მედარდება.
ვეტყვი ამაყად, რომ გადასწვდეს საუკუნეებს:
დიახ, ეს მე ვარ,
ჰეროსტრატე — გმირი მებრძოლი!
დიახ, მე დაგწვი!

და დილის ნამი ამიბრწყინდება მეფურ გვირგვინად
და შეირხევა ჩემი ნისლის შესამოსელი.
კიდევ ცოტაც და,
მოკვდავთა ხელით უკვდავებას შევეგებები.

ო, არტემიდა,
შემოიხსნიან თვალ-მარგალიტს დიდებულები,
ბოლო ლუკმასაც გაიღებენ მოქალაქენი,
მხედართმთავარნი შენ წინაშე დაყრიან ალაფს,
და აგიგებენ ახალ ტაძარს
უფრო მშვენიერს,
ბევრიც კრძალონ და ბევრიც მალონ,
რას გახდებიან!
შენ ჩემთან ერთად გახსენებენ მარად და მარად,
ჩვენი გზები კი აქ იყრება.
ამიერიდან მხოლოდ საკუთარ თავს ვეუღლები.
მშვიდობით დარჩი!

ბრალი იმისი, ვინც ამაღამ დაიბადება
და დასაპყრობად მთელ დედამიწას იპატარავებს.

ჯონ ჰენრი ნიუმენი ჯერ კიდევ არ იყო კარდინალი, როდესაც 1855 წელს გამოაქვეყნა ის ერთადერთი, პირწმინდად პოლიტიკური ესეი „ვინ არის დამნაშავე?“ სადაც წარმოდგებოდა სტაბილური კონსტიტუციის დამცველად ყირიმის ომის შედეგად წარმოშობილი კრიზისის დროს. დაცვა და თავისუფლება, ამბობს იგი, უდიდესი და წინააღმდეგობრივი უპირატესობანია სოციალური ერთობისა; და ბრიტანული კონსტიტუცია არ უნდა დადანაშაულდეს დრო-ჟამის უკუღმართობის გამო. ესეი დიდტანიანი თხზულებაა; აქ მხოლოდ ნაწყვეტებია წარმოდგენილი.

ჯონ ჰენრი ნიუმენი

ვინ არის დამნაშავე?

გავრცელებული გამოთქმაა, პოლიტიკური ძალაუფლება შეხედულებებზეა დაფუძნებული; ეს სიმართლეა, თუკი სიტყვას „შეხედულება“ მასში არსებული ყველაზე ფართო მნიშვნელობით გავიგებთ. სახელმწიფო დამოკიდებული და დამყარებული არა მხოლოდ იარაღის ძალაზე, არა ლოგიკაზე, არამედ იმათ გრძობებსა და სურვილებზე, ვინც იმართებიან. ეს დოქტრინა არ გულისხმობს არასტაბილურობასა და ცვლილებას, პოლიტიკური სხეულისათვის ნიშანდობლივ თვისებას. ვინაიდან არავის შეუძლია წამში უკუაგდოს საკუთარი აზრები, ვინაიდან ეს აზრები შეიძლება იყოს ინსტიტუტები, პრინციპები, რწმენები, მტკიცე შეხედულებანი, ვინაიდან შესაძლოა ამკარა იყოს ამ აზრთა სიცხადე, ვინაიდან შესაძლოა რელიგიური ჭეშმარიტებანი იყოს, იოლი მისახვედრია, თუ როგორ ხდება, რომ ეროვნული პოლიტიკა, შექმნილი და განვითარებული მრავალი ადამიანის მიერ, რომელთაც ერთი და იგივე მოსაზრებანი აქვთ, ფეხზე დგება, მტკიცედ ფუძნდება და პრაქტიკულად დაცული ხდება უკუსვლისაგან. სწორედ ასე შეიქმნა ქვეყნები განსაზღვრული ფორმით, სოციალური კავშირების, წესრიგისა და კანონის განმტკიცებით; არა იმიტომ, რომ ცალკეული აგებულებანი, კავშირები, ფორმები, წესრიგი და კანონი ვიღაცის ნებართვითა და შეწყობით მოგვარდა, არამედ — დაფუძნებული რომ არის ერის აზროვნებაზე და შენარჩუნებულია ცოცხალი ტრადიციის ძალით. ესაა, რასაც სახელმწიფოში ვგულისხმობ; და რადგან ხალხის ქმნილება და ნაყოფია, აუცილებლად ხალხის სიკეთისათვისაა და ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება — ძალაუფლებისა და თავისუფლებისაგან — რადგან ძალის გარეშე დაცული ვერ იქნება, და თუ თავისუფლებას ვერ ეწევი, დასაცავიც არაფერი იქნება. ძალაუფლება სუფევს მთავრობაში; თავისუფლება სუფევს კონსტიტუციაში.

აღბათ, ახლა იტყვიან, ამაში ის იგულისხმება, რომ ყოველ ქვეყანას თავისი კონსტიტუცია უნდა ჰქონდესო; ვფიქრობ, ასეცაა, იმ აზრით, რითაც ეს სიტყვა ავსხენი. როგორც მმართველი ძალა შეიძლება იყოს სუსტი და მოუმზადებელი, ასევე მისი თვითნებური ქმედების შეკავებაც შესაძლოა იყოს ნაწილობრივი და თავდაჯერებულ მოკლებული; ის შეიძლება იყოს უხეში, არაპირდაპირი, წყვეტილი ან სასტიკი; არ არის აუცილებელი მეცნიერულად შეცნობილი და დამუშავებული იყოს; მაგრამ არასოდეს ყოფილა და ვერასოდეს იქნება პოლიტიკურ ორგანიზმში წამიც კი სრულიად დაუოკებელი აბსოლუტიზმისა. ადამიანური ბუნება არ იძლევა ამის უფლებას. პირწმინდა დესპოტიზმის ჟამს პრაქტიკული შეზღუდვა მმართველობის ძალაუფლებისა ხანჯლისა თუ მშვილდ-ისრის პიროვნულ

შიშში მდგომარეობს. ეს-ესაა დადგა საკითხი ამ საშუალებათა გამოყენებისა, ჩვენი მტრების, რუსებისა და უფრო მეტად ჩვენი მეგობრების, თურქების გამო. მეტიც, როცა ახლანდელი ომი დაიწყო, ზოგიერთმა ჩვენმა თვითნასწავლმა პოლიტიკოსმა სასიამოვნო წინადადება წამოაყენა, ცარის მოკვლა გადასახადებისა და ბლოკადის გამო აღშფოთებული მისივე ქვეშევრდომების მიერ, შესაძლებელი გზა იყო მოკავშირეთა გამარჯვებისათვის.



ასეთია უკანონო წამალი, რასაც ბუნება გამოუძებნის უკანონო ტირანისა; და ვერავინ უარჰყოფს, რომ ასეთ ველურ სამართალი საყოველთაო საზოგადოების გარკვეული ვითარებისას, ტრადიციული ძალა აქვს და, გარკვეული აზრით, კონსტიტუციურიც კი შეიძლება ვუნდოთ. როცა საზოგადოება ცივილიზებული ხდება, თვითნებური ძალაუფლების შეკავება გავრცელებული ზნეობის მიხედვით იქნეს რაიმე ფორმას. ერთი ახირებული პრინციპი შემოგვრჩა კონსტიტუციური პრინციპისა მიდია-სპარსეთის იმპერიიდან. ესაა თვალნათლივი ცალსახა დადგენილება, რაც ამკვიდრებს მდებარე მორჩილებას, შესაფერისს დესპოტიზმის იდეისათვის, რის ძალითაც დესპოტის განაჩენი შეუმცდარია და მისი სიტყვა შეუბრუნებელი. ალექსანდრემ პირადად გამოსცადა, თუ რას ნიშნავს სიტყვის შეუბრუნებლობა და დაუოკებელი ქმედება, როცა ძალაუფლებით ყელამდე აღვისილმა საკუთარი ხელით მოკლა ნადიმის დროს ძვირფასი მეგობარი; ხოლო რაც შეეხება მდებარე ბრბოს, იგივე ბუნებრივი შედეგი, იგივე საშუალება თუ სასჯელი უგუნური ძალისა, გამოხატულია უშვერ ანდა ზამი: „არამზადას საკმარისი თოკი მიეცი და თვითონვე ჩამოიხრჩობს თავს“. ღირსშესანიშნავი პარალელია მიდია-სპარსელებს შორის წმინდა პრინციპად მიჩნეული წესი, რაც თვით მონარქებსაც ამინებდათ და აფხიზლებდათ, რაკი დაუძლეველი წინააღმდეგობა ენიჭებოდა: თუ მონარქი რაიმეს წარმოთქვამდა, მის ნათქვამს ბედისწერის ძალა ეძლეოდა. და ეს მისი სიდიადის სასჯელად ექცა; დარიოსს სურდა შეეწყალებინა წინასწარმეტყველი დანიელი კანონისაგან, რაც მისი ნათქვამით განმტკიცდა, მაგრამ ველარ შეძლო.

მსგავსი შეკავება ტირანის ძალაუფლებისა, რაც თავყანისცემისა და ერთგულების სახეს იძენს, გახლავთ ფორმა და ეტიკეტი, რითაც საზოგადოდ გარშემორტყმულია მონარქი. აუცილებელი ჩვეულების, მეტ-ნაკლებად მკაცრი ცერემონიის საშუალებით თითქმის შესაძლებელი ხდება შევარდნით მონარქის არსებით იდეაში, რადგან ვიცით, რომ დიდებუ-

ლება გარეგნულობის გარეშე სასაცილოა; და თუკი ცერემონიების გაუქმება გაათავისუფლებს მონარქს დამორღვევლი დამღისაგან, რასაც თავის ქვეშევრდომთა ერთგულების ნიშნად ატარებს, ცერემონიების შეთვისება დაიმორჩილებს და ხელ-ფეხშეკრული ჩაბარდება ქვეშევრდომებს. ამბობენ, ესპანეთის მეფე კინლამ სასიკვდილოდ შეიბრანა, რადგანაც შესაბამისი ოფიციალური პირი დროულად ვერ მოძებნეს, ვინც მის სამეფო უდიდებულესობას ცეცხლს გამოარიღებდაო. თუკი ეტიკეტი ზღუდავდა საკუთარი სიცოცხლის დაცვისას, ეტიკეტს შეუძლია წინ აღუდგეს სხვისათვის სიცოცხლის წართმევამო. თუ ასე აუცილებელი იყო, რომ სანჩო პანსას, ბარატარიას გუბერნატორს, სადილის თვითეული კერძი მხოლოდ კარის ექიმის ნებართვით ეჭამა, სახელმწიფოს სხვა დიდი ფუნქციონერები სხვა ნებართვებს განსაზღვრავდნენ, ნაკლებ გონივრულსა და ნაკლებ იმპერატიულს. რაც შეეხება ჩვენს დიდად მოწყალე სუვერენს, მას მინიჭებული აქვს კონსტიტუციური პრეროგატივა, რომ „მეფეს არ შეუძლია ზიანი მოიტანოს“; ეს ნიშნავს, რომ უფლება არ გააჩნია, მართლთა თავისი ნება-სურვილით განახორციელოს ნებისმიერი პოლიტიკური ქმედება.

ამრიგად, პარადოქსი სულაც არ იქნება იმის თქმა, რომ ყოველ სახელმწიფოს, გარკვეული აზრით, აქვს კონსტიტუცია; ანუ წყება ტრადიციებისა, დამოკიდებული არა ფორმალურ დამტკიცებაზე, არამედ ეროვნულ აღიარებაზე, რაც ნაიანი გზებით რომ ზღუდავს მმართველის ძალაუფლებას; თუმცა ერთ ქვეყანაში უფრო მეცნიერულადაა განვითარებული, ვიდრე სხვაში, ანდა უფრო სრულად და მოხერხებულადაა შეხამებული მიზანს. ერთგვარი ანალოგია არსებობს ამ სიტყვის პოლიტიკური და ფიზიკური გააზრებისა. კარგად აგებული კაცი სიცოცხლეზე მეტის მფლობელია, ანუ ჯანსაღი სხეული აქვს, მძლავრი და მომქმედი, რაც უვნებლად გადაატანინებს სიძნელეებს, სწეულებას, ვნებას. მეორე მხრივ, არავის არის ისეთი, რომ სრულებით არ გააჩნდეს კონსტიტუცია: ანუ ისეთი რამ, რასაც შეიძლება მიეყრდნოს, როცა მის ჯანმრთელობას გამოცდა ელის, როცა თითქმის იმ აზრზეა, რომ თქვა ცხოვრება უბედური შემთხვევაა და ყოველ წუთს შეიძლება შეწყდესო. და, ამგვარადვე, ეს შეიძლება იყოს არა სახელმწიფო, არამედ მხოლოდ შემთხვევითი კრებული ინდივიდებისა, რომელთაც არ გააჩნიათ დესპოტიზმივით ძლიერი და კანონივით ღრმა ერთობა.

1. არ ვიცი, რამდენად შესაბამეა მთავარ წინადადებას, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, ის, რისთვისაც გამიზნულია ეს შენიშვნები, მაგრამ იმას მაინც შევძლებდით, წარმოგვესახა ზოგადი საკითხი, თუკი გთხოვდით შევჩერებულიყავით და განგვესაზღვრა, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების თავშესაყარი, ოთხი ერთმანეთისაგან გამორჩეული პოლიტიკური პრინციპი, რაც — სხვა პარალელურ პრინციპთა მსგავსად — ისტორიიდან გადმოგვცემია. თუკი სახელი უნდა დავარქვათ, შეიძლება ვუწოდოთ პრინციპები კოორდინაციისა, სუბორდინაციისა, დელეგაციისა და მონაწილეობისა.

2. რადგან ყოველი პოლიტიკური ძალაუფლება გულისხმობს ერთიანობას, სიტყვა **კოორდინაცია** შეუფერებლად უნდა მოჩანდეს არსებით იდეასთან მიმართებისას; და მაინც, არის ვითარება საზოგადოებაში, როცა დესპოტიზმისაგან შეჭრავებული ხალხი არაორაზროვნად მიმართავს გარეშე ძალას, რაც უნდა მივიჩნიოთ ამ სახელმწიფოს კონსტიტუციად, თუმცა შეიძლება ანომალიად მოგვეჩვენოს. ასეთი მოვლენა

რელიგიის ავტორიტეტის აღიარება, რაც თავისი შემადგენელი ინსტიტუტებით არსებობს მკაცრი პოლიტიკური ჩარჩოს გარეთ, და რასაც წარმართულ ქვეყნებშიც კი დროდადრო წარმატებით იყენებდნენ აბსოლუტური ძალაუფლების ახირებულობებისათვის ლაგამის ამოსადებად. წარმართობას რომ თავი დაეანებოთ, როგორც ისრაელის, ასევე იუდეის ისტორიაში მოჩანს თუ როგორ დაუოკებიათ და შესაფერის ჩარჩოში მოუქცევიათ მეფეთა ტირანია მღვდლებსა და წინასწარმეტყველებს, როგორც ლეგიტიმურ და დამოუკიდებელ ავტორიტეტებს. ასევე იყო ქრისტიანობის დროსაც. ეკლესია არსებითად სახალხო ინსტიტუტია, რომელიც იცავს და აგულისხმებს ნიჭიერებას დაბალი კლასებისა; დაბალისა და მაღალის გასამიჯნად არსებული ზღვარია, დროებითი ძალაუფლების სიხარბისა და ამბიციის შესაკავებლად შექმნილი. „ქრისტიანულ ეკლესიას რომ არ ეარსება“, ამბობს მ. გიზო, „მთელი მსოფლიო შეუზღუდავი მატერიალური ძალის ამბარა დარჩებოდა“. და მაინც, რადგანაც ამ შემთხვევაში გამასწორებელი პრინციპი სახელმწიფოს გარეთ ძვეს, თუმცა ფესვები ეროვნულ შეხედულებებში აქვს გადგმული, არც შეიძლება და მცდარიც იქნება ვუნოდოთ კონსტიტუციური.

3. ახლა დავუკვირდეთ **სუბორდინაციის** პრინციპს, რასაც ჩვეულებრივ ვხვდებით ახალგაზრდა, წინააღმდეგ ბარბაროსულ სახელმწიფოებში, ევროპასა და აზიაში, და ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმას აღწევს იქ, რასაც ფეოდალურ სისტემას ვუწოდებთ. მას სამხედრო საწყისი აქვს და არმიის ყაიდაზე ანყობილი, როგორც ერთიმეორეს დაქვემდებარებულ ბელადთა იერარქია, სადაც თვითეული ფლოზს სამართლებრივ უფლებას, მართოს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. თავში იყო სუზერენი, ანუ უმაღლესი ლორდი, ვისაც ემორჩილებოდნენ პრინციპი, დუკები, გრაფები და თვით მეფენიც კი. ეს გახლდათ ფეოლები; მათ ევალებოდათ სამხედრო სამსახური და ტერიტორიები სუზერენისაგან ჰქონდათ ბოძებული. მათი ვასალები იყვნენ ბარონები; თვითეული ემორჩილებოდა თავის პრინცს ან დუკს და მათი ერთგულება ევალებოდა. ბარონებს მხედრები ემორჩილებოდნენ; თვითეული დასახლებული იყო მიწის ნაკვეთზე, ჰყავდა მიწაზე დამავრებული გლეხები და ბარონის ერთგულება ევალებოდა. ამგვარი სისტემა საუკეთესო საშუალება იყო აბსოლუტიზმის სანინაალმდეგოდ. ძალაუფლება განაწილებული გახლდათ მრავალ პირს შორის, აღრევისა და ურთიერთშეჯახების შანსის გარეშე; და გარდა იმისა, რომ სიმცირე ერთი მმართველის ქვეშ მოქცეული ვასალებისა ნაკლებ შესაძლებლობას იძლეოდა ტირანულ გამოვლინებათათვის, ჰქმნიდა ქმედით საზოგადოებრივ აზრს, რისი ძალაც მეტად დიდია და სასარგებლო, როცა ურთიერთობა მმართველსა და მართულს შორის მეტად შინაურულია. მეტიც — თუ ვინმე ტირანობას მოინდომებდა, მის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ გარკვეული ჯგუფები; ბარონები და დაბალი კლასები ერთიანდებოდნენ მეფის წინააღმდეგ ან მეფე და დაბალი კლასები ერთიანდებოდნენ ბარონთა წინააღმდეგ. ადამიანთა წარმოსახვაში შუა საუკუნეთა ბარბაროსობა ამ სისტემასთან იგივედება; მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ბარბაროსობის წინააღმდეგ უფრო იყო მიმართული, ვიდრე მასში ჩაბუდებული; ისევე როგორც თანამედროვე ბრიტანეთში არსებული ანტიკათოლიკური გაბოროტება დაოკებული უფროა, ვიდრე წარმოქმნილი ბრიტანეთის კონსტიტუციის მიერ.

4. **დედეგაციის** პრინციპში იმას ვგულისხმობ, რომ ძალაუფლება, გარკვეული ვადით, გადაეცემა პიროვნებას, ვისაც დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა, როცა ეს დრო ამოიწურება. ასეთი იყო რომაელი დიქტატორი, დიდი გასაჭირის დროს არჩეული, დროებითი ავტოკრატი. ამგვარადვე, ნებისმიერი არმიის მეთაურს აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება, აკეთოს რაც ნებავს, მანამდე, სანამ მეთაურია; ასევეა გემის კაპიტანიც; ცურვის დასრულების შემდეგ მის ქმედებაზე ინიშნება მოკვლევა და კრიტიკის ქვეშ ექცევა. ამგვარ სისტემას დიდი უპირატესობა აქვს; ამ ხერხით დიდი ადამიანიც გამოდინან ნინ დიდ საქმეთა აღსასრულელად. გამოარჩევ ყველაზე შესაფერის კაცს თვითივე სფეროში, ენდობი, ძალაუფლებას მიანიჭებ, სულგრძელად დაეხმარები შენი ავტორიტეტით, ნებას აძლევ იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ, შესაძლებლობას აძლევ სრულად გამოავლინოს საკუთარი უნარი. შემდეგ განიხილავ მის ნამოქმედარს და ან აჯილდოებ, ან სჯი. არსებითად ასეთია ჩვენში პრესის თავისუფლება; ცენზურა არაკონსტიტუციურია, ხოლო თუ პუბლიკაციები მოუწოდებენ ამბოხებისაკენ, ცილისმამბებლურია ან დემორალიზაციის დამთესი, საკურნავ საშუალებად სასამართლო მოგვევლინება. ესეც დიდი უპირატესობაა, როცა შეგიძლია შეჰქმნა საზოგადოებრივი აზრი და დაამყარო ეროვნული თვალსაზრისი.

სრულიად საპირისპიროა **მონანილეობის** პრინციპი. ამ დროს ხალხი არაფერს უტოვებს მმართველებს, ყველაფერი თავის ხელში აქვს ან უშუალო ინსტრუმენტთა დახმარებით ეუფლება, და ყველაფერში, რაც ხდება, უშუალოდ მონანილეობს. თუ იმოქმედებს ისეთი განწყობილებით, რომ არავინაა სანდო, თუნდაც დროებით, და ოფიციალური თვითიველი აქტი ეჭვიანად უნდა შემოიწმინდოს, ძალაუფლება თავს ვერ დააღწევს დაბნეულობას. იმის ნაცვლად, რომ აღმტებულისაკენ ისწრაფოს, საშუალოსა და უსაფრთხოს სჯერდება. ურჩევნია ერთ დუფინ კაცს ანდოს სამუშაოს შესრულება, ვიდრე ერთს. ეს გახლავთ დიდი პრინციპი სამმართველოებისა და შემსრულებლებისა, პრინციპი შემონმებისა, მეორე აპარატი ამონმებს პირველს და სხვა შემსრულებელს თვალი უჭირავს მეორეზე — ტომი ეხმარება ჯეკს და ჯეკი ელოდება ბილს, ვიდრე შედეგი ჩაიკარგებოდეს საშუალებებში. როგორც ჩანს, ასეთი იყო გერმანული აულიქის საბჭოს სამხედრო მოვალეობათა პრინციპი, თავისდაუნებურად რომ თანამომლობდა ნაპოლეონთან ამ ქვეყანაში მოპოვებული გამარჯვებისას. ასეთია გემოვნების კომიტეტთა დიდი პრინციპი, რომელმაც ეს მშენიერი ქვეყანა არქიტექტურული ურჩხულეობით გაავსო. და რადგან მონანილეობის პრინციპი ახლოსაა აღქმისა და კომპრომისის პრინციპთან (ეს მართლაც საჭირო პრინციპია, რაღაცა ფორმით, მაგრამ დამანგრეველი გადაჭარბებანი ახასიათებს), მეტად ახდენს გავლენას ჩვენს ეროვნულ ხასიათზე. ვიდრე არქიტექტურა ან ქანდაკება, და უშუალოდ მოქმედებდა პოლიტიკის ეფექტურობაზე.

სოციალური კავშირი ალგვითქვამს ორ დიად და საპირისპირო მიდევას, დაცვასა და თავისუფლებას, — ისეთ დაცვას, რომელიც თავისუფლებას არ შეუშლის ხელს, და ისეთ თავისუფლებას, დაცვას რომ არ შეუშლის ხელს. რამდენად შეიძლება ესა თუ ის ერი საიმედოდ იყოს დაცული ერთისა თუ მეორისაგან, განსაზღვრულ ვითარებაზეა დამოკიდებული. რადგან არსებობს მცირე სასაზღვრო ტერიტორიები, რომელთაც სურთ, დიდი მეზობლების ხელში გადავიდნენ და, თავი-

სუფლების დაკარგვის ფასად, ბარბაროსთა თუ მეტოქეთაგან უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, და, აგრეთვე, არიან ქვეყნები, რომელთაც, რაკი გარე საფრთხე არ ამინებთ, თავისუფლების უსაფრთხოებას ჩააბარეს თავი, შეეფარნენ თვითმმართველობის ეჭვიან საქმიანობასა და კონსტიტუციის მეცნიერულ ფორმირებას. და რადგანაც, როცა თავისუფლება ემორჩილება უსაფრთხოებას, ცხენს არ უნდა გაუკვირდეს, კაცი თუ გამათრახებს ან დეზსა ჰკრავს; ასევე, როდესაც უსაფრთხოება არაფრადაა ჩაგდებული თავისუფლების სასარგებლოდ, კაცს არ უნდა გაუკვირდეს, თუ ხარიერმის ბლავილი შეაწუხებს.

ზღვით დაცულმა, იშვიათი ენერგიით დაჯილდოებულმა, თავდაჯერებულმა და აღუშფოთებელმა ინგლისელმა ხალხმა შეძლო მიეღწია უმაღლესი თვითმმართველობისათვის, შეძლო კონსტიტუციაში შეეტანა და სახალხოდ გაეფრცვლებინა მრავალი ფუნქცია, რაც ნებისმიერი ერის დასაცავად იკმარებდა; ისეთ ბრწინვალე, ტრიუმფალურ წარმატებებს მიაღწია, რომ ფიქრობდა, დაუძლეველი არაფერი იქნებოდა, და დრო და დრო ისეთ რამეს შეეჭიდებოდა, რისი მიღწევაც ინგლისსაც კი არ შეეძლო. ასეთი კრიზისი დაგვიდგა ახლა და კონსტიტუცია არ შეესატყვისება ვითარებას. ერთი ნელი გავიდა, რაც დიად ომს ვანარმოებთ ჩვენს კონსტიტუციურ **რუტინას** და წარმატებას ვერ ვაღწევთ. თუ ამ **რუტინას** დავტოვებთ, მეტი შეცდომები მოგვივა საფრანგეთსა და რუსეთთან (რომელთანაც გნებავთ) ურთიერთობაში, და ისინი ამით ისარგებლებენ; თუ შევცვლით, შევცვლით იმას, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც კონსტიტუციაა. ეს დილემა მაიძულებს მშვიდობა ვისურვო ან რომელიმე, ველინგტონზე უფრო დიადი, **Deus e machina**, ვინც ხიფათი უნდა აგვარიდოს. კონსტიტუციურ რუტინას ვერ დავეყრდნობთ.

ხალხი ლანძღავს **რუტინას** და ყველა უბედურებას, რაც ხდება, მას აბრალებს; — მაგრამ ნუთუ შეუძლიათ თავი დააღწიონ **რუტინას**, ისე, რომ კონსტიტუციას არ გასცდნენ? საკითხავი, აი, ეს არის. აღმასრულებლის **რუტინის** ბრალი, ვგონებ, ის არ უნდა იყოს, რომ აღმასრულებელი ყოველთვის ერთი გზით მიდის, — ამ შემთხვევაში სისტემა იქნება დამნაშავე — არამედ ის, რომ ცუდი გზით მიდის, ან ცუდი სისტემით მოქმედებს. ან სისტემა, ჩვენი კონსტიტუციური სისტემა უნდა შევცვალოთ, ან ბრალი არ უნდა ვეძებოთ **რუტინაში**, რაც მის შესაბამისადაა წარმართული. მაგალითისათვის დავუკვირდეთ ახლანდელ საგამოძიებო კომიტეტს პარლამენტისა, რაც ან რუტინული სისტემის სამოქმედო ინსტრუმენტია — და ამიტომ ცუდიდან უარესისაკენ მიგვიძღვის — ან არა, და მაშინ ალბათ დაიწყება რღვევა კონსტიტუციისა. შესაძლოა არსებობდეს კონსტიტუციური ნაკლოვანებანი, რასაც არ მოეძებნებოდეს კონსტიტუციური წამალი, და შესაძლოა სასურველიც არ იყოს წამლობა. ასეთი რამ შეიძლება შემთხვევით მოხდეს თავისუფალ, თვითმმართველ ხალხში.

აღმასრულებელი მსოფლიოს ყველა ერში ერთნაირია; სხვა სიტყვებით, ესაა ერის საქმეთა ადმინისტრაცია; სხვადასხვა ქვეყნებში ადმინისტრაცია სხვადასხვაგვარია არა ბუნებითა და საქმიანობით, არა მიზნებით, ქმედებით ან ფუნქციით, არამედ ხასიათით, იმით, რომ სწრაფია, შემართული, ეფექტური ანდა პირიქით, ანუ — ან ძლიერია, ან სუსტი. ცხადია, რაც უფრო კონცენტრირებულია, ანუ, რაც ცოტა დანაკარგები აქვს და, რაც მარტივი მექანიზმი, მით უფრო ძლიერია, რადგანაც ნაკლებია შესლა-შემოხლა და ძალის ხარჯვა; მეორე მხრივ, რაც უფრო მრავალრიცხოვანია და

ფართოდ გაშლილი მისი მოქმედების ცენტრები, რაც უფრო რთული და წრიული მათი ურთიერთმიმართება, მით სუსტია მექანიზმი. ამრიგად, ადმინისტრაცია ძლიერია, როცა მთელი ერთიანი გამორჩეულ ერთ კაცშია თავმოყრილი; და უსუსტესია, როცა მთელი ერის მონაწილეობითა თუ ჩარევითაა შედგენილი. როგორ ვუშველოთ იმას, რაც თავისთავად ცხადია? თუ ინგლისელი ხალხი ძალაუფლებას მრავალთ ჩაბარებს და არა ცოტას, რა გასაკვირია, თუ მათი ქმედებანი იქნება წრიული, მოუქნელი, ნელი, წყვეტილი და იმედის გამაცრუებელი? და რა არის კარგი, რომ ბრალეულობა აღმოვაჩინოთ რუტინაში? თუ ბოლოს და ბოლოს **რუტინის**, სისტემისა თუ კონსტიტუციის პრინციპია, რაც აფერხებს მექანიზმს? შეუძლებელია ერთდროულად ჭამო კიდეც ნამცხვარი და ხელშიც შეგრჩეს; შეუძლებელია იყო თვითმმართველი ერი და გყავდეს ძლიერი მთავრობა. გაიხსენეთ ველინგტონის შეკითხვა, რეფორმათა ბილით უკმაყოფილომ რომ დასვა: „როგორღა უნდა იმუშაოს მეფის მთავრობამ?“ ჩვენ უკვე ვინწევთ ამ სიტყვის სრულ მნიშვნელობას.

ასეთი ცოცხალი, ცნობისმოყვარე და საქმიანი ხალხი, როგორც ინგლისელია, თავისთავადაა ძალაუფლება, დამოუკიდებლად პოლიტიკური მექანიზმისაგან; სწორედ ამიტომ იეჭვიანებს მეტოქეზე, არ დაემორჩილება ბატონს და იმდენი ძალა აქვს, რომ გაუძლოს ერთს და აიტანოს მეორე. მთავრობა მისი ბუნებრივი მტერია, და მაინც, უიმისოდ ვერ ძლებს, თუმცა რაც შეუძლია აპატარავებს. ინგლისელი ხალხი კრძალავს ძალის თავმოყრას; ამრავლებს თანამდებობას, ართულებს აქტებს და უვნებელჰყოფს ძალაუფლებას იმით, რომ არაფეექტურად გადააქცევს. ინგლისელი ხალხი ზრუნავს, რომ მთავრობა ყველაზე ცუდად მუშაობდეს მის ქვეყანაში არსებულ უამრავ ორგანიზაციას შორის. დესპოტიზმი უფიქრებლად ტოვებს თავის ქვეშევრდომებს, რათა არ აჯანყდნენ; ამგვარადვე, თავისუფალი ხალხი აგონჯებს და ადუნებს თავის მთავრობას, რათა ტირანად არ გადაიქცეს.

ასეთია ადამიანის ბუნება; რაც ძლიერია კაცი, მით უფრო ეჭვიანობს სხვა ძალის მიმართ. პატარა კაცები იტანენ პატარა კაცებს; დიდი ადამიანი მარტოსულ დიდებულებას ესწრაფის. ინგლისელი ერი ღრმად იცნობს საკუთარ თავს; მან იხილა, გამოსცადა, შეაფასა და დაადგინა საკუთარი თავი. წარმოსახა თავი თვისი პიროვნებად და დაარქვა ჯონ ბული. ძვირფასი მეზობელია, როცა არ ეხებებიან, მაგრამ ღიზიანდება, როცა უბრძანებენ ან აიძულებენ; ნებავეს ყველაფერი თვითონ განსაჯოს და დაამტკიცოს; ფიქრიც კი სძაგს, რომ დიდსულოვნად გადააბაროს საკუთარი ინტერესები სხვებს; აბრაზებს იმის დათმობაც კი, რასაც თვითონ ვერ მოუვლის, და ცდილობს იმ გარიგებასაც კი მიემანსოს, რაც მას არ ეხება; ჯამაგირს უხდის თავის ხალხს და ამაცობს მათით, თუ საქმეს კარგად უძღვებიან, ისევე, როგორც მდიდარი კაცი ამაცობს თავისი მალალი ლაქით.

პოლიტიკა სხვა რამეს ასწავლის. თუ გინდა, საქმე კარგად გამოვიდეს, რასაც თვითონ ვერ ალასრულებ, იპოვე საუკეთესო კაცი, ჩააბარე და ენდე ულაპარაკოდ. ინგლისელი საკმაოდ მგრძობიარეა, რომ ამას ვერ მიხვდეს პირად საქმეებში, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში ამგვარი პოლიტიკისა ეშინია. შეკავებისა და უუშეკავების სისტემა ურჩევნია: დაყოფს ძალაუფლებას, იმპერატიულად შეათანაწყოებს განცალკევებულად მდგომ ოფიციალურ პირებს, თვითონ კი ზემდგომად და რევიზორად რჩება — ეს არის მე-

თოდი შეფერხებისა, გადახვევისა, შეჯახებისა, ჩიხისა და სახალხო მოსამსახურეთა ჯენტლმენებად დასახვისა. არ განჩხლდები იმის გამო, რაც აუცილებლად თანმხლებია თვითმმართველობის ამ სისტემისა, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ინგლისელი არ უნდა მოელოდეს, რომ სამუშაო საუკეთესოდ შესრულდება, თუ ამგვარად წარმართება. დუბლირებული ფუნქციონერები ერთმანეთში ურევენ პასუხისმგებლობას; ხოლო ეჭვიანი ბატონი მხოლოდ ფორმალურ, უგულო სამსახურს უნდა დასჯერდეს. განა თქვენს ლაქებს ეყვარებით იმ უფსკრულის გაღმიდან, რაც თქვენსა და მათ შორის გააჩინეთ? და განა მოელოთ, რომ თქვენი მეუჭნავენი და ნავსადგურის ოსტატები წესითა და რიგით მოგემსახურებიან ბალაკლავაში და უხეზად არ დაარღვევენ თქვენს ბრძანებებს და ზანტად არ გაირჯებიან? იმიტომ, რომ მათი თავდადებისა არ გჯერათ და შეცდომებს არ პატიებთ?

ინგლისი მართლაც რომ სამოთხეა პატარა კაცებისა და განსაწმენდელი დიდებისათვის. დაე ნურასოდეს ვიქნები მინისტრი ან მარშალი! ვიქნები პიროვნება, პატივცემული ბრიტანელი, ვიჯდები საკუთარ ციხე-სიმაგრეში, მექნება „ტაიმი“ მსოფლიოს ამბების შესატყობად, კალამი და ფურცელი, რათა დავწერო, გამოვაქვეყნო და მსოფლიო გამოვასწორო. სახელმწიფო სამსახურში მყოფნი ჩემი **მოჯამაგირები** იქნებიან; ისე ვიყენებ მათ, როგორც მომეგუნებება და გაუფრთხილებლად გავათავისუფლებ. რას ბურტყუნებენ ღვანლის დაუფასებლობისა და უმადურობის გამო აბერდინი, გლადსტონი, სიდნი ჰერბერტი, ნიუკასლი? რა ფულს არ ვუხდით? ყოველკვარტალურ რენტას არ იღებდნენ? რაგლანი, ბურგონი, დანდასი? რამე სასარგებლოს ირჯებიან ჩემთვის, მათი ბატონისა და უფლისათვის? ამიტომაც არავითარი სიმპათია და პატივისცემა არ შეგვრჩენია მათი პიროვნების, ღვანლის ან ასაკისადმი, — არად მივიჩნევთ, რომ გვემსახურებოდნენ, რაც შეეძლოთ; არ ვიკითხავთ, რა მოხდაო, თუ რამე შეემთხვათ, და არც არის საგულისხმო, რადგან ისინი კონსტიტუციის წითელი თასმით არიან შებოჭილნი, გულში აქვთ გაყრილი და მიაქვს მათი ენერგია, მანამდე, სანამ მარცხის საფრთხე და შემონმების შიში დააცხრობდეს მათ გამბედავ ბუნებას, და ეს საკადრისი და დიდსულოვანი საქმე მგონია — არა საქმის დასრულების შემდეგ, არამედ გაქანებული კონფლიქტისას — დავიწყო გამოძიების ფორმალური პროცესი და დანაშაულის შესწავლა, არა მალულად, რათა მათი ღირსება არ შევზღალო, არამედ მთელი ევროპის გასაგონად და მთელი მსოფლიოს სასიეროდ — ძირს დავცე, გავლახო ჩემი სახელოსნოს ქარგლები, იმისათვის, რომ წამოდგნენ და უკეთ მემსახურონ.

თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს კრიზისის მართვის ეს წესი თვითმმართველ ერში, ძალზე ძნელი სათქმელია; ორმაგად სამწუხაროა, რომ თავისთავად უსამართლოა და უგუნური. არც ჩემთვისაა კარგი და არც ჩვენს მოსამსახურეთათვის; და უსიამოვნოდ გვაგონდება ათენის ისტორიიდან, რათა მიგვანიშნოს, რომ ასეთი რამ მეტნაკლებად ყოველთვის იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დესპოტიზმი უბრალოდ გააქრობს თავისუფლებას და ეფექტურად დაგვიხსნის მისი ტვირთისაგან.

**ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა**

ელგუჯა თავბერიძე

საყინულა

ანუ
რამდენიმე სიტყვა შალამოვსა
და მის მთარგმნელზე

როგორ შეიძლება ლაგერში კატა დადიოდეს, ვინ დატოვებდა შეუჭმელს?! — წერდა ვარლამ შალამოვი ალექსანდრ სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთ დღეზე“. წერდა და ამით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას — დამწერმა კარგად არ იცის იქაური სინამდვილე, ტუსაღთა ყოფა, ისეთ ლაგერში, სადაც კატას არ ერჩიან, რწყილები და ტილები არაა და სუპს კოვზით ხვრეპენ, ერთი წელი ახლაც სიამოვნებით ჩავჯდებოდიო.

„სანიტნაწილში თავგებიც არასად დაფხაჭუნებდნენ. საგანგებოდ მოყვანილმა კატამ მუსრი გაავლო, თუკი სადმე თავი მოიძევებოდა“ — ეს ალექსანდრ სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღეა“. თავგების მუსრის გაგვლებამდე კატას გაავლებდნენ მუსრს — ეს კიდევ შენიშვნა ვარლამ შალამოვისა, რომელიც, რა თქმა უნდა, მართალი იყო, ჩვიდმეტი წელი კოლიმაზე გაატარა და იქაურობას ზედმინევიტ იცნობდა.

„ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ საბჭოთა სინამდვილის ყინულმჭრელია, მისგან გაჭრილი სიმართლის ზღვაში მერე სხვა გემებიც ჩაუშვებენ ლუზასო, კიდევ აქებდა ვარლამ შალამოვი მოთხრობას, თვლიდა, ეს იყო დიდი ხნის ნალოდინევი სიმართლე, რომლის თქმის გარეშეც ლიტერატურა ვერ წაინვედა წინ.

წერილმანებიც არ ავიწყებოდა:

შუხოვი იატაკის მოწმენდის მერე ჩვარს ლუმელისკენ რომ მოისვრის, ეს იმდენად ზუსტი, ნაღდი და ბუნებრივი დეტალია, მისი შემჩნევა ბარე ორ იქ მყოფსაც შეშურდებოდაო.

ბრიგადირზე ცუდი თანამდებობა ლაგერში არ არსებობს და ეს ცუდი კაცები მთელი სიმართლით ჰყავს ალექსანდრ ისაის ძეს დახატულიო.

მოთხრობაში მართლად ნაჩვენები გლეხური ფსიქოლოგია, შუხოვი გლეხია და ამან გადაარჩინა იქაურ საშინელებებსო.

მაგრამ „ივან დენისოვიჩის ერთ დღეში“ ბლატარები არ არიან, უბლატარო საბჭოთა ლაგერი კიდევ წარმოუდგენელიაო, უფრო საყვედურობდა, ვიდრე შენიშნავდა.

ლაგერში დაშაქრულ (რამდენად ტკბილს, სხვა საკითხია) ჩაის გვასმევდნენ. შაქრის ნატების მთები და ლაგერი ვის გაუგონიაო?! ზენარში პურის დამალვაც არაა იქაური ყოფისათვის ნიშანდობლივი, პურს თუ ზენარში მალავ, ბალოზე თუ გიდევს თავი და მაძლარი ხარ, ლაგერში კი არა, ვერ გაგიგია, სამოთხეში ყოფილხარო.

მერე კიდევ: პაპიროსი და ლაგერიო?! და ასე ჩაყვებოდა წერილმან-წერილმან, რითაც აჩვენებდა, რომ იქაურ ყოფას სოლჟენიცინზე უკეთესად იცნობდა.

ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, მაგრამ რუს კრიტიკოსებს ეს შენიშვნები იმისთვის ჭირდებათ, შალამოვი სოლჟენიცინზე წინ დააყენონ, მისი პროზა უფრო მართალიაო, — განაცხადონ.

ამ აზრს ნაწილობრივ უნდა დაეთანხმო, თუმცა ვარლამ შალამოვს ანტისაბჭოურობით რომ არ გაუთქვამს სახელი, ეს უფრო მოსწონთ ორთა შეჯიბრში პირველ ადგილზე დამსახელებელ რუს ლიტერატურათმცოდნეებს.

ესეც ბუნებრივია.

შალამოვის გამონათქვამებში არის ირონია, თვითდაჯერება იმ კაცისა, რომელიც მსხვერპლი გახლდათ საბჭოთა წყობისა და მასზე ერთხელაც არ დასცდენია აუგი. ამიტომ საყვედურობდა „გულაგის“ ავტორი — არც კალმით, არც სიტყვით კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ უკმაყოფილება არ გამოუხატავსო. არადა, იმ სულისშემხეთველ გარემოშიც შეიძლებოდა აუგის თქმა იმაზე, რაც ხდებოდა. ვარლამ შალამოვი სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი დუმდა და ამ დუმის მსოფლხედვა ედო საფუძვლად, მწერლის კოლიმური მოთხრობების ციკლი იმის შთამბეჭდავი სახეაა, რაც ხდებოდა ჩრდილოეთის ერთ-ერთ მივარდნილ და უკაცრიელ ადგილას, საბჭოთა ლაგერში, ადგილზე, სადაც რუსეთის მეფეებიც კი არ აგზავნიდნენ მსჯავრდებულებს.

ლაგერში არავინ დატოვებდა კატას შეუჭმელს, თორემ ჩრდილოეთის ამ უკაცრიელ ალაგას მივლინებულ გეოლოგებს კატაც ჰყავდათ და ძაღლიც („ძუკნა ტამარა“ და „დათვები“).

იქ, სადაც ადამიანის გარდაცვალებას ორი დღის მერე გაამხელენ, პურის დარიგებისას მისი კუთვნილი წილი რომ მიიღონ, თოჯინასავით ხელს აანევენებენ მიცვალებულს მარიფათიანი მეზობლები და მხოლოდ მაშინ გაამჟღავნებენ სიკვდილს, როცა დამალვა აღარ შეიძლება...

იქ, სადაც წარსულს მისტირებენ, აწმყოს ვერ ეგუებიან, მომავალი სახიფათოა. „ცვლილებებისა იმათ სჯერათ, ვისაც ჯერ არ უნახავს ლაგერი“...

იქ, სადაც ექიმებს ნამდვილი დიაგნოზის დაწერა ეკრძალებოდათ, არ შეეძლოთ ჩაენერათ სიტყვა შიმშილი ავადმყოფობის ისტორიაში, ესაუბრათ მასზე კონფერენციებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. მოკლედ: ლენინგრადის ბლოკადამდე, ალიმენტური დისტროფიის მაგიერ წერდნენ: პოლიავიტამინოზი, პელაგრა, გახდომა დიზენტერიის ნიადაგზე...

იქ, სადაც სატანკო ჯარების ლეიტენანტი სვენიკოვი მორგში კაცის ხორცს ჭამდა — „ამოთლიდა ნაჭრებს, არაცხიმოვანს, რა თქმა უნდა“...

იქ, სადაც უჭმელობის გამო ოთხმოციდან ორმოცდარვაამდე მცირდებოდა პატიმართა წონა, კი არ ცოცხლობდნენ, სუნთქავდნენ...

კატას შეუჭმელს არავინ დატოვებდა...

სოლჟენიცინისა და შალამოვის პროზათა შედარების დროს დეტალების ზუსტად ჩამომქნელი აშკარად სჯობნის სახელგავარდნილ დისიდენტს. ამას დაუმატეთ სინამდვილის უკეთ ცოდნა და იმასაც ირწმუნებთ, ადორნო რომ წერდა, ოსვენციმის მერე ლექსების წერა არ შეიძლებაო, შალამოვი ამბობდა — „კოლიმის მერე ლიტერატურა რადიკალურად უნდა შეიცვალოს“.

ერთი სიტყვით, შალამოვი რასაც წერდა, სიმართლედ მიაჩნდა, და კიდევ, ეს სიმართლე იყო ყველაზე დიდი გმობა და ძაგება საბჭოთა სინამდვილისა.

ამ ორი მწერლის შედარებისას, უპირველესად მათი მსოფლხედვა უნდა გავითვალისწინოთ. სოლჟენიცინს არ

შეიძლო ხმამაღლა არ ეყვირა საბჭოურ უბედურებაზე, შალამოვი დუმდა. პირველმა დისიდენტთა მთელი თაობები აღზარდა, მეორემ მკითხველთა არც ისე დიდ ნაწილს გააგებინა კოლიმური საშინელებანი, რაც თავისთავად საბჭოურ ბოროტებათა ნაწილი გახლდათ.

კოლიმა არამარტო ლაგერი იყო. იქაური ტუსალები საქვეყნო დოვლათს ქმნიდნენ. ფამისტური და საბჭოთა ლაგერი ამით განირჩეოდა — პირველში ადამიანს ფიზიკურად ანადგურებდნენ, მეორეშიც, ოლონდ სიკვდილამდე ლიმონივით გამონურავდნენ. ამის გამო ეძახდნენ კოლიმას — „დახაუ ფეჩების გარეშე“.

ჩრდილოეთის იმ მიუდგომელ ალაგას გამოკეტილ ტუსალებს არც უყვარდათ, არც სძულდათ, უბრალოდ, თვითშენახვის ინსტინქტით მოქმედებდნენ. თუმცა ამ ადგილებშიც ხდებოდა იშვიათი გამონაკლისი — გაქცევა პატიმრებისა. მათგან არცერთი არ დასრულებულა ბედნიერად, ან მოკლეს, ან დაიჭირეს ან თვითონ დაიღუპა თავისუფლების მოყვარული. სოლჟენიცინსა და შალამოვს რომ აჯიბრებენ, იმასაც იხსენებენ — ყველასათვის ცნობილმა მწერალმა 1959 წელს „ივან დენისოვიჩის“ პირველი ვარიანტი „III-854“ დაწერა, ჩვიდმეტი წელი კოლიმაზე მყოფმა „მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელი ბრძოლა“.

ამ ორი მოთხრობის შედარებაც ნათელყოფს, რომელს რისი ჩვენება სურდა, თუმცა პუგაჩოვზე ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

პროზაულ თხზულებებსაც — „შემთხვევა კრეჩეტკოვის სადგურზე“ და „ბერდი ონჟეს“ — ატოლფარდებენ. ორივეში ომისდროინდელი რკინიგზის სადგურის ცხოვრება აღწერილი. პირველში დაპატიმრებული ძველი ინტელიგენტი სტალინგრადს ვერ იხსენებს, ცარიცინიო — გაიძახის, არადა, გაგანია ომის დროს მართლაც ძნელია ვინმეს დავიწყებოდა ეს სახელი, რაც იმას ნიშნავდა, ვერ გაეხსენებინა სტალინი, რასაც ყოველი ფეხის გადადგმისას გაიგონებდა, რომც არ სდომებოდა, დაამახსოვრდებოდა. მეორეში, ორგვერდიან „ბერდი ონჟეში“ ვითომ დაკარგული პატიმრის სახელ-გვარის მაგიერ ბაზარში რუსულის უცოდინარ თურქმენს სტაცებენ ხელს და შეაგდებენ ვაგონში. ეს კაცი იმიტომ იყო დაუცველი, რომ რუსული არ იცოდა, თუმცა საბჭოთა ეპოქაში ვინ იყო დაცული?! აღმოჩნდება, რომ 59-ე პატიმრის ქვეშ ზედმეტსახელი ბერდი ონჟე იგივე ბერდი მიუნერია მემანქანეს. ამან გადარია ბადრაგები. გადათვალეს, გადმოთვალეს და ერთი ტუსალი აკლდათ. რა უნდა ექნათ, ჰკრეს ხელი უდანაშაულო თურქმენ ტომავეს და გაასალეს ბერდი ონჟე-დ.

მეტი გაუგებრობა რაღა გინდა?! კაცი წლების მანძილზე ტყუილად ხეხდა ციხის, თანაც კოლიმის საპყრობილის, კედლებს!

იური ტინიანოვის „პოდპორუჩიკი კიჟე“ უყნინარი ამბავია. პისარის შეცდომამ ამქვეყნად მოავლინა ადამიანი, გვარად კიჟე, წოდებით პოდპორუჩიკი, რომელიც მერე პოლკოვნიკი გახდა.

ბერდი ონჟეს ბედისწერა დამთრგუნველია. იგი გვიჩვენებს, ყოვლისმომცველი წესრიგის პირობებში როგორ ჩნდება უწესრიგობა, რა გასაქანი უპოვია ქაოსს მარწუხებით შეხუთულ გარემოში.


ტინიანოვისა და შალამოვის მოთხრობების აზრობრივი ხერხემალი პარადოქსია, პირველი უფენებელი, მეორე — არამარტო თავისუფლების აღმკვეთი, სიცოცხლის მომსპობიც. ორივე გვეუბნება — ბოლოადა განუკითხაობა ხშირად გადაედება ჩინით, გავლენით, თანამდებობით პატარებს და ისინი წყვეტენ სალტებით შემოზღუდულ გარემოში იმას, რასაც სხვა პირობებში ვერაფრით მოახერხებდნენ.

კოლიმაზე ყველაზე მძიმე ოქროს საბადოებში მუშაობა იყო. ზოგიერთ ადგილებში ერთ დღეს ამუშავებდნენ, შვიდს აჩერებდნენ. არა იმიტომ — დაესვენებინათ, არა, უბრალოდ ფიზიკური ძალა (თუ ასეთი რამ შერჩენოდა საერთოდ) რომ აღედგინა. ამიტომ კოლიმაზე პატიმრები, როგორც სწრაფად ჩნდებოდნენ, ასევე სწრაფად ქრებოდნენ.

შალამოვის მოთხრობებშიც ხშირია ასეთი ამბები: კულაგინი „უკვალოდ გაქრა, როგორც ქრებოდნენ მრავალნი. გაქრა სხვისი გვარით, ლაგერში ნომრად რომ გადაუქეთეს. ნომერი კი ხელახლა შეუცვალეს სხვისი გვარით“ („ექიმ კუზმენკოს ჭადრაკი“).

სოლჟენიცინის „შემთხვევა კრეჩეტკოვის სადგურზე“ მეტ ფიქრს აღძრავს, მაგრამ არა იმ რეალობისა და სინამდვილის განპირობებულს, რომელიც ომისდროინდელი რკინიგზის სადგურის ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი. მოკლედ, ეს უფრო იმის ილუსტრაციაა, რაც მწერალს სურდა რომ ყოფილიყო, „ბერდი ონჟე“ კი მაქსიმალური ადეპტია რეალობისა. ასეთია საერთოდ შალამოვის პროზა: მართალი, ნაღდი, ამიტომ სოლჟენიცინს არამარტო ადარებენ, ამჯობინებენ კიდევ ზოგიერთები. მცირეზე მცირეთათვის ცნობილი, მათ შორის ახლო მეგობრებისთვისაც უცნობი, სიკვდილის მერე უცებ იქცა ყურადღების საგნად, დაჩრდილა ბევრი მეტოქე. იქნებ ის ასორმოცდაათამდე კაციც, ბოლო გზაზე რომ აცილებდნენ, ვერ ხვდებოდნენ, ვის მარხავდნენ, ვის ეთხოვებოდნენ.

შალამოვის გამორჩეულობას სოლჟენიცინიც გრძნობდა, იქნებ მის სიჯიუტესა და გაუტყულობასაც შენატროდა. შალამოვსა და სოლჟენიცინს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, კოლიმური მოთხრობების ავტორმა „არქიპელაგ გულაგის“ თანაავტორობაზე უარი რომ უთხრა. ამა-



ვარლამ შალამოვი

სობაში შალამოვის მოთხოვნების ბეჭდვაც დაიწყო უცხოეთში. პირველად „ნოვი ჟურნალმა“, ავტორის მიუთითებლად, გამოაქვეყნა რამდენიმე თხზულება, მერე ფრანგულად და გერმანულად წიგნად გამოიცა კოლიმური ციკლის 26 მოთხრობა. ლიტერატურათმცოდნეები ირწმუნებიან, რომ შალამოვმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ყველაფერი მანდელშტამის ქვრივისა და მისი მეგობრების „შემოქმედება“ გახლდათ.

პირველ პუბლიკაციას მთავრობის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ როცა 1970 წელს გამომცემლობა „პოსტვის“ ჟურნალმა „გრანი“ დაბეჭდა რამდენიმე მოთხრობა, შალამოვი მაშინვე შეიტანეს მწერალთა „შავ სიაში“.

არც ეს გაუგიაო, ამბობენ.

სიყრუის გამო რადიოს (მითუმეტეს, დასავლურ არხებს) არ უსმენდა.

სურვილიც რომ გასჩენოდა, რადიომიმღებიც არ მოეპოვებოდა სახლში. მასზე დასავლეთში ერთი ამბავი იყო ამტყდარი, მან არაფერი იცოდა. „სოვეტსკი პისატელში“ წიგნის რედაქტორისგან შეიტყო, რაც ხდებოდა ფარდის იქით და აქეთ.

უპირველესად მანდელშტამის ქვრივთან განწყობა ურთიერთობა. მერე დაწერა კიდეც: „ჩემი ნაცნობობა მანდელშტამის ქვრივსა და პინსკისთან იყო მონობა, კლასიკური ხასიათის შანტაჟი“.

ეს არ ემაროდა და ვარლამ შალამოვმა „ლიტგაზეტაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელსაც დღემდე არაერთგვაროვნად აფასებენ. განსაკუთრებით მკაცრნი მის განსჯაში სოლჟენიცინი და მისი აპოლოგეტები იყვნენ. მიიჩნევდნენ — შალამოვმა უკან დაიხია და მოქალაქეობრივი სიძაბუნე გამოიჩინაო.

ამ დროს დაწერა სოლჟენიცინმა: ვარლამ შალამოვი მოკვდაო. „მკვდარმაც“ უპასუხოდ არ დატოვა ყოფილი მეგობრის შეძახილი: „ბატონო სოლჟენიცინო! ხალისით ვღებულვო თქვენს სამგლოვიარო ხუმრობას ჩემს სიკვდილთან დაკავშირებით. დიდი პატივითა და სიამაყით ვთვლი საკუთარ თავს თქვენგან მოკლულ ცივი ომის პირველ მსხვერპლად“.

შალამოვი მოკვდაო. სხვა სიკვდილს გულისხმობდა სოლჟენიცინი. ზოგს მართლა მკვდარი ეგონა, ცოცხალი იყო. მოსკოვში ცხოვრობდა.

მკვდარი ეგონათ და სურდათ კიდეც, ცოცხალი აღარ ყოფილიყო კოლიმური ყოფის ნამდვილი მემკვიდრე.

მოსკოვის ქუჩებში დადიოდა ლოყებაღაჟღაჟებული, ნითური, ნამდვილ ლოთს დამგვანებული ჩოფურა კაცი, რომელსაც მენიერი (მოძრაობის კორექციის დარღვევა) ჭირდა. გაივლიდა გზის რაღაც მონაკვეთს, გაუსხენებდა ავადმყოფობა, წაიქცეოდა, მილიციელები მივარდებოდნენ, მთვრალი ეგონათ სახით და გამომეტყველებით ლოთი შალამოვი.

ათას ფათერაკგადატანილს ამისთვისაც დაეჭირა თადარიგი.

შინიდან ისე არ გადიოდა, თუ ავადმყოფობის ცნობას არ ჩაიდებდა ჯიბეში.

პასპორტზე უფრო ეს ჭირდებოდა. ნამოაყენებდნენ მილიციელები, ერთ-ორ მუჯღუგუნსაც ნაპკრავდნენ, მაგრამ ცნობის ნაკითხვისა და შალამოვის ახსნა-განმარტების მერე მშვიდდებოდნენ. ზოგი ხელსაც ნააშველებდა.

ღვინოს სვამდა კი არა, ჭამითაც არაფერს ჭამდა. ცოტა ნაივეგეტარიანელებდა კიდეც. არც შემწვარ, არც მოხარშულ ხორცს (მითუმეტეს, ხორციან კონსერვს) არ ეტანებოდა. რაღაც თავისებურ დიეტას იცავდა და მას უმადლოდა, რომ ცოცხალი გადარჩა.

დადიოდა მოსკოვის ქუჩებში გარეგნულად ლოთს დამგვანებული კაცი და არავინ იცოდა, ვინ იყო, ვისთან ჰქონდათ საქმე. ის კი არა, სოლჟენიცინსაც მკვდარი ეგონა, ან ეგონა ან უფრო ერჩივნა ასე ყოფილიყო.

ბოლოს ყურსაც დააკლდა, თვალსაც. ხელით ანიშნებდა ჯიბეში ჩადებულ ცნობაზე მილიციელებს. ისინი კიდეც, გული შეაწუხებს, აბა, რა იქნება ამნაირ ლოთსო, და კაი ხანს აწვალდებდნენ.

იდგა შალამოვი, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. გარკვევით ვერაფერს ხედავდა, გუმანით გრძნობდა, რაც უნდოდათ, კანკალით ანიშნებდა გულის ჯიბეზე, არ უჯერებდნენ.

იდგა, არ ესმოდა.

იდგა, ვერ ხედავდა.

მკვდარი ეგონათ. ბოლოს იქნებ თვითონაც ერჩივნა აღარ ყოფილიყო ცოცხალთა შორის, რამეთუ ვერც ვინმეს სცემდა პასუხს, ვერც საკუთარ პრინციპებს იცავდა.

ამასაც ერჩივნა, იმასაც.

თამაზ ნატროშვილს, ვარლამ შალამოვის ჩინებულად გადმოქართულბელს (ამაზე მერე ვიტყვით), თავის წერილში შალამოვის მეგობრის ნაამბობიდან მცირე ამონარიდი მოჰყავს:

„ის იწვა მჭიდროდ მოკუნტული, დაპატარავებული. ოდნავ კანკალებდა. უსინათლო თვალები გახელილი ჰქონდა. სველ ლეიბზე იწვა. ზენარი და საბნისპირი გამოეძრო, დაეკუჭა და ლეიბზევე შეენახა — არ მომპარონო. პირსახოცი ყელზე შემოეხვია. ლაგერის ჩვევები დაბრუნებოდა. საჭმელს ხარბად ეტაკებოდა, ვინმემ არ დამასწროსო. იქაურობა მოსწონდა: აქ ძალიან კარგია, აქ კარგად გვაჭმევენო“.

ასეთი იყო ვარლამ შალამოვი ტუმინოს ლიტფონდის ინვალიდთა და მოხუცთა თავშესაფარში — ლაგერის ჩვევებით, რაც ყველაზე მეტად ჩამკვიდრებოდა გონებაში, იმას აკეთებდა, იმდაგვარად ფიქრობდა, აზროვნებდა, უხაროდა, ლაგერზე უკეთესი კვება რომ იყო. იქნებ მისი ერთი პერსონაჟივით დღისით და ღამით დიდხანს ეძინა, თუ შეეკითხებოდნენ, რატომ გძინავს ამდენ ხანსო, — სულელი ხარ, მე ხომ ძილში ვხედავ, ძილში ბრმა აღარა ვარო, — პასუხობდა.

1981 წელს დეტალურად გამოიკვლიეს და გადანყვიტეს ფსიქიკურად დაავადებულთა ინტერნატში გადაყვანათ. მგზავრობისას ვარლამ შალამოვი გაცივდა, პნევმონია დაემართა და 1982 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა.

მოხუცთა თავშესაფარშიც წერდა ლექსებს, რომლებიც ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნდა და ეს აღმოჩინდა მწერლის ბოლო პუბლიკაცია. თავშესაფარში ყოფნისას პენ-კლუბის საფრანგეთის განყოფილებამ თავისუფლების პრემია მიანიჭა.

ანტისაბჭოურობა არასდროს გაუმჟღავნებიაო, — საყვედურობდა სოლჟენიცინი. ერთი შეხედვით, მართლაც ასე იყო. თუმცა ის ამბავი, რომ ვარლამ შალამოვს ერთხელაც არ დასცდენია აუცი საბჭოთა სისტემაზე, უფრო პარადოქსია, ვიდრე ლოგიკით ნაკარნახევი შეხედულება.

ჯერ იყო და მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის ფაკულტეტიდან, მამის სოციალური წარმომავლობა რად დამალე, ინვალდიაო, დაწერე, მღვდელი ყოფილა სინამდვილეშიო — გარიცხეს. ოცდაერთი წლის იყო შალამოვი ამ დროს, კითხულობდა ყველაფერს, დიუმადან დანყებულს, კანტიტ დამთავრებულს, იყო ნაროდნიკული მოძრაობით გატაცებული, ხიბლავდა მათი სამართლისმოყვარეობა და ბრძოლა მის აღსასრულებლად. საბჭოთა სინამდვილეს წარსული დროის სამართალი არ ჭირდებოდა, მათით იწყებოდა და თავდებოდა ადამიანთა მოდგმა. კიდევ რომ არ გაერიცხათ, ძნელი დასაჯერებელია, ვარლამ შალამოვის მსოფლმხედველობის მქონე კაცი საბჭოთა სამართლით დაინტერესებულყო. მისი რწმენა და მაშინდელი სინამდვილე დიამეტრალურად დაშორებოდა ერთმანეთს. ამიტომ იყო, 1927 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ოპოზიციურ დემონსტრაციაში, რომელიც ტარდებოდა ლოზუნგით, ძირს სტალინი, შევასრულოთ ლენინის ანდერძი, რომ ლებულობდა აქტიურ მონაწილეობას.

ერთი წელიც არ იყო ამ ამბიდან გასული, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში, ჩხრეკისას, იატაქვეშა სტამბაში, „ლენინის ანდერძის“ ბეჭდვისას დააპატიმრეს და ტროცკისტულ ჯგუფში მონაწილეობისათვის, როგორც სოციალურად საშიში ელემენტი, სამი წლით ვიშერის (ჩრდილოეთ ურალი) ლაგერში ჩაამწყვდიეს.

1932 წელს დაბრუნდა მოსკოვში და ხუთი წლის განმავლობაში, მომავალ დაპატიმრებამდე, სხვადასხვა საუნწყებო ჟურნალებში მუშაობდა. მათშივე აქვეყნებდა სტატიებს, ფელეტონებს.

1937 წელს შალამოვი კვლავ ტროცკისტულ-კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის ხუთი წლით დააპატიმრეს და კოლმიაზე გაუშვეს. ხუთეულიც გაილია და ისევ ანტისაბჭოური აგიტაციისათვის, კერძოდ, ბუნინი რუსი კლასიკოსიაო, თქვა, და ათი წელი დაუმატეს. 1951 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ მოსკოვში ჩასვლა აუკრძალეს და 1953 წლამდე ფერმლად მუშაობდა დებინის ცენტრალურ საავადმყოფოში. პატიმრობის დროს, ექიმ-პატიმარ პანტიუხოვის დახმარებით, დაამთავრა საფერშლო კურსები.

შალამოვის პირველი ნოველა „დოქტორ აუსტინოს სამი სიკვდილი“ ჟურნალ „ოქტიაბრში“ დაიბეჭდა 1936 წელს, კოლიმურ მოთხრობების ნერა 1954 წელს დაიწყო. ბუნებრივია, წერდა მომავლისათვის, თორემ იმ დროს მის თხზულებას რომ არავინ გამოაქვეყნებდა, ცხადზე ცხადი გახლდათ.

წერდა იმაზე, რაც ანუხებდა, რაც გადაეტანა. იცოდა, რომ მისი დაწერილი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. მაგრამ ეს გახლდათ პოზიცია მწერლისა, ადამიანის, რომელიც ამ ფორმით ამჟღავნებდა თავის ანტისაბჭოურობას.

პასტერნაკს სწერდა 1956 წელს: „დაბეჭდვის საკითხი ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არა პირველხარისხოვანი. გარდა ამისა, არსებობს მორალური ბარიერებიც, რომელთა დაძლევაც არ შემძლიაო“.

ესეც მართალი გახლდათ.

პასტერნაკთან დაკავშირებული კიდევ ერთი ამბავი გაიხსენოთ:

შალამოვის დედა მინორს მაჟორისაგან ვერ არჩევდა, მაგრამ ნებისმიერი მუსიკის მოსმენისას ცრემლები მოერეოდა და ტიროდა თურმე.

პატრიოტულ, სულისშემძვრელ, ჯაბანს რომ ვაჟკაცად აქცევს, მუსიკას უსმენდა, ტიროდა.

ფაქიზ, სულის უნაზესი სიმების შემარხვევლ ჰანგებს მოკრავდა ყურს, ტიროდა.

სასაცილო და სახუმარო რუსულ ჩასტუშკებს გაიგონებდა, ტიროდა.

გულისმომკვლელ მუსიკაზეც იგივე ემართებოდა, ტიროდა.

მოკლედ, ყოველთვის ტიროდა.

შვილს, ვარლამს რადიომიმღები შეუძენია, უსმენდა დედამისი ხან იმნაირ, ხან კიდევ სხვანაირ მუსიკას და ტიროდა. ამ ამბის გახსენებას ვარლამ შალამოვი პასტერნაკისგან მოსმენილ ამბავს მოადევნებს.

ფილმის რომელიმე კადრი მსხვილი პლანით რომ აჩვენონ, იმწამსვე ცრემლები მომდისო.

არც შინაარსი მაიძულებს, არც სადმე გაგონილ-მოსმენილი, უბრალოდ, ქრონიკაში საკმარისია ცხენი მსხვილი პლანით დავინახო, გული ამომივარდება, ცრემლად ვიღვრებიო.

რატომ?

იქნებ რეალობასთან ყველაზე ახლოს იყო ის მსხვილი პლანი და ამიტომაც განიცდიდა ბორის პასტერნაკი ასეთ-ნაირად. შალამოვის დედა კიდევ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდა, სულ რომ უნდა ეტირა და ევიშვიშა. სხვები ომახიანად, სახეგაბრწყინებულები მღეროდნენ, ეს კიდევ მათი მოსმენისას იღვრებოდა ცრემლად.

შალამოვის კოლიმურ მოთხრობებშიც ყველაფერი ნათლად, ანუ მსხვილი პლანითაა ნაჩვენები.

მას არ შეეძლო დაენერა ის, რაც საკუთარი თვალით არ ენახა, მეტიც, თვითონ არ განიცადა. შალამოვის პროზაში საკმაოდ დიდი დოზითაა დოკუმენტური მოტივი. დოკუმენტურ-ავტობიოგრაფიული, იმავდროულად მართალი.

რუს ლიტერატურათმცოდნეებს შალამოვის ყოველი ნაბიჯი აღუნუსხავთ. მაგადანში წელიწადნახევარი ოქროსა და ქვანახშირის საბადოებში მუშაობდა. ე.წ. „იურისტთა საქმეზეც“ ამ დროს დააპატიმრეს და ჩააყუდეს საგამოძიებო ციხეში, ბუნინის კლასიკოსად გამოცხადებისათვის პატიმრობა ათი წლით რომ გაუხანგრძლივებს, უკვე ვთქვით. მუშაობდა გეოლოგებთან მინის მთხრელად, მერე ტოპოგრაფის დამმარედ. ომის გასრულების შემდეგ ტყისმჭრელად გაუშვეს, რაც ძალიან გაუჭირდა, გაიქცა, დაიჭირეს და ისევ სადამსჯელო ოქროს საბადოებში დააბრუნეს. არც აქ იყო სახარბიელო ყოფა, მაგრამ ტყისმჭრელობას ერჩივნა. ბოლოს თვითონ პატიმარი პატიმართა ფერშალი გახდა. გათავისუფლების მერე იაკუტიაში ფერშლობდა, მოსკოვში წამოსასვლელი ფული რომ დაეგროვებინა. შალამოვი ხშირად ავადმყოფობდა, იწვა საავადმყოფოში, ხანდახან საეჭვოც ყოფილა მისი გამოჯანმრთელება. მოკლედ, ყოველივე ეს იმიტომ ჩამოვთვალეთ, რომ კოლიმურ მოთხრობებში აღწერილი ამბების უმრავლესობა თვითონ გადახდენოდა თავს, ნაწილისა კიდევ უშუალო მომსწრე და თვითმზილველი ყოფილა. კადრის მსხვილი პლანი და დედის მუსიკაზე რეაგირებაც ამიტომ დაუკავშირა ერთმანეთს. იმდენი ენახა, ისე განიცადა, რომ ყველაფრის ფართო პლანით ჩვენება შეეძლო.

გამოგონილი შალამოვთან თითქმის არაფერია, თუმც ამ შემთხვევაში უმთავრესი ისაა, ამ სინამდვილის გამჟღავნება გამხდარიყო შეუძლებელი.

გამბედაობაცაა და გამბედაობაც, შალამოვმა იცოდა, მისი ნაწერები დიდხანს ვერ იხილავდა მზის სინათლეს, მაგრამ წერდა.

ცხოვრობდა შეუმჩნეველად, წერდა მომავლისთვის. კოლიმის კი არა, საკუთარი სულის მემკვიდრე ვარო, — ამბობდა.

ამაშიც მართალი იყო.

მე პოლიტიკოსი არ ვარ, — აცხადებდა და ამით ამონუ-რავდა სათქმელს, თუმცა, როგორც ვთქვით, მისი შემოქმე-დება ყველაზე დიდი მსაჯული, საოცრად მძაგებელი დო-კუმენტი, მსხვერველა იმისა, რაც არსებობდა იმ დროს და რომლის ერთ-ერთი მსხვერპლიც, ათასებთან ერთად, იყო თვითონ ვარლამ შალამოვიც.

* * *

„მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელ ბრძოლაში“ ვარლამ შა-ლამოვი თავისუფლებას ასხამს ხოტბას. გენიალურად შერ-ჩეული კოლიმიდან გაქცევა თითქმის შეუძლებელი იყო, ბადრავებსა და დაცვას თუ დაუსხლტებოდი, მწვანე პრო-კურორი, — ამწვანებული გაზაფხული მოგიღებდა ბოლოს, ზამთრობით კი ტაიგაში მოძრაობა ისედაც არ შეიძლებო-და. ერთი სიტყვით, ბუნებისგანაც, სამყაროსგანაც იზო-ლირებული კოლიმა პატიმართა დასამწყვდევად იდეალუ-რი ადგილი გახლდათ. მაინც გარბოდნენ...

შვიდიათასზე მეტ კაცს უცდია კოლიმიდან გაქცევა, ყველას წარუმატებლად.

გაქცეულთაგან ერთი მღვდელიც ყოფილა (წერდა ერ-თგან: კოლიმაზე რელიგიური ადამიანები იწარჩუნებდნენ ასე თუ ისე ადამიანობას). ალბათ სიკვდილი ერჩივნა იქა-ურ ჯოჯოხეთს. ციხის გარეთაც რწმენამერყეულნი დაბო-გინობდნენ, იქ კიდევ სულ მთლად გადაგვარებულნი.

ზაფხულში, გაქცევისას რომ არ გაცივებულიყავ, ქვაზე გულადმა უნდა დაგეძინა, გვერდზე ხშირად შეტრიალებუ-ლიყავ, თორემ ფილტვების ანთება განაღებული გქონდა, სიცხით დაინვებოდი ნოტიო ტაიგაში.

მაინც გარბოდნენ. გარბოდნენ უმთავრესად ახალმო-სულები, ისინი, რომელთაც ჯერ კიდევ იცოდნენ სიტკბო და გემო თავისუფლებისა. გარბოდნენ გაზაფხულის დად-გომისთანავე...

„მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელი ბრძოლა“ გაქცევის ხოტბა-მეთქი, დავწერეთ ზემოთ და მართლაც ასეა. წარ-მოუდგენელი, უშედეგო მცდელობაა მწერლისაგან გაიდუა-ლებული. გავითვალისწინოთ, გაქცევა სიკვდილს ნიშნავ-და. მაინც გარბოდნენ...

რუს ისტორიკოსებს და ლიტერატურათმცოდნეებს არ და-ვინწყებიათ, მოეძიათ ამბავი, რომელიც შალამოვმა ასახა მოთხ-რობაში. ვილაც იურისტი ბირიუკოვი ფიქრობდა, რომ „მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელ ბრძოლაში“ ტონკონოგოვის გაქცევა უნდა ასახულიყო. ისინიც თორმეტი იყვნენ, თავს დაესხნენ დაცვას, ხელთ იგდეს ავტომატები, ქვემეხი, კომპასი. თუმცა ტონკონოგოვის გაქცევა ბადრავებთან უკმაყოფილების გამო არ მომხდარა, კოლიმამდე ორჯერ ნასამართლევი, მერე „გაპა-ლაჩებული“ ხალხის მხვერტელი ლაგერის ადმინისტრაციას-თან კარგად იყო — ბარაკში პატიფონიც კი ჰქონდა.

„მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელ ბრძოლას“ ტონკონო-გოვის ამბავთან ახლოებს ისიც, რომ გაქცეულებს შორის იყო ტუსალი, გვარად სოლდატოვი. მან სიმთვრალეში ტა-ლინის განთავისუფლების დროს მილიციელი მოკლა, ჯერ

დახვრეტა მიუსაჯეს, რაც შემდეგ ოცნლიანი კოლიმით შე-უცვალეს. მან ტაიგაში იხეტიალა, გაქცევის მერე და თვი-თონ ჩაბარდა — ტონკონოგოვსა და მე სხვადასხვა შეხე-დულება გაგვანდა, მაგრამ პატიმრობა გვერთიანებდაო, უთქვამს ჩაბარებისას. გაქცეულთა შორის მხატვარიც ერია, ეროვნებით უნგრელი, ვინმე რუდენკო, რომელიც გაქცევის მერე ყოველდღიურად დღიურებს წერდა და ხოტბას ასხამდა თავისუფლებას.

ბუნებით რომანტიკოსი რუდენკო იქნებ ფიქრობდა, შთამომავლობას რამეში წაადგებოდა მათ თავს გადახდა-რი ამბები.

დაიჭირეს, სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო და ნლები მიუმატეს. ისევ გაიქცა. მოკლეს.

ასე ჩამთავრდა ეს გაქცევა. თვითონ ტონკონოგოვი მოკლეს. მანამდე კი მანვე ჩაცხრილა დაჭრილი მეგობარი.

ბირიუკოვი იმასაც კი საყვედურობს შალამოვს, აქაო-და, ფაქტები შეგიცვლია, ვითომ ისტორიულ ნაშრომს წერ-და, რატომ გადაასხვავებე ბევრი რამო.

ზოგ ისტორიკოსსა და ლიტერატორს შალამოვის მოთხ-რობაში აღწერილად ის შემთხვევა მიაჩნია, როცა ციხის დაცვას ექესი კაცი დაესხა თავს. მათ შორის ერთი უნგრე-ლიც იყო. გაქცეულთაგან ოთხმა ორმოში გამოიზამთრა. გადარჩა უნგრელი, რომელიც დახვრიტეს.

გაქცეულები სიმკაცრით გამოირჩეოდნენ, არავის და არაფერს ინდობდნენ, ერთმანეთსაც კლავდნენ.

ვალერი ესიპოვი ქართველი ქირურგის ელენე მამუჩაშ-ვილის, რომელიც დებინის ცენტრალურ საავადმყოფოში მუშაობდა და იცნობდა შალამოვს, მონათხრობზე დაყრდ-ნობით ფიქრობს, რომ მაიორ პუგაჩოვის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო პატიმარი, რომელიც გაქცევის მერე დაეჭირათ და საავადმყოფოში მიეყვანათ.

იგი კბილებით გლეჯდა ბამბას ტელოგრეიკიდან, — იხ-სენებდა მამუჩაშვილი. სიარულის დროს კოჭლობდა და ყა-რაული წასვლას რომ აიძულებდა, უკან მოხედავდა ზიზლით სავსე თვალებით და ეტყოდა:

— ნუ მირტყამ, მე ბერლინი ავიღე.

რუს ლიტერატორთა და ისტორიკოსთა უმეტესი ნაწი-ლი იქით იხრება, რომ შალამოვს პირველსაწყისად პოდ-პოლკოვნიკ იანოვსკის გაქცევა უნდა გამოეყენებინა — იანოვსკი უნდა იყოს პროტოტიპი პუგაჩოვისა. გაქცეულ-თა რაოდენობაც ემთხვევა ერთმანეთს, გვარებიც ზოგი უცვლელადაა მოთხრობაში გადატანილი, იანოვსკიც პუგა-ჩოვივით კულტორგი იყო და იგივე სიტყვები უთხრა შე-მონმებაზე ჩამოსულ მაღალჩინოსანს.

პოდპოლკოვნიკ იანოვსკისა და მისი თანამზრახველ-ების უმეტესობა ან ჰიტლერული ან საბჭოთა ან კიდევ ინგ-ლისელთა ბანაკებიდან იყვნენ გაქცეულნი. მათ საკუთარ ზურგზე იწვინეს ომის საშინელებანი, კარგად ხმარობდნენ იარაღს და ა. შ.

გაქცევის სხვა დეტალებიც მსგავსია, ამიტომ სინამდ-ვილეში მომხდარი ეს ამბები პირველსაწყისად უნდა მივიჩ-ნიოთ. მართალია, ბევრი რამ გადასხვავებდა, სახე იცვა-ლა, მაგრამ პუგაჩოვის პროტოტიპი იანოვსკი უნდა იყოს და ამბავიც აქედან იღებდეს სათავეს.

შალამოვის კოლიმური ციკლის ტექსტების დასაწყისში ამბისთვის საჭირო ლაგერული ყოფის დეტალებია გახსე-ნებული.

ამ მხრივ არც „მაიორ პუგაგაჩოვის უკანასკნელი ბრძოლა“ გამონაკლისი.

შალამოვი გარკვევით ეუბნება მკითხველს, რომ მოთხრობაში გამოყვანილი გმირები 30-იანი წლების ჩვეულებრივი პატიმრები, რომლებიც „კვდებოდნენ, მაგრამ რისთვის კვდებოდნენ არ იცოდნენ“, არ იყვნენ. მათ უცხოეთი ჰქონდათ ნანახი, იქაური ჩვევები შეეთვისებინათ, გულადებსა და რისკიანებს „რწმენა მარტოოდენ იარაღისა“ შერჩენოდათ.

მაიორი პუგაჩოვი გერმანელების ლაგერიდან გაიქცა. სატიერთო მანქანით ჯერ მავთულხლართები გადაჯეგა, მერე ახალჩასმული ბოძები ამოყარა მიწიდან, მანქანიდან გავარდა ქალაქში, მერე მიატოვა, ფეხით მიდიოდა ლამ-ლამობით და მიადგა თავისიანებს, რომლებმაც საიდუმლო განყოფილებაში დაკითხეს და ოცდახუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

კოლიმაზე მოხვედრილი პუგაჩოვი კარგად გრძობდა, რომ იგი ქვეყანას აღარ ჭირდებოდა, რომ ვლასოველები მართალი ყოფილან — საბჭოთა კავშირში დაბრუნებისთანავე დაგიჭერენო. მაშინ არ სჯეროდა, ახლა კი, როცა საკუთარ ზურგზე იწვინა მთელი საშინელება საბჭოური ოსვენციმისა, დაიჯერა. ეჭვი ადრეც ჰქონდა, მაგრამ წარმოდგენილად ეჩვენებოდა ის სისასტიკე, რასაც ვლასოველები ყვებოდნენ.

გერმანულ ლაგერებში, საბჭოეთის გარდა, ყველა ქვეყნის ტყვეებს მოსდიოდათ ამანათები. ესენი ყველაფერს იყვინენ მოკლებულნი, ქვეყანა თვლიდა: ტყვედ ჩავარდა, მამასადამე, დანაშაული ჩაიდინა.

პუგაჩოვი პირველად მფრინავ ხრუსტალიოვს გაეცნო გაქცევის თაობაზე. „უთხრა, პატიმრის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობსო. უმჯობესია, რომ იარაღით ხელში მოკვდე, ვიდრე შიმშილითა და კონდახქვეშ მუშაობით გადაღლილს ბადრავათა ჩექმებქვეშ ამოგხდეს სულიო“.

პირველი ხრუსტალიოვი, ბოლო სოლდატოვი იყო. სხვებსაც შესთავაზა პუგაჩოვმა გაქცევა, მაგრამ ბევრმა იუარა. შალამოვი გვეუბნება, რომ ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი გაქცევა, გაქცევამდე რომ არ გამყლავენებულა, ყველამ, ვინც იცოდა განზრახულის შესახებ, მტკიცედ შეინახა საიდუმლო.

მოთხრობა თავისუფლებას ასხამს ხოტბას. თავისუფლებისთვის ღირს ყველაფრის განირვა— შეიძლება საუკუნე იცხოვრო ტყვეობაში, მაგრამ ერთი დღით თავისუფალი ყოფნა გერჩიოს.

„თუკი გაქცევა წარმატებით არ დამთავრდება, იმას მაინც მოახერხებ, რომ თავისუფალ ადამიანად მოკვდე“ — ესაა დედააზრი თხზულებისა.

შეთქმულებმა იციან, სარისკო რომაა მათი ჩანაფიქრის აღსრულება, მაგრამ ამ რისკზე ნასვლა უჯობთ მონობაში სიკვდილს.

„პუგაჩოვი მათ თავისუფლებას შეპირდა. მიიღეს კიდევ თავისუფლება. იგი მათ უძღვებოდა სიკვდილისაკენ. ისინი არ შეუშინდნენ სიკვდილს“.

ისინი ადამიანები მოვიდნენ კოლიმაზე, ადამიანები გაიქცნენ და ადამიანებადვე დაილუპნენ.

ერთადერთი სოლდატოვი გადარჩა. მძიმედ დაიჭრა. უმკურნალეს და მერე სიკვდილით დასაჯეს.

მაიორი პუგაჩოვი გაჭირვებით ჩაძვრა დათვის ბუნაგში, გამოქვაბულის ვიწრო ხახაში და კი არ დალოდებია სიკვდილს... თუმცა მანამდე მის თვალწინ გაიბრინა განვლილ-

მა ცხოვრებამ. მწერალს შთაბეჭდავად და მართლად აქვს დახატული ეს ეპიზოდი (ისე როგორც მთელი მოთხრობა).

არ დალოდებია სიკვდილს... „პირში ჩაიღო პისტოლეტის ლულა და თავის სიცოცხლეში უკანასკნელად გაისროლა“.

შალამოვი გვეუბნება, — თავისუფლება ისეთი სანუკვარი გრძობაა, მისკენ მიმავალს, თუ ვინმე გადაგელობება, უნდა გაანადგურო.

ყველა თავისუფლებისაკენ უნდა ისწრაფოდეს. ყველას ადამიანად ყოფნა უნდა სურდეს, ადამიანი კიდევ თავისუფლების გარეშე წარმოადგენელია.

აი ის, რაც შალამოვზე გვინდოდა ამჯერად გვეთქვა.

ორიოდე სიტყვა მთარგმნელზეც.

იქნებ ვინმემ იფიქროს, შალამოვის პროზა ადვილად გადმოსაქართულებელიაო, სულაც არ არის ასე. ჯერ ერთი, ტექსტი საგრძობლად მშრალია, გრძობისაგანაა დაცლილი და ქართულად გადმოღებისას ეს თვისება თუ არ შეინარჩუნე, შალამოვი აღარ იქნება, და მეორე, ლაგერული ყოფაც არაა ადვილად გადმოსაცემი

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, თამაზ ნატროშვილმა დედნის გარეგნული ასლი კი არა, ბრწყინვალე ორეული შექმნა ქართულად.

ლაგერული ყოფა, ჟარგონი, პატიმართა მეტყველება და ა.შ. ისეა გაქართულებული, რომ ამ ენაზე შექმნილი გეგონება. რამდენიმე მაგალითსაც მოვიყვან იმის საილუსტრაციოდ, თამაზ ნატროშვილი შალამოვის თარგმნისას ტექსტის გულის გულს რომ გრძობდა:

„პოეტი იმდენი ხანი კვდებოდა, რომ უკვე ვეღარ ხვდებოდა, რომ კვდებოდა“ („შერი-ბრენდი“).

„Поэт так долго умирал, что перестал понимать, что он умирает“.

„სიცოცხლე თვითონ შემოდიოდა მასში თავნება დიასახლისივით“ („შერი-ბრენდი“).

„Жизнь входила сама как самовластная хозяйка“.

„კუხნეცოვის ცოლი მინსკის ერთ-ერთ რესტორანში მუშაობდა ოფიციალურად. გაცილებით უმცროსი იყო ორმოცი წლის ქმარზე და 1937 წელს თავისი გადაბმული დაქალის, რესტორნის მეზუფეტის რჩევით ქმარი დააბეზლა, სადაც ჯერ არს“ („ძუკნა ტამარა“).

„Жена Кузнецова была официанткой одного из Минских ресторанов, была много моложе сорокалетнего мужа и в тридцать седьмом году, по совету своей душевной подруги-буфетчицы, написала на мужа донос“.

ეს ციტატა „გადაბმული დაქალისათვის“ მოვიხმეთ.

„ნაზაროვი ორი დღის შემდეგ იპოვეს, გათოშილი ეკიდა იმ კუნძულზე მორბენლის პოზაში და ნაავავადა ბატალურ დიორამაზე გამოსახულ ფიგურას“ („ძუკნა ტამარა“).

„Нашли Назарова через два дня, он висел на этом пне закоченевший в позе движения, бега, похожий на фигуру из батальной диорамы“.

მაგალითების მოხმობა კიდევ შეიძლება.

დამნახავი დანახავს, რაოდენ მაღალი დონის თარგმანთან გვაქვს საქმე. ჩვენ კი შალამოვის დანარჩენი თხზულებების თამაზ ნატროშვილისეული თარგმანებიც მალე გვინდა ვიხილოთ.

რატომღაც გვგონია, მისებრ კარგად ბევრი ვერ შეძლებს ამას.

არ უნდა ვცდებოდეთ.

ნინო დეკანოიძე

პირისპირ — გარდასულ დღეთა

ნინდანინ ჩამორიგდა ბარათები, რომ „ქორთიარდ მარიოტის“ ნვეულეებათა დარბაზში ზვიად კვარაცხელიას ნოველების წიგნის „ყიფლიბანდი“ პრეზენტაცია გაიმართებოდა და ჯემალ კასრაძის მატინანედეცეულ ფოტოებსაც იხილავდა დამთვალეირებელი.

ფოტოკოლაჟით გაფორმებული და ერთი შეხედვით არათვალისმომჭრელი მოსაწვევი შინაარსობრივად მრავლისმთქმელია. ფერადი სიმეტრიული ხაზებით დასერილ შავ-თეთრ ფონზე მუშტშემართული ქართველობა. რა თქმა უნდა, გუშინდელი რეალობა უმალ ამოიკითხება. იქითა და აქეთა მხარე... ეს ახლო წარსული, ჩასაფრებული მოლოდინის გამო, დღესაც სახიფათოა და ლადარში გახვეულ ნაკვერჩხალს ემსგავსება.

...თანდათან დამშვენებული თავისუფლების მოედნის კომპოზიციიდან (ოქროთი მოვარაყებული რაში და მისი მხედარი, რასაკვირველია, არ იგულისხმება) სიამის მომგვრელია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“; მითუმეტეს, როცა შეიტყობ, რომ ქართველი არის არქიტექტორი. შენობის ჭერქვეშ კი, მსოფლიო სტანდარტიდან გამონათებულ ზემიურობაში, ნაანყდებით მყუდრო და მშვიდ სილაამაზეს.

სწორედ აქ, არაჩვეულებრივად სასიამოვნო გარემოში ადრიანად გაელოთ ნვეულეებათა დარბაზის კარი. ფოტოგამოფენის დასათვალეირებლად — მასპინძლობდა ავტორი, თავისი საქმის პროფესორი ჯემალ კასრაძე. ნამუშევრები უფრო თემატურად შეერჩია — XX საუკუნის 90-იანი წლებიდან — ზვიად კვარაცხელიას ნოველების წიგნის შინაარსის შესაფერისად.

მწვანეხალიჩიანი დარბაზის კედლებიდან თვალსაჩინოვდებოდა კონტრასტი — თბილისის ომის შემზარაობა: კოლონებმორღვეული, დაღენილი მთავრობის სასახლე, ტანკადავლილი მომაკვდავი ხეები რუსთაველზე; შორი-ახლო, ჯერ კიდევ ტოტებგაზიდულ დიდრონ ჭადარს ამოფარებთან ახალგაზრდა ავტომატინი ქართველები. ერთერთს თავისი ნერვიულ-დებრესიული მდგომარეობა სხვისი მოკიდებული სიგარეტით მოუნდომებია ჩაეცხრო. დედა უნივერსიტეტის ფართო კიბეზე დატეული გაკერპებული ინტელიგენციის სახელებს ნულარ გამამეორებინებთ, ნულარც იმას, როგორ ბრიალებდა წიგნებზე ცეცხლი. სამნუხაროდ, ისედაც ყველაფერი დამახსოვრებულია.

...ახალი წიგნის წარდგინების საღამო კი ტრადიციულად დაიწყო. ღონისძიებას მოხდენილად წარმართავდა

გამომცემლობა „ინტელექტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მარიკა ბაკურაძე. მის მიერ აღნუსხულ-ჩამორაკრეპებული წიგნებით კიდევ ერთხელ გამომჩნდა ავტორის, ზვიად კვარაცხელიას მწერლური სიმტკიცე და მუყაითობა. რომ ნაყოფიერი შემოქმედებით ის მართლაც რჩეულია. მარიკა ბაკურაძემ შეახსენა აუდიტორიას ქართული პროზის კლასიკოსი ოთარ ჭილაძე როგორი ნდობითა და სიხარულით შეეგება ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენას.

აუდიტორიას იმთავითვე გაენდო მაკა ჯოხაძე, რომ ლელავდა, მის ექსპრესიულ გამოსვლას ისედაც ეტყობოდა გულწრფელი ემოცია. მართალია სიტყვა მოზაიკურ-იმპულსურიც გამოუვიდა, ამავდროულად სრულყოფილად გამოკვეთა ზვიად კვარაცხელიას, როგორც მწერლის, როგორც პიროვნების პორტრეტი. ჯერ საგამომცემლო საქმიანობაზე, მისი როგორც სანდო და გემოვნებიანი რედაქტორის როლზე ისაუბრა. აგრეთვე, გამომცემლობა „ინტელექტის“ მეტად საგულისხმო პროექტებში ზვიად კვარაცხელიას წარმატებულ თაოსნობაზე. შეიძლება ითქვას

ზედმინენით მიმოიხილა მაკა ჯოხაძემ „ყიფლიბანდის“ ყოველი ნოველა. საგანგებოდ მიაქცევინა მკითხველს ყურადღება და გაუშიფრა არ დატოვა წიგნში ჩაკინძული უფაქიზესი დეტალებიც; მეტაფორულად ახსნა კრებულის სახელწოდება. ისაუბრა აგრეთვე მწერლურ მესხიერებასა და იმაზეც, რომ შემოქმედი ადამიანისათვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს; რომ ხელოვანის და კონკრეტულად მწერლის საქმიანობა გამორჩეულია — ეს არის შრომა, როგორც პროცესი მარტოობისა.

საპრეზენტაციო წიგნზე საუბარობა თანდათანობით რეალური ეპიზოდების მოგონებაც მოიყოლია. აი, სამოქალაქო ომის დროინდელი ამბავიც: ერთი ქართველი პოეტი გაენდო და აღშფოთებით უყვებოდა შვილის უგერგილობაზე. აფხაზეთში ნაომარი ყმანვილი თურმე შინ ხელცარიელი დაბრუნებულა და არა ისე, ბევრის მსგავსად, ნადავლით ხელდამშვენებული. რას მიუგებდა მაკა ჯოხაძე იმ სიტყვის ოსტატს, იქამც იყოს, მაგრამ აქ ეგ ზალტირებული დარბაზი მეტისმეტად აფორიაქდა. ისიც კი იკითხეს იჭენეულად, ჩვენ შორის ხომ არ არის ის კაციო. ითხოვნენ ორატორისგან, რომ დაესახელებინა. მაკა ჯოხაძემ კი არ გათქვა.

...თავისი სიტყვის ბოლოს ორატორმა ზვიად კვარაცხელიას ეპითეტისათვის გრამატიკული ხარისხი იცოტავა და მართალი, ნათელი ფრაზით დაადასტურა, რომ „ყიფლიბანდი“ ძალიან ნიჭიერი ადამიანის დანერვილია.

საპრეზენტაციო წიგნის რედაქტორმა ნინო სადღობელაშვილმა თავმდაბლობით გამორჩეული თავისი სიტყვის დასაწყისშივე დასძინა, ზვიად კვარაცხელიას პირველივე მკითხველობა მისთვის დიდი პატივია. რომ „ყიფლიბანდის“ ავტორის ასაკი სულაც არ საჭიროებს შეღავათს.



მწერალი გვთავაზობს რა თავის სამყაროს, იმავდროულად, აჩენს შინაგან სიბრძნეს...

ნინო სადღობელაშვილიმ დაანახებთ აღნიშნა, რომ თავზარდამცემ 90-იან წლებში ჩარჩა მისი თაობის ბავშვობა. ზვიად კვარაცხელიას წიგნი კი დამაჯერებლად რომ აცოცხლებს ამ ეპოქას, მეტი ფიქრისა და მსჯელობისათვის განგვანყობს.

ირაკლი სამსონაძისა და პაატა ნაცვლიშვილის ლა-კონიურ გამოსვლებში გამოიკვეთა: ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, წიგნის ავტორი დასრულებული ოსტატია და ქართული სიტყვის დაუცხრომლად მაძიებელი ქართულ ტკივილს გამოხატავს.

საერთო განწყობის ფონზე, ზვიად კვარაცხელიას წარმატება უსურვა **ჯემალ კასრაძემ**.

ვისაც ნაუკითხავს ნიჭიერი პოეტისა და მთარგმნელის, შესანიშნავი ლიტერატორის **ოქტაი ქაჯუშვილის** ქმნილებანი, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია დარბაისლური ქართულით განწყობილი მისი სიტყვა, დაუჯერებელია ერთგულებითა და სიყვარულით არ განეწყოს ამ ახალგაზრდისადმი. ასე იყო ამჯერადაც. მეგობარსა და თანატოლს მიუ-

ლოცა რა ახალი წიგნი, პირველი შეხვედრაც გაიხსენა, პირველი შთაბეჭდილებანიც მისი მოთხრობების აღმოჩენისას. ამიტომაც უშურველად განაცხადა, რომ ზვიად კვარაცხელია მართალი არის თავის სინდისთან, თავის სამშობლოსთან, და უნოდა მას საქმით მეტყველი მწერალი.

არ იყო უინტერესო **დავით ანდრიაძის** გამოსვლა. მისივე სიტყვებით რომ დავაზუსტოთ — ნარატივი. მიუხედავად იმისა, „ყიფლიბანდი“ რომ წაეკითხა ერთი ამოსუნთქვით, მაინც ამჯობინა დასავლეთში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები გაეზიარებინა მრავალრიცხოვანი აუდიტორიისათვის. მეტი სიბეჯითით წინადადებები ფრანგულადაც მოიშველია.

რახან ზვიად კვარაცხელიამ დასაწყისშივე გადაუხადა მაღლობა საზოგადოებას თავშეყრისათვის, ღონისძიება მოულოდნელადაც კი დასრულდა. ხოლო ისედაც ნაკლები რეპორტაჟიდან გულს რომ არ დაგაკლდეთ, ითქვას სასიამოვნოდ უმთავრესზე — ახალგაზრდა მწერლის ოჯახზე, მის მშვენიერ და სათნო მეუღლე **მაია კუდავაზე**, რომ ზრდისან პატარა ქართველს, **ნიკოლოზს** და დავლათთან კერაზე კიდევ ერთი ვარსკვლავიჭუნას დაბადებას ელოდებიან.

რას სწავლობენ ჩვენი შვილები

„პარბია, კაცმა იცოდეს, რაც არა სჯობდეს, არა სთქვას!!!“

2011/2012 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე, პირველკლასელებს და მასწავლებლებს დაურიგა ნეტბუქები (საბავშვო კომპიუტერები), ე.წ. „ბუქი“, რომელშიც ჩატვირთულია სასწავლო პროგრამები უცხო ენაში, ქართულში, მათემატიკასა და ლოგიკაში, აგრეთვე სხვადასხვა სახელმძღვანელო-სათამაშო-შემეცნებითი პროექტ-პროგრამები: ბუნება, ანბანი, ანდაზა, ჩემი პირველი წიგნი, ლინუქსისა და ვებ-კამერის აქტივობები, გაკვეთილის მართვა, ხატვა, წერა, პრეზენტაციები და სხვა. ნეტბუქი კომპიუტერულ კომპანია Intel-თან თანამშრომლობის შედეგად დამზადდა სპეციალურად საქართველოს სკოლებისათვის. დარიგდა აგრეთვე დამხმარე-საცნობარო სახელმძღვანელო მშობლებისათვის და მასწავლებელთა ტრენინგის მიზნით.

კორპორაცია „ინტელისი“ „ხედვა მოიცავს ტექნოლოგიის სასკოლო კლასებისათვის ისე შემუშავებას, რომ გაიზარდოს მერხებთან ან მცირე ჯგუფებში კომპიუტერის გამოყენების პოტენციალი“... ასევე, შესავალ ნაწილში აქცენტირებულია, რომ „ყურადღებას ვამახვილებთ ინოვაციის შეტანაზე პროდუქტის განვითარებისა და ევოლუციის მთელი პროცესის მანძილზე, რათა მონაწილეებმა, პედაგოგებმა, ადმინისტრატორებმა და მშობლებმა შეძლონ ტექნოლოგიის ინტეგრირება თავიანთ ცხოვრებაში“ (მასწავლებელთა ტრენინგის სახელმძღვანელო, გვ. 3).

შემდგომ შესავალ-საცნობარო წერილში კიდევ უფრო ზუსტადაა დაკონკრეტებული რომ მოსწავლის კომპიუტერის მნიშვნელოვანი დანიშნულება ისაა, „განავითაროს ახალი იდეები, იყოს შემოქმედებითი... მონაწილეობა მიიღოს საკუთარი სწავლის პროცესში და მოუმზადოს უკეთესი მსოფლიოს შენების პროცესში“ (იქვე, გვ. 3).

ვერაფერს იტყვი, მისასალმებელი სურვილია, განაზრახი — შორს მიმავალი, მაგრამ ნიადაგ უნდა გვახსოვდეს: „უკეთესი მსოფლიოს შენების პროცესში“ მონაწილეობისათვის მოსწავლეს საპროგრამო დისციპლინების სათანადოდ შესწავლა-შეცნობის მიღმა სჭირდება ასევე, უცილობლად, საჭირო ზოგადადამიანური ქცევების, უნარების, სათანადოდ დახვეწილი ეტიკეტის, ეთიკის ზოგადი ელემენტების სრულყოფილი თუ არა, მასთან მიახლოებული ზნეობრივ-მორალური, ჰუმანური, ტაქტიანი გემოვნების ელემენტარული დეტალების ამთავითვე გათავისება-გაცნობიერებაც... სხვა არანაკლები საფრთხეცაა გასათვალისწინებელი: შეძლებენ მშობლები კომპიუტერით სარგებლობისას შვილების გაკონტროლებას, მოხმარების დროის შეზღუდვას, ამა თუ იმ პროგრამა-პროექტის აკვარგაიანობის დადგენას?!

ამ თვალთახედვით „ბუქში“ დატანილ-ჩატვირთული განყოფილება — „ანდაზა“ — ზემოთქმულ მომენტს ვერ ითვალისწინებს საჭიროებისამებრ... ვთქვით, „ვერ ითვალისწინებს“... „ვერ“ კი არა, ზოგჯერ სრულიად უგულებელყოფილია ელემენტარული, ადამიანური, ზოგადეთიკუ-

რი მომენტები, რაიც, უპირველეს ყოვლისა, განყოფილების — „ანდაზა“ — შემდგენლისა თუ შემდგენლების უყურადღებობაზე, შერჩევის მიუღებელ მეთოდ-პრინციპებსა და არასათანადო პროფესიონალიზმზეც მიგვანიშნებს...

აქ ხშირია პუნქტუაციაური, ორთოგრაფიული, სტილისტური, ზოგადენობრივი ხარვეზები, მაგრამ ეს ყველაფერი მისატყვებელი „ცოდვაა“. კორექტურისა და უნებლიე, ყურადღების მოდუნების შედეგად მოწეული შეცდომა მოსათმენია, თუმცა ფრიად არასასურველია, რადგანაც შეხება გვაქვს ისეთ სათუთ მომენტთან, როგორცაა დაწყებითი განათლება... რაი ვქნათ, რა ვილონოთ, გავიმეოროთ ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ბავშვებისათვის წერისას ბევრად უფრო მომთხოვნი და პასუხისმგებელი უნდა ვიყოთ?!

არავის ეგონოს, ჩასაფრებულის პოზიციიდან ვსაუბრობდეთ. დაბეჯითებით ვაცხადებთ, მთელი ეს ფართომასშტაბიანი პროექტი — „ბუქი“ — თავისი ყოველგვარი კომპონენტებით, ეჭვს გარეშეა, დადებითი მოვლენაა ჩვენს საგანმანათლებლო სფეროში საყოველთაო განხილვით, რაც კეთდება კიდევ და... სათანადო კრიტიკული (არა ვინროპიროვნული, არამედ მაღალპროფესიული შინაგანი კულტურითა და ეროვნული, ზოგადქართული, კეთილმოსურნე მიდგომით, აღმზრდელობითი სულისკვეთებით მოსილი) განსჯის საგანი უნდა გახდეს... დიდ ილიას დავესესხებით — „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“...

ამდენად, ქვების სროლა არა ხამს!..

ანდაზა პიროვნების გამაკეთილშობილებელი, სანიმუშო, სამაგალითო ფართოპლანიანი ჟანრია ფოლკლორისა და თავისი სპეციფიკურობით, დანიშნულებით ეთიკას ეთანაბრება უწინარეს ყოვლისა. მოვუსმინოთ საბას: „მაგალითი არს, რომლისამე გენებოს ქმნად: ტაძრისა, სახლისა, გინა კარვისა, ანუ ხატთა და ყვავილთა, აჩვენენ და წინა დაუდგა იგი, რათა მსგავსი მისსა ყონ!!“.

„ბუქი“ ამ თვალთახედვით, არცთუ იშვიათად, საპირისპირო, არასანიმუშო ანდაზებითაა გაძედილი. გეგონებთ, სადღაც ერქარებოდათ, მოუსვენს ხელი ყველაფერს და გაუცნობიერებლად „ჩაახვავეს“, ვითარცა საფქვაერ ნედლეული... ეს რომ ნისქვილში მომხდარიყო, შესაძლო, სავარაუდო ახსნაც დაექებნა მავანს, მაგრამ მოზარდთა სულში ეგვევითარი ქმედება არაფრით არ ეგების!

„ბუქისეული“ ანდაზები პირდაპირ, შეუპოვარ, უღმობელ „ბრძოლას“ უცხადებს უხილავთ და უჩინოთ:

„ბრმამ ბრმას დასცინა — ოი, შე ბრუტიანოო!“

„ბრმა ხარს სხვისი მოხნული თავისი მოხნული ჰგონია“.

„ბრმა ქათამს ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრია“.

„ბრმამ ბრმას უთხრა — ჭიტაო“.

„ბრმას ფეხებზე ჰკიდია, თუ სანთელი ძვირია“.

„ანალელე ბრმას, ლამფაში ნავთი უდგას თუ არა“.

გავაგრძელოთ? ვფიქრობთ, საკმაოა! საზოგადოდ, ფიზიკურ ნაკლზე საუბარი კარგ ტონად არ მიიჩნევა... მით უფრო, იმავდროულად, ყველაფერ ამას შესამჩნევი თითქოსდა ნიშნისმომგები ტონალობაც თუ ახლავს, ქილიკურიც კი! თავისმართლება დაიძებნება: „რა გვექნა, თუკი ასეთი ანდაზები არსებობსო...“ საპასუხოდ გაგახსენებთ — განა ყველაფერს თქმა უნდა?...“ ან, სულაც, რა-

კილა სიბრმავეს მივადექით, თვალხილულნო, ჭეშმარიტად ბრძნული და კაცთმოყვარეობითი ანდაზები შეგერჩიათ, ვთქვათ, ასეთნი:

„ბრმა ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესა“.

„ბრმა ლობეს მიადგა, შენს იქით გზა არა მაქვსო...“

ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გადაკეთება-გადამუშავებაც ხამს ზოგჯერ... დიდი მორალისტისა და გონებაგამჭრიახი მოძღვრის, იაკობ გოგებაშვილის ამგვარი ქმედებანი სანიმუშო, სამაგალითო, მისაბაძი უნდა იყოს ნიადაგ!

ნათქვამია: „გემოვნებაზე არ დავობენო“ მერმე რა, კარგია?!. საჭიროცაა და ხან გარემოებაც ითხოვს, თანაც მკვეთრად...

აბა, მიაღვენეთ თვალყური, მოგწონთ ეგვევითარი ნიმუშები:

„კატას ფილტი დაარტყეს და მეც ეგ მინდოდაო“.

„ქალი ქებით გათხოვდება და რძალი ვის უნახავს კარგი?“

„ლამაზ ქალს ფერი არ უნდა“.

„ცოლი გყავს? და გაღმა ერთ კაცს ჰყავსო“.

„ქაჩალს ერთი გიდელი სავარცხელი ახარეს“.

„კატას უთხრეს, შენი ცურცილი წამალია და მინა მიაყარა“.

„ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდა“.

„ახალშემოსულ კიტრსა და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიფდება!“

„ქალი ქმარს იწუნებდა და იყო იმის ამარა!“

„ვინც ცეკვა იცის, კამეჩის ცოხნასაც აწყევბა“...

მავანი იტყვის: „კაცია და გუნებო“... ანდა, შესაძლოა, ესეც თქვან: „რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაიქცაო!...“ კი, ბატონო, არ დაქცეულა, საბედნიეროდ, ისევე ფეხზე დგას, მაგრამ სულიერებას, თანაც მოზარდისას მეტად სათუთი და ფაქიზი მიდგომა სჭირდება, გემოვნების სიფაქიზეც და გემოვნების დახვეწაც!..

ზემოთ სულიერება ვახსენეთ... ანდაზა სულიერების მასულდგმულებელი, მასაზრდოებელი წყაროა... ეგებ მე ვერ ვხვდები, გონებაშეზღუდული ვარ... ვთქვათ და არ დაგეთანხმეთ, მაშინ უმორჩილესად გთხოვთ, ამისხენით, გამაგებინეთ, რა სულიერების მომგვრელ-მომტანია ასეთი ანდაზები:

„ადამიანის პანლური ვირის წიხლზე უარესია“.

„უხეირო ბუზი ფილტვს დააჯდება“.

„ჩვენ ღორს ცხრა ჰყავსო“...

ჰო, სიტყვამ მოიტანა და ღორზე „ბუქში“ საოცრად მკრეხელური შეფერილობის ანდაზა ამოვიკითხე: „იერუსალიმში მიმავალი ღორი მაინც ღორია!“ თუ ვინმე შემეპასუხება, ან რითიმე გაამართლებს ეგვევითარი ანდაზის სასწავლო პროცესში გამოყენებას, მაშინ, ღმერთო, მაპატიე და „ბუქისეულ“ კიდევ ერთ ანდაზას მოვახსენებ: „ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდა!“

ჰა, როგორია?!.

მეტი რაღა გითხრათ... არაფერი!

ანდაზები „ბუქიდან“ ამონერა და ზოგიერთი მოსაზრება დაურთო ოლეგ გოლიაქიძე

ემზარ კვიციანიშვილი

„სვანეთის სორხის“ მეთვალყურე

(დავით წერეთლის
„ორიონის“ გამო)

როდესაც გავიგე, დავით წერეთლის ლექსების წიგნი უნდა განეხილათ, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი, რიგითი წარდგინება.


ცნობილია, როდენ დიდ პატივს მიაგებდა ტიუტჩევის უღრმეს პოეზიას ფეტი, ვისაც იგი „მარადიული სილამაზის მოთაყვანეს“ უწოდებდა და ვისი ლექსების წიგნზეც უყოყმანოდ, ფორმულასავით დანურულად თქვა:

**Вот эта книжка небольшая
Томов премногих тяжелей.**

უმალ ეს სტრიქონები გამახსენდა, როცა დავით წერეთლის ლექსების ხსენებულ, მრავალი ნიშნით გამოირჩეულ მცირე კრებულს ვკითხულობდი და არა მგონია ასეთი პარალელი შემთხვევითი იყოს.

წლების მანძილზე ხელოვნურად გაბერილ, ფუყე სახელებს (საკუთარი თავის განდიდების მონადინენი ახლო წარსულში მრავლად იყვნენ და არც ამჟამად იგრძნობა მათი ნაკლებობა) ადრე თუ გვიან დაჩუტვა მოელის, ხოლო დავით წერეთლის მსგავს ჭეშმარიტ პოეტებს, რომელთა რიცხვი ყოველთვის მცირეა, რაც დრო გავა, ფასი და ელვარება მოემატებათ.

დავხედე თუ არა ამ წიგნის გარეკანს, რომელზეც ვარსკვლავიანი ცაა აღბეჭდილი და სათაურიც წავიკითხე — „ორიონი“ — უმალ თვალწინ დამიდგა ნახევარი საუკუნის წინანდელი ზაფხული, ავვისტო, როცა შოთა ჩანტლაძე და მე დათოს სვანეთის სოფელ ლატალში ვწვიეთ. მაშინდელი შთაბეჭდილება დღემდე არ გამწვანდება (ამაზე დაწერილი მაქვს). ისეთი მკაცრი და გრანდიოზული სილამაზე იმეფებდა მინახავს. ღამლამობით, ეზოში გასული, გაოგნებული ავყურებდი ნისლივით გამომზირალ „ორმის ნახტომს“, შავად მოზიმზიმე უძირო კაბადონს, რომელზეც თითქოს ოქროს თავთავები იყო გაბნეული, გატრუნული, ჩემებურად ვისმენდი „სფეროების მუსიკას“ და შიშაც მიპყრობდა — სად არის ჩაკარგული უკიდევანო კოსმოსში საშინელი სისწრაფით მიმქროლავი ჩვენი პლანეტა?!



დაუფიქრებლად, გულუხვ მასპინძლობას დათოს დედა, დეიდა ია (მიქაძის ქალი) გვინევდა, ვინც არნახული ძალა, ნებისყოფა გამოავლინა, თავისი ერთადერთი ვაჟი ღირსეულად რომ აღეზარდა და იმ პიროვნებად გამოეყვანა, როგორიც დღეს არის. მისი მეუღლე, დიდი მომავლის მქონე, საფუძვლიანი ფილოსოფიური განათლების მქონე ახალგაზრდა კაცი ჯალათებმა შვილის დაბადებისთანავე დააპატიმრეს და უკვალოდ გააქრეს. ქალბატონი ია და დედაჩემი, როგორც მოგვიანებით გავიგე, სტუდენტობის ამხანაგები იყვნენ, დაახლოებით ერთ ბედში აღმოჩნდნენ, ოღონდ დედაჩემს დახვრეტას სასწაულით გადაარჩენილი

ქმარი მაინც დაუბრუნდა გადასახლებიდან, თუმცა მანამდე ათასი ჭაპანწყვეტა გამოიარა.

მე და დათო ერთ სკოლაში ვსწავლობდით ვერაზე (ჩემზე ერთი კლასით უკან იყო) და ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვნახულობდით. ლექსის გემო და მადლი პატარა ბიჭობიდანვე იცოდა და მერე როგორ სრულყო, დახვეწა თანდაყოლილი ნიჭი, ეს ყველასათვის ცხადია. ჯანაშიას (ყოფილი ვარდისუბნის) ქუჩაზე, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა დედა-შვილი, პირველ სართულზე და ძალიან ხშირად ვიყავი მათთან. მახსოვს, ჯერ კიდევ მონაფე, რა სასოებით კითხულობდა დედის მიერ შენახულ, მამის ხელშეწავლებ კუნო ფიშერის ტომებს, ვისი მონოგრაფიიდან გაცილებით უკეთ გაიგებ, მაგალითად, კანტის ფილოსოფიას, ვიდრე ჯიქურ რომ მიადგე, შუბლით მიანვე „წმინდა გონების კრიტიკას“ და კენიგსბერგელი ბრძენის სხვა თავსატეხ ქმნილებებს.

თითქმის ყოველთვის ვიცოდი, რაზე მუშაობდა დათო და ბევრ რამეს ერთ-ერთ პირველს მაკითხებდა. სამოციანი წლების მიწურულს გაასრულა სვანური საფერხულო ლექსებისა და საგმირო ბალადების გადმოქართულება და ეჭვი არ მეპარებოდა, „ირინოლა“ ჩვენი პოეზიის მოვლენად იქცეოდა. ამას მალე მოჰყვა ფრანსუა ვიიონის უბადლო თარგმანი, რომლის საყოველთაოდ აღტაცებულ შეფასებაზე აღარაფერს ვიტყვი. დროდადრო, ასევე უნაკლოდ თარგმნიდა ურთულეს ფრანგ და გერმანულ პოეტებს.

დათოს თარგმანებიდან ზოგიერთი, მისი ძნელად გასატეხი სიჯიუტის გადალახვის შემდეგ, მე თვითონ წამილია რედაქციებში და რედაქტორები მუდამ სიხარულით ბეჭდავდნენ.

მართლაც კოლოსალური შრომა გასწია, გოეთეს გენიალური ტრაგედიის — „ფაუსტის“ — პირველი ნაწილი ასე ვირტუოზულად რომ თარგმნა (საორხელოდ იგი არაფერს აკეთებს); ჩვენმა საზოგადოებამ, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მან ეს უძნელესი, საშვილიშვილო საქმე, რაც შეიძლება მალე დაავიწყდეს.

ერთობ ხანგრძლივი შუალედებით, დავით წერედიანმა თავისი ბრწყინვალე ყველასგან განსხვავებული ლექსებიც გამოაქვეყნა, რასაც შესაფერისი გამოძახილი ჰქონდა. ახლოობები სულ ვეუბნებოდით, კრებული გამოცემა, მაგრამ ვერასგზით ვერ დავიყოლიეთ და მხოლოდ როსტომ ჩხეიძემ შესძლო, მისი სიკერპე დაეძლია, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემულ წინამდებარე წიგნს ალფრთოვანებული წინასიტყვაობა წაუძღვარა.

ამ წიგნში ამაოდ დაუწყებთ ძებნას შეგირდობის კვალს, იგი დიდი ოსტატის ნახელავია და ამავე დროს, სრულიად შეგნებულად, არც ქრონოლოგიის პრინციპია დაცული.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში, ოსტატობის მხრივ, დავით წერედიანის გვერდით ძალზე ცოტა ვინმე თუ დადგებოდა. მას ძირისძირობამდე აქვს ათვისებული მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის გამოცდილება, სრულყოფილად არის დაუფლებული ქართული ლექსის ყველა სახეს, მოსინჯული აქვს ნაირგვარი ხმა და კილო.

იმის თქმაც საჭიროდ მიმაჩნია, რომ იგი ასევე ზედმიწევნით იცნობს რუსულ და ევროპულ პოეზიას, გახლავთ ამ პოეზიათა შედეგების სწორუპოვარი მთარგმნელი, რაც მშვენივრად იციან მკითხველებმა, ამ დარბაზში მსხდომებმა.

ქართველ ლექსმცოდნეებს რაც შეეხება, მათგან გამოვარჩევი თეიმურაზ დოიაშვილს, ვისი ნაშრომებიც ამ სფეროში ეტალონად მიმაჩნია და ვისაც თამამად შევადარებდი დიდი რუსი ლექსმცოდნის იური ტინიანოვის ფენომენს. „არქაისტების და ნოვატორების“ ავტორის დარად, იგი ამა თუ იმ პოეტს პერსპექტივაში, მომავლის ჭრილში ხედავს და არ უჭირს მიხვედრა, შემოქმედების შემდგომ ეტაპზე მისგან რა თვისობრივ სიახლეებს უნდა ველოდეთ. თემურ დოიაშვილს ქართული ლექსის ყველა მიმობრა და თავისებურებანი გაშინავებული აქვს; მისი გამოკვლევები და ესეები შეუმცდარი გემოვნების გამოვლინებად, მისაბაძი პროფესიონალიზმის მაგალითად მესახება.

დავით წერედიანის „ორიონის“ გამოჩენა იმითაც არის სასიხარულო და ძალზე მნიშვნელოვანი, რომ დღევანდელი ქართული პოეზია, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, საველალლო მდგომარეობაშია. ჟურნალ-გაზეთებში მიმოხილული, პოეზიად სახელდებული პუბლიკაციების დიდი უმრავლესობა ყოვლად უვარგისია. ეს არ გახლავთ ერთი ან ორი ლიტერატურული ორგანოს ნაკლი. დამთრგუნველია საერთო ფონი. პირველივე სტრიქონების დაკვირვებით ჩათვალთქვითი შემდეგ, ყოველგვარი სურვილი გეკარგება შემოთავაზებული მასალის ბოლომდე ნაკითხვისა. ეს თანაბრად ითქმის, როგორც ე.წ. ვერლიბრისტებზე, ასევე ტრადიციული ლექსის მომდევრებზე, მაგრამ ამას ახლა ვერ ჩავუღრმავებდით.

„ორიონის“ ავტორს უკიდურესად აქვს გამძაფრებული სრულყოფილებამდე მიყვანილი სილამაზისა და ფორმის გრძნობა, რაც განუმეორებელ მიმზიდველობას ანიჭებს მის პიროვნულ სამყაროს, მრავალთაგან ხაზგასმულად გამოირჩეულ პოეზიას.

ეს მომწუსხველი ძალა, მომხიბლაობა თავიდან ბოლომდე გასდევს პირველსავე უმშვენიერეს ლექსს „თრიმლები“, რომელშიც სახიერად, საგნობრივი სიციხადით, ფერადოვნებით არის გამოვლენილი დავით წერედიანის ერთი უმთავრესი თვისებათაგანი, მინიშნების ხელოვნება. მისი ტონი მუდამ შეუმცდარია ზუსტად მოძებნილი, რაც, ძველთაგანვე, ლირიკის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მაგა-

ლითად ნებისმიერი ნაწყვეტი გამოდგება. დავაკვირდეთ, რა ლალი, თამამია რიტმის მდინარება:

**ალისფერ ნაწნავს, სარკვევ, სარკვევ ორლესულო,
ელევა ბრწყინვა,
თუ დარი დამყვა, გამოლოცვით დავიბრუნებ,
გამონატრებით,
მაგრამ გზად, სანამ ჯადო-სიტყვას დავეძებდი,
დავკარგე, ვინ ვარ,
თვე გამიხდება, კოლხეთისკენ მოცურავენ
არგონავტები.**

რამდენი რამ არის ჩანწული და ჩატეული ორიოდ ფინალურ სტრიქონში, რომელთა გაშლა ცალკე ესეის დაწერის საბაბი გახდებოდა:

**ვინ უთხრას ყმანვილს, არაფერი არ ამხდარა,
ისე ნავიდა,
თრიმლის ტოტია, მოლალურის ძახილია,
ამინდებს იცვლის.**

სრულიად სხვა ლექსია „პასტორალური“, სადაც შორეულად, ძუნწად ისმის ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორის გამოძახილი და ლამეული ქართული სოფლის იდილიური სურათიც იხატება. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს გოეთეს „ტყის მეფის“ ვეება სილუეტიც აქვე ცახცახებს, მაგრამ რაიმე გაელენაზე ლაპარაკიც ზედმეტია:

**კენკრა,
თხილის ფოთოლი,
თამელი,
ძახველი,
დროა დაიძინოთ, პატარებო,
ილევა კანდელი.
დედა, უფლისწულს
რატომ არასდროს არ ჰქვია სახელი?
დედა, მწყემსებმა
საიდან მოზიდეს
ზღაპრები ამდენი?**

პირველივე სტრიქონები ქმნის სასურველ გარემოს. მოულოდნელი არ უნდა იყოს, ამის ნაკითხვისას ლონგფელოს შედეგრი „წმინდა ამერიკულ პოემად“ შერაცხილი „ჰაიავატას სიმღერა“ გაგახსენდეს, სადაც ათას ხმაზე განყობილ შესავალშივე ნათქვამია, რომ ნაირფერ ყვავილთა და ფოთლოვან მცენარეთა სურნელებით გაჟღენთილი ინდიელთა ზღაპრები და თქმულებები ტყეებიდან, გაშლილი მინდვრებიდან, შუალამით მოლაპლაპე ტბებიდან არის მოზიდული.

ასევე მაგონდება გიორგი ლეონიძის განუხორციელებელი რომანის „პატარა ტამალიას“ პროლოგის ერთი ადგილი, „ნატვრის ხის“ დამწერის ჟინიანი ამოძახილი, უმაღლეს პოეზიად რომ აღიქმება და სიყრმისდროინდელ ხალისს გვიცოცხლებს, აქოჩრილი ჭალიდან მობერილი ნიაკივით გველამუნება:

„იცით, რომ გამოცანებისა, შაირებისა და ანდაზების უმეტესობა ტყეშია გამოგონილი მწყემსებისა და მეხრებისაგან, ხოლო სიმღერები კი მინდვრისაა. იცით?!“

ამდგვარი გახსენებები თვით განსახილველი ლექსის ღირსებაზე მეტყველებს. შეიძლება ითქვას, ეს თავისებური იავენანურია. დედისა და დასაძინებლად გამზადებული პატარების დიალოგი ერთმანეთზეა გადახლართული, ცნობისნადილით შეპყრობილი ბავშვების მიამიტი კითხვებით ვერცხლისფრად დაქსელილი. ვნახოთ, რა ექსპრესიულად და ამასთანავე ჰაეროვნადაა შემონერვილი თვალით უნახავი ტყის დედოფლის ხატი:

**ლამაზნი არიან,
თმა — ოქროს შეშლილი ღვარი.
თვალი დაეცემა,
ქრებიან სხვა დარზე ჩნდებიან.
დედა, ლამლამობით
რატომ არ ჩერდება ქარი?
დედა, ვარსკვლავები ვისი ხმებია.**

„მონატრება“ პირველივე სტრიქონებიდანვე გვაგრძნობინებს წელიწადის დროთა ძნელად მოსახელთებელ წარმავლობას, რაც შუქ-ჩრდილებად მოთამაშე ნახევარტონებს, სურათთა ბუნებრივ, ციკლურ მონაცვლეობას ემყარება:

**იმღვრევა ბროლი: გაზაფხულსაც დაეტყო ხანი.
მაინც გულდაგულ იმოსება სამეფო მწვანით,
არაფერს იმჩნევს, ყველა ეჭვი აქვს განდევნილი,
და ისე მოდის, თითქოს, რა და შარშანდელივით
ლამაზი იყოს. ლანქერებად, ლელმებად მოდის.
ხმა იგვივა...
მაგრამ სუფთად ვერ იღებს მოტივს.**

სვანეთის ვარსკვლავიანი ცის შემაკრთობელი სიღრმე და იქაური პეიზაჟების დიდებულება ახლებურად განმაცდევინა „ლემგვანმა“. რამდენიმე განსხვავებული ხედვებით აგებული სტრიქონის ამონერაც კმარა, ამ ლექსში გადახსნილი სივრცეების უსაზღვრო რომ შევიგრძნოთ:

**მონყენა ჩემი დობილია, ვცხოვრობ ნეტარი,
იმედებისგან თავდახსნილი ვენვდები ციაგს.
...
ვცვლი უკანასკნელ სინანულზე ოქტომბრის დამდეგს,
მოღებულ სარკმელს, ორიონის ვერცხლოვან დარანს.**

საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს უნატიფესი, სამაგალითო ოსტატობით დანერვილი, მინანქრის მინიატურასავით ჩამოქნილი ლექსი „ქალსა ვისმე“, რომელიც ფოლკლორიდან, კერძოდ, სვანური მოტივებიდან უნდა იღებდეს სათავეს და ბიბლიურ სახეებთან გადაძახილიც ორგანულად, ძალდაუტანებლად ერწყმის საერთო ტონალობას. თავიდან თითქოს კილო მშვიდია, მაგრამ მალევე იკვეთება ცოლქმრის ჯიბრიან-ქადილიანი გაპაექრება და ბოლოს ერთმანეთისადმი ქიშპს, შეურიგებელ გაუცხოებას ვხედავთ:

**ქალი ცხოვრობდა ბეჭდის თვალში,
ერქვა შრომანი,
ავად შემართავს
მონკრიალე ყელს უსაპირო...
მაგ ელვის კვესვა,**

**ყრილნარბები აშარ-მოშარის,
ქმარს ელიმება —
შენის გიშერს, არა საფირონს.**

აქვე ღიმილს მუქარა ცვლის და უცნაური სურათის მხილველი ვხდებით, თუმცა ამავე სტროფში გაგულისებულ მამაკაცის დანაქადის გაქილიკება თუ გატრიზავება ხდება:

**ხვალვე, დილითვე
სანადიროდ გადავალ ილდისს,
ნახავ,
მთელი თვით მიგატოვო
ღვთის ანაბარა!
კაპარჭის მხარზე დაყრდნობილი
იციინის მშვილდი,
იციინის მელა და იციინის ტოტზე ჯაფარა.**

რიტმს უჩვეულოდ აძლიერებს სამჯერ განმეორებული „იციინის“ და ყველაფერი ერთ ნურტილში იყრის თავს. ამავე დროს მინიშნებაც მკაფიოა; უმაღლესი ცნობილი საბავშვო ზღაპრის პერსონაჟი გაგახსენდება („მელა კი იციინის, იციინის, კვდება სიცილითა“).

კონტრასტი შემზადებულია და ლექსის მეორე, კომპოზიციურად გამმართავ და გამანონასნორებელ ნაწილში დაპირისპირება აშკარად იჩენს თავს. ყველაფერი ნართაულად არის ნათქვამი და ეს სიმძაფრეს აძლიერებს:

**შინდისფერი,
ბინდისფერი,
ალაგ მრეში,
ალაგ მთენი...
— ცოლო, ჩემო მარტის თვეო,
ყინულს დანვავ ცეცხლის ენით...**

არანაკლებ მწვავე და ამავე დროს უფრო პოეტური, თანაც ზამთრის დღესავეთ ნაღვლიანია ბედის მომდურავი, მეუღლით უკმაყოფილო ცოლის გაბასუხება, თავის იავარყოფილ მშვენიერებას რომ მისტირის:

**ქმარო, ჩემო დეკემბერო,
სარეცელზე თოვლი ყრია.
ვაი, ჩემი ვარდის ტანი,
ჩემი პერანგების ია...**

კრებულში ერთ-ერთი უძლიერესია მისტიკური ხილვებით განათებული ლექსი „ფოთოლცვენა“; გარეგნული ეფექტების გარეშეა გამოხატული სტრიქონებში ენით გამოუთქმელის მოქცევის დაუოკებელი სურვილი, მოუნებელი სევდა, რასაც ლაშქვარდში მქროლავ პანია ფრთოსანთან გასაუბრების ფორმა აქვს:

**ჩიტო, რად გინდა ჩემი სული, ყველა ჩქამზე
ხმას იცვლის, ჩიტო,
ა-ა და მეტი არაფერი როგორ გინდა ნისკარტით ზიდო?**

დაახლოებით ასეთსავე განცდას ბადებს „ათინათი“, რომლის პირველსავე სტროფში უცნაური, ამალღებულ სურათები ენაცვლება ერთმანეთს:

**შეშლილი თამრი სარკმლის პირას მეგონა და,
ვხედავ, ცაშია,
ვხედავ, მიფრინავს მოკიფე სულთა თანა,
ლრუბელთა თანა,
აპრილის თვეში, სანამ ჩემი საცოლუა,
მაღავს ხვაშიადს,
მაისის თვეში, სანამ ჩემი დობილია, მიაშობს ნანახს.**

ამ ლექსმა უნებურად ბრეიგელის (იგი დათოს საყვარელი მხატვარია) ერთ-ერთი შედევი „შეშლილი გრეტა“ გამახსენა. ბოსხისეულ კომარებსა და ჯოჯოხეთის აღდაკრულ ხილვებში გახვეული ეს არააქვეყნიური ქმნილება ნიდერლანდების ფოლკლორული ფესვებიდან არის ამოზრდილი, რაზედაც აქ ველარ შევჩერდები, სხვაგან, სხვა გარემოების გამო მომიწევს ამისი თქმა.

„ორიონის“ ავტორი ღრმად არის ჩახედული ძველ ანალებში, საფუძვლიანად იცის საქართველოს ისტორიის ავკარგი (ეს თვალნათლივ ჩანს მის ლექსებსა და პოემის ფრაგმენტებში), გაცნობიერებული აქვს, რამდენჯერ შევცდით გადამწყვეტ მომენტებში, საბედისწერო გზაჯვარედინებზე; არც მომავალი ესახება მთლად საიმედოდ, როცა ტერიტორიების დიდი ნაწილი დაეკარგეთ, რაზეც ხშირად ვწუხვართ. ეს განუზომლად აღემატება ყოველგვარ პირად ტკივილს.

ამ წიგნის ნამდვილი მშვენიერება უბრწყინვალესი, ერთ საზომსა და ერთ ტონალობაზე განწყობილი და მაინც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ლექსებისგან შემდგარი ციკლი „ლაზარე“. პირველსავე ლექსში („ძველი წარწერები“), სადაც დროისგან ფერგადასული ფრესკის მინაწერებს ვკითხულობთ, იგრძნობა ფეოდალური ყოფა, შუა საუკუნეების სუნთქვა, იკვეთება მეფის ურჩი და ძღვევამოსილი რაინდის გოლიათური სახე, ვინაც „სამთავეს ყადრი იცოდა, ცხენის, ქალის და ხმლისა...“ დასანანია ხვედრი შეუპოვარი ვაჟკაცისა, ვისაც „უბით დაჰქონდა დედასამშობლოს მიწა... ასეთი რამ იშვიათობა არ ყოფილა ჩვენს ანწილ, გაპარტახებულ სამშობლოში: „საფლავის ლოდი გადარჩა, თვითონ საფლავი არა“.

ბევრ სხვა რამესთან ერთად, დავით წერედიანი ნიღბების მოხმობის ოსტატია, მარჯვედ იყენებს მათ, ჩამხვდარია „ადამიანური კომედის“ მრავალ წვრილმანს და წარმოსახვით ამოზიდულ ხატებს მორგებული აქვს მისი მეტყველების სამოსელი თუ სამკაული.

რამდენი მამხილებელი, მსუბუქად შეფარული სიმართლის მაცნეა ამ ციკლის ძალზე ღრმა ლექსი „ზახილი“ — გამუსლიმანებული ქართველი მეფის სავალალო ბედუქულმართობა, მისივე მასხარის პირით მონათხრობი:

**შავშამშე, მეფის მასხარა,
ხელგამხმარი და მარლი,
ვამბობ: რაც ქვეყნად ცრემლია,
ობოლ ღიმილად არ ღირს.**

უცნაური, მწარე ღიმილი ახლავს გადაუღებელ წვიმაში („ანვიმს ტახტსა და ტახტრევენებს, ფარებს, ეტრატებს, ქნარებს, სამეფო სარჩელ-საპირეს — ჯვარს და ნახევარმთვარეს...“), გუნებაამოშხამული, საწოთირო მდგომარეობაში მყოფი მეფის ამოხვნიშით ნათქვამს:

**მითხრა: „ის დროა, ხუმარო,
ჩაჩში გიცვლიდე გვირგვინს“.**

მეფისა და მასხარის ადგილების ურთიერთშენაცვლებაში („გადაბრუნებული ქვეყნიერების“ მოტივი, ტრავესტია) საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი სიბრძნე და გამოცდილება ჩადებული. ამ აზრის ცხოველმყოფელობა თავად ვიგრძენი, როცა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ხელისუფალმა ერთი თანამდებობის პირი (განათლებული, კარგი კაცი, ცნობილი მწერალი), ყველასათვის მოულოდნელად, გადააყენა და ცხონებულმა, სახეზე წამონითლებულმა, შესვენების დროს, ვესტიბიულში, ღიმილით უთხრა რიგით კოლეგას — ხომ ხედავ, როგორ წამივიდა საქმე, შენს მარაქაში გამრიეო.

გაბმულ კენესად გაისმის ამ ლექსის ფინალური სტროფი, რაც მთელი წიგნის ლაიმოტივად შეგვიძლია ჩავთვალოთ და რასაც საგანგებო ყურადღება მიაქცია როსტომ ჩხეიძემ თავის შესავალ წერილში:

**ამ ქვაღაცეული ღამიდან,
ამ ბნელეთით და მკვდრეთით,
სხვა რა გააღწევს ნამდვილი,
მწარე ძახილის მეტი.**

ამ წიგნისა და, საერთოდ, დავით წერედიანის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად სამართლიანად ითვლება „ლაზარე“, რომელშიც ზღვრამდე მისული ოსტატობითა და ძალმოსილებით არის ხორცშესხმული ჩვენი უძველესი ხალხური საწესო პოეზიის მოტივები, ბუნების გამოღვიძების მისტიკური ასთან დაკავშირებული გაზაფხულის ფერისცვალება და ყველაფერ ამას უაღრესად თვითმყოფადი იერი აქვს. „გლეხის ბიჭმა ლაზარემ“ შეიძლება გაგვახსენოს სახარებისეული სიმბოლო — ხნულში ჩადებული მარცვლის კვდომა, გაცოცხლების წინაპირობა რომ ხდება, უწყვეტი ჯაჭვი, სიკვდილ-სიცოცხლის თანაზიარობა. იმდენად სახიერი და შთამბეჭდავია მთელი ლექსი, ცალკეული სტრიქონების გამოყოფა ჭირს. შეუძლებელია დავაინყვდეს თუნდაც ეს მეტაფორა: „შენი ღიმილი მიყვარდა, წყვილი პეპელა ქარში...“ მიუხედავად ამისა, ბოლო სტროფი მაინც უნდა მოვიხმო:

**მუხლებზე ხელებდაყრილი
ვზივარ გზისპირას მარტო.
— არ ჩაქრე, მწარე სახმილო,
მაცოცხლებელი დარდო...**

„ძველ სიმღერას“ თავგანწირვის, ვაჟკაცობის გამომხატველი სვანური მოტივი მსჭვალავს; პოეტი მშობლიურ გარემოში იმყოფება; „ირინოლას“ შემოქმედისაგან ეს მოსალოდნელიც იყო. არქაული სვანური სიმღერების დაგუბებული გუგუნი, გამირული სული თავიდან ბოლომდე გასდევს ამ ბალადას.

უზაღო, ცრემლწარევი პოეზიის ნათელითა და ყველგან ჩამწვდომი, მთვარის მომაჯადოებელი შუქით არის მოქარგული „გაზაფხული“ („სამი ასული მცილობდა“), ერთი ამოსუნთქვით დაწერილს რომ ჰგავს და ასევე ლაღად იკითხება.

ქართულ პოეზიაში ცოტა ვინმეს აქვს გათავისებულები და გაშინანებული „ვეფხისტყაოსნის“ იდუმალებით მოცული სამყარო ისე ღრმად, სისხლხორცეულად, როგორც დავით წერედიანს და ამას განსაკუთრებით გამოკვეთილად „სამთვარიო“ მოწმობს:

**შავი სარკე და ხავერდი
არხევეს ხატაურ ფარჩას,
ჩანს ბროლში ყველა ფატმანი,
ვინც მე მიყვარდა, არ ჩანს.**

დღემდე მომყვება ის აღტაცება, რაც განვიცადე, როცა კარგა ხნის წინ დათომ წინამდებარე ციკლის საუცხოო ლექსი „ხომალი“ წამიკითხა, ჩემს თვალში დღესაც ისე ანათებს ეს მაგიური სტრიქონები:

**ზღვა, სადაც ყველა ვარსკვლავი
უკანასკნელად ჩადის...
...
მბზინავი, გრილი, ნელმწვანე,
თრთის გველეშაპის ტანი.**

ანდა როგორ სხვანაირად არის მოქმედი, სრულიად ახალ ბუდეში ჩასმული ძველთაძველი, მწუხარე სიბრძნე, არცერთი მხრიდან რომ არ შემოეფლება და არაფერი ენამლება:

**ერთი კარი აქვს ორივეს —
სიყვარულსა და სიკვდილს.**

მრავლად შემედლო ამომენერა ხალასი, უმაღლესი პოეზიით აღბეჭდილი სტრიქონები მომდევნო სამი საუკეთესო ლექსიდან („კვირიკე“, „იავნანური“, „შერიგება“), მაგრამ ყველაფერი ისედაც ცხადია და არ მინდა საზოგადოება გადავლალო.

უსაზომო სევდა და სილამაზეა დასურათხატებული ციკლის ერთ-ერთ ბოლო და უმშვენიერეს ლექსში „გამოთხოვება“, მინიერ სამოთხესთან, შემოქმედის ყოვლისშემძლე მარჯვენით შექმნილ, თვალისმომჭრელად დაფერილ სამზეროსთან მტკიცეულად თავშეკავებულ გამომშვიდობებად რომ აღიქმება („წამილე, რაც-რა მემართა, ერთი სიკვდილით გიბრი...“).

ბოლო, წერტილის დამსმელ სტროფში გაოცება და ვედრება ერთ სხეულად არის შეკრული, შუქ-ჩრდილის მარადიულ თამაშსაც ჰგავს:

**ნათელო,
თალხო,
ნათელო,
ცრემლო ყოველთა ზედა,
მიჩვენე სახე ნამდვილი,
უკანასკნელად გხედავ...**

სულისშემძრავი ტკივილით არის დანაღმული, სამგლოვიარო ჟღერადობის გამომცემი, მესასავით დაწერილი თავისუფალი ლექსი „მიძღვნა, 1967“, დიქტატორული რეჟიმის ჯოჯოხეთური რეპრესიების ანარეკლად რომ მოჩანს. აქ მთავარ ფიგურად გვევლინება მარტოსული, ღვთისმოსავი ადამიანი, მთელ სოფელში ერთადერთი მონაზონი ევდოტი, ვინც „თხას აძოვებდა ჯაგნარებში... გაუქმებულ საყდართან“ და ერთ დღესაც ბოროტმა არსებებმა გააქრეს, მისი უბადრუკი კერა კი იავარყვეს...

დავით წერეთლის ლექსში ყოველთვის მეტი იგულისხმება, ვიდრე ზედაპირზე დევს, ბევრი რამ სტრიქონებშია არის

ამოსაკითხი. „დედა ევდოტი“ თავიდანვე შესაფერ გარემოს, ნაღვლიან, უნუგეშო ფონს და ასეთსავე განწყობილებას ქმნის, მაგრამ აქ, რამდენადმე მოიარებით, გადმოცემულია უზარმაზარი, მოულოდნელი ტრაგედია. ესაა თავისებური, სისხლსა და ფერფლში გავლებული რეკვიემი უღვთოდ განირუხი საკუთარი მამისა და მასავით უდანაშაულო მსხვერპლთა სულების საოხად, რომელთაც იმდენი ტანჯვა აქვთ გამოცდილი, ყოველგვარი სურვილი დაკარგვით ამ ქვეყნისკენ მობრუნებისა. ისლა დაგვრჩენია, შეძრწუნებულბმა მოვისმინოთ წამებულთა ღაღადისი, ყური დავუგდოთ:

**ყველა მათ —
ვისაც საფლავები არ დარჩენიათ,
ვინც საიდუმლო გვირაბებში
თიხად ჩაგლისეს
ან ვისმა ძვლებმაც
ყინულეთის მიწა მოფინა...
„აჰა, უფალო,
კმა არს ჩვენდა! განსრულდა გვემა!
ან აღარ გვინდა,
ან აღარ გვინდა
ხორციელი აღდგომა მკვდრეთით!**

უცნაური, მრავალპლანიანი ლექსია „ვერისპირული მოზაიკა ალაპის ფონზე, 1977“, რომელშიც მთავარი დატვირთვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ირონიულ ფრაზებზეა გადატანილი. აქ ხელშესახებად არის დახატული გასული საუკუნის ათწლეულების ავისმომასწავებელი ქაოსი, სუროგატების, ყველაფრის ნიველირების, წაშლის ეპოქა, რისი ხატიც ფინალურ სტრიქონებშია ჩანურული. ძალზე მესიამოვნა, რომ ამ სტრიქონთა სიღრმე, დაფარული ქვეტექსტი, თავის ერთ პოლემიკურ წერილში ზუსტად იგრძნო პაატა ჩხეიძემ:

**ნამდვილს ბაძავდა ხილიანის საბრუნთან ვერე
და მთელი წუთი ნამდვილს ჰგავდა მდინარის პირი.**

ასევე სასიხარულოა, რომ „ორიონს“ ამშვენებს სვანური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული გმირის მირანგულას სახე („სვანური მოტივი“) და ეს ბალადაც ისე მკვერივად არის დაჭედული, როგორც მის ავტორს ეკადრება.

წინამდებარე კრებულში ერთადერთი, უნაკლოდ ასხმული სონეტია („ანტიგონე“) და ყველა ჩვენგანისათვის საცნაურია, როგორ მკვეთრად გამოირჩევა იგი იმ ასობით ფსევდო-სონეტისაგან (რამდენიმე ბედნიერი გამონაკლისი აქაც გვაქვს, მაგრამ გვარებს აღარ ჩამოვთვლი), ასე ჯართივით რომ არის დახვავებული და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა. ნამდვილი სონეტის მშვენიერების შესაგრძნობად „ანტიგონეს“ ბოლო ოთხი სტრიქონის მოხმობაც კმარა. ჩვენ ვხედავთ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ ქალს, რომლის გაუტეხელი სახე ანტიკური ტრაგედიებიდან შემოგვეყურებს:

**როგორც ამფორის ნატეხები, ვკრიბე და ვნებე,
ბნელ სტიგმატებად რაც ხატია, რაც არ ხატია.
ჩემი ქალაქის ხელისგულზე დაგეძებს თუბე.
მხოლოდ ნიღბები იცვლებიან, წრე მარადია.**

ჩემი თხოვნა იქნება დავით წერედიანისადმი, ჩაფიქრებული პოემა ფრაგმენტებად არ დატოვოს და ახლო მომავალში გაამთლიანოს. ავტორისეულ პოზიციას სიღრმიდან გვიმხელს, ერთგვარ გასაღებს გვაძლევს ირონიულად შეფერილი, თითქოსდა სასხვათაშორისოდ დაწერილი სტრიქონები:

ვარ მინდობილი კლასიკურ მუზას მცირეოდენი განდაგანათი.

სწორედ ეს „მცირეოდენი განდაგანა“ ასეთ მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს რომ სძენს ამ მეტად მნიშვნელოვან პოეტურ კრებულს. ის ამბავი, რომ იგი ბევრ დროს ანდომებს თვითეულ ლექსს, ნაკლად არ ჩაითვლება. კონსტანტინოს კავაფისს, მსოფლიო სახელის ბერძენ ლირიკოსს სულ ასსამოცი ლექსი დარჩა. ხატოვნად წერენ, რომ იმდენს უტრიალებდა ტექსტს, ვიდრე ლოდი კენჭად არ გადაიქცეოდაო. სხვა მსგავსი მაგალითების გახსენებაც შეიძლებოდა.

„ორიონის“ უბრალო გადაკითხვაც დაგარნმუნებთ, რომ დავით წერედიანის ლექსებში თვითეული სიტყვა თავის ადგილას ზის. აზრი არა აქვს მარცვალთა რაოდენობის დათვლას. ყველაფერი შეუცდომლად არის ანონილ-დანონილი; როცა იგი არათანაბარ სტრიქონებს იყენებს, რიტმის ცვალებადობისთვის ესაჭიროება. მის წიგნში ნამლადაც ვერსად ნაანყდებით გაჯახირებული რითმების „რაკუნს“, რითაც ყურთასმენა წაიღეს სახელს დახარბებულმა ფსევდო-ნოვატორებმა, მხრებზე ქურუმის მანტია რომ აქვთ წამოსხმული. ყველამ კარგად იცის ამნაირთა ვინაობა და აქ აღარ დავასახელებ. რითმის ავ-კარგი ასე თუ ისე გამეგება და პოეტმა კომიკურ მდგომარეობაში არ უნდა ჩაიყენოს თავი, როცა რითმა ხელოვნურად შეკონინებული, ოჩოფეხებზე შემდგარი სტრიქონებიდან ჟანგისანი მავთულივით არის გამოჩრილი.

ასე, ოცდაათი წლის თუ მეტი ხნის წინ დავწერე ირონიული ჟღერადობის ლექსი „კვირადღე ანუ ბიბლიოთეკის გადახარისხება“. დახვეწილმა ლიტერატორმა, ცხონებულმა ნიკო ანდრონიკაშვილმა მითხრა, ჩემი სათქმელიც თქვი, მეც მაგ დღეში ვარო. იქ ასეთი სტრიქონები მქონდა:

რა ვუყო, რომელ თაროზე შევდო — ერთად შეყრილი ამდენი ფსევდო.

გულუბრყვილოდ მეგონა, დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა შემცირდებოდა, მაგრამ შევცდი, პირიქით მოხდა. „გეომეტრიული პროგრესიით“ გაიზარდა წყალწყალა ავტორების რიცხვი. თანაც, არა-შემოქმედებით ენერგიით დატენილ ამ პიროვნებებს ფრიად ეხერხებათ ერთმანეთის კუდის აწევა, როგორც თავადვე ამბობენ — „გაპიარება“.

ღმერთმა ნუ ქნას, ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდები არ გვყავდეს, ოღონდ ისინი თავიანთი თავის აფიშირებას ერიდებიან, მაგრამ ნამდვილი შემოქმედი უსაზრო-

ბაში არ ჩაიკარგება. საერთოდ კი შემჩნეულია, რომ ლიტერატურული თაობების შეცვლა უჩვეულოდ სწრაფად ხდება და ასეთი ნაკადებიდან, წლების მერე, თითო-ოროლა თუ შერჩება მწერლობას, თავისი განსხვავებული ხმითა და ხელწერით დაიმკვიდრებს თავს. არ უნდა დავივიწყოთ გენიალური ფრანგი მოქანდაკის, პოეზიის დიდი მცოდნის და დამფასებლის არისტიდე მაიოლის ნათქვამი, პოეტები ცოტანი არიანო.

საქართველოში, დღესდღეობით, განუკითხაობის ბუმი. დროდადრო გამოგვეცხადებიან ხოლმე ყოვლისმცოდნე გასტროლოგორები (ისინი ნამდვილ პოეზიასთან სათოფეზე არ უნდა მიუშვან), რომლებიც გუნდურუკს უკმევენ თავიანთ „ჯილბებს“. არც მეტი, არც ნაკლები, გვაუწყებენ, რომ საქართველოს მოვევლინა ახალი გალაკტიონი და ყოველად ჩვეულებრივ მელექსეს „არტისტული ყვავილების“ ავტორთან ათანაბრებენ; ინყება ღიმილისმომგვრელი „არტ-მომზადება“ — სხვადასხვა ყალიბის იარაღებიდან ატეხილი ბათქა-ბუთქი; სამწუხაროდ, ასეთ „ცრუ განგაშს“ (სამხედრო ხელოვნებაში დამკვიდრებული გამოთქმა) ზოგჯერ განათლებული ლიტერატორებიც აუბამენ მხარს (არ მინდა ისინი დავასახელო).

ბუქის ხელოვნურად ამყენებლები არც ამას ჯერდებიან და ახალ ბლევს დაახეთქებენ — ამჟამინდელ ქართულ პოეზიაში უმთავრესი, საკვანძო ფიგურა ესა და ეს არისო და პირფერულად ისეთ გვარს ამოატივტივებენ, პერიფერიის კალმოსნად ძლივს გამოდგება. მათი „სოლო-გარღვევების“ წყალობითაა, ასე შემანუხებლად რომ მომრავლდნენ ლიდერობაზე გაქაჩულები, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში სასაცილოზე სასაცილოა.

ყველა ჭკუათმყოფელი ხედავს, რა სიკეთესაც მოგვიტანს ამგვარი ყელყელაობა, მაგრამ ის არამკითხე ხელდამსხმელნი გულმონყალედ არიგებენ ტიტულებს, რანგებს და არ დაგიდევნენ, მათ „ვერდიტს“ ეთანხმები თუ არა. რამდენიმე თვის წინ ერთ მათგანს დავით წერედიანმა მსუბუქად მოუსრისა ყურის ბიბილოები, რაც ყურად უნდა იღონ დანარჩენებმა.

დავით წერედიანს აქვს შთაბეჭდილებათა წლების განმავლობაში შენახვის იშვიათი უნარი. ალბათ ამის გამოც არის იგი თანმიმდევრულად ერთგული მისი უსაყვარლო რილკეს შეგონებისა, რომ პოეტმა შთაბეჭდილებები წლობით უნდა ატაროს და მერეღა აქციოს ლექსად. ამ მხრივ მან თვით რილკესავე გადააჭარბა. აწი ჩვენ ბევრი ლოდინის დრო აღარ გვექნება და „ორიონის“ ავტორმა ადრევე დაძველებული, ლექსად გარდაქმნილი შთაბეჭდილებები ცოტა უფრო ჭარბად უნდა გამოიტანოს მზის სინათლეზე.

ეს უსაყვედურეს კიდეც (ვახტანგ ჯავახიძე). ლექსის გამოქვეყნებაზე როცა მიდგება საქმე, იგი საარაკოდ ხელმოჭერილია, რაც პირადად მე, ცოტა არ იყოს, მესამუშება. ბოლომდე კრიტიკული რომ ვიყო, ვალიარებ, რომ ჩემი ქმედება უფრო გასაკიცხია. შეიძლება ითქვას — მას

სამშაბათს, 10 აპრილს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა
მსახიობსა და რეჟისორთან
გოგი ქავთარაძესთან
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ზედმეტად აქვს დახშული თავისი მამა-პაპური მარჯობის კარი, რის გამოც მკითხველები, მისი ნიჭის თავყვანისმცემლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

მეორე უკიდურესობა თავად შემეხება; საკუთარ თავს იმას ვუსაყვედურებ, რომ ჩემი საცხოვრისი ასევე ზედმეტად მოვალნიოშე, ყურთამდეა გახსნილი — ხშირად და მრავლად ვაქვეყნებ ლექსებს და არც ეს უნდა იყოს მოსაწონი.

დათოს უმაღლეს დონეზე აქვს მონესრიგებული „ნაშლის ხელოვნება“, რაც პირადად მე აშკარად მაკლია. ცალკეული სტრიქონების ვარგისიანობას სხვაზე ნაკლებად არ ვხვდები, მაგრამ ზედმეტ ადგილებს წასაშლელად ვეღარ ვიმეტებ. სხვადასხვა დროს უთქვამს — აქედან რამდენიმე სტროფს თუ ამოიღებ, ნამდვილი ლექსი დადგებაო. მეც მითქვამს ჩემი აზრი მის ამა თუ იმ სტრიქონზე და ვგონებ არ შევმცდარვარ, ჭკუაში დაჯდომია.

ცხოვრებისეული მარიფათი არცერთს არა გვაქვს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ვფიქრობ, ყოველთვის ვიცავდით ერთმანეთის ინტერესებს. გაცნობის დღიდან მუდამ იდეალური სიამტკბილობა არ გვექონია, ხდებოდა მცირეოდენი გაუგებრობანი, მაგრამ დაუბრება ძალზე ცოტა ხანს გაგრძელებულა. ერთ ასეთ გაუგებრობას ვაკვირით გავიხსენებ, რათა ხინჯისგან გავთავისუფლდე.

ამ ორი-სამი წლის წინ (არ ვიცი, რა გუნებაზე იყო), შეიძლება უნებლიედაც, დათომ გული მატკინა. ჩვეულებრივი საუბრისას, არც აცია, არც აცხელა და პირში მომხალა — შენ ისეთი ვინმე ხარ, ნორმალური სტრიქონის დანერგა არავის აპატიებო. რაც მაშინ გავიგონე, სულ ცოტა, უსამართლობას ჰგავდა, იმდენად უადგილო და მოულოდნელი იყო. მბრალდებოდა, რომ შურის თვალთ შევყურებდი სხვათა კარგ ლექსებს. მეგონი მართო ეს ვუთხარი, ცდები-მეთქი. ანკი მასთან ან სხვასთან რა მქონდა თავის გასამართლებელი. მერე ამ „თემას“ აღარ მობრუნებია, მაგრამ მე, ეტყობა, მაინც ჩამრჩა წყენა. მოგვიანებით, ვინრო წრეში, სუფრაზე აღნიშნა, რომ ჩემისთანა კეთილი გული იშვიათად აქვს ადამიანს. ამანაც დამაბნია. ამაზე მეტად აღარ მინდა რაიმე ვთქვა. ყველაფერი მისთვის მიმინდვია — თვითონვე იფიქროს, როდის იყო მართალი.

სხვათა ლიტერატურული ღირსების მთელი სიგრძე-სიგანით თუ სიმაღლით წარმოსაჩენად რაც მე დამიწერია, ვინმე რომ გამომიცემდეს, რამდენიმე ტომი გამოვა, მაგრამ არავის არაფერს ვამადლი, ეს შინაგანი მოთხოვნილება იყო (ბევრჯერ ქებაში კიდევაც ვადამიჭარბებია, ვერ მომიზომავს). სამაგიერო ყურადღება კი არასოდეს მომიტხოვია და, ბევრისგან განსხვავებით, საამისო სურვილი არც მქონია.

ვისაც ახსოვს, სხვისი კარგი ნაწერი ყოველთვის მახარებს (ეს არაერთხელ გამომიხატავს), ცუდი — გუნებას მიფუჭებს (ამაზეც ბევრჯერ დამიჩივლია, მაგრამ განმაქიქებელი კრიტი-

კის საჯაროდ გამოტანას ვერიდები). მალიზიანებს ისიც, როცა რომელიმე, ოსტატობისგან შორს მდგარი, სუსტი ლექსების გათამამებული ავტორი ნამეტანს აქტიურობს, მარჯვნივ და მარცხნივ არიგებს ინტერვიუებს და როყოოდ, უტიფრად მსჯელობს — რა მიმართულებით უნდა წავიდეს ოცდამეერთე საუკუნის ქართული პოეზია. ამაზედაც გაჩუმებული ვარ, ვინაიდან ბრიყვებთან შესაბამელად არ მცალია, თანაც ვიცი, ამას არავითარი აზრი არა აქვს — საბოლოოდ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს.

ერთი რამეც სათქმელია, ხელოვნებაში, მწერლობაში ახალგაზრდობის ფაქტორი ძალზე ეფემერული უპირატესობაა და თუ მარჯვედ, გონივრულად, დროზე არ გამოიყენე, გაზაფხულის ნიაღვარივით, თვალდახელშეა ქრება. გავიხსენოთ, როგორ ელოლიავებოდა და მისტიროდა „მყვირალის“ ამომთქმელი გიორგი ლეონიძე თავის სიჭაბუკეს:

**გადავილიან ღრუბლები,
დაჰყრიან ოქროს ქვიშასა,
წავა ლექსი და წაიღებს
ახალგაზრდობის ნიშანსა...**

ისიც საკითხავია — ვისი ლექსია უფრო გამძლე, ახალგაზრდული — ხნიერი, შეუმცდარი გემოვნების მქონე ნამდვილი ოსტატის, დაბადებითვე შემოქმედის თუ მოჩვენებითი, ფშუტე ნოვატორობით ატაცებული ყმანვილისა? ლექსს გულის სისხლი სჭირდება და არა ლიმფა.

ხშირად წერენ, თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები უბრწყინვალესმა ნიდერლანდელმა პორტრეტისტმა ფრანც ჰალსმა ოთხმოც წელს გადაშორებულმა შექმნაო და ასეთი შემთხვევები მხატვრობაშიც და მწერლობაშიც ერთეულები როდია.

ოთხმოც წელს ბევრი უკლია დავით წერედიანს და იმედი გვაქვს, მისი უბერებელი, მრავალმხრივი ნიჭის გამონაშუქი კვლავაც ბევრჯერ მოგვგვრის სიხარულს.

დასასრულ კვლავ მინდა ვთქვა — განსხვავებული, საპირისპირო ხასიათების მიუხედავად, საერთო მიდრეკილებები და მიზნები ყოველთვის მეტი გვაქვს, ამ განსხვავებას ხელი არ შეუშლია, ადრეული სიყმანვილიდან ერთად ვყოფილიყავით და აწი რა ღმერთი გავვიწყრება, ერთმანეთი ძველებურად არ გვიყვარდეს.

ჩემმა ბალობის მეგობარმა ესეც მინდა იცოდეს — შეუდარებელი, მართლაც რომ ზღაპრული კუთხის უღირსეულესი შვილი და ასეთივე პოეტია, მის მრავლისგადამტან სხეულში ჯერაც დაუხარჯავი ძალები ბრუნავს; დაუჩოქებელი წინაპრების, გურმანის და ჭოხანის შთამომავალს, ცაში ამაყად ავარდნილი უშბისა და შხელდის უდრეკლობა მოსდგამს, უბატონო „სვანეთის ხორხი“ არა მხოლოდ „ვირველი ვადით“, სამარადღეამოდ მისი საპატრონო და მოსაველეია.



ნინო ვახანია

მიუსაფარი სულის ღაღადი

გადის დრო, იცვლება ეპოქები, მასთან ერთად იცვლება ადამიანი, მაგრამ ხდება კი უკეთესი, ვიდრე გუშინ (საუკუნეების წინათ) იყო? ტექნიკური პროგრესი, ცივილიზაცია, რევოლუციური გარდაქმნები თუ სხვა როგორ მოქმედებს ადამიანის შინაარსზე, მის ბუნებაზე, ღვთისგან ბოძებულ სულზე? — ეს მარადიული და საჭირობოროტო კითხვები ანუხებს ირაკლი ქასრაშვილსაც, რომელიც თავის განცდილს, ნაფიქრ-ნააზრევს, წარმოსახულს მომხიბლავი, მიმზიდველი ფორმით უზიარებს მკითხველს წიგნი „რეპეტიცია“ (გამომცემლობა „პეგასი“, რედაქტორი — ლია მესხია). ამ კრებულში ხუთი მოთხრობა და ერთი პიესაა დაბეჭდილი. სხვადასხვა ამბავს, სიუჟეტს, განსხვავებულ პერსონაჟებს, სიტუაციებს, ხასიათებს ერთი ძარღვი, ერთი სათქმელი კრავს და აერთიანებს. მათი მთავარი თემა (როგორც ყველა მხატვრული ნაწარმოებისა) ადამიანია, მისი რაობა, მიზანი და დანიშნულება.

პერსონაჟები უმეტესად ჩვენი თანამედროვენი, ჩვენი ნაცნობები არიან. მათი მეტყველება რეალურობის, ნამდვილობის განცდას ბადებს. მწერალი ყრიდება, ერთი მხრივ, ჟარგონისა და ბილნსიტყვაობის გამოყენებას (რაც ერთგვარ მოდადაც კი იქცა თანამედროვე ლიტერატურაში) და, მეორე მხრივ, არც არქაული მეტყველებით ან სხვა მანერულობით ტვირთავს ტექსტს. კარგად ჩანს ავტორის ფართო განსწავლულობა და სასიამოვნოა, რომ ეს არ ამძიმებს მხატვრული ნაწარმოების აღქმას. ამ მოთხრობებში ყველაფერი ბუნებრივია, ლოგიკური, სიუჟეტის განვითარებას ემსახურება და არა მკითხველის დაბნევას თუ მის წინაშე ნაკითხობით თავის მოწონებას. მაგალითად, როცა ირაკლი ქასრაშვილი ჩვენებურ „ბირჟას“ აღწერს, დაასკვნის: „ბირჟის ფენომენი ჯერ კიდევ ელის თავის ჟამთაღმწერელს, რომელიმე გრიშაშვილს, გილიაროვსკის ან ვაშინგტონ ირვინგს. შესაძლოა დიკენსსაც კი, რომელიც ლიტერატურულ გასაღებს მოარგებს აქ გათამაშებულ დრამებსა და ბობოქარ ვნებებს“. შეფარულ ირონიას გადასწონის რამდენიმე მწერლის ერთად ხსენება, რაც მკითხველზე დამთრგუნველად არ მოქმედებს იმიტომ, რომ ეს ჩამონათვალი თვითმიზანი კი არ არის, არამედ ამბავმა, კონტექსტმა, კერძოდ, „ბირჟამ“ მოიყოლა. ასეთი ადგილები წიგნი ბევრია და ყველგან „თავის ადგილას ზის“.

კრებულის პირველი მოთხრობა „აუტოდაფე“ დიალოგიურ ინწყება. მეზობლების საუბარი თითქოს ჩვეულებრივი, ყოველდღიურია, ამავე დროს —საინტერესოც და ჯერ არ ვიცით, მაგრამ ვგრძნობთ, რომ — სიუჟეტისთვის მნიშვნელოვანი. მწერლური ოსტატობა ვლინდება იმით, რომ მკითხველს ინტერესი თავიდანვე აღეძვრის და ნაწარმოების გასრულებამდე ერთგვარად დაძაბულია, მოთხრობის სამყაროსაა მიჯაჭვული. ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ შეფარული სიამაყით ნათქვამი — მე მარტო ქართული წიგნები მაქვსო, — ჩვენი თანამედროვე ყოფისთვის ნიშნული

ფრაზაა და ცრუპატრიოტიზმის სახიერი გამოვლენა. კი, შეიძლება ადამიანს მარტო ქართული წიგნები ჰქონდეს (ან სულ არ ჰქონდეს წიგნები), მაგრამ ეს მხოლოდ სინანულს უნდა იწვევდეს. ხოლო ამით თავმოწონება, თუ თავის ნამდვილ სახელს დავარქმევთ, უბრალოდ, გაუნათლებლობა, უკულტურობა, სნობიზმია. პერსონაჟის შესახებ წარმოდგენა უკვე შეგვექმნა და ჩვენს შეხედულებას კიდევ უფრო ამყარებს მთხრობელის ფრაზა: „როცა გელაპარაკება, პირდაპირ კი არა, გვერდულად გიყურებს და თან ზემოდან“. პორტრეტი დასრულებულია, ხოლო შემდეგი ინფორმაცია: „ახლახან გავიგე, მერიის რომელიღაც სამსახურში დაუწყია მუშაობა“, — არ ვიცი, ირონიას თუ ნატურალიზმი.

შეინარჩუნა თუ არა წიგნმა ჩვენს დროში თავისი ფუნქცია, კითხვობენ თუ არა დღეს წიგნებს, ხომ არ შეცვალა წიგნი კომპიუტერმა — დაახლოებით ასე ისმის საკითხი და განიხილება ყველასათვის ნაცნობი თემა ბირჟაზე შემდგარ იმპროვიზებულ „თოქ-შოუში“. განხილვის მონაწილეთა მიერ დასახელებული ბოლოს ნაკითხული ორიოდ წიგნი ეპოქის ნიშნითაა აღბეჭდილი და საზოგადოების ინტერესს, საერთო ტენდენციებს გამოხატავს: ქართულ-ინგლისური სასაუბრო და წიგნი სტალინზე — ან ძველის განუზომელი და გაუაზრებელი ნოსტალგია, ან ასევე გაუაზრებელი სწრაფვა ახლისკენ, თითქოს მათ შორის არაფერი არ არსებობდეს.

ხალხის სახელით მოლაპარაკე დემაგოგებმა, არ ჩანს, კონკრეტულად ვინ, ვილაცამ — საზოგადოდ „ჩვენ“ — გადაწყვიტა, ზედმეტი წიგნებისაგან იხსნას ტანჯული მოსახლეობა — დაწვას, გაანადგუროს უვარგისი და როგორც ჩანს, მათი აზრით, მავნე წიგნებიც. მაგრამ, მაინც, რომელი? გაინტერესებთ, რა პრინციპით არჩევენ დასაწვავ წიგნებს? — უმარტივესად. „დიდი პატრიოტები“ მხოლოდ ქართულ წიგნებს არ იმეტებენ, მარტო უცხოელი ავტორების წიგნებისგან ათავისუფლებენ მოსახლეობას, რა თქმა უნდა, მათზე ზრუნვის საბაბით. აბსურდია? გარკვეული აზრით, კი, მაგრამ თუ გავიხსენებთ ზოგიერთი თანამედროვე ჩინოვნიკის წიგნიერებას და დამოკიდებულებას, განსაკუთრებით, რუსული ლიტერატურის მიმართ, მაშინ მოთხრობაში აღწერილი სიტუაცია რეალისტურად მოგვეჩვენება.

საერთოდ, ეს მოთხრობა მარტო თანამედროვე ყოფის სარკისებური ასახვა როდია. საზოგადოება, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც პიროვნებისგან სრულ მორჩილებას მოითხოვს. ხროვაში არავინ სცემს პატივს ინდივიდუალურ, გამორჩეულ აზრს, ადამიანის თავის თავთან დარჩენას, ადამიანის მარტოობას.

ჩვენი საზოგადოების (არა მარტო ქართულის) მოუნყობლობა, ზოგ შემთხვევაში აბსურდულობაც კარგად ჩანს მოთხრობაში „ემიგრანტი“. ირაკლი ქასრაშვილის ნაწარმოებებმა აკაკი წერეთლის „მესარკე“ გამახსენა. მწერალი მიუკერძოებლად, მართლად ასახავს, რასაც ხედავს და როგორც განიცდის ისე, რომ არავის კიცხავს, არ ადანაშაულებს, არც ვინმეს აქებს თუ ნიმუშად გვისახავს. საერთოდ, ეს მოთხრობები არ არის დიდაქტიკური ხასიათის, აქ ვერსად ნახავთ შიშველ მოწოდებას და სწავლებას. მკითხველს საშუალება აქვს, მწერლის მიერ მოტანილ სარკეში ჩაიხედოს, ის დაინახოს, რაც იქნებ არც კი შეუმჩნევია ან უდროობის გამო თუ სხვა რამ მიზეზით სათანადო ყურადღება არ

მიუქცევია. წიგნში თავმოყრილი ყველა ნაწარმოები ფიქრისთვის, მსჯელობისთვის, ანალიზისთვის, მრავალი რამის აწონ-დაწონისთვის განაწყო ადამიანს.

არავინ იცის, რატომ ხდება (არადა, ხდება), რომ თუ კანონით, ოფიციალურად, გაუყალბებელი საბუთებით გინდა რამის გაკეთება (თუნდაც საზღვარგარეთ ნასვლა), განვალებენ, ათას დამატებით საბუთს გთხოვენ და ბოლოს შეიძლება მაინც უარი გითხრან, არალეგალურად, ყალბი საბუთებით კი გაცილებით იოლად და უმტკივნეულოდ შეიძლება საქმის მოგვარება. „ემიგრანტში“ განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა ის ყალბი ბიოგრაფია, მოთხრობის პერსონაჟმა რომ შეუქმნა საზღვარგარეთ მყოფ ბიძამ-ვილს. ეს ბიოგრაფია იკითხება, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ნოველა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ნოველა ნოველაში. წარმოსახული თავგადასავალი აფხაზეთში მცხოვრები ქურთისა, რომელიც ომის დროს აფხაზების მხარეს იბრძოდა, მაგრამ გული ქართველებისკენაც მიუწევდა, მართლად, შეუცდომლად, რეალისტურად აირეკლავს მრავალი რუსის, ბერძნის, ესტონელის, თვით აფხაზისა და ქართველის გაორებულ, გამოურკვეველ ყოფას ომის დროს. ბევრი დღემდე განიცდის სულიერ რყევას და იტანჯება. თუ ავტორი ინებებს ამ მშვენიერი ქარგის ოდნავ მაინც გაშლას, ჩვენს ლიტერატურას კიდევ ერთი კარგი მოთხრობა შეემატება.

ნაწარმოების მიხედვით ჩვენს ქვეყანასა და ევროპას შორის განსხვავებაც კარგად ჩანს, მაგრამ ის, რომ ზელი ამოევი ევროპის სრულყოფილებიანი მოქალაქე გახდა, მიგვანიშნებს, რომ გლობალური, მასშტაბური, ზოგადად ამიანური სატკივარი აქაც და იქაც ერთნაირია.

ქართულ ლიტერატურაში არაერთხელ დამუშავებულა მინდიას მითი. კლასიკოსებმა (ვაჟა-ფშაველამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ რობაქიძემ) საფუძვლად დაუდეს ეს უძველესი თქმულება თავიანთ ნაწარმოებებს და ერთმანეთისაგან განსხვავებული (ფორმით, სტილით, იდეით...) თხზულებანი შექმნეს. მწერალთა ფანტაზიას დღესაც კვებავს უკვდავი მითი. აგერ სულ ახლახან ზურაბ ლავრელაშვილმა თავისებურად, ორიგინალურად გაიაზრა იგი შესანიშნავ რომანში „განკვართული“. იმავე თემას უტრიალებს ირაკლი ქასრაშვილი „გველისმჭამელის ამბავში“. თავიდან თითქოს ზუსტად თქმულებას იმეორებს, ყვება ამბავს და სიუჟეტი ყველაზე მეტად, ალბათ, ვაჟას პოემას ენათესავება, მაგრამ ეს ახალი ამბავია, ახალი რეალობა. სულ მალე ყველაფერი იცვლება მწერლის შეთხზულ-ნაწარმოსახულით. საკუთარი სტილი, გადმოცემის მანერა მოთხრობას იმთავითვე განასხვავებს ამ თემაზე დანერგილი ყველა სხვა ნაწარმოებისაგან. ფინალში მხატვრული თხრობა ერთგვარად პუბლიცისტიკით იცვლება. ავტორი თვითონ გვიხსნის მინდიას ტრაგედიის მიზეზს. „ის შეეცადა ანგელოზის ყოფით ეცხოვრა დედამიწაზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ადამიანად იქცაო“, — გვეუბნება და ისევ ადამიანურ ბუნებაზე დაგვაფიქრებს. მინდია ილუპება. „გაურკვეველია — თავი მოიკლა თუ მტრის მახვილმა განგმირა იგი“. ბოლო ფრაზით კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ამის



გარკვევას, კაცმა რომ თქვას, მნიშვნელობა არცა აქვს, იმიტომ, რომ სხვა სამყაროს, სხვა მსოფლიოს ნაზიარები სული ყოველდღიურ, ჩვეულებრივ, დედამიწურ ცხოვრებას მაინც ვერ ეგუება...

სრულიად განსხვავებულია მოთხრობა „მეომრები“. გასული საუკუნის 90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალება უკვე რამდენჯერმე აისახა მხატვრულ ლიტერატურაში, თუმცა თემა ამონურული, ცხადია, არ არის. ე. წ. თბილისის ომს, უფრო ზუსტად სახელმწიფო გადატრიალებას არტისტული გადატრიალება უწოდა ოთარ ჩხეიძემ. ეს განსაზღვრება — „არტისტული“ — ისე მოუხდა, ისე მიესადაგა შუა რუსთაველზე გამართულ ხოცვა-ჟლეტას, ისე ზუსტად გამოხატა მაშინდელი ბრძოლის

ჟინი (სული), რომ თითქოს თავიდანვე ასე იყო განსაზღვრულ-ჩაფიქრებული, გადატრიალება, ხელისუფლების შეცვლა უნდა მომხდარიყო სწორედაც არტისტულად.

91 წლის დეკემბრის ტრაგიკულ დღეებს ასე აღწერს ირაკლი ქასრაშვილი: „შეტაკებები ძირითადად ცენტრალურ ქუჩაზე ხდებოდა და ხალხი, რომელსაც საოცარი უნარი ჰქონდა, სულ მცირე მოვლენაც კი წარმოადგენდა ექცია, მთელი ქალაქიდან მოდიოდა იმის სანახავად, თუ როგორი იყო ნამდვილი ომი... მხოლოდ განსაკუთრებული საფრთხე აიძულებდათ, მიეტოვებინათ უფასო წარმოდგენა და ახლომახლო სადარბაზოებისთვის შეეფარებინათ თავი“. ეს პასაჟი, რეალობის ზუსტი, მწერლის დაკვირვებული თვალით დანახული და გააზრებული გადმოცემაა.

მთელი საზოგადოება გახლიჩა და შეურიგებელ მონინალმდეგეებად აქცია პოლიტიკამ. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, გულწრფელად თუ პირფერულად ყველა ან პრეზიდენტს ემხრობოდა ან მთავრობის დამხობის მოსურნეთ. მაგრამ ბევრი იყო ისეთი, ვინც ომს, ძალადობას, სისხლისღვრას ეწინააღმდეგებოდა თავისი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად. „ხოცავენ და ხოცონ ერთმანეთი, მე ეს არ მეხება. არ ჩავერევი და ვერც ჩავერევი. რაც უნდათ, ის უქნიათ“, — ფიქრობს ნაწარმოების ერთი პერსონაჟი. მკითხველისთვის, ალბათ, ნაცნობი განცდაა. რეალისტურია ისიც, რომ ზვიადისტი გიას მეგობარი, ზურა, აჯანყებულთა მომხრეა. ფაქტობრივად, ძმები დგანან სხვადასხვა პოზიციაზე (ლიტერატურისთვის კარგად ნაცნობი თემაა). ისინი კამათში ერთმანეთს არ ინდობენ, პრინციპულად ეწინააღმდეგებიან, თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ცდილობენ, იარაღი კი არ აუღიათ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ვერ მოუსწრიათ და ასე ჩანს, არც აპირებენ ბრძოლას. მწერალი შესანიშნავად ხატავს მოქმედ პირთა ხასიათებს. გიაც, ზურაც, მათთან ბინამი მოულოდნელად შეჭრილი მეომრებიც მეთაურიან-ხელქვეითებიანად დასამახსოვრებელი, თავიანთი ინდივიდუალური ნიშნების მქონე და ამავე დროს განზოგადებული მხატვრული სახეებია.

არ უნდა გიას ომში ჩარევა. მაგრამ ომმა თვითონ ჩაითრია იგი. შინ გამოკეტულს შეუვარდა და ოთახში იმის ანალოგიური ტრაგედია დაატრიალა, რაც ქუჩაში ხდებოდა (არც მინდიას უნდოდა ადამიანის სისხლით ხელების

შეღებვა – მოთხრობიდან „გველისმჭამელის ამბავი“. თვითონ ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ „გრძნობდა, რომ სრულიად მარტო იყო ამ ქვეყნაზე, ეული და უმნეო, სახლში ჩაკეტილი, ყველასაგან მიტოვებული და მივიწყებული ბავშვივით“, — თითქოს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ბედი გასიმბოლოებულიყოს პერსონაჟში.

საერთო ფონიდან, საერთო თემიდან ერთი შეხედვით ამოვარდნილი ჩანს მოთხრობა „რეპეტიცია“. რუსეთის აგენტების ცხოვრების წესი, ტროცკის გასანადგურებლად ოპერაციის დაგეგმვა და მომზადება, „დიდ საქმეებს“ შენიღბული გულუბრყვილო მეომრები, ადამიანის სისასტიკით დაგეგმვა-გამონერთა და სხვა თანამედროვე ცხოვრებისაგანაც და ჩვენი ქვეყნისგანაც დამორებული მოვლენებია. ძალზე მიმზიდველი მანერით, სურათების ხატვით და არა განყენებული მსჯელობით ავტორი მკითხველს დასაწყისიდანვე ითრევს თხრობის მდინარეებში და აქაც კვლავ მთავარ თემას — ადამიანის არსის წარმოჩენას — უტრიალებს. რევოლუციას (სხვა ეპოქებსაც?) „არ ესაჭიროება რასკოლნიკოვები, რომლებიც ერთ ბებრუხანას მოკლავენ და მერე ამის გამო მთელი ცხოვრება ცრემლებს ღვრიან, ინანიებენ“. იქნებ არც დოსტოევსკი ესაჭიროება რევოლუციას, საერთოდ, „ახალ დროს“? არც რუსთაველი, შექსპირი... სხვა მსოფლიო გენიოსები? „აუტოდაფეში“ ნიგნების განადგურება მიჩნეული მომავალი დემოკრატიის და საამური ცხოვრების სათავედ, „რეპეტიციამი“ — ისევ ხალხისთვის და ხალხის სახელით — ადამიანების მოკვლა. არსებითად ეს ორი ერთი და იგივე რამეა. მთავარი დამნაშავეს, ტროცკის მოსაკლავად მავანთა მიერ შერჩეული სპეციალური აგენტიც მზადაა, მაგრამ მას მანამდე უდანაშაულო ადამიანის მოკვლას ავალბენ, გამოცდას უწყობენ და იწყება რამონის (აგენტის) სულში ფორიაქი. ადამიანური, ღვთიური საწყისი ჩასძახის და არ ეშვება. ეცოდება მიმნდობი, წრფელი, უემპა-კო სული, ლამის დაუმეგობრდეს კიდევ მას. საქმეში აგენტი დედა, მისი დარიგება ერევა. და რას ასწავლის, რისკენ მოუწოდებს შვილს დედა? „გამოცდილი აგენტისთვის“ უცხოა ის სულიერი ღელვა, რომელსაც მისი შვილი ჯერ ვერ გამოკლავებია. დედისთვის სხვა ადამიანი არაფერს ნიშნავს, მისი სიცოცხლე არაფერს წარმოადგენს. მთავარია, შენ მოიპოვო სხვაზე ძალაუფლება, შენ მოკლა, შენ იმძლავრო, შენ იყო მაგარი...რისთვის, რომ ჰკითხო, ალბათ, გიპასუხებთ, რომ ისევ იმისთვის, მოკლულისთვის სჯობს ასე, მისთვის ზრუნავს და ხალხის ნათელი მომავლისთვის.

როგორც ჩანს, კასრში გამოყვანილი ვირთხების პრინციპი ყოველი (ნებისმიერი) რევოლუციის (არა მარტო რევოლუციის) დროს მოქმედებს. რომელი მხარეა ადამიანში უფრო ძლიერი — კაენური თუ აბელური? სინდისი, ეს პატარა ღმერთი მომავალში უსარგებლო იქნება თუ უკვე იქცა ასეთად (მდრ. ფაჟა-ფშაველას „სინდისი“)? თუკი პარტიისთვის ერთგულების დასამტკიცებლად, ჯერ მოყვარე უნდა მოკლას, დაე აღსრულდეს, რადგანაც მიზნით საშუალების გამართლება გამსხდარა ცხოვრების წესი, ასე შებღალულა და დაცემულა ზნეობა. დასაფიქრებელი და სავალალო ისაა, რომ ეს მხოლოდ რეპეტიციაა — ახალი ჯიშის ადამიანი გამოყვანილია, ხოლო წარმატებული რეპეტიციის შემდეგ რატომ ერთი ტროცკის და რატომ ათასობით და მილიონობით ხალხის განადგურებას ვერ შეძლებს? ხომ ირწმუნებოდნენ

(ნუთუ გულწრფელად?) პოეტები, დედას მოვკლავ, მამას მოვკლავო... ბედნიერი მომავლის სახელით. ნიშანდობლივია ნანარმოებში გახმოვანებული ფრაზა. როცა ერთ-ერთი პერსონაჟი გაიხსენებს საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამს — „ღმერთი მოკვდა“, მეორე უსწორებს: „ღმერთი არ მომკვდარა... ის უბრალოდ, არც არასოდეს არსებობდა“.

შიშის, სიცივის, სასონარკვეთილების შემზარავი გრძნობა ეუფლება ამ მოთხრობის წამკითხველს და ეს უთუოდ მწერლის გამარჯვებაა. მან ძალდაუტანებლად შეძლო ჩვენი ემოციების გამოწვევა.

ირაკლი ქასრაშვილი კარგი პროზაიკოსია, კარგი ესეისტი (ამას წინათ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული სტატია ანის დასტურია) და ამავე დროს — მშვენიერი დრამატურგი. კრებულში დაბეჭდილი ერთადერთი პიესა თავისუფლად გვაძლევს ამის თქმის უფლებას.

პიესაში მოქმედების დრო და ადგილი მეტისმეტად დაკონკრეტებულია. სწორედ კონკრეტული განაპირობებს მის ზოგადობასაც. „თბილისი, 1994“ — გვამცნობს სათაური და მართლაც თვალწინ წარმოგვიდგება იმდროინდელი ყოფა გარეგნულადაც (უშუქობა, უპურობა და სხვა) და არსობრივადაც (სასწრაფოდ დასაბრუნებელი ვალი, იარაღი, თავდასხმა, ძარცვა, ქურდობა...). მთავარი მოქმედი პირი ნანარმოებისა მამაკაცია, მის ყოველ მოქმედებას კი შეფარულად, ერთი შეხედვით უჩინრად, ქალი წარმართავს. „ამხელა კაცს ოჯახი ვერ შეგინახია. შიმშილით დავიხოცებოდი მამაჩემი რომ არ გვეხმარებოდეს... ბარემ გადავალ ჩემს მშობლებთან, მაინც იმათ კისერზე ვართ“, — განათლებული, წესიერი, ხასიათმომშვიდებული კაცისთვის საყვედურზე, მუნათზე მეტია. გოგოთურის ცოლივით ავკაცობისკენ ნამქვებელი ამ შემთხვევაშიც ქალია. კი უკვირს კაცს, მე სხვა ქალი მოვიყვანე ცოლად თორმეტი წლის წინათ, თუმცა, ეტყობა, მაშინ ვერ ამოიცნო ქალის ბუნება. მატერიალურმა შეჭირვებამ მხოლოდ გამოავლინა მისი ნამდვილი სახე. მამაკაცი კი, რა, განა ყოველთვის ქალის სიამოვნებას, მის თვალში ღირსების მოპოვებას არ ცდილობს? ამ მიზნით ხან სამშობლოს სწირავს თავს, ხან ძარცვა-გლეჯით არჩენს ოჯახს... იმის მიხედვით, ქალის (სატრფოს, ცოლის, დედის ...) თვალში რა აამაღლებს... ღირებულებების სკალის შემქმნელი ქალია და უბედურება, ტრაგედიაა, როცა მის უმაღლეს მისწრაფებას ფული წარმოადგენს. „ფული თუ ვერსად იშოვე, ეს მარტო შენი ბრალია“, — ვინ იცის, რამდენის ცხოვრების გზა განუსაზღვრავს ამ განაჩენს. ამის შემდეგ კი სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი, რომ „სულგამოცლილმა არსებებმა“ გამოგონილიდან რეალურ სამყაროში გადმოინაცვლონ. იმედად ისლა გვრჩება, რომ ყოველთვის იარსებებს ხალხი, რომელიც მაინც დაწერს ნიგნებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, „ალბათ, არასოდეს დაიბეჭდება და რომც დაიბეჭდოს, არავინ წაიკითხავს“.

დაბოლოს: ნიგნის გარეკანზე გამოსახული ბნელი, უნათლო ოთახიდან დანახული ფერადოვანი, მზიანი ველი თუ ნათელი სამყაროდან აღქმული ჩაშავებული ოთახი (მიუსაფარი სული) კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ამქვეყნად ავისა და კარგის, ბოროტისა და კეთილის, ბნელისა და ნათლის თანაარსებობას. ნიგნის კითხვის დროს კი ერთი ნუთითაც არ გვტოვებს განცდა, რომ ბოროტს აუცილებლად სძლევს კეთილი.

არ დამალოთ, პოეტებო!..

(ელა გოჩიაშვილის „მძიმე ალაყაფი“)

წმინდა მამა დავით გარეჯელის ღვთისთვის სათნო ცხოვრება საყოველთაოდაა ცნობილი. რითაც მისი სახელი ყოველთვის მონინების ყრუანტელს იწვევს ჩემში, ისაა, თუ როგორ ვერ იკადრა მან წმინდა ქალაქ იერუსალიმში შესვლა, თავი არ სცნო იმის ღირსად, რომ იესო ქრისტეს ნაკვეთებზე დაედგა ფეხი. იმ ადგილის ხსოვნისთვის მხოლოდ სამი ქვა წამოიღო (რომელთაგან ორი უკანვე დაუბრუნა პატრიარქს).

ღვთაებრივი სულის ძიება მთავარი კაცის ცხოვრებაში და საკუთარი სულის ძიებით მოიპოვებ მას!.. ვედარ ვისხენებ ამ სიტყვების ავტორს. ანდა რა საჭიროა გახსენება, რაც ითქვა, ითქმის ანდა ითქმება — ერთი ყველა, ისევე, როგორც ერთნი ვართ ყველანი — ერთი წინაპრის — ღვთის ქმნილი ადამის შთამომავალნი, მის მიერ გამოყვანილნი მარადიული სამყოფიდან, სამოთხის უზენაესი ჭეშმარიტებიდან, და იქიდან მოყოლებული ვეძიებთ უფალს, მაგრამ ამ ძიებაში გზა ავგრევი, მიზანი გაგმრუდება და გონდაბინდულებს ფიქრიც აღარ გვსურს. არა! აღარ გვსურს, თუ აღარ შეგვიძლია?! ჩვენი „ბედვეთილობა“ სწორედ იქიდან იღებს სათავეს, რომ „თვალის კაცები“ გავხდით და არა „ფიქრის კაცები“. ფიქრიდან იბადება ადამიანი („დადიანის ასული და მათხოვარი“), ხოლო თვალისგან არაფერი დაბადებულა წამბაძველობის, ერთფეროვნებისა და ზედაპირულობის გარდა.

თვალი მხედველობის ორგანოა და ღმერთმა გვაშოროს უმისობა! მაგრამ ის ხომ ორია, ილიასი არ იყოს, — თვალის თვალიც არსებობს და გონების თვალიც. „თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალ-არეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს“... ჩაგვაფიქრა მან.

ჩვენ კი, როგორც სულით ხეიბრებს, მხოლოდ მხედველობის თვალილა შეგვრჩენია და ისიც ალბათ იმიტომ, რომ დაბადებიდან თან დაგვყვება და ჩვენი მზრუნველობა არ სჭირდება, თორემ გვექნებოდა კიდევ?! რატომღაც სულ ილიას მამხილებელი სიტყვები მახსენდება ელა გოჩიაშვილის ლექსების კითხვისას! მახსენდება? მახსენდება კი არა, არც არასდროს უნდა დაგვავინყებოდა ქართველებს! რატომ? იმიტომ, რომ დიდი ხანი არაა, რაც მისი სისხლი დავღვარეთ და მოვინანიეთ ეს ცოდვა? თუნდაც რაიმე მანკიერება გამოვისწორეთ?! მე ამას ვერ ვხედავ და ღმერთმა ქნას, ვცდებოდე! „ღმერთი გულს უფრო სინჯავს, ვიდრე საქმეს; იქ სამართალი არ გამრუდდება! („სარჩობელაზედ“)

ამას წინათ მოსწავლემ გაკვეთილზე კათალიკოს ილია II-ის სიტყვები შეგვახსენა: „ადამიანს სამი სახე აქვს: პირველი — როგორ ენახება იგი სხვას, მეორე — როგორ ენახება საკუთარ თავს, მესამე — როგორ ხედავს მას ღმერთი“.

ჩვენ კი, „თვალის კაცებად“ ქცეულთ, მხოლოდ ის გვადარდებს, როგორ დავენახვით სხვას, გავეჯიბროთ ერთურთს — „თხა თხაზე ნაკლებიო“ ხომ ჩვენი ანდაზაა, ამიტომაც ჩავევით ამ მარულაში და ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ! ისე ჩავევითარა ამ შეჯიბრებაში, რომ უფლისკენ სავალი გზაც ჩვენს გულზე კი არ გადის, სინანულის ცრემლებით კი არ ბილიკდება, არამედ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. არა? ნეტავ მართლაც არა და ვცდებოდე... მაგრამ... პო-

ეზია ხომ არსებულ რეალობას ირეკლავს მხატვრულად, მის ყოვლისშემძლეობაზე აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ, თუ ვცდები, რატომ იბადება ღვთის ნებით ასეთი ლექსი (ჩვენ ყველანი ერთნი ვართ!) „მძიმე ალაყაფი“.

რა დამემართა ამ ლექსის წაკითხვისას, აღარ გავიხსენებ, მაგრამ, აბა, დავფიქრდეთ და ყური დავუგდოთ პოეტს:

**ამოდენა მომლოცველში
არც არავინ მახსენდება, —
დაბრუნებული
შიშველ ქვაზე ჩამომჯდარიყოს.
ბრწყინავს ავიაქარავანი, —
ცის ფრინველს და ველის შროშანს
იმათ შორის
არავინ ჩამოჰგავს;
ხელში ვარდივით მოგიზგიზე
ღვთაებრივი ცეცხლის ფრიალით —
სულ მდიდრები პილიგრიმობენ,
ღარიბების ყარობობა არ გამიგია.**

ჰოი, სირცხვილო, მოდად ქცეულთ სარწმუნოებაზე, უმადლოდ დარჩენილთ თავმონონებაზე! არადა, წმინდა მამა დავით გარეჯელმა იერუსალიმში შესვლის ღირსადაც არ ჩათვალა თავი. ახლა კი ჩვენში ცოდვებისგან გასანმენდად ქრისტეს ტაძარში ხშირად დადიან... („ვერა, უფალო, ვერცხლისფერი ლაინერით ვერც გიპოვიდი, უფრო შორს გეძებ, — საკუთარი სისხლივით ახლოს...“)

გურამ რჩეულიშვილიც წერდა ერთ დროს: „აქ არის ყველაზე მეტი პრანჭია, ყველაზე მეტი უსაქმური, ყველაზე მეტი მშიშარა... აქ არ არის კონტრასტი! აქ არიან მხდალეები და ნიჭიერები, აქ არიან არტისტები ცხოვრებაში, უიღბლოები წამდვილ სცენაზე, აქ არიან უხმო მომღერლები, დამალეთ, დამალეთ, დამალეთ ეს ქვეყანა!“

გულის გულიდან გამოწურული სინანული გამქრალა!.. ღრმადმორწმუნედ სახავენ თავს ბრმადმორწმუნენი, არადა:

**მცირედმორწმუნე რომ არ ვიყო,
ხელში ჯოხით და ზურგზე აბგით,
ფეხშიშველი,
გზას ტანტალით უნდა მოვდევედე;
მაგრამ მე ვარ მცირედმორწმუნე.**

გულთამხილაობა უფლისა უნდა დაგვაინყონ? ამ თავგადაკლულ უმადლო მოლოცვების მონმედ გვაქციონ? არ გინდა გეყოს ძალა და ნაიკითხო პოეტის, რომლის სულშიც უპირველესად გარდატყდება რეალობა სიტყვები: „დედ-მამით ობოლ სამშობლოდან გზა პირველი სამშობლოსაკენ, — ასავლელია. ჰკიღია მძიმე ალაყაფი აფიცრულ ზეცას... თუ ყვითელი გასაღები ერგება მანდაც, თუ შენი მაღლიც ხერხით და ღონით საშოვნელია, თუ არაფერიც არ აინონც სასწორის პინას ბუმბულივით ვერდაჩნეულმა, რაც მარცხენამაც არ იცოდა და მხოლოდ შენთვის იყო საცნაურ... როგორ იქნება? — ჩაიჟანგება ღარიბთათვის კარის კლიტენი? გაეტევიან ნემსის ყუნწში აქლემები?“

არ დამალოთ, არ დამალოთ, პოეტებო, ჩვენი ავადმყოფი სულები, გვაჩვენეთ მისი სიმახინჯე, რათა „თვალის თვალით“ ნანახმა „გონების თვალიც“ ავეიხილოს ვინძლო და ისე ვესავედეთ უფალს, რადგან „შენი დიდი მაღლი მეც მინდა!“

ლალი ბარბაქაძე

ნოდარ ტაბიძე

გადაზნაქილი სიზმრების წლები

დავუბრუნდეთ ძირითადს. გალაკტიონი ჯიუტად ცდილობს მიზნის მიღწევას, თუმცა ამისთვის ხელსაყრელი ტაროსი არ დგას. გავეცნოთ სათანადო დოკუმენტს.

„ოქმი №1

მწერალთა კოლექტივის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფისა 1925 წლის 11/5. დაესწრნენ: 1. გალ. ტაბიძე, 2. ქუჩიშვილი, 3. ნარ-კანი, 4. ირეთელი, 5. შიო მღვიმელი, 6. ლავრ. ძიძიგური, 7. იოსელიანი ვ.

დღის წესრიგი: 1 — კოლექტივის დაარსების შესახებ.

2 — კოლექტივის დამტკიცებისათვის ზომების მიღება და საამისო პირობების გამორკვევა მთავლიტში.

3 — სხვა და სხვა.

თავმჯდომარეობდა გ. ტაბიძე

მდივანობდა შ. ოდიშარია

მოისმინეს

1. კოლექტივის დაარსების შესახებ (გ. ტაბიძე)

2. კოლექტივის დამტკიცებისათვის ზომების მიღება და საამისო პირობების გამორკვევა.

3. დრო კოლექტივის დამფუძნებელი კრების მოწვევისა.

დაადგინეს

1. მწერალთა შორის ურთიერთ ლიტერატურული საქმიანობის გაჩაღების მიზნით, მიჩნეულ იქნეს საჭიროდ მწერალთა კოლექტივის დაარსების აუცილებლობა.

2. მიენდოს გ. ტაბიძეს.

3. ა) კრება მოწვეულ იქნას ხუთშაბათ 14 მაისს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ რედაქციის ბინაზე.

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

1. გ. ტაბიძე

2. ნარ-კანი

3. გ. ქუჩიშვილი ხელმონერები

4. შ. მღვიმელი

5.

6. ლ. ძიძიგური

7.

ასეთი კოლექტივი არ ჩამოყალიბებულა. ისიც საკითხავია, რომ შექმნილიყო, გააღებდა კი კვალს? ოქმი ლაკონიურია, ბევრი რამ არ ჩანს. ძირითადი მიზანია ლიტერატურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. საფიქრებელია, მას სხვა ამოცანაც დაეკისრებოდა. გალაკტიონს პირადი ინტერესებიც ამოძრავებდა. ცხადია, ეს არ გულისხმობდა სხვათა შევიწროვება-დაჩაგვრას.

ფიქრობთ, ამჯერადაც თავი იჩინა გალაკტიონის იმ თვისებამ, რომელიც განსაკუთრებით მძლავრად 40-50-იან

წლებში გამოიჟღავნდა — ვითარებათა არსის გაუთვალისწინებლობა. მგონი თალხმა ფერებმა იმძლავრა.

ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს გალაკტიონს ყოველთვის მოქუფრული ცა დაჰყურებს. იგი უბედნიერესი კაცია, რადგან ქმნადობასთან არის ნილნაყარი. ვერაფერი ვერ მიანიჭებს ისეთ აღმაფრენას, როგორც თხზვა. ლექსის წერას ვერვინ დაუშლის. პოეზია კი მიუღწევლის მიღწევისაკენ მიმავალი გზაა და გამართლებაც არსებობისა.

საზოგადოების დიდი ნაწილი პატივს სცემს. თეატრებსა თუ სალექციო დარბაზებში ალტაცებით ხვდებიან. 1922 წლის 26 დეკემბერს დემნა შენგელაიასადმი მიძღვნილ საღამოში მიიღო მონაწილეობა. დეკლამაცია დაამთავრა და თეატრი ტაშით დაინგრა.

ანდა გავიხსენოთ 1923 წელს ხელოვანთა სასახლეში ჩატარებული პოეზიის დღე. კონფერანსიემ გამოაცხადა: — მოისმინეთ „პოეზიის ჰიმნი“. მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისა, სიტყვები გალაკტიონ ტაბიძისა. მგოსნის სახელი დამარცვლით წარმოსთქვა. ეს ხაზგასმა ძალზე ეფექტური გამოდგა. გალაკტიონიც ამაღლდა, ფრთები გაშალა.

ახლა უმთავრესზე. 1921 წლის 9-12 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს მწერალთა ყრილობა. ესწრებოდა 43 დელეგატი. დღის წესრიგში იდგა ცხრა საკითხი. თითოეულთან დაკავშირებით გაიმართა ფრიად საქმიანი სჯვა-ბაასი. მაგალითად, მეექვსე საკითხი ასე იყო ფორმულირებული: „ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია“. ვის ხელში უნდა დარჩეს იგი? აზრი ორად გაიყო. მოკამათეები პრინციპულად დაუპირისპირდნენ ურთიერთს.

გავეცნოთ ტიცინ ტაბიძის სიტყვის ჩანაწერს. „ამ საკითხში მე მინდა გამოვიდე არაკოლეგიალურად. ერთი დიდი მონაპოვართაგანი არის ეს სასახლე. ამ სასახლის იმ სახით დატოვება, როგორც იყო წინეთ, შეუძლებელია. სასახლე არ არის მონყობილი ისე, როგორც ეს მას შეფერის. არ არსებობს არც მხატვართა და არც მემუსიკეთა კავშირი. არის ერთადერთი მწერალთა კავშირი. უკანასკნელი მუშაობდა მხოლოდ. კომიტეტის მიერ აქ არაფერი არ კეთდება. მე ვამბობ, რომ მწერალთა საბჭოს თამამად შეუძლია შემოიკრიბოს მასა და ერთი ნებისყოფით გააკეთოს რამე. ამიტომ მოვითხოვ: ჩამოერთვას სასახლე კომიტეტს და გადაეცეს იგი მწერალთა კავშირის საბჭოს“.

ბოლო სხდომაზე დაამტკიცეს გამგეობა და სარევიზიო კომისია.

„საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ: საშა აბაშელი, ობოლი მუშა, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი, არჩილ რუხაძე, ია ეკალაძე, კოტე მყაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ილიკო აღლაძე, იოსებ გრიშაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, კონია გამსახურდია და ტიცინ ტაბიძე. კანდიდატებად: კოკი აბაშიძე, მ. აბრამიშვილი და ირეთელი. სარევიზიო კომისიაში: ახობაძე, ახნაზაროვი, ნ. ნაკაშიძე, მუმლაძე და ბერეკაშვილი.

არჩევნების დასრულებისას ტიცინ ტაბიძე უარს აცხადებს საბჭოს წევრობაზე. პაოლო იაშვილი ყანწნელების ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ ყანწნელები გადიან მწერალთა კავშირიდან და აარსებენ ახალ კავშირს. ვახტანგ კოტეტიშვილი და მ. აბრამიშვილი უარს აცხადებენ, პირველი საბჭოს წევრობაზე მეორე კანდიდატობაზე“.

სხდომაზე დამტკიცდა პრეზიდიუმი: „...კ. მყაშვილი (თავმჯ.), ლეო ქიაჩელი (თავმჯ. ამხ.), ი. გრიშაშვილი (თავმ. ამხ.), კ. გამსახურდია და გ. ტაბიძე“.

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №6

გალაკტიონს დაეკისრა საგამომცემლო საქმის გაძღოლა. ეს არა მხოლოდ დიდი ნდობა იყო, არამედ მძიმე ტვირთიც. ნიგინს დაბეჭდვა (ქალაქის მოპოვება, სტამბის გამონახვა, პროდუქციის გასაღება და ა.შ.) პრობლემატა პრობლემატა ითვლებოდა.

ერთ მოხსენებაში ალ. აბაშელი აღნიშნავდა: 1920 წლის დასასრულს მწერალთა კავშირი „...შეუდგა ჟურნალის გამოცემის სამზადისს და დეკემბერში სარედაქციო კოლეგია აირჩია. კოლეგია შეუდგა. მასალის დამზადებას, მაგრამ მის მუშაობას მოუსწრო იანვრისა და თებერვლის დღეებმა და ჟურნალის გამოცემის საქმეს აქაც დაუძლეველი დაბრკოლება შეხვდა. ამრიგად აბრილიდან თებერვლამდის საბჭომ ვერ მოახერხა ვერც გამოცემის და ვერც სხვა რაიმე კულტურული საქმის დაწყება. მოენყო მხოლოდ პირველი „პოეზიის დღე“ 7 მაისს. მაგრამ ამ დღემაც ძალიან მკრთალად ჩაიარა“.⁴

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, მკითხველი კიდევ ერთ დოკუმენტს გაეცნოს.

„ქართველ მწერალთა მესამე ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენებები ბ.ბ. კოტეტიშვილისა და ტ. ტაბიძის ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემის შესახებ, დაადგინა:

1. მწერალთა ყრილობა მწუხარებით აცხადებს, რომ ამ უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას ვერ მიუქცევია სათანადო ყურადღება ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემის საქმისთვის, რის გამოც საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურა დღითი დღე ქვეითდება და უმაგალითო კრიზისს განიცდის. ასეთი სამწუხარო მოვლენა აშორებს ერთმანეთს მწერლობასა და ხალხს და გონებრივად აქეივთებს მთელს ერს.

2. მწერალთა ყრილობა გამოთქვამს იმედს, რომ საბჭოთა მთავრობა მომავალში მაინც მიაქცევს სათანადო ყურადღებას ქართველი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემის საქმეს და ამნაირად გამოსწორებული იქნება ის დიდი დეფექტი, რომელიც დღეს განსაცდელში აგდებს ქართულ მწერლობას.

3. ამ მიზნის განსახორციელებლად ქართველ მწერალთა ყრილობა საჭიროდ სთვლის სახელმწიფოში არსებობდეს სამგვარი გამომცემლობა: სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო.

სახელმწიფოებრივი გამომცემლობა უნდა სცემდეს სასკოლო და სამეცნიერო ნაწარმოებებს. ხოლო საზოგადოებრივი და კერძო უმთავრესად კაზმულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ პერიოდულ გამოცემებს.

4. თავისი მიზნების განსახორციელებლად ყრილობა შუამდგომლობს მიეცეს მწერალთა კავშირს მონყობილი სტამბა, ქალაქი და სხვა საშუალებანი, რომ ის თავისუფლად ემსახუროს ქვეყნის ინტერესებს სიტყვა-კაზმული ლიტერატურის განვითარებით“.⁵

ამრიგად, გალაკტიონს მძიმე მემკვიდრეობა ერგო. სხვათა შორის, 1921 წლის აგვისტოში მწერალთა კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა (გ. ტაბიძე, ი. ეკალაძე, ი. გრიშაშვილი და შ. აფხაიძე), რომელსაც დაევალა ძველი და თანამედროვე ქართველი მწერლების თხზულებათა გამოცემა. ობიექტური მიზეზების გამო ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

სხვებზე უფრო იმითომ წამოვნიე, რომ გვეთქვა: გალაკტიონისთვის უცხო როდია ის საქმე, რომლის გაძღოლასაც აკისრებენ.

გალაკტიონი კმაყოფილია, რადგან მისი ორგანიზატორული ნიჭი ცვენს. ამასთანავე საშუალება ეძლევა დიდი საქმე აკეთოს.

პირველი ნაბიჯები სწრაფად და სწორად გადაიდგა. არსებითად გამოიკვეთა ორი უმთავრესი ამოცანა: 1) მწერალთა კავშირის ორგანოს დაარსება და 2) ცალკეულ ავტორთა თხზულებების გეგმაზომიერად გამოცემა.

გალაკტიონს კარგად აქვს შეცნობილი ჟურნალისტიკის არსი. საფუძვლიანად ერკვევა მის სპეციფიკაში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერმანენტულ აგიტაცია-პროპაგანდას. ეს ჩანს ქვემოთ მოტანილი მასალებიდანაც.

გალაკტიონმა ორი პროექტი შეადგინა. ერთი ეხება გაზეთის, მეორე კი ჟურნალის დაარსებას. მისი აზრით, სასურველია გამოიცეს „უნყებანი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა“. ეს მით უფრო საჭიროა, რადგან ამჟამად ქართულ ენაზე არ მოიპოვება არც ერთი სალიტერატურო ჟურნალი ან გაზეთი“.

„უნყებანის“, როგორც მწერალთა კავშირის ორგანოს, ამოცანაა ხელი შეუწყოს სამამულო მწერლობის აღმავლობას. პროექტის ავტორი ზუსტად განსაზღვრავს გაზეთის ხასიათსა და მიმართულებას, მკაფიოდ აყალიბებს ძირითადი განყოფილებების ფუნქციებს.

შემთხვევითი არ არის, რომ პირველ ნომრად დასახელებულია წერილების განყოფილება. აქ მოთავსდებოდა მასალები ესთეტიკის პრობლემებზე. იმსჯელებდნენ იმ საკითხებზე, რომლებიც სიტყვა-კაზმული მწერლობის განვითარებისთვის თავიდათავია. ფაქტობრივად ყველაზე მკაფიოდ აქ უნდა გამჟღავნებულიყო რედაქციის პოზიცია, გამოკვეთილიყო გამოცემის ძირითადი ხაზი.

დიდი ადგილი უნდა დაეთმოდა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს. „...მოთავსდება ლექსები, მოთხრობები, ნოველები; პირველ ხანებში გაზეთი ვერ მოახერხებს დიდი პოემების, მოთხრობებისა და რომანების ბეჭდვას; ამისთვის მწერალთა კავშირი იზრუნებს შემდეგისათვის...“

„გაზეთში მოთავსდება წერილები ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდან, გამოკვლევები, მოგონებები ძველი ქართველი მწერლების შესახებ, ბიოგრაფიები, კრიტიკული წერილები — ძველი და ახალი მწერლების შესახებ“.

გალაკტიონი აუცილებლად თვლის თეორიის საკითხების გარკვევასაც. ეს მხარე, საერთოდ, ზუსტად იყო წარმოჩენილი ჩვენს მწერლობაში, არადა საფუძვლიანი თეორიული ცოდნის გარეშე ნინსვლა შეუძლებელია.

ყურადღება გამახვილებულია ლექსის ფორმაზე. „იქნება სპეციალური განყოფილება ქართული მეტრის, რიტმის, ხმოვანებისა და ფორმისა; გამოკვლევები ქართული რითმების: ღრმა რითმის, მდიდარი რითმის, შემოკლებული რითმის, ასსონანსების, ხმათამბაძვის, ალიტერაციის, დისონანსების და სხვ. შესახებ. გზადაგზა შესწავლილი იქნება ძველი ქართული ანტოლოგიები, აგრეთვე უცხო ანტოლოგიებიც, რომელთაც ჰქონდათ გავლენა ქართულ პოეზიაზე.“

არის საკითხი ლექსის ფორმის. აქ უნდა გაშუქებულ იქნას სხვადასხვა ფორმები, როგორც მაგალითად: ალექსანდრიული ლექსი, ტერცინები, სონეტი, რონდო, რიტორნელი, ბალადა, კანცონა, სექსტინა, გაზელა, განმეორებული რითმა, ლექსთწყობა სპარსული, სომხური, იაპონური ტანკა და ხაიკაი“.

ყველაზე მეტად ყურადღება მახვილდება ლექსის სახეებსა და ფორმებზე. ეს მოულოდნელი სულაც არ არის, თუ

გავითვალისწინებთ, რომ სწორედ იმ ხანებში მგოსანი საგანგებოდ ეცნობოდა არისტოტელეს, დიდროს, ნიცშეს ნაშრომებს, საგანგებოდ უღრმავდებოდა XIX-XX საუკუნის ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებს.

გალაკტიონი საგანგებოდ ჩერდება ბიბლიოგრაფიის განყოფილებაზე და სრულიად სამართლიანადაც. ნიგნების მიმოხილვა არა მხოლოდ დაკვალიანებაა მკითხველისა, არამედ შემოქმედისთვის სწორი გზის მაჩვენებელი და წამხალისებელი.

საგულისხმოა, რომ პროექტის ავტორი ქართული მწერლობის მეტ დაახლოებას მოითხოვს საზღვარგარეთის ლიტერატურასთან, მსოფლიო დუღილში აქტიურად ჩართვას ესწრაფვის. მიზანშეწონილად მიაჩნიათ „უნწყებანს“ საუთარი კორესპონდენტები ჰყავდეს უცხოეთში. ისინი „...მიანვდიან გაზეთს წერილებს სპეციალურად უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესახებ. ესენი იქნებიან იმნაირივე თანამშრომლები, როგორც იყო, მაგალითად, რენე გილი, ფრანგი პოეტი — რუსული ჟურნალისთვის „Весты“.

დიდებული განზრახვაა. ამ გზით ჩვენი საზოგადოება უკეთ შეიცნობდა მსოფლიო ლიტერატურის მაჯისცემას. მეორე მხრივ, ცოტათი მაინც მოხერხდებოდა სამამულო მიღწევების გახმაურება. სხვა საკითხია, რამდენად შესაძლებელი იყო ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

„უნწყებანი“ უნდა ყოფილიყო ყოველკვირეული გამოცემა. ტირაჟი 2 000 ცალი. ყურადღება გამახვილებულია ტექნიკურ საკითხებზე. მაგალითად, გვერდი 2 სვეტიანი იქნებოდა; მასალები აიწყობოდა „ჩვეულებრივი შრიფტით“ და ა.შ.

ისიც კი არის დაზუსტებული, თუ რა ელირება ნომერი (5000 მანეთი) და როგორ განაწილდება თვიური შემოსავალი — 14 მილიონი მანეთი. 4 მილიონი მიეცემა გამყიდველებს, 200 000 მანეთი რედაქტორს, ამდენივე კანტორის გამგეს. 3 მილიონი თანამშრომლებს დაურიგდებათ, ხოლო დარჩენილი 3 მილიონი რედაქციის წვრილმან ხარჯებს მოხმარდება.

ერთ დეტალზეც შევჩერდებით. პროექტში ვკითხულობთ: „...გაზეთი ყურადღებას მიაქცევს თანამედროვე რევოლუციონურ ხელოვნებასაც, პროლეტარულ პოეზიას და სხვ.“ ამასთან დაკავშირებით ჩვენ ადრე ვწერდით: „ნაწილაკი „ც“ ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანის ატრიბუტად აღიქმება. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გალაკტიონი ხარკს უხდის ხელისუფლებასა და თანაც ოსტატურად?!“

მგონი მართლაც ასე უნდა იყოს.

ამკარაა, რომ პროექტი შედგენილია გონიერი სპეციალისტის მიერ. გათვალისწინებულია თემატური და გეოგრაფიული მრავალფეროვნება, წინ არის წამოწეული საჭირობოტო და განმტოებული პრობლემები; ნავარაუდევია მათი განხილვა მაღალ დონეზე. ეს მოხსენება — „მწერალთა კავშირის საბჭოს ყოველკვირეული გაზეთის გამოცემის შესახებ“ დაწერილია 1921 წლის 15 ოქტომბერს.

პოეტს თავისი მოსაზრებები მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის გაუცვნია. მათ უპირატესობა ჟურნალისათვის მიუნიჭებიათ და აი, 1921 წლის 31 ოქტომბერს დაუდგენიათ კიდევ: „პრინციპიალურად მიღებულ იქნა ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა... თუ კვირეული ჟურნალის გამოცემა არ მოხერხდა, გამოიცეს თვეში ერთხელ მაინც 32 გვერდიანი მინიმუმი, მაქსიმუმი 64 გვერდი. თანამშრომლებს ჯამაგირი და გონორარი მიეცეს ტარიფის მიხედვით“.⁷

26 ნომბერს კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს. „აირჩეს სარედაქციო კოლეგია და დაუყოვნებლივ შეუდგეს მასალების დაგროვებას. კოლეგიაში არჩეულ იქნა: თავმჯდომარე გ. ტაბიძე; წევრები კ. გამსახურდია და ლ. ქიაჩელი. ჟურნალის სახელი გამოიმუშაოს კოლეგიამ და მოახსენოს საბჭოს“.⁸

გალაკტიონს ბევრი უფიქრია ჟურნალის სახელწოდებაზე. თავდაპირველი ვარიანტი იყო „პანთეონი“. იგი ურიგო როდია. გამორჩეული ქვეტექსტით. მიგვანიშნებს, რომ ჟურნალში რჩეული ნაწარმოებები დაიბეჭდება, რომ ეს გამოცემა ლიტერატურის ღმერთთა საგანედ იქცევა. მაგრამ საბოლოოდ მაინც უარი უთქვამს მასზე. შეიძლება იმიტომაც, რომ ზოგადზე ზოგადია.

ახალი ვარიანტი — „ლომისი“ — დიდებულია. იგი ეროვნულ საწყისებზე ხმინებს. ღვთაების სახელი რიდასა და მოკრძალებას ბადებს. გამრავლებისა და გაძლიერების ასოციაციებიც ჩნდება.

ამონარიდი 5 დეკემბრის ოქმიდან: „მონონებულ იქნას კოლეგიის მიერ გადადგმული ნაბიჯი კერძო კაპიტალის საქმეში ჩართვის შესახებ. მიიღოს კოლეგიამ ყოველგვარი ზომა პირველი იანვრისათვის უსათუოდ გამოვიდეს ჟურნალი. ჟურნალის სახელი „ლომისი“ მონონებულ იქნას“.⁹

გალაკტიონმა წარმატებით გადაჭრა მრავალი საკითხი. განსაკუთრებით გაძნელდა სპონსორის პოვნა. საბოლოოდ იგი მაინც აღმოაჩინეს. ჯერჯერობით ვერ შევძელი ამ ქველმოქმედის ვინაობის დადგენა. ერთი ცხადია, ლიტერატურის მოტრფიალე ყოფილა და სწორედ მისი წყალობით იხილა ჟურნალმა დღის სინათლე.

ყოველგვარი კუპირების გარეშე მოვიტან გალაკტიონის უცნობ წერილს. იგი ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ „ლომისის“ ისტორიისათვის, არამედ ადრესატის ხასიათის საჩვენებლადაც, „სიკეთის არ დავინყვების“ საილუსტრაციოდ.

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მაღლობას გიძღვნი, რომ საფუძველი ჩაუყარეთ კავშირის ჟურნალ „ლომისი“-ს გამოცემას. ვინაიდან თქვენ საზღვარგარეთ ვიხდებით გამგზავრება, გთხოვთ გამოცემლობის საქმე გადმოცეთ კავშირს და ანგარიშები გამოსული ნომრების. თქვენ მიერ განუული ხარჯები და საქმეში დაბანდებული თანხა იქნება წარმოებაში და დაგბრუნდებათ კავშირისაგან“.¹⁰

ბარათი დაწერილია გალაკტიონის ხელით საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს ბლანკზე და დათარიღებულია 1922 წლის 31 იანვრით.

ცოტათი დავიხიოთ უკან.

რედაქციის ჩანაფიქრი ასეთია: „დაიბეჭდება ორიგინალური და ნათარგმნი: ლექსები, მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები, სამეცნიერო და კრიტიკული წერილები სიტყვა-კაზმული მწერლობის, თეატრის, მუსიკის და მხატვრობის შესახებ; წერილები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. გამოკვლევები, მოგონებები, ბიოგრაფიები, სპეციალური წერილები ქართული ლექსის მეტრის, რიტმის და ფორმის შესახებ. უცხოეთის ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობანი, ხელოვნების მატანე, ბიბლიოგრაფია, მხატვრული პროდუქციები“.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ გაზეთისა და ჟურნალის პროგრამები ძალზე ჰგვანან ურთიერთს.

„ლომისი“ გამოვიდა 1922 წლის პირველ იანვარს.

საზოგადოება ინტერესით შეხვდა ჟურნალის დაბადებას. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს საარქივო

მასალები. მოვუსმინოთ ს. აბშილავას. „ლომისი“ ეს ისეთი დიადი სიტყვაა ჩვენში, რომ მისი ხმარება ცუდად ცოდვაც არის და ვუსურვებ მათ, ვინც განიზრახა ამ ჟურნალის გამოცემა, გამარჯვებას და მიხნევას იმ მიზნებისას, რომელსაც ისინი „ლომისისთვის“ ცდილობენ და, თქვენ მკითხველნო, ხელს უწყობდეთ ამ ჟურნალის გავრცელებას.

მაშ, გაუმარჯოს „ლომისის“ გამომცემელ საზოგადოებას, გაუმარჯოს მათ დაუფიქრებლად შრომას“.¹¹

ახლა სხვა წერილი გადავიკითხოთ. „ძვირფასო გალაქტიონ! უღრმესი სალამი! თქვენი გულის თქმა, ე.ი. თქვენი წიგნები, გულის მალამოდ ევლინება აქაურ მკითხველს საზოგადოებას... გისურვებთ ბრწყინვალე მომავალს, რომლის სრულებით ღირსი ბრძანებით თქვენ, როგორც გალაქტიონ ტაბიძე.

ამასთანავე გიგზავნით 3 ჩემს ნაწარმოებს: 1) მინდა ცხოვრება, 2) შეჩვენება და 3) პერსონატეს, რომელთაც იმედი მაქვს თქვენცა და პატივცემული კოლეგია მიიღებს და გამოაქვეყნებს. გულწრფელი სალამი პირმტკიცე და სათნო თქვენთან მყოფთ ამხანაგთა და თანამშრომელთა“¹² (ხელმოწერა გაურკვეველია).

ბარათი ქუთაისიდან: „ძმაო გალაქტიონ! გიგზავნი ჩემს მცირედს ნაწარმოებს ა) პლატონ მღებრადის ხსოვნას (მოგონებას), 2) ლექსს „ვარსკვლავს“ ძღვ. შ.მ.-ს, 3) ლექსს — ვანო საათაშვილს, 4) ცოცხალ რამ ქართული ენის შესახებ (სადღესო). სრული იმედი მაქვს თქვენი (კოლეგია) სრული რედაქციით მიიღებთ.

ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს“.¹³

ბარათი ბათუმიდან: „პატივცემულო გალაქტიონ! ჯერ კიდევ ეს დაუბეჭდავი ლექსი, რომელიც მიუძღვნია განსვენებულს ჩვენს მგოსანს ნოე ჩხიკვაძეს ერთ-ერთი მეგობრისადმი მის „აღბომში“ შემხვდა და ამოვწერე, და ესლა გიგზავნით თქვენ, და იმედია დაბეჭდავთ, ვინაიდან, ჩემის აზრით, მისი დაბეჭდვა, როგორც მნიშვნელოვანი ქართველი მგოსნის ლექსისა, არ იქნება ინტერესს მოკლებული. პატივისცემით აკ. სვიტიარიძე, 1922 წლის 6 თებერვალი“.¹⁴

ანალოგიური მასალები საკმაოადა. ისინი, ერთი მხრივ, გალაქტიონის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებენ, მეორე მხრივ, ჟურნალის დაარსებით გამოწვეულ კმაყოფილებას გამოხატავენ.

„ლომისის“ გამოსვლას გამოეხმაურა პრესაც.

ჟურნალ „ხომალდში“ დაისტამბა „ბიბლიოგრაფია“, რომელსაც ხელს აწერს ხომალდელი. ავტორი განათლებული ლიტერატორი ჩანს, პოეზიის კარგი მცოდნე. მისი ზოგიერთი შენიშვნა დამაფიქრებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კრიტიკოსი საკმაოდ ტენდენციურია. ცხადია, პოეტების მეფის მთელი შემოქმედების პირწმინდად დანუნება უხერხული იყო. ეს საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო სვლად აღიქმებოდა. ამიტომაც ამბობს: „გალაკტიონ ტაბიძეს ქართულ პოეზიაში აქვს საკმაოდ პოპულარული სახელი“.¹⁵ მოზომილი და თავშეკავებული ხოტბაა.

კრიტიკოსს არ აკმაყოფილებს „ლომისში“ დაბეჭდილი გალაქტიონის თხზულებები. „ზამთარ“ არ არის მისი საუკეთესო ლექსთაგანი. მასში ბევრია ჰაერი, მაგრამ წყალიც საკმაოა, ხოლო ცეცხლი — ოდნავ“.

ვნახოთ, როგორია საპროგრამო სტატიის კვალიფიკაცია. მეთაური წერილი „სავსეა პოეტურ ჩვენებათა კორინთელით. ვერ გაიგებ რაშია საქმე: გასული წლის ლიტერატურული მიმოხილვაა. თეთრი ლექსი თუ ლირიკა პროზათ“.¹⁶ „პოეტები

სვამდნენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისაგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდნენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოკიდებოდათ“. ავტორს ვერ დაუფიქრებთ, რომ ის საკმაოდ „ადევნებდა თავის თავს თვალყურს“, ვინაიდან იქვე ასეთ ერესს ამჟღავნებს: „XIX საუკუნემ XX-ს საჩუქრად მთავრად მხოლოდ ერთი ზარმაცი ცხენი, ჩვენს საუკუნეს კი გაქანებული მერნები, „ლურჯა ცხენები“ სჭირდება. ესლა ეს მერნები დგანან ახალი ეპოქის კარებთან...“ აქედან ირკვევა ორი რამ: ერთი: XIX საუკუნეს უანდერძებია XX-სთვის ჯავგლავა პოეზია. მეორე: XX საუკუნე ამ მემკვიდრეობის ამარა სულს განუტევებდა, მაგრამ აი, გამოჩნდება „ლურჯა ცხენების“ ავტორი გალაქტიონ ტაბიძე და თავისი პოეზიის მერნებით გააქანებს მთელს საუკუნეს. დიდი ენერგიით არის გასროლილი ეს სიტყვები, მაგრამ პოეტის პრესტიჟისათვის უკეთესი იქნებოდა ეს ეთქვა რომელიმე მკვლევარს პოეზიისას, ვთქვათ 1932 წელს. დიდებას მით უფრო მალე მოიხვეჭ, რაც უფრო ნაკლებ ეპოტინები მას. წერილის მეორე ნახევარში ავტორი რაღაც გაუგებარი დაჟინებით ლაპარაკობს ხალხზე და ხალხის სახელით. „ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერს კეთილშობილურს“, „ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ენაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას“. აქ უთუოდ არის რაღაცა „გლავპოლიტპროსვეტი“-ს ლოზუნგებიდან“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ რეცენზენტს არ ესმოდა მეთაფორის არსი, ტროპის სპეციფიკა. მაშ რატომ ხდება ხატოვანი თქმების გაბიბრება? ჩვენ ადრე საკმაოდ ვისაუბრეთ საპროგრამო წერილზე¹⁶ და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ერთს კი ხაზგასმით აღვნიშნავთ: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ მანიფეტს მოჰგავს. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

მიმოხილველი უფრო თავშეკავებულია, როცა ლ. ქიჩელის „უცნაურ მოთხრობებს“ ეხება. სამაგიეროდ ზედმეტად მკაცრობს კოტე მაცაშვილის მიმართ. „უკანასკნელ წლებში პოეტის შთაგონებას მანიაკალური დაჟინებით იპყრობს დაქტილური მეტრის ჰიპნოზი. პოეტი პირდაპირ ტყვედა ჰყავს ლექსის ამ წყობას და უკანასკნელი ოთხი ლექსიც ამ ზომით არის დაწერილი. თუ მან არ ამოსწურა ეს ნაკადი და არ მოიძულა ეს ზომა, მის შემოქმედებას საფრთხე მოეღოს: მას დაახრობს რიტმული ეპილეპსია, როცა მელანქოლიური ნაწინა მომბეზრებელი დაქტილისა უმადლეს რეზონანსს გამოსცემს“.¹⁷

კრიტიკოსს არ აკმაყოფილებს კონსტანტინე გამსახურდიას „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“. მისი აზრით, ქვემარტივი სიმბოლიზმი არასდროს უარყოფდა „ყოველივე რეალობას“ და „ესთეტიური აბსურდები“ სრულიად არ არის სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი.

„ლომისში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის უცნობი ლექსი, მიძღვნილი ეკატერინე სარაჯიშვილისადმი. იგი არ გამოირჩევა მხატვრული ბრწყინვალეობით. მაგრამ, როგორც ილიას თხზულება, მაინც იმსახურებს ყურადღებას. მისი პუბლიკაციით გალაქტიონმა გაამჟღავნა ილიასადმი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მონინავე საზოგადოების ღრმა პატივისცემა.

მიმოხილველი სხვაგვარ პოზიციას ეღვას. „განა მწერალი რასაც დასწერს, ყველაფერი გამოსაქვეყნებელია“. რომელიმე სქელტანიან აკადემიურ გამოცემაში რომ მოეთავსებინათ ეს სტრიქონები (რომელშიც არც ერთი პოეტური სიტყვა არ არის), ამას კიდევ ექნებოდა ცოტაოდენი მნიშვნელობა, მაგრამ მისი ჟურნალში მოთავსება „ილია ჭავჭავაძის ლექსის“

მევირალა სათაურით, არაფრით არ არის გამართლებული“.

კრიტიკოსს მოსწონს მოკლე ინფორმაციები, რომლებიც მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებას ეხება. იმიტაც კმაყოფილია, რომ ჟურნალის ნომრები სისტემატურად გამოდის.

საგულისხმოა შემდეგი განცხადებაც: „ამ ტიპის ჟურნალს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის პრობლემები, რომლითაც ვინრო წრეები არიან დაინტერესებულნი, ვერ აღძრავენ საზოგადოების ცნობისმოყვარეობას“.

„ლომისს“ გამოეხმაურა „ბარრიკადიც“. მისი ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი გალაკტიონს „სამოუჩკად“ ნათლავს და „გათავხედებულ“ ლიტერატორს უწოდებს. ეს გაზეთი ცისფერყანელთა ორგანო იყო. ამ პერიოდში კი გალაკტიონისა და ხსენებული ორდენის წევრთა დაპირისპირება ზენიტს აღწევს.

როგორც ვხედავთ, დადებითი და უარყოფითი მოსაზრებები გვერდიგვერდ გვეძლევა და საზოგადოებასაც საზოგადოდ განაწყობს. საბოლოო დასკვნა მაინც დადებითია. „ლომისს“ გამოცემა მიჩნეულია სამამულო ჟურნალისტიკის წინ გადადგმულ ნაბიჯად.

სულ გამოვიდა „ლომისის“ შვიდი ნომერი. ბოლო ორი ერთ წიგნად არის აკინძული და საკმაოდ სოლიდურია, 40 გვერდისაგან შედგება. წინა ნომრების გვერდთა რაოდენობა თექვსმეტს არ აღემატებოდა. ალბათ ამანაც განაპირობა ფასის გაზრდა. წინა ნომრები 15 000 მანეთი ღირდა, გაერთიანებული კი 40 000.

ჟურნალის დახურვა ფინანსურმა სიძნელეებმა განაპირობა. ჩანს, სპონსორს გაუჭირდა მძიმე ტვირთის ზიდვა, სხვა შეფერხებებმაც იჩინეს თავი.

არქივმა შემოგვინახა „მიმართვა“, რომელსაც ხელს აწერენ ცეკავშირის სტამბის მმართველი და ტექნიკური ნაწილის გამგე. ჩვენ საქმეებს ვერ ავუდივართ და თქვენი შეკვეთის შესრულება არ შეგვიძლია. ცეკავშირის საქმეების დაუბრკოლებლათ სტამბას „ლომისს“ გამოშვება არამც თუ თავის დროზე, არამედ ორი კვირის განმავლობაშიც არ შეუძლია.

ამიტომ გატყობინებთ რა ამას, გთხოვთ წინასწარ შეეცადოთ თქვენი ჟურნალისთვის სხვა სტამბის მონახვას. მე-ხუთე ნომრის „ლომისის“ გამოშვებას კი ცეკავშირის სტამბა ყოველი ღონისძიებით შეეცდება“.¹⁸

გალაკტიონს მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ საქმე ვერ მოგვარდა. მგოსანი მაინც მხნედაა, რადგან ახალი იდეა დაიბადა — საკუთარი ჟურნალის დაარსება. ამისთვის გამოცდილებაც აქვს და მეგობარ-ახლობლებიც მხარში ამოდგომას ჰპირდებიან.

„ლომისის“ არსებობა დადებითად შეფასდა მწერალთა მეოთხე კონფერენციაზე:

„საბჭომ მონახა ქართული მწერლობის მეგობარი, რომელმაც განსაზღვრულ, საბჭოსათვის შეღავათიან პირობებში თავს იდო ჟურნალის გამოცემის ტექნიკური და ფინანსური მხარე. ჟურნალს დაერქვა „ლომისის“ სახელი და გამოვიდა შვიდი ნომერი. აქ არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რა ღირსება ან ნაკლებეანება ჰქონდა ამ ჟურნალს. საგულისხმო იყო ის, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯი გამოცემლობის საქმეში. დიდი შრომა და ნერვები შეიწირა ამ საქმემ, მაგრამ ჟურნალმა ვერ დაფარა ხარჯები. მეშვიდე ნომრის შემდეგ იძულებული გახდა ჟურნალის გამოცემა შეგვეჩერებინა“.¹⁹

შვიდი თვის შემდეგ, კერძოდ 3 სექტემბერს, მწერალთა კავშირმა კვლავ გამოსცა თავისი ორგანო და ისევ „ლომი-

სის“ სახელწოდებით.

სამამულო ჟურნალისტიკის მკვლევართა სამაგიდო ნიგნში — „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ გამოქვეყნებული არ არის ორი „ლომისი“. არც რედაქტორებია დასახელებული. ავტორი კმაყოფილდება მინაწერით: „სარედაქციო კოლეგია“. არადა სხვაობა ძალზე დიდია. პირველი „ლომისი“ ჟურნალი იყო, მეორე კი გაზეთი. პირველს გალაკტიონი რედაქტორობდა, მეორეს ლეო ქიაჩელი, თანამშრომელთა რიგიც განსხვავებულია.

სხვათა შორის, მეორე „ლომისში“ გალაკტიონს მხოლოდ ერთი მასალა აქვს დაბეჭდილი, კრიტიკული წერილი.

ლეო ქიაჩელის რედაქტორობით გამოშვებულ გაზეთს სპონსორობას უწევდა თომა ჩიქვანაია.

საგამომცემლო საქმის თავკაცობა გულისხმობდა არა მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების დაარსება-გაძლოლას, არამედ წიგნთა ბეჭდვის გეგმაზომიერად წარმართვასაც.

სახელმძღვანელებს კალმოსნებსაც კი უძნელდებოდათ თავიანთი თხზულებების გამოცემა. ხარჯი დიდზე დიდი იყო. შემწე და დამხმარე სჭირდებოდათ. ამ მხრივ მწერალთა კავშირის სხვებზე მეტად შეეძლო ხელის გამართვა. ისიც მცდელობას არ აკლებდა.

ნიგნი პირველ რიგში ერის თვალსაწიერის გაფართოებას, მასების ინტელექტუალურ, მორალურ-ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება. ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მას ძალუძს შემოქმედისათვის მატერიალურად ხელის გამართვა. ეს კი ოციანი წლების დასაწყისში, როცა ქვეყანა არნახულ კრიზისს განიცდიდა, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად წარმოჩინდებოდა.

გალაკტიონი ძალზე სერიოზულად, მთელი გულისყურით ეკიდება ამ საქმეს. ეძებს მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს, ამჯერადაც ამკარაა მისი ფართო განათლება და შორსმჭვრეტელობა. სექციის ხელმძღვანელი არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ ძველი მწერლების თხზულებათა გამოცემას გეგმავს.

„ჩვენს სალიტერატურო სექციას განზრახვა აქვს დამუშაოს დაახლოებით 10 ნიგნი ერთი სათაურით: პოეზია საქართველოს უძველესი დროიდან ვიდრე დღემდე. ეს ნიგნი თხოვლობს გულდადებულ შრომას, რაც, როგორც მოგეხსენებათ, ძნელია დღევანდელ პირობებში. საჭიროა მუშაობა არა ერთის, არამედ რამდენიმე კაცის. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ როგორც ნიგნთსაცავებში, ისე კერძო პირებს მოეპოვებათ მთელი რიგი ძველი დაუბეჭდავი შედეგებისა. ზოგი დაბეჭდილია, მაგრამ მრავალი შეცდომით. ერთი სიტყვით, წერაკითხვის საზოგადოების საცავში, აგრეთვე უნივერსიტეტში და სხვ. საჭირო არის ბეჯითი მუშაობა: მონახვა, გადაწერა, დალაგება, წიგნებად დანყოფნა, შესაფერი წინასიტყვაობა, შესაფერი შენიშვნები, პორტრეტები, ფაქსიმილიები და სხვა“.

ფაქტობრივად ეს იქნებოდა ეროვნული კულტურის ერთი ნაკადის გამობრწყინება; თავმონონებისა და სიამაყის საბაზი.

სერია მხოლოდ ისტორიული ღირებულებით როდი იქნებოდა ძვირფასი და გამორჩეული. ნაწარმოებში ჩაქსოვილი იდეები და დებულებები, მაღალმხატვრული სახეები თანამედროვე მკითხველთა აღზრდა-განათლებლასაც შეუწყობდა ხელს.

გალაკტიონისათვის ცხადია, რომ ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა ძნელია. მაგრამ ისიც სჯერა, რომ ამოცანის გა-

დაჭრა შესაძლებელია.

მასალათა მოძიებას წინასწარ კვალიფიკაცია — სისტემატიზაციის საფუძვლიანი განათლება, დიდი პროფესიული ცოდნა სჭირდება. მეორე მხრივ, ტექსტთა სამეცნიერო აპარატურით აღჭურვა — წინასიტყვაობა, კომენტარები, შენიშვნები და ა. შ. სენაკში ჩაკეტილი ბერის გარჯას მოითხოვს.

არნახული დატვირთვაა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ანაზღაურებული იქნება უჩვეულო გამონათებით.

საკითხავია, დღეს თუ გვაქვს ასეთი გამოცემა და როგორ შეფასებას იმსახურებს იგი.

შემთხვევითი როდია, რომ გალაკტიონმა აიტაცა სარგის კაკაბაძის იდეა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის თაობაზე.

„კაკაბაძის აზრით, ამ წიგნის გამოცემა შეიძლება ორგვარად: სრული ტექსტი ყველა შემდეგი დროინდელი ჩამატებებით და ტექსტი მარტო შოთა რუსთაველისა. კაკაბაძეს ყველაფერი დეტალურად აქვს შესწავლილი. ამასთანავე რუსთაველის ტექსტი აღდგენილია მხოლოდ ხელნაწერების მიხედვით. თანახმად ხელნაწერების დეტალურად შესწავლისა სარგის კაკაბაძეს, როგორც ვიცით, აქვს გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთას შესახებ, ახლად მოპოვებული მასალების მიხედვით. ამ წიგნის გამოცემას ჩვენ შესაძლებლად ვცნობთ. თუ გამოიცემა სრული ტექსტი ყველა შემდეგი დროის ჩანართებით, ხომ კარგი, თუ არადა გამოცემული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ რუსთაველის ტექსტი — მაშინ ეს წიგნი იქნება დაახლოებით ასი გვერდით უფრო ნაკლები, ვინემ პირველი“.

უფრო ნაკლები ზრუნვა სჭირდებოდა თანამედროვე მწერალთა თხზულებების გამოცემას, რადგან ბევრ საქმეს თვით ავტორები ავგარებდნენ.

სექციის ხელმძღვანელის ჩანაფიქრით, უახლოეს ხანში უნდა დაბეჭდილიყო შოთა რავეისპირელის მეხუთე წიგნი, შემდეგ ვასილ ბარნოვის „ამქრის შვენება“. გალაკტიონი მაღალ შეფასებას აძლევს ამავე ავტორის „ხაზართა სასძლოს“. „ძალიან კარგი რომანია, თუ გამოცემით, და თუ არა, მე მაქვს სახლში, ავიღებ და დავუბრუნებ პატივცემულ ავტორს“.

მგოსანი დასაბეჭდად რეკომენდაციას უწევს აგრეთვე თავისი მეგობრის მიხეილ ბოჭორიშვილის ვრცელ ნაწარმოებს „სიყმანვილეს“.

მწერალთა კავშირის საბჭომ მოიწონა გალაკტიონის ჩანაფიქრი.

საგულისხმოა, რომ გალაკტიონი, ერთი მხრივ, სერიოზულად ზრუნავს ნიჭიერ ავტორთა მოსაზიდად. მეორე მხრივ, იღვწის მათი მატერიალური დაკმაყოფილებისათვის.

გადავიკითხოთ გალაკტიონის ხელით დაწერილი დადგენილების პროექტი, „მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით სარედაქციო კოლეგიას დაევალა მწერლების ხელნაწერების შესყიდვა განზრახულ გამოცემათათვის. მონოდებული მასალებისათვის გაღებული იქნება გონორარის ნაწილი წინ და წინ, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის იქნება განხორციელებული გამოცემა“.

უურნალის გამოცემა და წიგნთა ბეჭდვის ხელმძღვანელობა.

ასეთია გალაკტიონის ძირითადი დატვირთვა. დროდადრო სხვა საქმის მოგვარებაც უხდება. მაგალითად, ივანე კორინთელმა განცხადებით მიმართა მწერალთა კავშირს, შეესყიდათ მისი კუთვნილი ბიბლიოთეკა. 1921 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე დაადგინეს: გალაკტიონს იოსებ გრიშაშვილთან ერთად დაეთვალეურებინა ეს წიგნთსაცავი

და გაემართა მოლაპარაკება მისი შესყიდვის თაობაზე.²⁰

ორი თვის შემდეგ გალაკტიონსა და ლეო ქიაჩელს მიანდევს ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო ღონისძიებათა გეგმის შედგენა. ცოტა ხანიც და ახალი დატვირთვა. პოეზიის დღესთან დაკავშირებით „მიენდოს გალ. ტაბიძეს ამ თავითვე შეუდგეს მასალების მომზადებას და წარმოუდგინოს საბჭოს მომავალ სხდომას პროექტი“.²¹

გალაკტიონს დაეკისრა აკაკის ძეგლის კურთხევის ცერემონიაში მონაწილეობა, ქართულ კლუბში საღამოს გამართვისათვის ნებართვის აღება და ა.შ. პირადი საქმეებიც მოსაგვარებელია. 1923 წლის 15 თებერვალს ლექციას კითხულობს აკაკი წერეთლის შესახებ თბილისის ხელოვანთა სახლში, ამზადებს ახალ წიგნს და სხვა. ერთი სიტყვით, გალაკტიონი ყელამდე ჩაფლულია დიდ საქმიანობაში. წარმატებითაც ასრულებს დავალებებს და ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრის.

ბედნიერია, როცა თავის მასწავლებლებს ხელს უწვდის. ზოგჯერ სარაჯიშვილისეულ პატარა ბაღში დავით კლდიაშვილს მოჰკრავს თვალს და სახე უნათდება. დავითს უცნაური გამოხედვა აქვს. გიყურებს და თითქოს გეკითხება: როგორ იყო, გუშინ რომ ფეხი დაგიცდა? თითქოს სიცილს აპირებს, მაგრამ არ იცინის. თვალებს ეშმაკურად წკურავს. ურთიერთს დიდი პატივისცემით მოიკითხავენ. უმეტესად გალაკტიონი უბნობს, ზოგიერთ ეპიზოდს იხსენებს მისი მოთხრობებიდან და განგებ უქცევს იმერულად.

მერე სხვებიც შემოჯარდებიან და მზეს სხივები ემატება.

გავეცნოთ იმჟამინდელ მხატვრულ ლიტერატურას. პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას თუ ვერწმუნებით, 1921 წელს გალაკტიონს მხოლოდ 7 ლექსი დაუწერია. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ სამი.²² მაინც ცოტაა, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ მომდევნო წელს თითქმის სამჯერ მეტი შედეგები შექმნა.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სხენებული პერიოდი ძლიერ ამღვრეული და დაძაბულია. ერთი მხრივ, სიტუაციასთან შეუგუებლობამ, არსებობისთვის ბრძოლამ, ათას-მა წვრილმანმა, ხოლო, მეორე მხრივ, მწერალთა კავშირში მუხლჩაუხრელმა გარჯამ პოეტის განწყობასა და ენერგიას სხვა კალაპოტი მისცა; უფრო ზუსტად, გადახრისაკენ უბიძგა. მგონი არ უნდა იყოს სიმართლეს მოკლებული შემდეგი განცხადება: როცა თავი წვრილმანებით ივსება, შედეგებისათვის ნაკლებ რჩება დრო და ადგილი.

როგორია ეს ლექსები? მკაფიოდ ჩანს დაღვრემილობა და სევდა.

სულში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი, სადაც ველარ თბებთან ფრთები ნამკათათვარი.

ტიკვილი კიდევ უფრო მძაფრად განიცდება ანმყოს წარსულთან შეპირისპირების ფონზე.

სად ოდესმე მეოცნე აფრებით, ათასფერი იმედით და ზაფრებით, აგასფერის მიმოქროდა ხომალდი, მეზღვაურის სულთან გათანაბრებით, როგორც ზვირთთა ქაფიანი მოღება ფაგოტების მიტაცებდა გოდება, მაცობდა უმძლავრესი მუსიკა,

თმას მინუნდა ქარის გაბოროტება“²³

კვლავ მძლავრობს მწვავე საკითხებზე დაფიქრება, სათქმელის შემოსვა იდუმალების საბურველით, ქვეტექსტის წინ წამოწევა და ფართო განზოგადება.

**მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით
ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი,
სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით
ისევ მეძახის ჩემი დემონი.**

ამ ოთხსტრიქონიან უსათაურო ლექსში კარგად არის გამჟღავნებული პოეტის სურვილი და მისწრაფებანი. ჩაკეტილი სივრცე უნდა გაირღვეს, სულს ენატრება ლურჯი მონტევიდეო.

ახლა გადავიკითხოთ „ავდარი“.

**მძაფრი ბურუსი იტაცებს ბურუსს
თითქოს ქაოსში ხმაურობს განგი,
ხეების რყევა ბაძავს კენგურუს
და დახრილ ვერხვებს ორანგუტანგი.**

**ტყეს რიდეები ეწევა ტანზე
და ჰკივის იგი ცეცხლმოდებული,
შიშპანზეს მთებში მისდევს შიშპანზე,
გრიგალს — გრიგალი აშფოთებული.**

**ოჰ, როდის ვიტყვი: გრიგალი ჩადგა!
იქნება დაცხრეს მშფოთვარე გული...
იქნებ გამოჩნდეს სადმე კამჩატკა,
რუქაზე არსად არ აღნიშნული.**

განა აქ მთავარი განგია? შფოთს დასასრული არ უჩანს. შეტაკებები ცხარეზე ცხარეა. კაცი-მაიმუნი, გნებავთ ორანგუტანგი უნოდეთ მას და გნებავთ შიშპანზე, დაუნდობლად მოქმედებს. ბურუსს ბურუსი ემატება. მეფობს ავდარი. როდის ჩადგება გრიგალი?

გულის გადახსნის, გასაუბრების სურვილი დიდზე დიდია. მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს პუბლიცისტურ სიმკვეთრეს. გალაკტიონი პატივს სცემს ალლოიან მკითხველს. აუდიტორია უნდა ჩანდეს არა მხოლოდ ცალკეულ პარადიგმებს, არამედ ნაწილობრივ მაინც სახეთა მონაცვლეობის საიდუმლოებას. ამ მხრივ უთუოდ გამომწვევია ლექსი „ბრმა ცალი თვალით“.

1921 წელსაც მძლავრობს „სიტყვათა ქმნადობის“ ტენდენცია: ლექსში „დღემ გაიარა“ ორი ნეოლოგიზმი გვხვდება: „მზემ დასავლეთი დააირისა“ და „მოსილი ჩრდილთა ნასიზმარებით“. შემდეგ და შემდეგ ეს ტენდენცია ძლიერდება: „ახავერდება“, „ნასამუმარი“, „დაენდომები“, „გაბედითება“, „მიუღიავებს“, „ეალუბლება“, „გაგაანგარა“ და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს პოეტს ევინროვება სიტყვის სემანტიკური საზღვარი.

ზოგიერთ ლექსში მძლავრობს ზმანება; ვარსკვლავებისკენ სწრაფვა არ დამცხრალა.

ამ თავს სათაურად „გადაზნექილი სიზმრების წლები“ შევურჩიე. სიზმარი გალაკტიონის შემოქმედებაში საოცნებოსა და ამაღლებულის სინონიმადაც მოიაზრება. პოეტი მიილტვის რეალურიდან არარეალურისაკენ, რადგან სწო-

რედ ის მიღმური ხიბლავს და აკმაყოფილებს.

და აი, სიზმრები გადაიზნიქა. წინ იწევს მკაცრი ყოველდღიურობა. ხომ არ მოდის თუჯის და რკინის ხანა, პირდაპირი შეტევისა და გაშიშვლებული უბნობისა?.. 1921-ში მხოლოდ სიმპტომები იგრძნობა ამისა. სამი წლის შემდეგ კი თვალნათლივ ჩანს. დიახ, გადაიზნიქა სიზმრები, მაგრამ საერთოდ არ გამქრალა.

ვფიქრობთ, გალაკტიონის შემოქმედების საანალიზო პერიოდის სპეციფიკას ეს მხატვრული სახე საუცხოოდ ამჟღავნებს.

P.S.

**გავაღე კარი, თეთრი თოვლი შემომეფთა,
მივხურე კარი, მარტოობამ დაისადგურა.**

1. უახლესი ისტორიის არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 8, აღწ. 1, საქმე 5, ფ. 23.
 2. იქვე, საქმე 6, ფ. 5.
 3. იქვე, საქმე 10, ფ. 2.
 4. იქვე, საქმე 5, ფ. 1.
 5. იქვე, საქმე 5, ფ. 18.
 6. ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი — რედაქტორი და გამომცემელი, 1997.
 7. იქვე, საქმე 10, ფ. 3.
 8. იქვე, საქმე 10, ფ. 5.
 9. იქვე, ფ. 7.
 10. იქვე, საქმე 23, ფ. 9.
 11. იქვე, საქმე 23, ფ. 1.
 12. იქვე, ფ. 8.
 13. იქვე, ფ. 6.
 14. იქვე, საქმე 23, ფ. 5.
 15. 1922, №2.
 16. იხ. ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი რედაქტორი და გამომცემელი, 1997.
 17. 1922, №2.
 18. იქვე, საქმე 40, ფ. 1.
 19. იქვე, საქმე №43, ფ. 6.
 20. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა გულდაგულ ზრუნავდა ბიბლიოთეკის გამდიდრებისთვის. თუ არ ვცდები, სწორედ 1921 წელს შეიძინეს თუმანიშვილის უმდიდრესი ნივთსაცავის ნაწილი.
 21. უახლესი ისტორიის არქივი, საქმე 11, ფ. 9.
 22. „დგება თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“, „ხო-მალდს მიჰყვება თოვლის მადონა“. ესენი ჟურნალ „ლომისის“ 1922 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა საერთო სათაური „ზამთარი“. ხსენებული ნომერი 1922 წლის პირველ იანვარს გამოვიდა. ცხადია, ლექსები გაცილებით ადრეა დაწერილი.
 23. ციტატა ზუსტად არ მიყვება მეორე ტომში მოთავსებულ ტექსტს. ჩვენ ვსარგებლობთ „ლომისის“ იმ ეგზემპლარით, რომელზედაც დაფიქსირებულია გალაკტიონის შენიშვნები.
- | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>დაბეჭდილია</p> <p>3 აგაფერის მიმოჰქონდა
ხომალი.</p> <p>4 მეზღვაურის სულთან
გათანაბრდებით.</p> <p>6 ფაგოტების მიტაცება
გოდება.</p> | <p>გასწორებულია</p> <p>აგასფერი მიმოჰქონდა
ხომალი.</p> <p>მეზღვაურის სულთან
გათანაბრებით.</p> <p>ფაგოტების მიტაცებდა
გოდება.</p> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი პასუ-

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

ორი პიესა, ორი მღელვარება

ქართულ ლიტერატურაში, უფრო ზუსტად კი ქართულ ინტელექტუალურ მემკვიდრეობაში არსებობს თემები და სააზროვნო ობიექტები, რომელთა მიმართ ერთმნიშვნელოვნად დადებითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ამ დამოკიდებულებას კი, ბუნებრივია, თვით ამ ობიექტთა შინაარსი განაპირობებს. ძნელად მოიპოვება მოაზროვნე და ფიქრის მოყვარე კაცი, თავისუფლებას რომ არ ეტრფოდეს, მასზე არ ფიქრობდეს და არ ეძებდეს კუნძულს, სადაც ეს უცხო ხილი მოდის. ხოლო თავისუფლებაზე ფიქრს ჩვენ, ქართველები „ვეფხისტყაოსნამდე“ მიყვავართ, იქიდან კი პირდაპირი „რეისით“ ბარათაშვილის მამულში ვხვდებით. „მერანის“ შესახებ ფიქრისას აღმოვაჩინე, რომ ეს არის ლექსი თავისუფლების ფენომენზე და ეს არის ხოტბა, შესხმა თავისუფლებისადმი. როდესაც ერს ამგვარი მოაზროვნე „შინ“ გეგულება, უფრო თამამად ხარ.

იმასაც ვიტყვი, რომ ამ ლექსის დაწერას მართლა სჭირდებოდა ისტორიული კონტექსტიც და რეალური, სუბიექტური ბიძგიც. ყმანვილ ბარათაშვილში ორივე ფაქტორმა მოიყარა თავი და დაიბადა ლექსი, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მთელი ჩვენი აზროვნების დიაპაზონი – დანყებული ილიადან, გალაკტიონისა და ცისფერყანელთა გავლით, — დღემდე.

ამიტომ არ გამკვირვებია, როსტომ ჩხეიძის პიესა „ლეგენდა ისკანდერისა“, თუმცა გამაკვირვა და გამაოგნა იმ სივრცეში, სადაც „გააქტიურა“ ავტორმა ეს შედევრი. ჩვენთვის ცნობილია როგორც პავლე ინგოროყვას მონოგრაფია ბარათაშვილის შესახებ, ასევე, როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიაც პავლე ინგოროყვაზე, და სრულიად ახალი არ ყოფილა „მერანის“ ლირიკული გმირის მიღმა ალექსანდრე ბატონიშვილის სახის დალანდვა. მეც ვიზიარებ ორივე მკვლევარის ჰიპოთეზების ლოგიკას, მაგრამ პიესის სიუჟეტმა კიდევ უფრო გააფართოვა არეალი და „მერანის“ გმირით „გაყლინთა“ 30-იანი წლების ქართული თეატრალური სინდრის – სანდრო ახმეტელი.

უფრო რომ მივუახლოვდეთ პიესას – „ლეგენდა ისკანდერისა“ ჩვენი დიდი და ლეგენდარული გმირის ალექსანდრე ბატონიშვილს ეძღვნება თითქოს, მაგრამ არა მხოლოდ მას – იგი ეძღვნება ბარათაშვილის „მერანსაც“, სანდრო ახმეტელსაც, გიორგი შატბერაშვილსაც, მაგრამ ამ პიესის ყველაზე მნიშვნელოვანი მიძღვნა კავკასიის თავისუფლების იდეას ეკუთვნის. ეს იდეა მარადიულად იმუშავებს მანამ, სანამ ჩვენი დიდი ქართველების და, ზოგადად, დიდი კავკასიელების სანუკვარი ოცნება არ ახდება, სანამ არ აცხადდება დიდი ილიას ხილვები: „ჩემი სამშობლო, საქართველო დღეს მიცოცხლდება, ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი

მღელვარობს, / კასპიის ზღვიდგან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს / და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება“.

ასე მგონია, კავკასიის ერთიანობის იდეა ყველა დროში აქტუალური იყო და ასეა დღესაც. მას აქეთ კი, რაც სახელმწიფოებრიობა დავკარგეთ და რუსეთმა დიდი გეგმები დაუსახა საკუთარ იმპერიას, განსაკუთრებით ამუშავდა ეს იდეა, როგორც კავკასიის ცალკეული სახელმწიფოებისა თუ ეთნიკური ერთეულების ერთადერთი მხსნელი თუ გადამრჩენელი.

ალექსანდრე ბატონიშვილის სახეც განსაკუთრებულ დატვირთვას იქნეს XIX, XX საუკუნეთა ლიტერატურაში, როგორც მხატვრულ ტილოებში, ისე — დოკუმენტურში. სანიშნოდ შეიძლება გავიხსენოთ ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ისკანდერი“, იოსებ მჭედლიშვილის პიესა, მიხეილ ჯავახიშვილის განზრახული რომანი... უცხოეთში გადახვენილი ბატონიშვილი დიდხანს ინარჩუნებდა მხსნელის მისიას, თუმცა რეალურად ეს არც და ვერც გაცხადდებოდა, რუსეთი ასე ხელაღებით არ ჩაყრიდა წყალში თავის დიად მონაპოვარს. არც ბატონიშვილის ელირსა სამშობლოში დაბრუნება და არც კავკასიის იდეის — განხორციელება. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მან ახალი სიმძაფრით იჩინა თავი, რაკილა ოქტომბრის რევოლუციამ და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებამ კიდევ უფრო შორს წაწინა თავისუფლების იდეა. პიესა სწორედ ამ სივრცეში იდგმება და დიდ რეჟისორს სანუკვარ ოცნებას წარმოუდგენს, როდესაც ისკანდერის (იგივე ალექსანდრე ბატონიშვილის) სახით იმ გმირს დაინახავს, ვისი სახელიც ხალხურ თქმულებებში ლეგენდად ქცეულა და ვისაც მთელი კავკასია ეთავყვანებოდა, როგორც სრულიად კავკასიის ერთიანობის სიმბოლოს. აქ მცირე ეპიზოდი უნდა მოვიხმოთ პიესიდან.

პავლე ინგოროყვა და სანდრო ახმეტელი ერთმანეთს ხვდებიან და მეცნიერი რეჟისორს ანდობს თავის მოსაზრებას „მერანის“ ლირიკული გმირის შესახებ. სანდრო ახმეტელი კი კარგა ხანია რალაცას ეძებს, ამბავს, სიუჟეტს, რაც მის სათქმელს ბოლომდე გამოხატავს. პავლეს მსჯელობას იგი ალტაცებამდე მიჰყავს.


„პავლე ინგოროყვა — ერთი ლეკური თქმულება მოვისმინე ალექსანდრეზე, ისინი ისკანდერად რომ ისხენებენ მუსულმანურ კვალობაზე. მასზე ბევრი თქმულება შეიქმნა ჩრდილო კავკასიაშიც — მოგეხსენება, ისინიც ისევე აღიარებდნენ თავიანთ გმირად, როგორც ჩვენ ჩვენად. საერთო კავკასიური მოვლენაა და იმიტომაც.

სანდრო ახმეტელი — შამილისა არ იყოს. მე ჩვენს გმირებში არც გამომერჩევა.

პავლე ინგოროყვა — მეც ასევე. ისე არ ვიცი, შამილი მართლა ალექსანდრეს შვილი იყო თუ არა, მაგრამ სულიერი მემკვიდრე რომ არის და მისი ჰეროიკული ნაშრომების უშუალო გამგრძელებელი, არა მგონია, საკამათოდ გახადოს ვინმემ.

სანდრო ახმეტელი — ერთი ლეკური თქმულებათ.

პავლე ინგოროყვა — უამრავ თქმულებათაგან ის ერთი იმასაც ირწმუნება, რომ ისკანდერს მფრინავი ცხენი ჰყოლია, იმ ცხენით დაჰქროდა, უცებ გაჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, უცბადვე გაჰქრებოდა, ღრუბლებს გაეკვროდა, გადაიელ-



ვებდა. ჰა, ესეც “მერანის” ზოგადი ქარგა და კომპოზიცია”.

ცოტა ქვემოთ:

„სანდრო ახმეტელი — ეს რა მითხარი, პავლე, ეს რა მითხარი... მთებს შევადგამ ერთმანეთს, ავზიდავ, კიდევ უფრო ავზიდავ, ფრენა იქნება კავკასიონზე...”

ამის თანადროულ კი საშინელი აჩრდილი დაძრწის და თავის საკბილოს ელოდება. ახმეტელის გამბედაობა ბერეასთვის ბოლშევიკური იდეის „შთაგონების წყაროა” – მისთანა კონტრრევოლუციონერები, მოლაღატეები, ხალხის მტრები, ძველი დროის გადმონაშთები უნდა მოიშოროს ახალმა “ნათელმა” დროებამ. ერთმანეთის პირისპირ თავისუფლებისა და მონობის დრამა თამაშდება, კავკასიის ერთიანობის იდეა და ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმი ეჭიდება ერთურთს.

რა როგორ დასრულდა, ისტორიიდან ზუსტად ვიცით. არც ლეგენდარულ ისკანდერს ელირსა მისიის აღსრულება, არც ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ველარც სანდრო ახმეტელმა დადგა სანუკვარი სპექტაკლი, მაგრამ იდეა, როგორც მარადიული სწრაფვის მექანიზმი, კვლავ ცოცხლობს ერში და ხორცშესხმას ელის. ალბათ, როსტომ ჩხეიძის მიერ სწორედ პიესის შექმნა და არა – სხვა ჟანრის ნაწარმოებისა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამბავს გაცენიურება უფრო მოუხდება, უფრო ცხადლივ მივა ხალხის გულებამდე.

ახლა მეორე პიესა, თუმც სრულიად სხვა თემაზე შექმნილი, მაინც ძალზე ამაღლებელი და შთამბეჭდავი. იგი ცნობილი კომედიის “მზის დაბნელება საქართველოში” ავტორის შემზარავ აღსასრულს ეძღვნება და პიესა-დეტექტივიც ზედგამოჭრილია მისთვის. საქმის გამოძიებელი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი საყვარელი ილიაა, პროფესიით იურისტი და დუშეთის მაზრაში მომრიგებელ-მოსამართლედ ნამსახური.

ამ პიესიდან შევიტყობთ, რა არაადამიანურად მოჰქცევიან ზურაბ ანტონოვს, როგორი ველურობით მიუყვანიათ სიკვდილის პირამდე. ილია კი რისი ილია იქნებოდა, საქმე არ ჩასჯდომოდა და გამოცანა არ ამოეხსნა. როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, ამ პიესით (“ჩემი გზა – ჩემი აკლდამა”) ჩვენი დიდი ილია მსოფლიო დეტექტივების გვერდით დგება. ამბავი ილიას მიერ ამ ტრაგედიის გამოძიებისა, სრული ლიტერატურული მისტიფიკაციაა, მაგრამ ისე ორგანულად და მხატვრული დამაჯერებლობითაა შექმნილი ილიას ხატება, არავითარ ეჭვსა და უხერხულობას არ უქმნის მკითხველს. პირიქით, გეამაყება კიდევ, რომ ამ საბრალო, ნიჭიერი არტისტისა და კიდევ უკეთესი კომედიოგრაფის სიკვდილის ამბავი სწორედ ილიამ გამოიძია. გამოიძია და დადგა კიდევ ოგიუსტ დევიჟენის, შერლოკ ჰოლმსის, ერკიულ ჰუაროსა და სხვათა გვერდით.

ჩემი ღრმა რწმენით, ორივე პიესამ უნდა იგემოს სიცოცხლე, უნდა დაიდგას ქართული თეატრის სცენაზე. ზურაბ ანტონოვის სიკვდილმა უნდა შეძრას და შეატოკოს ქართველი მაყურებელი, თან იმედიც ჩაუსახოს, რომ ყველაზე ბნელით მოცულ ამბებსაც გამოუჩნდება ოდესმე ვინმე გამოძიებელი და ნათელს მოჰფენს ისტორიის სიბნელეს, ხოლო “ლეგენდა ისკანდერისა” უნდა დაიდგას, როგორც იმედი, როგორც აღორძინება მარადცოცხალი, მაგრამ დროდადრო მიჩუბთებული და მივიწყებული იდეისა – კავკასია უნდა გამოთლიანდეს და გაერთიანდეს, ხოლო საქართველო, როგორც გული კავკასიისა, დღეიდანვე ანრთობდეს თავისუფლების იდეას. ჩვენს ქვეყანას ისტორიამ მიაკუთვნა ამგვარი მისია და მისი დავინწყება და დასამარება არ ეგების.

ერთსაც დავეყენი: არ ვიცი, ვის როგორ ესმის და ვინ როგორ გაიგებს, მაგრამ სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ, ჩვენეთში შეფარებულ ზვიად გამსახურდიას სწორედ ასე უყურებდა სრულიად კავკასია, მასში ხედავდა თავის ლიდერს და განმათავისუფლებელ გმირს. ამიტომაც კიდევ უფრო აქტუალურად მეჩვენა პიესის პათოსი.

რაც შეეხება მეორე პიესის სათაურს – „ჩემი გზა – ჩემი აკლდამა”, მასში ყველა თავგადასვლითი მოღვაწის სული დავლანდე, მათი, ვინც მცირედ მუშაკთაგანია და თვითონვე აგებს თავისი ცხოვ-

ჩვენი ჟურნალის წინა, მე-6 ნომერში გამოქვეყნდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტების (და ერთიც — სკოლის მოსწავლის) თხზულებანი აფხაზეთის თემაზე. ამჯერად კი ვთავაზობთ გზარამ თაყაიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა ნაშრომებს.

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გვანცა დამეტრაშვილი



მე არ ვარ აფხაზი, მაგრამ ვარ ქართველი... დავიბადე 1991 წელს, ამიტომ არც არასდროს ვყოფილვარ იქ, ლურჯი ცის ქვეშ, მინიერ ედემში... არასდროს შემეიგრძენია აფხაზეთის სურნელი; არასდროს მოხვედრია მისი მზის სხივები ჩემს სხეულს;

არასდროს შევსულვარ მისი ზღვის ქაფქაფა ტალღებში; არ შემეიგროვებია მის სანაპიროზე ნიჟარები, არც ქვიშაში მითამაშია... არ მინახავს მისი მზის ამოსვლა და, ცხადია, არც ჩასვლა... არასდროს მისეირნია სოხუმის ქუჩებში, ბიჭვინთაში, არასდროს ვყოფილვარ აფხაზური სტუმართმოყვარეობის მოწმე... არასდროს... არასდროს...

სამაგიეროდ, მინახავს ნაცრისფერი ზეცა, რა თქმა უნდა, მზის გარეშე. დანგრეული ქალაქები... განადგურებული, მინასთან გასწორებული ქუჩები და შენობები... სისხლი, ცრემლი, ქვრივები და ობლები, დაღუპული ახალგაზრდობა და დამცირებული მოხუცები... ადამიანები, რომლებიც ამდენი წლის მერეც ეძებენ, ელოდებიან მშობლებს, შვილებს, ძმებს, დებს, ნაცნობებს... ეს ყველაფერი მინახავს, რადგან მე მაინც ომის თაობას მივეკუთვნები. ომის!

ომი... დედამინის შავი ჭირი... კაცობრიობის განადგურებული... იგი ყველას თანაბრად ადებს ხარკს, როგორც ქალს, ისე მამაკაცს, მხოლოდ ერთისგან იღებს სისხლით, მეორისგან კი — ცრემლით. ეს არის ომი! ბოროტება! გამარჯვების მომტანი ომიც ბოროტებაა, ამიტომ ხალხის სიბრძნით აუცილებლად თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

მე და ჩემმა თაობამ, ასე თუ ისე, ვიცით აფხაზეთის შესახებ, რაღაც გრძნობაც გვეუფლება ხოლმე მისი სახელის გაგონებისას. ვიცით მშობლების, ბე-

ბიებისა და ბაბუების, ნათესავეების მოგონებებით, თავს გადამხდარი ამბებით, სხვადასხვა ნაწარმოებით... მაგრამ ჩვენ, ჩვენ რას მოვუყვებით ჩვენს შთამომავლობას? საწინუხარიც სწორედ ეს არის. ნელ-ნელა ყველაფერი დავინწყებას მიეცემა და ბოლოს აფხაზეთი არათუ დაკარგული კურორტი იქნება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ოდესღაც საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ტერიტორია. ჩვენს შვილთაშვილის შვილებს აღარანაირი ემოცია და გრძნობა არ ექნებათ. ისინიც ქართული სიამაყით, თავის ქნევით იტყვიან, როგორც დღეს ჩვენ დავიტრახებთ ხოლმე — ოდესღაც საქართველო ნიკოფსიიდან და რუბანდამდის იყო.

მერე რა, რომ იყო!..



**ნინო
ანლიაშვილი**

1992 წლის 11 აგვისტო — პირველი ტყვია და პირველი სისხლი, სწორედ ამ დღეს, ამ თარიღს უკავშირდება, ეს იყო აფხაზეთის ომის დასაწყისი. აქედან დაიწყო მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის უსასტიკესი ხოცვა-წამება. აფხაზეთი მიზანმიმართულად, დაუნდობლად განადგურდა და კვლავაც ნადგურდება.

გაგრძელებმა საავადმყოფოში მოიტანეს შუაზე ხერხით გადაჭრილი ქართველი გოგონას გვამი წერილით, სადაც ეწერა: „როგორც ამ გოგონას სხეულს ვერ გაამთელებთ, ისე ვერ გააერთიანებთ საქართველოს და აფხაზეთს“.

აფხაზი ქალის ნაამბობი: ნუხელ სიზმარში აფხაზეთი ვნახე, ნუხელ სოხუმში ვიყავი თითქოს. ვაიმე ვისაც კი დავუძახე, ხმა არავინ გამცა და ვერავინ მიცნო. ხმამალლა ვეძახდი ჩემს სიჭაბუკეს. არავინ ისმენდა ჩემს გულწრფელ ძახილს, მერცხლებს დანგრეოდათ ჩარდახზე ბუდე, ხარვივით ბლაოდა ჩემი ნასახლარი. ჭიშკარს მივანექი, ვაი, ვერ გავალე. უნდობლად მიმზერდა ეზო. ცრემლი მორეოდა სისხლისფერ ვარდებს, ისე, უბრალოდ და უმიზეზოდ. ცხელოდა, სიცხისგან პირი მიშრებოდა, ეზოში კი წყარო იღვრებოდა... ეზოდან გოგონა გამოვიდა, ჭიქა მომანოდა: „წყალი მიირთვი, უცნობო მგ ზავრო“. ჭიქაში წყალი ზღვა-სავით ლივლივებდა... ამაყად მიყურებდა ოდა. ჩავფიქრდი, მეგონა, სურათი გაცოცხლდა, ოდის სურათი გულთან ახლოს, უბეში მქონდა. ჭიშკარდაკეტილი ეზოსთან ვიდექი, დღემილით გავცქეროდი მთა-ბარს. რა ახლოს იყო ჩემი ბავშვობა, ჩემი სიყვარული და ტკბილი ნანა. რატომ არ იღება ჩემი სახლის კარი, ნუთუ ვერ მიცნო?! ნუთუ არაა საკმარისი ამდენი ცრემლი?! შენ ხომ გმირი ხარ, ჩემო აფხაზეთო. შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, ერთ ნუთს შემირიგდი. რატომ ვეღარ მცნობ, თქვენიათ მქვია, — ხმამალლა გავძახე სახლსა და მინდორს. მაგრამ ეს ძახილი არავის გაუ-

გია, ხმა არავინ გამცა, ვერავინ მიცნო. მერე ავტირდი, თავში წავიშინე, მივხვდი, რომ სიზმარი იყო. 20 წელია ასეთი სიზმრებით მე მაინც შენთან ვარ, ჩემო აფხაზეთო.

გამეღვიძება, ფიქრით კვლავ შენთან ვარ, ვფიქრობ: ნეტავ, ოდესმე გველირსება აფხაზეთში დაბრუნება?! ანდა თუკი გველირსება, ნეტავ იქ რა დაგვხვდება?!

**ზოგს დახვდება ნასახლარი, ზოგს კი სახლი
მთლად დამწვარი,
ზოგის ბინა გაძარცული, ზოგის ეზო დანალმული,
აღარ ვჩივი, რა დაგვხვდება, ოღონდ იყოს დაბრუნება,
ხომ ვიცი, რომ ჩემი ძმების საფლავები გველოდება,
იმ გმირები ვაჟკაცების ჩვენ სიცოცხლე
რომ შეგვწირეს,
მათ სახელის დავინწყებას, ღმერთო, ნურვის აპატიებ.**

P.S. ამ ლექსის ავტორი, სამწუხაროდ, ჩემთვის არ არის ცნობილი.



**ეკატერინე
ლომაშინა**

სიზმარია თუ ცხადი, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველს ვერ ნახავ, ვერ ნახვალ, როცა გინდა და რა დროსაც გინდა, ვერ დატკბები მისი გამორჩეული სილამაზით, ვერ იგრძნობ უკიდევანო და ღვთაებრივად ლამაზი ზღვის სიახლოვეს, მის სურნელს. სიზმარი ის უფროა, რომ ამ კითხვას ვსვამ, რომელზეც

პასუხი უკვე 19 წელია გაცემულია. 19 წელია, რაც ეს მიწა, ეს კუთხე, რომლის დასახსნათებლად სიტყვები არ მყოფნის, უმოწყალოდ გამოგვკლია ზღვიდან და არ გვაძლევს მისი ნახვის უფლებას.

1992 წლის 14 აგვისტო იდგა. ქალაქს ნალველი შეჰპარვოდა, თითქოს გრძნობდა მოახლოებულ საშიშროებას, თითქოს იცოდა, რომ მომდევნო დღეები ქალაქს მოსვენებას დააკარგვინებდა და მუდმივი ჭიდილი ექნებოდა სიცოცხლის გადარჩენისთვის. აფხაზეთი უამრავი ადამიანის სისხლს აიტანდა, სანაქებო და ყველასთვის გამორჩეული ზღვა, ისევე, როგორც ქუჩები, სისხლით შეიღებებოდა და ასეთი სილამაზის მქონე კუთხისგან აღარაფერი დარჩებოდა, ისეთისგან, როგორიც ოდესღაც იყო და რითიც უამრავი ადამიანი ამაყობდა. ამაყობდა, რომ ასეთი კუთხე საქართველოში იყო, მისი შემადგენელი ნაწილი. სისხლის დაღვრა საკმარისი არ იქნებოდა, მას ცრემლის ნაკადი შეერეოდა და აფხაზეთს საბოლოოდ მოეღებოდა ბოლო. ეს ხომ ომი იყო, სადაც არ არის ზოგვა, არაფერს არ აქვს მნიშვნელობა, ბრძანებაა უმთავრესი, სადაც თითქოს დაპროგრამებული ადამიანები ასე უმოწყალოდ ადამიანებისვე სისხლს ღვრიან, თითქოს ცხოველი მო-

გეკლას, თანაც თვალის დაუხამხამებლად. ამ ყველაფრის მოსმენა და გამეორება ჩემში შიშის ჟრუნტელს იწვევს და პირადად რომ მენახა, არ ვიცი, რა დამემართებოდა, არ ვიცი, რა დღეში ჩავვარდებოდი. ალბათ, ბედნიერი უნდა ვიყო და ღმერთს მადლობას ვნირავედი იმისთვის, რომ იმ ხნისა არ ვიყავი, როცა ადამიანს ყველაფრის დანახვა შეუძლია, მაგრამ მეც ხომ ომის მონაწილე, მისი ნაწილი ვარ. 9 თვე ომში გავატარე, სულ პატარამ, ახალმოვლენილმა ამ ქვეყანას. არ დამცალდა ბოლომდე იმ კუთხეში გავზრდილიყავი, სადაც სიცოცხლე ვიგრძენი. ერთთვისანი მშვიდი, წყნარი ცხოვრება 9-თვიანმა დაუსრულებელმა შიშმა, ტანჯვამ, წამებამ შეცვალა. ჩემი ოჯახის და სხვა უამრავი ოჯახის ტკივილმა, სადაც უკვე თვითგადარჩენაზე ფიქრობ, რათა როგორმე თავი დააღწიო გასაჭირს და ნატრობ მშობლიური კუთხიდან გაქცევას, რას იზამ, დარჩენა ხომ სიკვდილის ტოლფასია, ჩემს ოჯახს ბედმა გაუღიმა. ომში ცხრათვისანი ყოფნის შემდეგ დადგა ის დღე, როდესაც იმ სატანჯველს თავი დააღწია და გამოიქცა, როგორც ყველა გადარჩენილი. მართალია, გამოვექცეით ამ უბედურებას, სიცოცხლეს კბილებით დავიცავით, მე რა, მე ხომ ერთი პატარა, უსუსური არსება ვიყავი, რომელიც ვერაფერს იგებდა, რა ხდებოდა მის თავს, რა გასაჭირში იყო. მთელი ჩემი ოჯახისთვის საფიქრებელი და სადარდებელი ვიყავი, ყველაფერს ცდილობდნენ, ის პატარა უსუსური ბავშვი დაცვათ, გადაერჩინათ და იმ ჯოჯოხეთიდან უვნებელი გამოეყვანათ. ძალიან მტკიავა გული, მხოლოდ სიტყვებით, ნანახი ვიდეოფირებით, სურათებით შეგროვებული ინფორმაციის ცოდნით რომ შემოვიფარგლები. საკუთარი თვალთ ნანახი ყველაფერს სჯობს. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ჩემი ოცნება ახდება და შევძლებ დავინახო ყველაფერი, საკუთარი ფეხით შევეხო მინას, მისი სურნელი ვიგრძნო, რომელზეც 19 წელია ქართველს ფეხი არ დაუდგამს, გამონაკლის შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით. მე არ მჯერა, რომ ისეთი ზღაპრული კუთხე დამხვდება, ოდესღაც რომ იყო, აღარც ისეთი ხიბლი ექნება, როგორც ჰქონდა. მაშინ ხომ სიყვარულის ბუდე იყო ქართველი ხალხისა, სადაც გაჭირვება არ არსებობდა, ღარიბი არავინ იყო, არავინ მათხოვრობდა ლუკმა-პურის საშოვნელად, მეტიც, არავინ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. აფხაზეთი ყვაოდა, ახლა, ღმერთმა უწყის, რა ხდება, რა დღეშია უცხო ხელში, რა უჭირს, ჩვენგან დახმარებას ელის, რომ ოდესღაც დადგება ის ნანატრი წამი, როცა 19-წლიანი ლოდინის შემდეგ ქართველები ისევ დავადგამთ აფხაზეთის მიწაზე ფეხს და ერთურთს შევეყრებით. ამით თავს ვიმშვიდებ, ვიიმედებ, რომ საკუთარი თვალთ ვნახავ მის მშვენებას.

ნიწო მჟაჟანაჟი



ასე რომ ვთქვათ, ჩემი პირველი წერილია, ალბათ, გასაკვირიც არ იქნება, რომ ყველაზე აქტუალურ, პოპულარულ თემას შევეხო.

აფხაზეთი — ჩვენი ტკივილია? არის კი ჩვენი ტკივილი აფხაზეთი? ხშირად ვახსენებთ ამ ფრაზას, ვუძღვნი სიმღერებს, ვძრახავთ რუსებს, მაგრამ რეალურად თუ კეთდება რამე აფხაზეთის დასაბრუნებლად? ან საერთოდ, გვახსოვს აფხაზეთი? მოდით, ცოტა წარსულ-

ში გადავინაცვლოთ და აფხაზეთის მტკივნეულ თემას ჩავუღრმავდეთ. იქნებ ვინმეს რაიმე იდეა აქვს, როგორ ვიმოქმედოთ, რა ვქნათ, რომ ჩვენი ტერიტორია რეალურად ჩვენი იყოს?!

რამდენი ადამიანის იმედი გაცრუვდა და ჩაიკეტა პანდორას ყუთში სამუდამოდ, რამდენი ლტოლვილადქცეული ბავშვი დარჩა მინის გარეშე და მხოლოდ მითადქცეულ ზღაპრებში ესახებათ თავისი სამშობლო, რამდენი ოცნება დაიმსხვრა!.. რა ძნელია დევნილებთან ამ თემაზე საუბარი! როგორი მოწინებითაც უნდა მიმართო თითოეულს, შენ თვალწინ ერთი და იგივე სურათი იშლება: შეკრული წარბები, მკაცრი და მწარე გამოხედვა, წარსულში ჩაძირული თვალები და უცებ ზეღმართული ხელები. არ გვინდა იმ დღეების გახსენება, ეს იყო ჯოჯოხეთი, რომელიც დღემდე ყოველ ღამეს გვესიზმრება და აღარ თავდება. თითქმის ყველას პასუხი ასეთია.

სინანულით აღსავსე თვალებში მხოლოდ ერთს ამოიკითხავ: „კობტა და კოპნია სოხუმი წარსულს ჩაბარდა“. რა ძნელია ამ მწარე სიტყვების დაჯერება... არა და არა... ქართული სისხლი და გენი არ აპირებს კუთვნილის დათმობას და გული გაჰკივის: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“, და ის ლეკვები მამა-პაპათა სისხლით გაუღვნილ თითო გოჯ მინას საქართველოს საზღვრებს დაუბრუნებენ და დალუპულთა სულები იქ იზიემებენ ერთიან, ძლიერ საქართველოში სამუდამო სამყოფელის დამკვიდრებას.

რატომ აფხაზეთი? იმიტომ, რომ დრომ ყველაფერი გადახარშა და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, თუნდაც იმიტომ, რომ გულთბილად და გულმხურვალედ უმასპინძლა მათ, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველდღე გვინებს სევდიან თვალებში იმ დიდი ტკივილის ამოკითხვა, რასაც აფხაზეთი ჰქვია.

ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ და მათაც ვაიმედებთ: თქვენ დაბრუნდებით!



ელდარ ქაჟაბაია მიტოვებული სანაპირო

დიდად პატივცემულო ბატონო როსტომ! ნება მიბოძეთ, თქვენ და თქვენი უმნიშვნელოვანესი ჟურნალის მკითხველებს მოგახსენოთ ერთი მცდარი რუსთველოლოგიური შეხედულების შესახებ, რომელიც წელს, 22 ივლისს, დაიბეჭდა „ჩვენს მწერლობაში“ (15).

საუბარია წერილზე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კოლექცია“, სადაც ჟურნალისტი ნინო საბაშვილი აღნიშნულ საკითხზე ესაუბრება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ გეგიას (ამ ინტერვიუს გამო მოვიხსენიებ, ქალბატონ თამარს გამოვლავლებული, მაგრამ აღმოჩნდა, ამ სამსახურიდან ის ნაბრძანებულია). ქალბატონი თამარი მკითხველებს პოპულარულად მოუთხრობს, „ვეფხისტყაოსნის“ რამდენი ხელნაწერი და ხელნაწერთა ფრაგმენტია ჩვენამდე მოღწეული, აქედან რომელია შედარებით ძველი და ძირითადად სად არის ისინი დაცული (გვ. 28-30). ეს არის პოპულარული, ფართო მკითხველისათვის გამიზნული წერილი და რაიმე მეცნიერულ სი-ახლეს არ შეიცავს. პირიქით, ამ სახეობისთვისაც საჭირო ზოგიერთი ცნობა გამოტოვებულია. მაგალითად: საგანგებოდ არის საუბარი, თუ პოემის ტექსტის ადრინდელი ჩანაწერები სად შემოგვრჩა. დასახელებულია ვანის (ვაჰანის) ქვაბის კედელსა და ბერთის სახარებზე არსებული წარწერები, რომლებიც მე-15 საუკუნით თარიღდება. ამას მოსდევს ჟურნალისტის შეკითხვა: „სხვა აღმოჩენები თუ არსებობს ამ ორის გარდა?“. პასუხია: „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ადრეული მინაწერები, სამწუხაროდ(ა) არ გავაჩნია. შესაძლოა (კ) არსებობდეს რაიმე ძეგლი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ მიგვიგნია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ეს ორი შემთხვევაა დადასტურებული, ერთი — ტაძრის კედელზე, მეორე კი სახარებას ერთ-ის“ (გვ. 29. ხაზგასმა, დაყოფა ყველგან ჩემია — ბ. დ.).

სინამდვილეში ეს ასე არ არის. ჯერ კიდევ 1962 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა თამარ ბრეგვაძემ გავაცანო ამ ინსტიტუტშივე დაცულ XII-XIII საუკუნეების ნუსხურით ეტრატზე შესრულებულ სადღესასწაულოს არშიაზე მხედრული ასოებით მიწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტრიქონი, რომელსაც ის ხელნაწერის მიხედვით მე-14 საუკუნისად მიიჩნევს.

შერმანდინ ონიანმა 1982 წელს გამოცემულ წიგნში „ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში“ გარკვევა, რომ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე ნუსხურით ეტრატზე შესრულებული ქსნის ერისთავთა მატთანეში, ანუ „ძეგლი ერისთავთაში“, არშიაზე მიწერილი ტექსტი არის ხატაელთა ამბის სტრიქონები და შესრულებულია მე-15 საუკუნის დასაწყისში.

ჟურნალისტის შეკითხვაზე — „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ყველაზე ადრეული ფრაგმენტი ან „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი რომელია საუკუნით თარიღდება?“ — ქალბატონი თამარ გეგია გვიყვება ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ 1963 წელს ახალციხის მუზეუმში მიგნებულ პოემის ხელნაწერის ფრაგმენტზე და მას, როგორც ადრე იყო მიჩნეული, მე-16 საუკუნისად ასახელებს. არადა, შემდგომი გამოკვლევების მიხედვით, იგი მე-16 საუკუნის მიწურულისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის ძეგლად არის მიღებული. გამოჩენილი რუსთველოლოგი, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მკვლევარი სარგის ცაიშვილი მე-16 საუკუნის მიწურულსაც გამოიციხავს და მხოლოდ მე-17 საუკუნის დასაწყისით იფარგლება. ერთხელ ვთქვი და გავიმეორებ: მაშინ, როდესაც ხელნაწერს მთელი საუკუნით ვათარილებთ, საუკუნეში 100 წელია, რუსთველოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების დადგენისას კი, თუ თითო წელს არა, ათეულ წლებს დიდი და ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე — „საზღვარგარეთ არსებული ნუსხების შესახებ რა ცნობები მოგვეპოვება?“ — ქალბატონი თამარ გეგია ბრძანებს: „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ასევე მდიდრულად მოხატული ხელნაწერი, რომელიც მე-17 საუკუნით არის დათარიღებული, დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში ინახება“.

სადაც ეს აღინიშნა, აჯობებდა, იქვე თქმულიყო: იმავე ბიბლიოთეკაშია დაცული პოემის მეორე ნუსხაც, რომელიც არანაკლებ „მნიშვნელოვანი და საინტერესოა“, ხოლო კიდევ მეტად „მნიშვნელოვანი და საინტერესოა“ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არსებული სომეხი ქალის მიერ 1702 წელს გადაწერილი პოემის ნუსხა.

თუმცა ყველაფერი ეს ასეა, ჩვენთვის ამჯერად მთავარი ამის აღნიშვნა არ არის. არაა იმიტომ, რომ რუსთველოლოგიაში ეს საკითხები ფართოდაა დამუშავებული და გარკვეული. შეკუმშულად და მოკლედ მოცემული გვაქვს „ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის“ დანერილ სტატიაში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები“, რომელიც გამოვაცხევენეთ აღმანახში „მნიშვნობარი-06“ (თბ., 2006, გვ. 93-100).

უფრო მეტიც, ზემოთ აღნიშნულითა და კიდევ უფრო მეტი სხვა უცოდინარობით იყო გატენილი ქალბატონ ნესტან სულავას პლაგიატური მოხსენება, რომელიც 2008 წლის 19 თებერვალს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიშვნობართა ასოციაციის სხდომაზე მოვისმინეთ და რომელიც იმავე წელს რამდენადმე შემოკლებით აღმანახ „მნიშვნობარში“ გამოქვეყნდა (გვ. 238-241). ამაზე გამომხატურება დაგებეჭდეთ ჩვენი „რუსთველოლოგიური გამოკვლევების“ პირველ ნიგნში (თბ., 2010, გვ. 431-442) და შემდლო, ამით დაეკმაყოფილებულიყავი. მაგრამ, ბატონო როსტომ, თუ ამჯერად მაინც მოგმართავთ და განუხებთ, ეს იმიტომ, რომ საქმე ეხება უფრო მნიშვნელოვან რუსთველოლოგიურ საკითხს: როგორ ვრცელდებოდა ძველად „ვეფხისტყაოსანი“ — ზეპირად თუ წერილობით?

თქვენს ჟურნალში დაბეჭდილი წერილის შესავალში აღნიშნულია: „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი დედანი, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შემორჩენილი არ არის, პოემა ხალხში ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა და ისე გადაეცემოდა თაობიდან თაობას...“ აქ არ ჩანს, ვის ეუთვნის ეს სიტყვები — ჟურნალისტს თუ ჟურნალის შესაბამისი განყოფილების რედაქტორს, ან სულაც ჟურნალის რედაქციას.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე ვმუშაობ, მაგრამ ასეთ მოსაზრებას არსად შევხვედრებოდი. მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ავტორი, ივანე ამირხანაშვილი, ვიცი, ვისაც ეს აზრი აქვს გამოთქმული. ბატონი ივანე წერს: „გასაოცარი ამბავია, მაგრამ ასეა — ჩვენამდე არც ვეფხისტყაოსნის“ დედანს, ანუ ავტორისეულ ტექსტს(ს) მოუღწევია. იგი ზეპირი გზით, თაობიდან თაობას გადაეცემოდა, სანამ ჩანერა არ დაიწყეს. ეს მე-15 საუკუნის დასაწყისში მომხდარა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2006, 19, გვ. 5).

როგორც ვხედავთ, ეს ორი ტექსტი ერთმანეთს ზედმიწევნით ემთხვევა. ჩვენი ივანე ამირხანაშვილის ამ მოსაზრებას „საკვირველზე საკვირველი“ ვუნოდეთ და ვიკითხეთ: ავტორი „ნეტავი, რის საფუძველზე გამოთქვამს ამ სისხლის გამყინავ ნიჰილისტურ შეხედულებას?“ (რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I, გვ. 546).

ბატონი ივანე ამირხანაშვილი შოთა რუსთაველის (სახელობის) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი და თქვენი ჟურნალის, „ჩვენი მწერლობის“, „პროზის რედაქტორი“ ბრძანდება. ამიტომ ეს მოსაზრება, რომელიც, მეტი რომ არა ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ჩრდილს აყენებს, ღირსებას უკარგავს, ვისაც უნდა ეუთვლავნოდეს იგი, დასაბუთებას მოითხოვს. ვიდრე ეს არ გაკეთებულია, თანამდებობებმა და თქვენი ჟურნალის ავტორიტეტმა ცუდი როლი რომ არ შეასრულოს, ასე ჰაიპარად ნათქვამი რომ არ გავრცელდეს და დამკვიდრდეს, გთხოვთ, ეს გამომხატურება დამიბეჭდოთ.

ისე, უნდა დავსძინო: რამდენადაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მემკვიდრეობას, მათ ვარიანტებსა და რედაქციულ თავისებურებებს გონების თვალს ვავლებ, აღნიშნული მოსაზრების რაიმე დამადასტურებელს ან სავარაუდო-საჭოჭმანოს ვერაფერს ვხედავ!

ნინო საბაშვილი

როალდ დალი

დაბადება და ბედისწერა


(ნამდვილი ამბავი)

– ყველაფერი კარგადაა, – ამბობდა ექიმი, – ინექტით მშვენიერად და დაისვენეთ, – მისი ხმა საიდანაღაც შორიდან ისმოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ქალს უყვიროდა.

- თქვენ ვაჟი გყავთ.
- რა?
- თქვენ მშვენიერი ვაჟი შეგეძინათ. გესმით, ხომ? მშვენიერი ვაჟი. არ გაგივიათ მისი ტირილი?
- კარგად არის, ექიმო?
- რა თქმა უნდა, კარგად არის.
- ნება მომეცით ვნახო, გთხოვთ.
- სულ მალე ნახავთ.
- დარწმუნებული ხართ, რომ კარგადაა?
- სავსებით.
- ჯერ ისევ ტირის?
- ეცადეთ დაისვენოთ. სადარდებელი არაფერია.
- რატომ გაჩუმდა, ექიმო? რა მოხდა?
- ნუ ლეღავთ, გთხოვთ. ყველაფერი კარგადაა.
- მინდა ვნახო. გთხოვთ, მაჩვენეთ.
- ძვირფასო ქალბატონო, – უთხრა ექიმმა და ხელზე ხელი მოუთათუნა, – თქვენ მშვენიერი, ძლიერი, ჯანმრთელი ბავშვი გყავთ. ნუთუ არ გჯერათ ჩემი?
- იქ რომ ქალია, რას უშვრება მას?
- თქვენს პატარას ცოტას მოანესრიგებენ, – თქვა ექიმმა, – უბრალოდ დავბანთ და მორჩა. ამიტომ ორიოდ ნუთი უნდა გვაცალოთ.
- შეგიძლიათ დაიფიცოთ, რომ კარგადაა?
- გეფიცებით. ახლა კი დაწვეთ და დაისვენეთ. დახუჭეთ თვალები. აბა, დახუჭეთ თვალები. აი ასე. კარგი გოგო ხართ...
- გამუდმებით ვლოცულობდი, რომ მას ეცოცხლა, ექიმო.
- რა თქმა უნდა იცოცხლებს. რაზე ლაპარაკობთ?
- სხვებმა ვერ იცოცხლეს.
- რა?
- არცერთი ჩემი შვილი, რომელიც აქამდე მყავდა, ცოცხალი აღარ არის, ექიმო.

ექიმი სანოლთან იდგა და ახალგაზრდა ქალის ფერმკრთალ, გათანგულ სახეს დაჰყურებდა. დღემდე არასოდეს ენახა ეს ქალი. ის და მისი ქმარი ახლები იყვნენ ამ ქალაქში. სასტუმროს მეპატრონის ცოლს, რომელიც მშობიარობისას დასახმარებლად მოსულიყო, ექიმისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ამ ქალის ქმარი საზღვარზე, ადგილობრივ საბაჟოზე მუშაობდა. ისინი სრულიად მოულოდნელად გამოჩნდნენ სასტუმროში ერთი საგზაო ჩანთითა და ჩემოდნით, დაახ-

ლოებით ამ სამი თვის წინათ. მისი თქმით, ქმარი ლოთი იყო – ყოყონა, მბრძანებლობას მიჩვეული, შარიანი, არაფრის მაქნისი ლოთი. ახალგაზრდა ქალი კი — წყნარი, ღვთისმოშიში და ძალიან სევდიანი. საერთოდ არ იღიმებოდა. იმ რამდენიმე კვირის განმავლობაში, რაც აქ იმყოფებოდა, სასტუმროს მეპატრონის ცოლს არცერთხელ არ ენახა მისი ღიმილი. ხმები დადიოდა, რომ ეს მისი ქმრისთვის მესამე ქორწინება იყო. პირველი ცოლი გარდაცვლიდა, მეორე კი თავად გაყროდა რალაც საძრახისი მიზეზის გამო. თუმცა ეს მხოლოდ ხმები იყო.



ექიმი დაიხარა, ზენარი ოდნავ ზემოთ წამოსწია და პაციენტს მკერდზე დააფარა.

– არაფერი გაქვთ სანერვიულო, – თბილად წარმოთქვა მან, – სავსებით ნორმალური პატარაა.

– ზუსტად ასე მეუბნებოდნენ სხვებზეც, მაგრამ ახლა არცერთი აღარ მყავს, ექიმო. უკანასკნელ თვრამეტ თვეში სამივე შვილი დავკარგე. ამიტომ ნუ გამკიცხავთ ალელვებისთვის.

– სამი?

– ეს მეოთხეა... ოთხ წელიწადში.

შიშველ იატაკზე მდგარმა ექიმმა უნებურად ფეხი შეინაცვლა.

– მეეჭვება გესმოდეთ, ექიმო, რას ნიშნავს, როცა მათ კარგავ, ყველას, სამივეს, ნელ-ნელა, სათითაოდ, ერთიმეორის მიყოლებით. ახლაც თვალწინ მიდგანან. ვხედავ გუსტავის სახეს. ისე ნათლად, თითქოს აქ, გვერდით სანოლში იწვეს. ლამაზი ბავშვი იყო, მაგრამ სულ ავადმყოფობდა. საშინელებაა, როდესაც სულ ავად არიან, შენ კი ვერაფრით შველი.

– ვიცი.

ქალმა თვალები გაახილა, რამდენიმე წამს დაჟინებით მიაჩერდა ექიმს და ისევ დახუჭა.

– ჩემს პატარა გოგონას იდა ერქვა. შობამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. სულ რალაც ოთხი თვის წინათ. ვწუხვარ, რომ იდა არ გინახავთ, ექიმო.

– ახლა უკვე სხვა ბავშვი გყავთ.

– მაგრამ იდა ისეთი მშვენიერი იყო.

– ჰო, – თქვა ექიმმა, – ვიცი.

– საიდან უნდა იცოდეთ? – შესძახა ქალმა.

– დარწმუნებული ვარ, იდა მშვენიერი ბავშვი იყო, მაგრამ ესეც ისეთივე კარგია. ექიმი სანოლს მოსცილდა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. აპრილის წესტიანი, ნაცრისფერი შუადღე იდგა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მოჩანდა სახლების ნითელი სახურავები. წვიმის მსხვილი წვეთები კრამიტებს ეცემოდა და ჰაერში შეხებდა იფრქვეოდა.

– იდა ორი წლის იყო, ექიმო... ისეთი ლამაზი, რომ დილიდან, როდესაც ჩავაცმევდი, დაღამებამდე, ისევ სანოლ-

ში რომ იწვა მშვიდად, თვალის მოცილება არ შეეძლო. სულ იმის მეშინოდა, რომ ამ ბავშვს რაღაც დაემართებოდა. გუსტავი აღარ მყავდა, აღარც ჩემი პატარა ოტო. იდა იყო ყველაფერი, რაც დამრჩა. ხანდახან, ღამით, ავდგებოდი ხოლმე, მივიპარებოდი ბავშვის სანოლთან და ყური მის პირთან ახლოს მიმეჭონდა, მხოლოდ იმისთვის, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ სუნთქავდა.

– შეეცადეთ დაისვენოთ, – თქვა ექიმმა, – გთხოვთ, ეცადეთ დაისვენოთ.

ქალს გაფითრებული, თითქოს სისხლისგან დაცლილი სახე ჰქონდა. ნესტოებისა და პირის გარშემო სუსტი მოლურჯო-ნაცრისფერი დაჰკრავდა. შუბლზე ჩამოშლილი ნამიანი თმის რამდენიმე კულუღი კანს მიჰკვროდა.

– როდესაც გარდაიცვალა... როცა ეს მოხდა, ისევე ორსულად ვიყავი, ექიმო. ეს, რომელიც ახლა დაიბადა, უკვე ოთხი თვის ჩასახული იყო, იდა რომ გარდაიცვალა. „არ მინდა ის“, ვყვიროდი დაკრძალვის შემდეგ. „არ მინდა, რომ ის მყავდეს. მეყო, რაც შვილები დავმარხე, კმარა“. ჩემი ქმარი კი... მას ხელში ლუდის დიდი კათხა ეჭირა და სტუმრებთან მიმოდით... სწრაფად მომიბრუნდა და მითხრა: „ახალი ამბავი მაქვს შენთვის, კლარა, კარგი ამბავი“. შეგიძლიათ ასეთი რამ წარმოიდგინოთ, ექიმო? ჩვენ სულ ახლახან დავმარხეთ მესამე შვილი, ის კი დგას ლუდის კათხით ხელში და მეუბნება, რომ კარგი ამბავი აქვს. „დღეს ახალ თანამედრობაზე დამნიშნეს ბრაუნაუში. ასე რომ, შეგიძლია ახლავე მოემზადო გასამგზავრებლად. იქ ყველაფერს თავიდან დაიწყებ, კლარა“, – ამბობს იგი, – „ახალი ადგილია და ახალი ექიმი გეყოლებოდა...“

- გთხოვთ, მეტს ნულარაფერს იტყვიოთ.
- ახალი ექიმი თქვენ ხართ, არა?
- მართალია.
- ჩვენ კი ბრაუნაუში ვართ.
- დიას.
- მეშინია, ექიმო.
- ეცადეთ, არაფრის გეშინოდეთ.
- აქვს ამ მეოთხეს გადარჩენის რაიმე შანსი?
- ასე არ უნდა იფიქროთ.

– ვერაფრით ვახერხებ. დარწმუნებული ვარ, რაღაც მემკვიდრეობითის ბრალია ჩემი შვილების სიკვდილი. ნამდვილად ასეა.

- სისულელეა.
- იცით, ექიმო, რა მითხრა ჩემმა ქმარმა, როდესაც ოტო დაიბადა? შემოვიდა ოთახში, დახედა სანოლს, სადაც

ოტო იწვა, და თქვა: „რატომაა ყველა ჩემი ბავშვი ასეთი პატარა და სუსტი“?

– დარწმუნებული ვარ, ამას არ იტყვოდა.

– თავი პირდაპირ ოტოს სანოლში ჩაყო და ისე აკვირდებოდა, თითქოს პანანინა მწერს იკვლევსო. მერე განაცხადა: „მხოლოდ იმას ვამბობ, რატომ არ შეიძლება, რომ უკეთესი ეგზემპლარები გამოვიდნენ? ეს არის და ეს“. ამის შემდეგ სამი დღე გავიდა და ოტო გარდაიცვალა. მესამე დღეს სასწრაფოდ მოვნათლეთ. იმავე საღამოს კი გარდაიცვალა. მე-

რე გარდაიცვალა გუსტავი. მერე – იდა. ისინი ყველა გარდაიცვალნენ, ექიმო... და უეცრად მთელი სახელი დაცარიელდა...

– ახლა ამაზე ნუ ფიქრობთ.

– ესეც მათსავით ძალიან პატარაა?

– ის ნორმალური ბავშვია.

– მაგრამ პატარა?

– შესაძლოა, ცოტათი პატარა მართლაც იყოს, მაგრამ ხშირად პატარები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე დიდები. ბაბა, წარმოიდგინეთ, ფრაუ ჰიტლერ, მომავალ წელს, ამ დროს, ის უკვე სიარულის სწავლას დაიწყებს. განა უმჯობესი არაა ამაზე იფიქროთ?

ქალმა არაფერი უპასუხა.

– ორი წლის შემდეგ კი იმდენს ილაპარაკებს, რომ თავისი ტიტინით გადაგრევთ. სახელი ხომ არ შეგიჩრჩევიათ?

– სახელი?

– დიას.

– არ ვიცი. დარწმუნებული არა ვარ. მგონი, ჩემმა ქმარმა თქვა, თუ ბიჭი იქნება, ადოლფუსი დავარქვათო.

– ესე იგი, ადოლფი.

– დიას. ჩემს ქმარს მოსწონს სახელი „ადოლფი“. იმიტომ, რომ რაღაცით ალოიზს წააგავს. თვითონ ალოიზი ჰქვია.

– შესანიშნავია.

– ვაიმე! – იყვირა ქალმა და უეცრად ბალიშზე წამოინია. – ზუსტად იგივე მკითხეს, როდესაც ოტო დაიბადა! ეს ნიშნავს, რომ ესეც მოკვდება. ახლავე უნდა მოინათლოს!

– დამშვიდდით, – თქვა ექიმმა და ქალს მხრებში ხელი ფრთხილად მოჰკიდა. – თქვენ ცდებით. გარწმუნებთ, ცდებით. მე მხოლოდ ერთი ცნობისმოყვარე მოხუცი ვარ, ეს არის და ეს. მიყვარს სახელებზე საუბარი. ადოლფუსი ძალიან კარგი სახელია. ერთ-ერთია მათ შორის, რომელიც ძალიან მომწონს. შეხედეთ – აგერ, მოჰყავთ.

სასტუმროს მეპატრონის ცოლი, რომელსაც ბავშვი უზარმაზარ მკერდზე ჰყავდა მიკრული, უკვე შუა ოთახში იმყოფებოდა და სანოლისკენ მოგორავდა.

– აი, ჩვენი მშვენიერი პატარაც, – შესძახა მთლად გაბრწყინებულმა, – ხომ არ გინდათ, ხელში დაიკავოთ? დაგინვინოთ გვერდით?



მხატვარი იანა ზალიშვილი

– კარგადაა გახვეული? – იკითხა ექიმმა, – აქ ძალიან ცივა.

– რასაკვირველია.

ბავშვი მიჭიდროდ იყო გახვეული თეთრ, მატყლის სახვევეში, საიდანაც მხოლოდ პანანა, ვარდისფერი თავი მოუჩანდა. სასტუმროს მეპატრონის ცოლმა ფრთხილად დაანვინა საწოლზე, დედის გვერდით.

– აი, ბატონო, – თქვა მან, – ახლა შეგიძლიათ მშვიდად იწვეთ და იმდენი უცქიროთ, რამდენიც თქვენს გულს ეამება.

– მე მგონი, მოგეწონებათ, – თქვა ექიმმა ღიმილით, – მშვენიერი პანანაა.

– ძალიან საყვარელი ხელები აქვს! – წამოიძახა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, – ისეთი გრძელი, ლამაზი თითები!

დედა არ განძრეულა. თავიც კი არ მოუბრუნებია, რომ ბავშვისთვის შეეხედა.

– აბა! – დაუყვირა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, – კი არ გიკებენს!

– შეხედვის მეშინია. ვერ ვბედავ დავიჯერო, რომ კიდევ მყავს ბავშვი და ის კარგად არის.

– ნუ ხართ ასეთი სულელი.

დედამ ნელა მოაბრუნა თავი და მის გვერდით, ბალიშზე მწოლიარე პატარის სრულიად უშფოთველ სახეს დახედა.

– ესაა ჩემი პატარა?

– რა თქმა უნდა.

– ჰო, მაგრამ ის... ის... მშვენიერია.

ექიმი შეტრიალდა, მაგიდისკენ წავიდა და ჩანთაში საკუთარი ხელსაწყოების ჩალაგებას შეუდგა.

დედა საწოლზე იწვა, ბავშვს თვალს არ აშორებდა, ეფერებოდა და ნეტარების ნაზ ხმებს გამოსცემდა.

– გამარჯობა ადოლფუს, – ჩურჩულებდა იგი. – გამარჯობა ჩემო პატარა ადოლფ...
– სასუ, ჩუმად! – თქვა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, – უსმინეთ! მგონი თქვენი ქმარი მოდის.

ექიმი კარისკენ წავიდა. გამოაღო და დერეფანში გაიხედა.

– ჰერ ჰიტლერ!

– დიას.

– შემობრძანდით, გეთაყვა.

მუქი მწვანე ფერის ფორმის ტანსაცმელში ჩაცმულმა დაბალმა კაცმა უნაზუროდ შემოაბიჯა ოთახში და იქაურობას თვალი მოავლო.

– გილოცავთ, – თქვა ექიმმა, – თქვენ ვაჟი გყავთ.

კაცს უზარმაზარი – იმპერატორ ფრანც იოზეფის¹ – ყაიდაზე დაყენებული, გულდასმით მოვლილ-დავარცხნილი წვერ-ულვაში ჰქონდა და ლუდის მძაფრი სუნი უდიოდდა.

– ვაჟი?

– დიას.

– როგორ არის?

– მშვენივრად. ისევე, როგორც თქვენი მეუღლე.

– კარგია.

მამა მიბრუნდა და რალაც უცნაური ნაბიჯით, ცოტა გაბლენძილი, გაემართა საწოლისკენ, სადაც მისი მეუღლე იწვა.

– აბა, კლარა, – თქვა და ულვაშებში ჩაიღიმა, – როგორ ჩაიარა ყველაფერმა? – დაიხარა, რომ ბავშვისთვის დაეხედა. მერე – კიდევ უფრო დაბლა. სწრაფი, წყვეტილი მოძრაობით სულ უფრო და უფრო დაბლა იხრებოდა, იქამდე, ვიდრე მისი სახე ბავშვის თავიდან ათიოდე გოჯის დაშორებით აღმოჩნდებოდა. ცოლი გვერდულად იწვა ბალიშზე და ქმარს მავედრებელი მზერით შეჰყურებდა.

– საოცარი ფილტვები აქვს, – განაცხადა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, – უნდა მოგესმინათ რას გაჰკვიოდა, როგორც კი ამ ქვეყანას მოვევლინა.

– მაგრამ, ღმერთო ჩემო, კლარა...

– რა არის, ძვირფასო?

– ეს კიდევ უფრო პატარაა, ვიდრე ოტო.

ექიმმა სწრაფად გადადგა მათკენ რამდენიმე ნაბიჯი.

– ამ ბავშვს არაფერი სჭირს, – თქვა მან.

ქმარი ნელა გაიმართა, საწოლს მოშორდა და ექიმს შეხედა. იგი შეცბუნებული და დათრგუნვილი ჩანდა.

– არაა კარგი, რომ იტყუებით, ექიმო, – თქვა მან, – ვიცი, ეს რასაც ნიშნავს. ისევ იგივე განმეორდება.

– ახლა მე მომისმინეთ, – თქვა ექიმმა.

– კი, მაგრამ, ექიმო, იცით რა დაემართათ სხვებს?

– სხვები უნდა დაივიწყოთ, ჰერ ჰიტლერ. მოიქეცით ისე, რომ ამან იცოცხლოს.

– მაგრამ ისეთი პატარა და სუსტია!

– ბატონო ჩემო, ის ხომ სულ ახლახან დაიბადა.

– და მაინც...

– რას ცდილობთ? – იყვირა სასტუმროს მეპატრონის ცოლმა, – გინდათ, ამ თქვენი ლაპარაკით სამარეში ჩაიყვანოთ?

– კმარა! – მკაცრად თქვა ექიმმა.

დედა ტიროდა. ქვითინისგან მთელი სხეული უთრთოდა. ექიმი ქმართან მივიდა და მხარზე ხელი დაადო.

– ნაზად მოეპყარით, – ნასჩურჩულა მას, – გთხოვთ, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. – შემდეგ ხელი მის მხარს მაგრად მოუჭირა და შეუმჩნეველად უბიძგა საწოლისკენ. ქმარი ფეხს ითრევდა. ექიმმა ხელი უფრო ძლიერად მოუჭირა, რითიც დაჟინებით მიაწინა, რომ არ მოეშვებოდა. ბოლოს ქმარი უხალისოდ დამორჩილდა, დაიხარა და ცოლს ტუჩებით ოდნავ შეეხო ლოყაზე.

– კარგი, კლარა, – თქვა მან, – გეყოფა ტირილი.

– მე გამუდმებით ვლოცულობდი, რომ მას ეცოცხლა, ალოიზ.

– ჰო.

– ყოველდღე, თვეების განმავლობაში დავდიოდი ტაძარში და მუხლებზე დაჩოქილი ვევედრებოდი ღმერთს, რომ მისთვის მაინც მიეცა სიცოცხლის უფლება.

– ჰო, კლარა, ვიცი.

– სამი ბავშვის გარდაცვალება ავიტანე. მეტს ველარ გავუძლებ. ნუთუ არ გესმის?

– მესმის, რა თქმა უნდა.

– მან უნდა იცოცხლოს, ალოიზ, უნდა იცოცხლოს, უნდა... ოჰ, ღმერთო, იყავ მონყალე მის მიმართ...

* ფრანც იოზეფ I (1830-1916) – ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი. მისი მმართველობა 68 წელი გრძელდებოდა.

დაგვიანებული პასუხი ბატონ ივანე ჯაფარიძეს



ვაჟა-ფშაველას მწვერვალი
(ნიუხედის მასივი)

ყოფნა „ჩვენი მწერლობის“ შარშანდელ მე-16 ნომერში დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ შოთა მირიანაშვილთან, რომელსაც მოჰყვა „ალმფოთეული“ ივანე ჯაფარიძის წერილი („ჩვენი მწერლობა“ №24. 2011).

მოვიყვან ერთ აბზაცს ამ წერილიდან, რომელზე პასუხის გაცემაც აუცილებლად მიმაჩნია:

ბატონი ივანე წერს: „ბაბუა ალუდაურს წესიერ პიროვნებად ვიცნობ, მასთან კარგი, თბილი ურთიერთობა მქონდა. მათი ცხოვრებასა და საქმიანობას ვადასტურებ. მათი მემკვიდრეობა მათი შრომით შექმნილი კაცობრივი მემკვიდრეობაა, რას ემსახურება ეს წერილი? იმას ხომ არა „15 ათასი მთამსვლელის აღმავრებით აღმზრდელმა“ მირიანაშვილმა ქართული მთამსვლელობის კორიფეები შეურაცხყო, მწვერვალებისთვის სახელის მინიჭების პრიორიტეტი მიითვისოს, ამით თავი მოიწონოს და ახალგაზრდობა ისტორიის გაყალბების „ტექნოლოგიას აზიაროს?“

მძიმე ბრალდებაა ბატონი შოთას მიმართ და როგორც ამ ინტერვიუს თანამონაწილე, მეც შარში ვეხვევი.

მკითხველს შევახსენებ, რომ საქმე ეხება ჩრდილო კავკასიაში, მდინარეების არმხისა და ასას წყალგამყოფ „კიდევანის ქედზე“ მწვერვალ „ვაჟა-ფშაველას“ არსებობას და სამხრეთ კავკასიაში, ოზერხევის ხეობისა და გუდამაყრის (ანუ შავი) არაგვის სათავეში მდებარე მწვერვალისთვის შოთა მირიანაშვილის ჯგუფის მიერ „ვაჟა-ფშაველას“ სახელის დარქმევას.

კიდევანის ქედზე მდებარე მწვერვალს ვაჟას სახელი 1943 წელს დაარქვა მთამსვლელთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ლეგენდა ალიოშა ჯაფარიძე.

ბ-ნო ვანო, თქვენ ამ მწვერვალს „მირიანაშვილისთვის არარსებულს“ უწოდებთ. ეს დასკვნა გამოგაქვთ მისი შემდეგი სიტყვებიდან:

„როცა ვაჟას სახელს ვარქმევდით ბუნების ამ მშვენიერს (საუბარია ჭიუხის მასივის „ვაჟა-ფშაველაზე“ ბ.ა), ცხადია მქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1943 წელს „კიდევანის მალის“ რაიონში ალიოშა ჯაფარიძემ ერთ-ერთ მის მიერ აღებულ მწვერვალს „ვაჟა-ფშაველას“ სახელი უწოდა.“

ალპინისტურ მატინეში „კავკასიონზე“, არის ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფმა ა. ივანიშვილის ხელმძღვანელობით მოახდინა ასვლა ალიოშა ჯაფარიძის „ვაჟა-ფშაველაზე“ 1951 წ. 19 აგვისტოს (თქვენ აზუსტებთ 1952 წ. ბ.ა).

ამ ცნობაშიც კიდევანის მალის რაიონია მითითებული, მწვერვალის სიმაღლე კი 4200 მეტრია აღნიშნული (ბ-ნი ლევან გოთუას „მგზავრის კრილოსანში“ 4300 მ. ბ.ა).

ამის შემდეგ ამბობს ბ-ნი შოთა თქვენთვის სადავო წინადადებას „არცერთ რუქაზე კიდევანის მალის რაიონში 4200 მეტრი სიმაღლის მწვერვალი დატანილი არ არის“.

წინააღმდეგარაა, ბატონო ვანო, მირიანაშვილის პასუხი იმას, რომ მან იცის მწვერვალის არსებობაც და მასზე მეორედ ასვლის ისტორიაც?

მაგრამ თვითონ ბატონი შოთა „კიდევანის მალაზე“ არ არის ნამყოფი და ეცადა რუქის მიხედვით მოეძებნა აღნიშნული სიმაღლის მწვერვალი, თორემ არცერთ ჭკუათმყოფელს, მათ შორის არც შოთა მირიანაშვილს, არ შეიძლება შეეპაროს ეჭვი „კიდევანის ქედზე“ ალიოშა ჯაფარიძისეული „ვაჟა-ფშაველას“ არსებობაში.

თქვენ რატომღაც გალიზიანებთ შოთა მირიანაშვილისგან დარქმეული „ვაჟა-ფშაველა“ და წერთ: „სად გაგონილა ერთ მთიან სისტემაში ერთი და იმავე სახელობის ორი მწვერვალი არსებობდეს?“

კავკასიონიც ერთი მთიანი სისტემაა, ბატონო ვანო, სადაც, თქვენი აზრით, არსებობს შოთა რუსთაველის სახელობის ორი მწვერვალი.

გამოვრიცხავ, რომ თქვენ, როგორც ქართული ალპინიზმის ისტორიის მკვლევარმა, არ იცოდეთ მწვერვალ „შოთა რუსთაველის“ არსებობა ბეზენგის კედელზე, „შხარასა“ და „ჯანლას“ რაიონში, მაგრამ თქვენი წიგნის მიხედვით „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ (იხ. გვ. 103 ბ.ა) თურმე ყაზბეგში, კერძოდ ხდის ხეობაშიც არსებობს მეორე „შოთა რუსთაველიც“.

მე პირად საუბარში გითხარით, რომ ხდის ხეობაში ასეთი მწვერვალი არ არსებობს. თქვენ თუ დამისახელებთ მწვერვალ „შოთა რუსთაველის“ ადგილსამყოფელს, მის მიმდებარე რომელიმე მწვერვალს ხდის ხეობაში, მე ამავე ჟურნალის ფურცლებიდან მოგიხდით ბოდიშს.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ თქვენ ეს გვერათ და ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ამბად მიგაჩნიათ.

ისე, „კიდევანის ქედისა“ და „ჭიუხის მასივის“ ორი „ვაჟა-ფშაველა“ გარდა კიდევ ერთი მწვერვალიც არსებობს დიდი მგოსნის სახელობის — კერძოდ, ტიან-შანში, „პობედას პიკის“ მასივში (იხ. თქვენი წიგნი გვ. 41) და ამით არც არაფერი შავდება.

ცოტა ხნით მივუბრუნდეთ ჭიუხის მასივს.

1943 წელს, არხოტის ხეობაში გადასვლამდე ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფი ავიდა ჭიუხის მასივის 6 მწვერვალზე. მოგეხსენებათ, ამ მასივში სულ 16 მწვერვალია ჯუთის, გუდამაყრისა და რომის ხეობების სათავეებში.

ამ ასვლაზე თქვენს წერილშიც საუბრობთ და თქვენც 6 მწვერვალს ასახელებთ, მაგრამ რომელია ის ექვსი მწვერვალი მასივის 16 მწვერვალიდან, ცნობილი არ არის. ვარაუდის დონეზე კი ამ ექვსეულში რომელიმეს ჩასმა ან ამოღება დღეს შეუძლებელია.

ჭაუხების მასივის ყველა მწვერვალის ტრავერსი კი, როგორც თქვენც სამართლიანად წერთ თქვენი წიგნის 56-ე გვერდზე, „1977 წელს განახორციელა გუნდმა გიორგი აბაშიძის, სერგო ბარლია-



კიდევანის ქედი

ნის, შალვა გაბისიანის, დიმიტრი დანგაძის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), შოთა მირიანაშვილი (გუნდის კაპიტანი) და ოთარ ხაზარაძის შემადგენლობით და ახლად შემოღებულ კლდოვან კლასში ვერცხლის მედელი დაიმსახურა (საუბარია საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ბ.ა)“. აქედან გამომდინარე, დღეს არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ მოგვიანებით შოთა მირიანაშვილის მიერ სახელდარქმეული მწვერვალი „ვაჟა-ფშაველა“ იყო თუ არა ერთ-ერთი იმ ექვსი მწვერვალიდან, რომელზეც 1943 წელს ალიოშა ჯაფარიძე ავიდა ჭიუხების მასივში.

როგორ ფიქრობთ, ბატონო ვანო, მწვერვალზე ასულ მირიანაშვილის ჯგუფს იქ დახვდა ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის წერილი და ეს წერილი უკვალოდ გაქრა? თუ ქართული ალპინიზმის ამ ორ კორიფეს რამეს შემატებდა ან გამოაკლებდა I კატეგორიის 3700 მეტრიან მწვერვალზე პირველამსვლელის ტიტული?

დასაწყისში თქვენი წერილიდან მოყვანილი ციტატის კიდევ ერთ წინადადებაზე გეტყვით ორიოდ სიტყვას:

თავის ინტერვიუში ბ-ნი შოთა მირიანაშვილი წერს:

„15000 ახალგაზრდას გადავუშალე თვალწინ საკუთარი ქვეყანა, წინაპართა უკვდავი ნამოღვაწარი“...

თქვენ კი მკითხველი შეცდომაში შეგყავთ და „15000 ახალგაზრდის ნაცვლად „15000 მთამსვლელის აღმაფრენით აღმზრდელს“ უწოდებთ. სად წერს, ბატონო ვანო შ. მირიანაშვილი, რომ 15000 მთამსვლელი გაზარდა? „ახალგაზრდა“ და „მთამსვლელი“ მგონი სხვადასხვა ცნებებია და „ტიტულუების დარიგებაში“ ერთობ ძუნწმა შოთა მირიანაშვილმა ჩვენზე უკეთ იცის, რომ 15000 მთამსვლელი (გააჩნია ვინ ვის ეძახის „მთამსვლელს“) საქართველოში არ არსებობს.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გამიჩნდა ბ-ნი შოთასთან ინტერვიუს სურვილი?

იმიტომ, ბ-ნო ვანო, რომ მეც იმ „15000 ახალგაზრდიდან“ ერთ-ერთი ვარ, ვინც ბატონმა შოთამ მთის სიყვარულს აზიარა. ეს უკვე 40 წლით დაშორებულ 1971 წელს იყო. მას შემდეგ თითქმის ორ ათეულ მწვერვალზე გვინიამძღვრა ჩვენს თუ შემდგომ თაობებს და სიტყვა „მთამსვლელის“ მიმართ სხვა მოკრძალება ჩავგვიჩერვა.

უმცირესი ნაწილი იმ 15000-დან მართლა მთამსვლელად გაიზარდა, დიდი უმრავლესობა კი, როგორც ბატონი გურამ დოჩანაშვილი თავის ერთ-ერთ გმირს ათქმევინებს „გასაადამიანურებლად“ ვმოგზაურობთ საქართველოს მთასა და ბარში.

ფიქრობთ, შოთა მირიანაშვილისა და მისი რანგის მთამსვლელებისთვის (დამეთანხმებით, რომ ისინი ცოტანი არიან — თუ გინდაც თქვენივე წიგნის 55-ე — 58-ე გვერდებზე აღწერილი შედეგების მიხედვით), მსუბუქად რომ ვთქვათ, უხერხულია „ისტორიის გამყალბებისა“ და „პირველობის მანიით“ შეპყრობილის დაბრალება, რადგან მათ შექმნეს ქართული ალპინიზმის ისტორია და საბჭოთა კავშირის პირობებშიც კი, როდესაც 30 მსაჯიდან აბსოლუტური უმრავლესობა რუსი იყო, მრავალჯერ მოუტანეს საქართველოს ჩემპიონობაც და საპრიზო ადგილებიც.

უხერხულია მითუმეტეს თქვენგან, ვისაც მეც „წესიერ პიროვნებად გიცნობთ და თქვენთან კარგი, თბილი ურთიერთობა მაქვს“.

პატივისცემით

ბაბუა ალუღაური

სურვილი — ტკივილი აშორს სხვას

(თემურ ფირცხალაიშვილის ხსოვნის საღამო)



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დრამატული ბედის პოეტი, **თემურ ფირცხალაიშვილი** გაიხსენეს. საღამოს, რომელიც 22 თებერვალს გაიმართა, **იკა ქადაგიძე** უძღვებოდა. მისი თქმით: „თემურ ფირცხალაიშვილის ლექსები, როგორც გურიის ამინდი, ნესტი და ბურუსით არის გაჟღენთილი. მზის სხივი აქ ძალიან ძუნწად აღწევს. ვისაც გურიაში უმოგზაურია, ძალიან კარგად ჩასწვდება მისი პეიზაჟის განუმეორებლობას. თემურ ფირცხალაიშვილის ლექსებშიც ძალუმად იჭრება ნისლგარეული სინათლე, ეს სინათლე თანდათან შემოდის, უც-

ბად არ გჭრის თვალს, თუმცაღა თავისთავად პოეტის დრამატული ბიოგრაფია აისახება მის სამყაროზე. ის შუქრდილები, ძუნწი, ტრაგიკული ინტონაცია პოეტის შემოქმედებაში ძალზე ნამდვილი და მართალია. ყველა ჭეშმარიტი პოეტი უნდა ასახავდეს იმას, რასაც თავად სისხლხორციულად განიცდის“.

სევარიონ ნადირაძემ პოეტის პიროვნული თვისებანი გაიხსენა, მისი პორტრეტი წარმოსახა მსმენელის წინაშე და აღნიშნა, რომ მხიარული და მეგობრული ახალგაზრდა კაცი საოცრად სევდიან ლექსებს წერდა.

ალეკო დოღია თემურ ფირცხალაიშვილის ორი წიგნის რედაქტორია. მან სევდითა და სიყვარულით გაიხსენა მეგობრობა პოეტთან, ფოთში, გაზეთის რედაქციაში ერთად მუშაობა. ნიჭიერი კაცი რაკი ყველას იზიდავს, ამიტომ თემურის ირგვლივაც ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, — აღნიშნა ბატონმა ალექომ და ახალგაზრდებს მოუწოდა, გაეცნონ, არ დაკარგონ, გამდიდრდნენ თემურ ფირცხალაიშვილის ლექსებით.

საღამოს ესწრებოდნენ ახალგაზრდა პოეტები. **ოთარ ფალია** და **სოსო ასიტაშვილი** თემურ ფირცხალაიშვილის ლექსები წაიკითხეს და მისი პოეზიის ეპიგრაფად მისივე ფრაზა მიიჩნიეს: „პოეტის სურვილი ერთია, ტკივილი აშორს სხვას“.

ტრისტან მახაურის თქმით, თემური უაღრესად გულწრფელი ადამიანი გახლდათ, ყოველთვის ცდილობდა მიეღწია ლექსის რაფინირებისთვის, უნდოდა ისეთი ლექსი შეექმნა, რომელიც მისეული იქნებოდა და სხვას არ დაემსგავსებოდა.

ქეთი დოლიძემ გაიხსენა პოეტი და აღნიშნა, რომ თემურ ფირცხალაიშვილს აქვს გულწრფელი, სადა, მუსიკალური ლექსები. მისი თქმით, უნივერსიტეტის ბაღში, როცა პოეტები ლექსებს კითხულობდნენ ყოველთვის გამორჩეული იყო მათში. მან სიცოცხლეში ზიდა სიკვდილი, ძალიან ბევრი ტკივილი და ლექსებად დაგვიტოვა თავისი განცდები.

მიხეილ ლანიშაშვილი პოეტის მეგობარი იყო, მან თქვა, რომ თემურ ფირცხალაიშვილი სიცოცხლისთვის გაჩენილი ადამიანი იყო, მოუწყინარი, ლალი. გარეგულად არასოდეს ეტყობოდა დიდი სულიერი ლეღვანი. თვით პირადი ტრაგედიის დროსაც არ დაუკარგავს ხალისი. მას სამშობლოს ბედი სტკიოდა. ლექსითაც სამშობლოს ედგა ერთგულ დარაჯად.

ერეკლე საღლიანმა აღნიშნა, რომ პოეტს ტკიოდა ის გაუტანლობა, რაც ჩვენ სინამდვილეს ახასიათებს. მას შეეძლო სხვისი ტკივილი გაეზიარებინა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა თბილი სიტყვის გარდა..

გურიაში, თემურ ფირცხალაიშვილის სახლში, მუზეუმი გაიხსნა, სადაც სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება. მისი მუზეუმის დირექტორმა **დარეჯან ბინაძემ** მადლობა გადაუხადა საზოგადოებას პოეტის გახსენებისთვის და თქვა, რომ მუზეუმის ინიციატივით უკვე იგეგმება თემურ ფირცხალაიშვილის სრული კრებულის გამოცემა. საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილები, ამიტომ განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ პოეტის სახელის უკვდავსაყოფად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა.

ლამა საბაქთანი

ურნმუნო თეიმურაზ ხევის-თავი პირადმა ტრაგედია სარნ-მუნოებისკენ მიაბრუნა. მომც-რო სახარება ჯიბეში ჩაუჭურ-თავს და მალევე კითხულობს ღვთის სიტყვას, თითქოს სასირცხვილო საქმეს სწავლიდეს და დღის სინათლეს ერიდებოდეს. გულს უკლავს უღმობელი ეპილოგი: „განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს ნილი“. უწყალო ბედი უბრალო მოკვდავზეც იმეორებს თავის განაჩენს. თეიმურაზის სამოსელიც ხომ განიყვეს, ცოლიც წაართვეს და თავად ის ნახინჯარ ჯაყოს შეუგდეს ხიზნადვე.

თავისსავე ქვეყანაში ემიგრანტად ქცეული, უცხოელი თავისსავე მოძმეთა შორის, უიმედოდ სასონარკვეთილი და ყველაფერზე გულაცრუებული უფალს ევედრება: „მოგვეც ჩვენ, დავრდომილთა და უღირსთა ძეთა შენთა მოთმინება ულეველი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო“.

ელი, ელი, ლამა საბაქთანი...

ბორის პასტერნაკი, რომელმაც სწორუპოვარი ლექსების ციკლი მიუძღვნა მაცხოვარს, კერძო საუბარში ამბობდა: ურნმუნომაც კი უნდა აღიაროს საყოველთაო—ისტორიულ სასწაულად, რომ ცხოვრება და ვნებანი ქრისტესი დღესაც განუყოფელია კაცობრიობისგან, უდიდესი ადგილი უჭირავს მის წარმოსახვაში, ხელოვანთა და მოაზროვნეთა შთაგონების უშრეტ წყაროდ ქცეულა. შეიძლება მოგეჩვენოს, თუკი ფიზიკური საერო ენით ვიტყვით, რომ მარტოსულის ეს ტრაგიკულად ეული ხვედრი პირდაუბანელ კაცობრიობას არც კი შეეფერება, მაგრამ გამოირკვეა, რომ ჭეშმარიტება და მშვენიერება, წმინდა შარავანდით რომ ადგას თავზე ტანჯულსა და ჯვარცმულს, თუმცა ვერ დამკვიდრდა კაცობრიობის ცნობიერებაში, მაგრამ სავსებითაც არ გარიყულაო. პასტერნაკი დასძენს, რომ თვით „დიდი წარმართიც“ კი, როგორც არაზუსტად უწოდებენ გოეთეს, თავყანს სცემდა მაცხოვარს, როგორც „ღვთაებრივ გამოცხადებას და წინეთა უმაღლეს პრინციპს“.

რუსი პოეტი გიორგი ადამოვიჩი ოქტომბრის რევოლუციას გაექცა და დასავლეთში გადაიხვეწა. ემიგრანტული ჯოჯოხეთი ამჯობინა სოციალისტურ სამოთხეს. მისი სახელი, ალბათ, უცნობია ქართველი მკითხველისათვის, თუმცა ქართველს ვინ ჩივის, თანამედროვე რუსეთშიც ნაკლებად ეცოდინებათ. ეს გასაკვირი როდია. პუშკინი და ლერმონტოვი, ბლოკი და მაიაკოვსკი, ცვეტაევა და მანდელშტამი ანუ ელვარებანი დიდი თანავარსკვლავედისა — განა საკმარისი არ იქნება თუნდაც განათლებული მკითხველისათვის? საკმარისი კი არა, თავზეც გადაუვა. აქ სადღა რჩება ადგილი ადამოვიჩისათვის! მაგრამ მოვეშვათ პოეზიას. ხსენებული პოეტის პროზაული ჩანაწერები შესადგოა უფრო დაინტერესებს თანამედროვე მკითხველს, როგორც XX საუკუნის ისტორიის ფრაგმენტები.

ადამოვიჩი ის კაცი იყო, რომელმაც სასოებით შემოგვიჩანა ერთი საოცარი ფაქტი (ეგებ უპრეცედენტოც ეთქმის) საბჭოეთის ცხოვრებიდან, როდესაც ფსკოვის გუბერნიის ერთ მიყრუებულ ქალაქში ტარდება ანტირელიგიური კრება, სადაც თავგამოდებით ამტკიცებენ, ღმერთი არ არსებობს და არც არასოდეს არსებობდაო, მერე იღებენ რეზოლუციას ღმერთის ერთსულთვანი გაუქმების თაობაზე და უცერად სცენაზე ადის ბერიკაცი, ნახუცარს რომ ჰგავს, და ამყად წარმოთქვამს: „ქრისტე აღდგა!“ მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მერე ხდება, რაც ხდება. რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, სამოქალაქო ომიდან გამარჯვებით დაბრუნებული ახალგაზრდა კომუნისტი, ბანს აძლევს ნახუცარს: „ჭეშმარიტად აღდგა, მამაო!“

გიორგი ადამოვიჩი ამ მონათხრობში ხედავს მომავლის სხივს, უკვდავი წარსულის გაგრძელებად რომ უნდა ვიგულისხმობოთ, და მიიჩნევს რწმენის სიცოცხლისუნარიანობად, მაგრამ საღვთო წერილი მისთვის კვლევის საგანსაც წარმოადგენს. სწავდა, დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ სახარება ზღაპრების კრებულს როდია (როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ), არამედ

უტყუარი ისტორია საუკუნეთა სიღრმეში მომხდარისა და განცდილისა.

იმ დროს, როდესაც მის სამშობლოში სარწმუნოება იატაკქვეშეთში პოულობს თავშესაფარს და სიბნელიდან ლამობს გამეფებული ბნელეთის განათებას, როდესაც სახარებისეულ სასწაულებს ათეისტური თვლით გამოშინგნენ და ეჭვქვეშ აყენებენ რწმენის ძალას, როდესაც იესო ქრისტეს არსებობას საერთოდ უარყოფენ (გაიხსენეთ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი ბერლიოზი — ბულგაკოვის რომანიდან), ადამოვიჩი გულდასმით აკვირდება საღვთო წერილში დამონებულ რეალისტურ დეტალებს, ცხოვრებისეულ სინამდვილეს რომ ღაღადებენ და წყალწაღებულივით ებლაუჭება.

ადამოვიჩის კვლევა-ძიებისა და დამაჯერებელი დასკვნის საუცხოო ნიმუში გახლავთ ის პარაგრაფი მისი ჩანაწერებიდან, რომელსაც ჰქვია „მონაბერი სინამდვილისა“.

ადამოვიჩის სიტყვით, სახარების კითხვისას ხდება ხოლმე, რომ ჩერდები, სუნთქვა გეკვრის და შენთვის წარმოთქვამ: ეს არ შეიძლება რომ არ ყოფილიყო! ამგვარი გამონათებანი ოთხივე მახარობელთან გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით მარკოზს ახასიათებსო. კითხულობ მეასეჯერ, თითქმის ველარაფერს ხედავ და უცებ, ყოველი სიტყვა ახლებურ იერს იძენს, ახლებურად ნათელი ხდებაო. და იმონმებს ეპიზოდს, სადაც მოთხრობილია ჯვარცმა: „ხოლო მეცხრე საათს ხმაძალა შეღალადა იესომ: ელიო, ელიო, ლამა საბაქთანი? რაც თარგმანებით ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე? ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა ეს და თქვა: აჰა, ელიას უხმობს“ (სახარება მარკოზისა — 15, 34). ერთი კი გაიქცა, ძმრით გაუღინთა ღრუბელი და ლერწამზე წამოაგო, ასმევდა და ამბობდა: მოიცა, ვნახოთ, მოვა თუ არა ელია მის ჩამოსახსნელად. და მერე: „ხოლო იესომ კვლავ შეღალადა ხმაძალა და განუტყევა სული“.

ადამოვიჩს გულიდან აღმოხდება: ვასაოცარი! როგორ შეიძლება, რომ ამდენი წელია ვკითხულობ ამ ტექსტს, დიახაც ზეპირად ვიცი და აქამდე არაფერი შემინიშნავს?!

შემდეგ იწყებს მსჯელობას: თუკი ეს სინამდვილეში არ მომხდარა, უუბრალოეს და ურეალურეს სინამდვილეში, ვინ შეთხზავდა ამ წვრილმანს „ზოგიერთთა“ შესახებ, რომელთაც ცოტათი ყურს აკლდათ და მართებულად ვერ გაიგონეს, და ამიტომაც თქვეს: ელიას ეძახისო.

ადამოვიჩს წარმოუდგენლად ეჩვენება ვარაუდი, თითქოს და დასაშვები იყოს, რომ ლიტერატურული ასპექტით გულუბრყვილო მარკოზს ჰქონოდა ისეთი გამოცდილება პროფესიონალი მწერლისა, რათა შეეთხზა ეს მტრისი, რომელიც აბსოლუტურად არაფრისთვის არ არის საჭირო გარდა იმისა, რომ ბელეტრისტული სიცოცხლე შეიტანოს ტექსტში, რასაც ავტორი ვერც კი დააფასებდა! ადამოვიჩის აზრით, ასე შეიძლება შეთხზას თანამედროვე „ბიტოვიკმა“ (ე.ი. ყოფა-ცხოვრების აღმწერელმა), რომელიმე ტრიგონიმა (ჩეხოვის „თოლია“), რომელიც უპირისპირდება ახალგაზრდა სიმბოლისტ-დრამატურგს.

ადამოვიჩი გვარწმუნებს, მარკოზი ხატოვანებაზე არა ზრუნავსო. მარკოზმა ჩაინერა ის, რაც იცოდა. ჩაინერა ეპიზოდი, თითქმის ანეკდოტი, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ჩაინერა ისე, როგორც სხვა რამეებს რომ აგროვებდა და ინერდა. დასასრულ, ხაზგასმით აღნიშნავს: მაშასადამე, ეს იყო, ყველაფერი სწორედ ასე იყო! ერთმა ნათქვამმა სიმართლის შუქით შემოსა მთელი ამბავი, ერთი ნათქვამის საფუძველზე გვჯერა მთელისა.

ყოველივე ზემოთქმული დღეს შეიძლება ჩავთვალოთ ღია კარის მტკრევად, მაგრამ ნუ დაგავინყებთ, რომ ადამოვიჩი ამას წერდა გასული საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც სარწმუნოება საბჭოეთის იატაკქვეშეთში ეძებდა თავშესაფარს და ეს, რასაკვირველია, მშვენივრად მოეხსენებოდათ ემიგრაციამა.

ათი ათასი ქართველი

(სწორედ ალაშუთის საპყრობილეში ყოფნი-სას დაუმეგობრდა ბრძოლაში დატყვევე-ბულ ქართლის მეფეს — სვიმონ პირველს და, ჩვენდა სავალალოდ, თრიაქსაც მიაჩვია).

ვენეციელი ვინჩენცო ალესანდრის დიპ-ლომატორი მისია სეფიანთა ირანში (1571 წ.), მისი უშუალო მიზნის გარდა, ითვალისწი-ნებდა აგრეთვე გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას ამ ქვეყნის საქმეთა ვითარებაზე. ეს ჩვეულებრივი რამ გახლდათ — ვენეციის ხელისუფლება თავისი ელჩებისა და კონსულ-თაგან ყოველთვის მოითხოვდა ცნობებს მავანი სახელმწიფოს ცხოვ-რების სხვადასხვა მხარისა და ისტორიული წარსულის, ადგილობრი-ვი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებათა და ადათ-წესების შესახებ.

ვინჩენცო ალესანდრიმ კეთილსინდისიერად შეასრულა დავა-ლება. მისი ანგარიში, წარდგენილი ვენეციის სენატში, წარმოადგენს ძალზე ფასეულ წყაროს, სადაც აღსახა სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი სა-კითხი. გასაგებ მიზეზთა გამო განსაკუთრებული ყურადღება ეთმე-ბა ირანის ხელმწიფის შაჰ-თამაზის პიროვნებას, მის კარიკატებს, სეფიანთა სამეფო კარსა და რეგიონულ მმართველებს. ვენეციის ხე-ლისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა ბრძოლისუნა-რიანობა სეფიანთა სახელმწიფოსი, რომელიც პოტენციურ მოკავში-რედ ეგულებოდათ ოსმალეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში.

ვინჩენცო ალესანდრი აღნიშნავს შაჰ-თამაზის უდიდეს პო-პულარობას თავის ქვეშევრდომთა შორის. მისი სიტყვით, სეფი-ანთა ხელმწიფეს თავყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაებას. შაჰ-თამაზი იმხანად ყოფილა სამოცდაოთხი წლისა, სამეფო ტახტზე აუყვანიათ ცამეტი წლის ასაკში და აგერ, უკვე ნახევარი საუკუ-ნეა, რაც განაგებს სახელმწიფოსაო.

ვენეციელი ელჩი ასე გვიხატავს მას: საშუალო სიმაღლისა, კარგად აღნაგვი, პირისაზე ერთობ მშვენიერი, სქელი ტუჩები და ოდნავ შეჭალარავებული წვერი; გამომეტყველება ნაღვლიანი, ალბათ იმის გამოიხობით, რომ ათი წლის განმავლობაში ერთხე-ლაც არ გამოსულა სასახლიდან სანადიროდ თუ სხვა გართობი-სათვის. ქვეყნის მოსახლეობა ამ გარემოებით ძალზე უკმაყოფი-ლო იყო, ვინაიდან თუკი ვერ შეხვდებოდნენ ხელმწიფეს, მამ ვი-ლას შესჩვიებდნენ თავიანთი გასაჭირს?

შაჰ-თამაზს ჰყოლია თერთმეტი ვაჟი და სამი ასული. მისი პირმშო ხოდაბენდე-მირზა (მამა სახელგანთქმული შაჰ-აბასისა), იმჟამად ორმოცდასამი წლისა, გამოირჩეოდა წყნარი ბუნებით. მას საკსებით აკმაყოფილებდა თავისი მომცრო საუფლისწულო მამული, რომელიც უბოძეს ხორასანის პროვინციაში.

მეორე ვაჟს, ორმოცი წლის ისმაილს, მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ომის ტრფიალი იყო, რაც არაერთხელ გამოუჩვენებდა. მძვინ-ვარე უფლისწული დროდადრო არღვედა ოსმალეთთან დადებულ ზავს (აი, ვისი ზეობა უნდა ენატრათ ევროპაში!), რის გამოც მამამ გამოკეტა ციხეში, სადაც უკვე ცამეტი წელი იქნება, რაც იმყოფებაო

ალესანდრი ხაზგასმით აღნიშნავს, შაჰ-თამაზს უზომოდ უყ-ვარს ხსენებული უფლისწული, მაგრამ იმავდროულად ეშინია მი-სი, რადგანაც ხედავს, რომ ისმაილ-მირზას მხურვალედ სწყურია გახელმწიფებაო.

მესამე ვაჟი ყოფილა ჰეიდარ-მირზა (დედით ქართველი), ჩვიდმეტი წლისა, ტანმორჩილი, სანდომიანი შესახედაობისა და საუბარში გულწრფელი, ელეგანტურად იმოსება და ცხენოსნობა ემარჯვებაო (ვინჩენცომ პირადად გაიცნო იგი).

ვენეციელი ელჩი გვანვდის ცნობებს სეფიანთა ლაშქრის შედგენილობასა და ორგანიზაციაზე. როგორც ირკვევა, არსე-ბობდა რჩეული რაზმები, რომლებიც უშუალოდ შაჰსა და მის ვა-ყებს ემსახურებოდნენ, მაგრამ ჯარის ძირითად ბირთვს წარმო-ადგენდა ხუთასკაციანი სამხედრო შენაერთები და თითოეულ მათგანს სათავეში ედგა საგანგებო სულთანნი. ომის შემთხვევაში, საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე ერთი თვით ადრე, სამეფო კარიდან შიკრიკებს გზავნიდნენ ამ სულთნებთან და ისინი თავი-ანთი შენაერთების თანხლებით უნდა გამოცხადებულყვენენ მი-თითებულ ადგილზე. სულ იკრიბებოდა 60 ათასამდე მეომარი.

ალესანდრი აღფრთოვანებას გამოთქვამს სპარსელთა ცხე-ნოსანი ჯარის საბრძოლო თვისებებთა თაობაზე.

თუკი დიდი ომი ატყდებოდა, შაჰს შეეძლო, რომ სათვალავში ჩა-ეგდო აგრეთვე სამხედრო დახმარება მასზე დამოკიდებული ქართვე-ლი მეფისგან, რომელიც ყოველწლიურად უზღიდა ხარკს 20 ათასი დუკატის ოდენობით და, რაც მთავარია, გამოიყვანდა 10 ათას მხე-დარს (ათი ათასი ქართველი — აუჰ! ალტაცების ყიფინა აღმოხდებო-დათ ვენეციაში, როცა ამას ნაიკითხავდნენ, ათი ათასი ქართველი! ცხადია, ხვდებოდნენ, რომ ვის მხარეზეც იომებდა ათი ათასი ქართვე-ლი, გამარჯვებაც იმას დარჩებოდა. სამაგიეროდ, სამი საუკუნის შემ-დეგ საქართველოში დაიკვნესებენ: შენი რაა, რომ ამშვენებო...).

ვენეციის რესპუბლიკა უკვე მერამდენედ ლამობდა სეფიან-თა ირანის ამხედრებას ოსმალეთთან საომრად. მაგრამ ამ ცდევ-ლობებს წარმატება არ მოჰყოლია. ვერც ვინჩენცო ალესანდრიმ მიაღწია სასურველ შედეგს. შაჰ-თამაზი კარგად ხვდებოდა, რომ ქრისტიანული ევროპა სხვისი ხელით ნარის გლეჯას ესწრაფოდა და წვეთი სისხლის დაუღვრელად ენადა, გული გაეპო ოსმალე-თისათვის. ამიტომაც სეფიანთა ირანის შორსმჭვრეტელი ხელმ-წიფე სიცოცხლის ბოლომდე ერთგული რჩებოდა ამასიამი დადე-ბული ირან-ოსმალეთის ზავისა (1555 წ.) და მისი წყალობით, ათი ათასი ქართველი გადაურჩა სხვათა ომში სისხლის ღვრას.

გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუ-ზეულოში მოეწყო ცნობილი ქართველი მხატვრის, პროზაიკოსის, პარი-ზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის წევრის ემელიანე, რეზო ადამიას ნიგნის „შედევრები და მარადიულობა“ განხილვა. ამ ნიგ-ნის წინასიტყვაობის ავტორი და რედაქტორია პროფესორი ნოდარ ტაბიძე. მისი წარდგინება თებერვალში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა, რომელსაც პოეტი ია ქადაგიძე უძღვებოდა.

რეზო ადამიას პირველი ორი ნიგნი „სისხლიდან ცრემლით“ და „უკვდავება სიკვდილში“ — ტერენტი გრანელს ეძღვნებოდა. ღრმა ფილოსოფიური ხედვის გამო ავტორმა დავით აღმაშენე-ლის და გალაკტიონ ტაბიძის პრემიები დაიმსახურა.

ნიგნი „შედევრები და მარადიულობა“ გამომცემლობა „ინტე-ლექტა“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა. მასში შესულია 23 ესეი, ოთხი პარიზული დღიური და ორი ინტერვიუ. ავტორი მკითხ-ველს ესაუბრება ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმე-დებებზე, აგრეთვე მოუთხრობს მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებზე. რე-ზო ადამია, პარიზის საერთაშორისო მხატვართა ცენტრის პრეზი-დენტის, სიმონ ბრუნოს ინიციატივით პარიზის ხშირი სტუმარია. ნიგ-ნი რამდენიმე წლის განმავლობაში იწერებოდა. ყოველ შედევრთან პირისპირ მდგომმა ქალაქზე გადაიტანა თავისი განცდები.

ბატონი რეზოს შემოქმედებაზე, მის ახალ ნიგნზე ისაუბრეს ქართული კულტურის და ხელოვნების ცნობილმა მოღვაწეებმა,

მეცნიერებმა — რევაზ მიშველაძემ, ნოდარ ტაბიძემ, აკადემიკოს-მა — ჯუმბერ ლომინაძემ, პოეტებმა — მაყვალა გონაშვილმა, და-ვით შემოქმედებმა, იკა ქადაგიძემ, მიმონა ცანავამ, რენე კა-ლანდიამ, ბადრი ქუთათელაძემ, გიორგი მელუამ, ივანე ჯავარი-ძემ, მომღერლებმა ეთერ კაკულიამ და ენრიკო ჯანელიძემ, კომ-პოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა. საღამო მუსიკალურად გააფორმა კვინიტმა „ინანამ“ ხელმძღვანელი მარინა კოლხიდაშვილი.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა რეზო ადამიას ნიგნისთვის „შედევრები და მარადიულობა“ ვა-ჟა-ფშაველას სახელობის პრემია და ოქროს მედალი გადასცა.

საღამოს დასასრულს ბატონმა რეზომ თანადგომისა და მხარ-დაჭერისთვის მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მწე-რალთა კავშირს, ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექციას; სპონსორებს — ბადრი გულორდავას და ოთარ ჭითანავას, გა-მომცემლობა „ინტელექტს“. აღნიშნა, რომ „თუ არა ბატონი კახ-მეგ კუდავა, ამ ნიგნის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდაო“.

ახლახან ბატონმა რეზო ადამიამ, საფრანგეთიდან, ქალაქ ნან-ტიდან ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ გასტონ ბუა-ჩიძისაგან მისალოცი ბარათი მიიღო, სადაც აღნიშნულია: „...მე ნავიკითხე თქვენი ნიგნი ტერენტიზე და გენიოს მხატვრებზე „შე-დევრები და მარადიულობა“. თქვენ ბრძანდებით ორიგინალური მწერალი. მე გადავწყვიტე ფრანგულად ვთარგმნო თქვენი ნიგნი“.